42
1920

№1-6=1920=20

წელიწადი XIII.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თფილისის ქალაქის საბჭოს მოამბე

1920 წელი

№ 1—6.

შინაარსი:

ქალაქის საბჭოს სხდომის ჟურნალები.

ბოდაძეთა—ქალაქის მდივანი
აკ. ტუმალაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალაქის თვითმართველობის 1919 წლის მოქმედების მოკლე მიმოხილვა.

ჩვენი ცხოვრება რომ ნორმალურ მდგომარეობისაკენ მიესწრაფება, რომ ნგრევის პროცესი განვლილ დღეთა და წლებთა წიაღში მიესვენება, ეს, სხვათა შორის, იქიდანაც სჩანს, რომ რესპუბლიკის დედა-ქალაქი ისეთ პოლიტიკურ მოვლენების ასპარეზად ალარ არის ქცეული, როგორც იგი 1917-18 წ. წ. იყო. რუსეთის დამფუძნებელ კრების გარეკა, ბრესტის ხელშეკრულობა, კავკასიის ფრონტის დაშლა, ოთრების შემოსევა, მუხანათური დალატი ზურგში, უპასუხისმგებლო პირთა მიერ მოწყობილი და მრავალი სხვა თბილისის მაჯისცემას იწვევს და მის სხეულის ნერვებს კონგულსიით გრეხავს. მარტო საქართველოს კი არა, მთელ ამიერ კავკასიის ტკივილები მასაც აავადმყოფებს და სულთმობრძავ ავადმყოფად ჰქმნის. თბილისი მთელი მხარეს ტვინია, იგი საერთო მდგომარეობის უტყუარად ალმბეჭდავი ბარომეტრია.

საბჭოს 1917-18 წ. წ. სხდომების ჟურნალი განვლილ დღეთა სრული ფოტოგრაფიული სურათია და ამ მხრივ 1919 წელი მათგან ბევრად გაირჩევა. აქ თქვენ ვეღარ ნახავთ საბჭოს დარბაზის ქანდარას გარეშე ხალხით გაჭედილს, მქუხარე სიტყვები მეუჭდნენ; თვითმართველობამ პოლიტიკური მხარე ცხოვრებისა საათანადო სახელმწიფოებრივ ორგანოებს დაუთმო, თვითონ კი „მოსაწყენარ“ და „არა საინტერესო“ ალმშენებლობით მუშაობას შეუდგა; თავის მოქმედების ფარგალი შემოიმიჯნა და ამ მიჯნის გარეშე მისი მუშაობა უფრო პასიური, ვიდრე აქტიური, შეიქნა. თავის ფარგლებში მას, უწინდელთან შედარებით, ფართო, თითქმის დამოუკიდებელი უფლებები მიენიჭა და მის საქმეებს ფართო მასსის მიერ ნდობით ალჭურვილი პირნი სათავეში ჩაუდგა. ისტორიას ჩაბარდა ის ხანა, როცა ქალაქის საქმეებს მესაკუთრენი, ნაციონალისტურ „შირმას“ ამოფარებულნი, ან და „გამფლელ ქარიშხალის“ მოსაგონრად დატოვებული სხვა და სხვა ჩვენში უნიადაგო პარტიები, განაგებდნენ. დღეს ქალაქის საქმეებს მართავს თვით ხალხი—ქალაქის დემოკრატია, ბრძოლაში ნაცად თავის წარმომადგენელთა სახით...

ალმშენებლობითი მუშაობა, რომელსაც ჩვენი ქალაქის თვითმართველობა აწარმოებს, ნელი და წესარი ნაბიჯებით მიმდინარეობს, მას ანარქია ზირისავით ეკაკრება და მხოლოდ ნორმალურ და წესიერ ცხოვრების პირობებში პოულობს იგი თავის საარსებო ნიადაგს. ეროვლად წარმოუდგენელია რამე დადებითი ხასიათის შუნიციპალური მუშაობა აწარმოონ მაშინ, როცა ანარქია ბატონობს, მაგრამ ეს ნიშ მარტო მუნიციპალურ მუშაობაზე არ ითქმის?..

რა გააკეთა ქალაქის საბჭომ წარსულ 1919 წელში?

ჩვენ, ცხადია, აზრათაც არ მოგვდის დღევანდელ საბჭოს მუშაობა იდეიურად მივიჩნიოთ. მისი მოქმედება სანიმუშოთ ვცნათ. დეფექტები, ცხადია, ბევრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ იყო და შეცდომებიც უსათუოდ მოიქცენებიან, მარა თუ მხედველობაში ვიდებთ იმ ვირობებს, რომელშიაც მას მუშობა უხდებოდა, აუცილებლათ უნდა გსთქვათ, რომ მან გააკეთა ის, რის გაკეთებაც შეიძლებოდა.

ეკონომიური კრიზისი.

უწინარეს ყოფლისა ეკონომიური კრიზისი სურსათ-სანოვაგის ზღაპრული სიძვირე და აქედან გამოწვეული მოულოდნელი ხარჯები შეუძლებელს ყოფდა მისთვის მთელი თავისი უნარი მუშობისა თავლსაჩინო და ცხადეყო. მიმდინარე თვეში შეუძლებელი იყო, დაახლოებითაც მაინც, წარმოდგენა მისი, თუ რა ხარჯებს მოითხოვდა მომავალი თვე. ხარჯები დაყენებით დაფარვას თხოულობდნენ, შემოსავალი კი არსად სჩანდა. სურსათ-სანოვაგის გაძვირებამ ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირებიც გაზარდა. 1919 წლის 1 იანვრიდან წლის ბოლომდის მოსამსახურეთ მოუმატეთ 98% და 250 მანეთი ყველას თანასწორად. ამ მომატების გარეშე ესუხ-საგებ ვირთ განსაკუთრებით მოემატა ჯამაგირები.

ქალაქის ფინანსიურ მდგომარეობაზე საგრძნობი გავლენა იქონია წარსული წლის ეპიდემიასთან ბრძოლამაც, რომლის საჭიროებათა დაკმაყოფილებამ დიდი თანხა მოითხოვა.

თუ რამდენად გართულდა და გაიზარდა ქალაქის ხარჯები—ამას გვაჩვენებს 1919 წლის ბალანსი 1918 წელთან შედარებით, განსავალი იყო:

1918 წ.	1919 წ.
22.350.024 მან. 96 კ.	68.050.972 მან. 08 კ.

ერთი სიტყვით ერთი სამჯერ გაზრდილი 1919 წლის მოთხოვნილება ქალაქისა ერთგვარ შემოსავლით უნდა ეოფილიყო დაკმაყოფილებული. ამ გარემოებამ გამოიწვია ექსტრაორდინალური ზომები, ვინაიდან ჩვეულებრივ შემოსავლით ხარჯების დაფარვა შეუძლებელი იყო. ქალაქი შებოჭილი იყო ძველ სამეუჯეტო უფლებების ფარგლებში. ახალი უფლებები კი დღესაც თავის გადაჭრას უცდის და ვირველ ხარისხოვან კითხვათა ვირველ რიგში სდგას და კვლავ გადაჭრას უცდის.

ყველა ამ ხარჯებმა ქალაქი აიძულა, კანონის ფარგლებში, გაეფიდებინა შემოსავალიც. ამ მიზნით მან გადიდა სასაკლაოს, წყლის და ტრამვაის ტარიფები და სხვა საქალაქო გადასახადები.

ცხადია ნორმალურ ვირობებში ქალაქი სხვა საშვალებებს მიმართავდა როგორიცაა, მაგალითად, წარმოებათა გაფართოება, მარა არსებულ მდგომარეობაში, საჭირო თანხის და მასალის უქონლობის გამო, მან მიმართა ერთად ერთ შესაძლებლობის გზას. რომ მოსალოდნელი ფინანსიური კატასტროფა თავიდან აეცილებინა, საბჭომ ქალაქის მესაკუთრენი სანიტარულ გადასახადით დაბეგრა, რომლის $^1/_5$ სხვა და სხვა ხარჯთა დასაფარავად დასჭირდა, $^4/_5$ კი ქალაქის სანიტარულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადასდო.

მილიცია.

ცარიელ კასის გარდა, მრავალი სხვა ნაკლიც უანდერძა ახალს საბჭოს წინა წლებმა. უწინარეს ყოფლისა უნდა ადგენიშნოთ ადმინისტრაციის უფარგისობა. ჩვენი მილიცია უფრო უწესობას უწყობდა ხელს, ვიდრე წესრიგის გაბატონებაზე ზრუნავდა. მან დღითი-დღე უკან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკან იწყო სიარული და ქალაქი აუტანელ ბირობებში ჩაუყენა. ამ გარემოებამ გამოურკვეველი მდგომარეობაც უწყობდა ხელს, რომ მილიციის საქმე ვინ ხელთ იყო არვინ იცოდა. იმ კითხვამ, თუ ვინ უნდა განაგებდეს ქალაქის მილიციას, მთავრობა თუ თვით ქალაქი, ერთ ხანებში ბრაკტიკული ნიადაგი დაჭარგა და წმინდა აკადემიური ხასიათი მიიღო. მილიცია ჭაერში დაკიდებული დარჩა და ამ მდგომარეობამ შეუწყო ხელი ყველაზე უფრო მის განხრწნას. მთელი სხეული, თავიდან დაწყებული უმცროს მილიციონერამდის, დაავადმყოფა. ამ მხრივ ბევრი საგულისხმიერო ფაქტები ადმოაჩინა მთავრობის რევიზიამ. ცარცვა-გლეჯა და ყაჩაღობა, თუ ბირდაბირი მონაწილეობით არა, მისი დოცვა-კურთხევით ხდებოდა, მექრთამეობა კი მისი უმთავრესი ატრიბუტი შეიქმნა.

რომ რაიმე შემოქმედებითი მუშაობა დაწყებულიყო, საჭირო იყო უწინარეს ყოვლისა ქალაქში წესრიგის განმტკიცება. ექვდგან დაიწყო ახალმა საბჭომაც თავის მუშაობა. უწინარეს ყოვლისა ქალაქის მილიციის ბატონ-პატრონობა თვით იკისრა და მთელი მილიციის შემადგენლობა განაახლა და მის სათავეში დირსეული ბირნი ჩაუყენა. მილიციის საქმეში მთელი ძალა-უფლება გამგეობას მიანიჭა და მას ფართო კომპეტენცია გადასცა. თუ დღევანდელი ჩვენი მილიცია სათანადო სიმაღლეზე სდგას და უწინდელს არაფრით არ წაგავს, ამკარად უნდა ითქვას, ეს მხოლოდ ჩვენი ქალაქის მოურავის ბირად ღირსებას და მის მიერ ამ საქმეში თანამშრომლად მოწვეულ ბირთ უნდა მიეწეროს. მათ 3-4 თვეში შესძლეს მის გაკეთება, რის წახდენასაც ჩვენი ქალაქის უბასუხისმგებლო მილიციის უფროსები 2 წელიწადს მოუნდნენ. მილიციას უწინარეს ყოვლისა ის თავი მოჭეეთეს, საიდგანაც მისი განხრწნა დაიწყო, ბოლოს მთელი მისი შემადგენლობა გაჯანსაღ-გადაახალისეს...

სანგარიშო წელში ბორტ-მოქმედებამ 75%-ით იკლო, რომლის დიდი ბროტენტი ადმოჩენილ იქმნა. ამ მხრივ საინტერესოა ქალაქის სტატისტიკურ ბიურის ცნობა:

1919 წ.	ადმოჩენილ იქნა:		ივლისში 60%	ბორტმოქმედებისა
„	„	„	აგვისტოში 69,6%	„
„	„	„	სექტემბერი 70,8%	„
„	„	„	ოქტომბერი 65,3%	„
„	„	„	ნოემბერი 78,3%	„

ამ მხრივ 1918 წლის შესახებ დამუშავებული სტატისტიკური ცნობები ხელთ არა გვაქვს. დაახლოებით ადმოჩენილი ბორტმოქმედების %% 3-5 არ აღემატება. ექვდან ცხადია, თუ რა შედეგებს მივაღწიეთ მილიციის გადახალისებით, მილიციის სასურველ ნიადაგზე დაუენებს მოჭეეა ყველა იმ ანარატების სწორი და ნორმალური მუშაობა, რომელნიც მასთან მჭიდროთ იყვნენ დაკავშირებულნი. სახელდობრ ჩვენ მოგახსენებთ სასამართლოზე.

წესრიგი და სამართალი.

მთელი ქალაქი ხუთის მაგიერ 22 სამოქრიგებლო უბნად იქნა დაყოფილი და ხალხის ნდობით აღჭურვილი ბირნი—მოსამართლეთ არჩეულნი. თუ ეს ინსტიტუტი ჯერ კიდევ სასურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველ ნაყოფს ვერ იძლევა, ან რაიმე ნაკლი იქვს, ეს მხოლოდ იმით ავსნილა, რომ ანარქიის დროს დაგროვილი და მასთან შიმდინარე საქმეები ძალიან ტვირთად დაწვა მოსამართლეთ კისერზე. ნორმალურ პირობებში მომრიგებელი მოსამართლე უნდა არჩევდეს თვეში 300-400 საქმეს მას კი დღეს 600 საქმის გარჩევა უხდება. ეს გარემოება შესაძლებელს ჰყოფს, ცხადია, დეფექტების არსებობას, მარა, უნდა ვიფიქროთ, ძველი დაგროვილი საქმეები როცა შემცირდება, თბილისს 22 მომრიგებელი მოსამართლე სრულიად დაკმაყოფილებს. სასამართლოს შექმნის დროს ქალაქი თანამედროვე პრინციპით ხელმძღვანელობდა. „დაახლოვება სასამართლოსი ხალხთან“—აი ის დევიზი, რომელზედაც იგი მართლმსაჯულების საქმეების მოწყობას შეუდგა. და მართლაც სამომრიგებლო უბნები სწორედ ისეა შერჩეული, რომ ქართველს—ქართველ მოსამართლესთან აქვს საქმე, რუსს—რუსთან, სომეხს—სომეხთან და სხვა. თუ ეს შეუძლებელია სხვა დარგებში, აქ ქალაქმა შესძლო ბოლომდის გაეტარებინა დემოკრატიული პრინციპი სასამართლოისა.

სწავლა-განათლება.

„საქართველომ უნდა იარსებოს როგორც კულტურულმა სახელმწიფომ, ან და სრულიად უნდა მოსპოს“—აი ის დებულება, რომელიც გზის მაჩვენებელ დევიზად გაიხადა ქალაქმა სწავლა-განათლების სფეროში და მით ხელმძღვანელობდა თავის ეროვნულ მუშაობაში.

ეურადღება იქნა მიქცეული უწინარეს ყოველისა სკოლის რაოდენობასა და თვისებაზე.

ქალაქის ძველ მესვეურთაგან (ცენზიანი საბჭო-კომგეობისაგან) ჩვენ მივიღეთ მხოლოდ 35 სკოლა 156 განყოფილებით, დღეს კი გვაქვს 72 პირველდაწყებითი და 10 უმაღლესი პირველდაწყებითი სკოლა 382 განყოფილებით, ამრიგათ სკოლების რიცხვი გაორკეცებულ იქნა.

რაოდენობასთან ერთად დიდი ეურადღება იქნა აგრეთვე მიქცეული სკოლის თვისებასა და შინაარსზე, სახელდობრ მის გაერაგნებაზე. მოსწავლე ახალგაზრდობას სრული საშვალება მიეცა სამშობლო ენაზე სწავლა-განათლების მიღებისა. თუ ხშირად სკოლის ნაციონალიზაციაზე ბასი აკადემიურ ფარგლებს ვერ სცილდებოდა, დღეს ამ იდეის განხორციელებამ სინამდვილეში დაგვანახვა მთელი შინაარსი და მნიშვნელობა ამ ეაღრესად დემოკრატიულ პრინციპისა.

სასწავლებელ საგანთა სიიდან სამღვთო სჯული გამოირიცხა და მით სკოლა განთავისუფლდა სამღვდელოების ზეგავლენისაგან.

განათლების სამინისტროსთან ერთად შემუშავებულ იქნა ერთი ტიპი პირველ-დაწყებითი სკოლებისა. გიმნაზიებში მოისპო მოსამზადებელი კლასები და ქალაქის პირველ და უმაღლეს დაწყებითი სკოლების დამთავრების შემდეგ მოწაფეთ დაუბრკოლებლივ იღებენ გიმნაზიებში. ამ მხრივ დიდი ბრძოლა დასჭირდა ქალაქს მშობელთა განსაზღვრულ წრეებთან, რომელთაც თავისი შვილები არ სურდათ „ვიღაც ქუჩის ბავშვებთან“ ერთად ერთ ჯერ ქვეშ მოექცინთ, მაგრამ სი-

ნამდვილად და საქმის სარგებლიანობამ ისინიც გააჩუმა. ამ რეფორმამ ერთგვარ ხანებში გამოიწვია კერძო სკოლების მრავლად დაარსება ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის მეშჩანიურ-ბურჟუაზიულ სულისკვეთების დასაკმაყოფილებლად.

სკოლაში გამეფებულ იქნა შრომის მეთოდი. ამ მეთოდის საშვალებით შეიძლება ყველა გრძნობათა თანაბარი განვითარება და თვით სასწავლელ საგნის ადვილად შეთვისება. მაგალითად, ანბანის სწავლის დროს მოსწავლე ერთ და იმავე ასოს თვალით ხედავს, ქალალდზე დანით გამოსჭრის, ხატავს და სხვა — ამრიგად ყველა შემეცნებათა გრძნობანი ადამიანისა ვითარდება და იფურჩქნება. ამას გარდა, შემოღებულ იქნა კვირაში ერთხელ „სადგოტო დღე", როდესაც მასწავლებლები, თუ ამინდი ხელს უწყობს, მოწაფეთ ექსკურსიებზე ატარებენ, სხვა და სხვა მათთვის საინტერესო საგნებზე ესაუბრებიან.

ეოვლად შეუძლებელია სწავლა-განათლებაზე ზრუნვა, თუ სათანადოთ მომზადებული კადრი მასწავლებელთა არ გეყოლებათ. ამ მიზნით ქალაქმა ძველებში დიდი გადარჩევა მოახდინა და ახლებში კი სიბრთხილით და მოფიქრებით აგროვებდა მასწავლებლების საუკეთესო ნაწილს. დაარსებულ იქნა მასწავლებელთა მოსამზადებლად სხვა და სხვა სპეციალურ საგნებში ერთდროული კურსები. მასწავლებელთა კავშირებს მიზნათ დასახათ დროგამოშვებით თავის მოერა, თავიანთი ცოდნა-გამოცდილების ერთი-ერთმანეთისათვის გასაცნობად. მათი საუბარი კრებებზე წმინდა პედაგოგიურ ხასიათისა, რომელიც შეძლებას აძლევს ერთს გაიცნობს და შეისწავლოს ის, რაც მეორეს თავის პრაკტიკით შეუსწავლია და ადმოუჩენია.

დიდი ეურადღება მიექცა სანიტარულ მხარეს სკოლაში. ამ მიზნით დაარსებულ იქნა სასკოლო-სასანიტარო სამზრუნველოები და ცალკე მოწაფეთათვის სპეციალურად მოწყობილი ამბულატორიები.

სწავლა-განათლების საქმეში წიგნთსაცავ-სამკითხველოებს ხომ გადამჭრელი მნიშვნელობა აქვთ, ამიტომ ქალაქი ამ საგანსაც ვერ დასტოვებდა უყურადღებოდ. უწინ ქალაქს მხოლოდ ორი წიგნთსაცავ-სამკითხველო ჰქონდა, დღეს კი შვიდი გვაქვს და ამ მოკლე ხანში კიდევ სამი იქნება გახსნილი.

ამ დარგში მუშაობის დროს ქალაქს ბევრი დაბრკოლებანი ედობებოდენ წინ, ყველაზე უფრო კი უბინაობა, რომელის მხრივ, სავალალოდ, ჩვენი ქალაქი დიდ კრიზისს განიცდის.

ქალაქმა ჯერ-ჯერობით ვერ შესძლო საოჯელთაო და საგალდებულო სწავლა-განათლება შემოეღო. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ 1919 წელს არც ერთ მთხოვნელისათვის მიღებაზე უარი არ გვითქვამს. ყველა, ვინც კი მოადგა ქალაქის სკოლების კარებს, — დია დახვდა...

საინტერესოა აგრეთვე მოსწავლეთა რიცხვის ზრდა. უწინ თუ იგი ექვსი ათას უდრიდა, დღეს ეს რიცხვი თხუთმეტი ათასამდე გაიზარდა. მასწავლებელთა რიცხვი კი სამასის მაგიერ შვიდას ორმოცდა ათი შეიქმნა.

წარმოება. საკამათოა ის კითხვა თუ რა აღგილი უნდა ეჭირაოს ნორმალურ პირობებში შემოსავლის მხრივ წარმოებას კომუნის ცხოვრებაში. ერთნი იმ აზრისა არიან, რომ წარმოება მომგებიანი უნდა იყოს, შეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რენი ამ აზრს ავრცელებენ წარმოების მხოლოდ ერთ დარგზე, ან დაბალ-ზე, ამ აზრსაც იცავენ, რომ წარმოება თავის ხარჯს უნდა თვრავდეს მხოლოდ. ობიექტიურ პირობები ჩვენს ქალაქს აიძულებს უკანასკნელ გზას დაადგეს, რომ მით ისედაც განმწარები მოქალაქის სიცოცხლე უფრო არ გაამწარონ. მაგალითად: მიუხედავად მისა, რომ ვედრო წყალი $^2/_5$ კაპეიკიდან 30 კაპ. გაიზარდა წყალსადენი ქალაქის სალარონ 11.000.000 მანეთ ზარალს უქადის წლის ბოლოს, ტრამვაის ტარიფი თუმცა რამოდენიმეჯერ გადიდებულ იქმნა, მარა თავის ხარჯებს ძლივს-ძლივობით დაფარავს. შექმნილმა პირობებმა, სხვა და სხვა საწარმოო იარაღის უქონლობის სახით, ქალაქი აიძულა ეფიქრა არა წარმოებათა შემოსავლიანობაზე, არამედ მის ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში შენარჩუნებაზე. მაგ.: ტრამვაი—ვაგონები დაძველდა და „დაავადმყოფდა“, დიანდაგი მოიფუშა, საჭირო ნაწილები აქ ვერ გაკეთდა და გარედან მათი შემოტანა შეუძლებელი შეიქმნა. ამ პირობებში ჩვენ უნდა ვცდილიყავით, რომ იგი სრულებით არ გაჩერებულიყო, ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა ბელგიის უსახელო საზოგადოებისაგან ქალაქის მიერ ტრამვაის გამოყიდვაზე დაისვა საკითხი ს.-დ. ორგანო გაზ. „აზრი“ სწერდა: „ეურები გამოიფხიკეთ, ბ. ბ. ქალაქის მამებო, სანამ დროა ტრამვაი შეიძინეთ, თუ არ გინდათ, რომ ტრამვაის მაგიერ ნაფოტები დაგრჩეთო“. ეს წინასწარმეტყველობა გაზეთისა გამართლდა. ტრამვაი მხოლოდ ტრამვაის გავდა, არსებითად კი ნაფოტს დაუნაფოთესავდა. ქალაქმა მიიღო ტრამვაი აუტანელ პირობებში და იმის გაუმჯობესობაზე კი არა, შენარჩუნებაზედაც არ შეიძლებოდა ფიქრი.

34 ვაგონი 78 ვაგონამდის გაიზარდა. სხვა და სხვა ტექნიკურ გაუმჯობესობის მეოხებით გასავალი სათბობ მასალისა ნახევრად შემცირდა, რამაც ხარჯების დიდი ეკონომია მოგვცა. და იმედი გვაქვს, რომ დიანდაგის შეკეთებას და სხვა საჭირო სამუშაოებს ჩვენი ტრამვაი თავის საკუთარი შემოსავლით დაფარავს.

ელექტრონის სადგური. ელექტრონის სადგური ნახევრად უმოქმედოთ იყო, დღეს ეველა მანქანები გაჯანსაღებულია და მოქმედობს.

წყალსადენი. 1917 წელს თბილისის გუბერნატორმა დანიშნა ქალაქის წყალსადენის განსაკუთრებული რევიზია. რევიზიამ ისეთ უნუგეშო და უმწეო მდგომარეობაში ნახა წყალსადენი, რომ მისი მოკლე ხანში სრულიად გაუქმება იწინასწარმეტყველა. ქალაქის მაშინდელ მესვეურთ სასამართლოს სკამი უცდიდა, რომ რევოლიუციას არა. თუ წყალსადენი 1917 წელში ასეთ მდგომარეობაში იყო, ცხადია, დღეს მისი შენარჩუნება და ისიც იმ სრულიად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში, როგორშიდაც ის არის, ქალაქის ენერგიულ მუშაობას უნდა მიეწეროს. თუ რა გაკეთდა წყალსადენზე—ეს სპეციალური კითხვაა და მისი დაფასება მხოლოდ სპეციალისტს შეუძლია. ჩვენ კი ადვნიშნავთ მის მუშაობის ნაყოფიერებას. თუ 1919 წლამდის ქალაქის წყალსადენი დღე და ღამეში ერთი ერთმანეთზე იძლეოდა 1.200.000—1.500.000 ვედრონ—დღეს იგი 1.500.000—2.000.000 ვედრამდის იძლევა. ამას გარდა დიდი უურადღება

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნა მიქცეული გარეშე უბნების, რომელნიც უწყლობით მუდამ დიდ გაჭირვებას განიცდიდენ. დადგმულ იქნა 48 ონკანი (კრანი) გარეშე უბნებში, საიდანაც მცხოვრებნი უფასო წყლით სარგებლობენ. ვინც თბილისს იცნობს 1917 წლიდან კი არა, არამედ უფრო ადრე, მან შეადარონს წყალსადენის მუშაობა დღევანდელი — უწინდელს. გარჩევას მგონი რომ ნახავს. წინასწარი მუშაობა ასალი წყალსადენის გასაკეთებლად უკვე შესრულებულა და ქალაქი ამ ყამად სათანადო თანხას ეძებს.

სასაკლაო. სასაკლაოს მუშაობაც სათანადოთ იქნა გაფართოებული. იქ მოწყეთ ქარხანა, რომლის შემწეობითაც დაკლულ საქონლის სისხლი შრება და ფხვნილად (პოროშოკად) იქცევა. ამ ფხვნილის ხმარება შეიძლება მიწის გასანოყიერებლად. მოწყობილ იქნა აგრეთვე ჩლიქებისაგან წებოს დასამზადებელი ქარხანა, ბულიონის, ძეხვის და საპნის ქარხნები. ეს ქარხნები ოუმცა ჯერ კიდევ ემბრიონალურ მდგომარეობაში არიან და ჯერ შემოსავალი დღევანდელ პირობებში საგრძნობ შემოსავალს არ იძლევიან, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ რომ მათ დიდი მნიშვნელობა ექნებათ მოკლე მომავალში ქალაქის ფინანსების გასაძლიერებლად.

სურსათი. თანამედროვე სურსათის წარმოუდგენელ კრიზისის დროს ქალაქს არ შეეძლო ამ მხარესათვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიექცია. სასურსათო განყოფილება პატარა ფარგლებში მომწყვდეული, დღეს დიდ დაწესებულებად გადაიქცა. მანუფაქტურა, ფეხსაცმელი, ნავთი, რძის ნაწარმოები, პური, შეშა, ნახშირი და სხვა მრავალი ამ განყოფილებამ თავის ოპერაციების ობიექტად გაიხადა და ამ ნიადაგზე მცხოვრებთა ხელსაყრელ ფასებში საქონლის მიწოდების გარდა სპეკულიაციის ამლაგმავი და ბაზრის ფასების რეგულიატორი შეიქმნა.

ამ განყოფილების ნაყოფიერ მუშაობის ცხადსაყოფად უმჯობესია თვით ციფრები ვალაპარაკოთ.

1. ოანხის საერთო ტრიალი:	1919 წ.	1920 წ.
იანვარი	3.847.000 მ.	57.020.000 მ.
თებერვალი	3.793.000 მ.	103.185.000 მ.
მარტი	7.208.000 მ.	136,575.000 მ.
მთელი წელიწადი	200.000.000 მ.	1 აგვისტომდე 200.000.000 მ.

2. საქონელი იყო:

1 მარტს 1919 წ.	19.000.000	(დღევანდელ ფასებში).
1 მარტს 1920 წ.	65.000.000	„ — „
1 აგვისტომდე 1920 წ.	150.000.000	„ „

აქედგან ცხადად სჩანს, თუ როგორ ერთი-ორად იზრდება სასურსათო განყოფილების ოპერაციები.

3. სურსათის შეძენის გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს მის მომწოდებელ, ასე ვსთქვათ, განმანაწილებელ აპარატს. ამ მიზნით ქალაქმა გახსნა 13 სასურსათო დუქანი; 2 სრძეო-გასტრონომიული; 4 მანუფაქტურის მაღაზია; 4 ნახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირის და 1 თივით სავაჭროები—სულ, თუ არ ჩავთვლით ნავთით სავაჭრო პუნქტებს, — 25 დუქანი.

4. ნავაჭრი დუქნებში:

	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი
მანუფაქტურის .	1.960.000	7.066.000	4 648.000	4.131 000	8.456 000	14.653.727—80
სასურსათოს . .	97.000	495 000	3.144.000	5.116.000	6.250.000	8.027.618—77
სარძეო-გასტრ. .	—	—	—	14 000	1.070 000	1.278.114—65
საწყობების . . .	8 363 000	11.070 000	5.127.000	5.187.000	2 418.000	5.165.688—87
ნავთის	1.500.000	1.500.000	2.000.000	1 800 000	1 200.000	1.103.169
ფეხსაცმლის . . .	—	—	—	—	—	5.651.415
სულ . . .	11 920.000	20.131.000	14.919.000	16.248.000	19 394.000	35.879.734—09

სასურსათო საქმის გაფართოვებახ ხელს უშლის საბრუნი თახხის უქონლობა. ამ მიზნით ქალაქმა მიმართა მთავრობას 50.000.000 მანეთის სესხად მიცემის შესახებ, რაც ჩვენ სასურსათო განეოფილების მუშაობას ერთი ორად გაადიდებს და გაფართოვებს.

ქალაქის სპეკულიაციასთან ბრძოლა იმაში გამოიხატება, რომ სათანადო საგაჭრო დარგებში საქონლის ფასები ერთ დონეზე შეინერა და მით ერთგვარი ბარიერი დაუდგა ფასების ზრდას და სპეკულიანტთა თავაშვერილ ვაჭანალიას.

1919 წელში ქალაქის საბჭოს 30 სხდომა ჰქონდა. მთელი წლის განმავლობაში სხდომას დაესწრო 1465 ხმოსანი, უნდა დასწრებოდა 2700; თითო სხდომას დაესწრო $45^{25}/_{32}$ ხმოს. 30 სხდომა გაგრძელდა 79 საათი; თითო სხდომა 2 საათი და $34^{2}/_{3}$ წუთ. საანგარიშო წელში გარჩეულ იქნა 461 საკითხი.

ქალაქის საბჭო თავის შემადგენლობით 1919 წელში ასეთი იყო:

ეროვნებით: 78 ქართველი, 6 სომეხი, 4 რუსი, 1 ებრაელი და 1 თათარი.
სწავლა-განათლებით: 48 უმაღლესი, 19 საშუალო, 7 დაბალი და 16 შინაური.
პროფესიით: 15 მასწავლებელი, 12 ნაფიცი ვექილი, 10 ჟურნალისტი, 6 ექიმი, 10 მოხელე, 5 მექანიკი, 2 ბუხჰალტერი, 2 პროვიზორი, 2 კოოპერატორი, 2 ბანკის დირეკტორი, 2 ვექილის თანაშემწე, 2 ვაჭარი, 2 მეურნე, 2 დურგალი, 3 უპროფესიო, 2 ინჟენერი, 1 შორნიკი, 1 ნოქარი, 1 შავი მუშა, 1 ფიზიკოსი, 1 დეკანოზი, 1 ჩილინგარი, 1 ტეხნიკი, 1 მეჩექმე, 1 ზეინკალი, 1 ასოთ-ამწყობი და 1 მიწის მზომელი.

წლოვანებით: 23 წ.—1, 30 წ.—1, 31 წ.—3, 32 წ.—3, 33 წ.—7, 34 წ.—3, 35 წ.—5, 36 წ.—4, 37 წ.—7, 38 წ.—4, 39 წ.—5, 40 წ.—7, 41 წ.—3, 42 წ.—5, 43 წ.—3, 44 წ.—2, 45 წ.—5, 46 წ.—4, 47 წ.—2, 48 წ.—2, 49 წ.—3, 50 წ.—2, 51 წ.—2, 52 წ.—1, 53 წ.—1, 54 წ.—1, 55 წ.—1, 60 წ.—1 და 61 წ.—1.

ქალაქის მდივანი **აკ. ტყემალაძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალაქ თბილისის საბჭოს 1920 წ., 5 იანვარის სხდომის

ჟურნალი

თავმჯდომარეობდა ალ. ლომთათიძე.

დაესწრენ ხმოსნები: აუშტროვი რ., აბხაზი კ., ბადრიძე ი., ბერიტაშვილი დ., გომელაური ი., გეგეჭკორი ე., გომართელი ივ., გოგუა კალ., გოთუა პ., გველესიანი გრ., გუნცაძე ირ., დადიანი, დიდიძე, ელიავა ნ., ვაჩნაძე დ., ვადაჭკორია ს., ვეფხვაძე მ., დეკ. თალაქვაძე ნ., თევზაძე ს., კიკვაძე თ., კალანდაძე დ., კახიანი პ., კანდელაკი ა., ლასხიშვილი ვ., ლომთათიხე ალ., მზარეულოვი ნ., მიკირტუმოვი ბ., მგალობლიშვილი მ., მაჭავარიანი ვ., მახვილაძე ელ., ჟღენტი ლ., ცრამიშვილი ნ., რესია მ., რუსია ნ., სადავაშვილი ვ., სავირაშვილი კ., სირბილაძე ე., ფარქოსაძე, ქავთარაძე პ., შევჩუკი, ჩადუნელი დ., ჩიჩუა ზ., წვერავა ნ., ჭიჭინაძე პ., ხახანაშვილი ვ., ჯაჯანაშვილი არჩ.

ქალაქის მდივანი ვ. ხახანაშვილი.

საბჭოს განიხილა:

1. ჟურნალის დამტკიცება.

2. ხმოსან გლებ ლემლეანის განცხადება ხმოსნობის თანამდებობისგან განთავისუფლების შესახებ.

3. გამგეობის მოხსენება კავშირი „კაპეიკას“ თავშესაფარის შესაკეთებლად 10.000 მან. და თვიურად 20-20 ათასი მანეთის გაღების შესახებ.

4. გამგეობის მოხსენება გადამსახლებელ ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში პროფესიონალური კავშირის წარმომადგენელის დაშვების შესახებ.

5. გამგეობის მოხსენება ბრმათა სკოლისათვის 25.000 მანეთის მიცემის შესახებ.

6. გამგეობის მოხსენება შრომის ბირჟის საჩაიესათვის 3.831 მანეთის მიცემის შესახებ.

7. გამგეობის მოხსენება „შრომის და საზოგადოებრივი მზრუნველობის“ სახელწოდების შეცვლის შესახებ.

8. გამგეობის მოხსენება სხვა და სხვა გასართობებზე შეწერილ საქალაქო გადასახადიდგან შრომის და სოციალურ დახმარების განყოფილების განკარგულებაში 30% გადადების შესახებ.

9. გამგეობის მოხსენება მომრიგებელ მოსამართლეთათვის ეკამატე-ბითი ჯამაგირების დაწესების შესახებ.

10. გამგეობის მოხსენება მისამართ ბიუროს დებულების შეცვლის შესახებ.

11. გამგეობის მოხსენება სატრაქტირო გადასახადის განაწილების შესახებ, საგანგებო კომისიის დასკვნით.

12. გამგეობის მოხსენება თბილისის კოოპერატივთან დადებულ ხელ-შეკრულების გაუქმების შესახებ.

13. ხმ. დ. ვაჩნაძის კითხვა თბილისის ზედმეტ მცხოვრებთაგან გა-წმენდის საქმის მდგომარეობის შესახებ.

14. გამგეობის მოხსენება ა. მ. ხოშტარიას მიერ შემოწირულ 90 გირვანქა სტერლინგიდან 37.800 მანეთის გადადების შესახებ კულტუ-რულ განმანათლებელ საჭიროებისათვის.

15. გამგეობის მოხსენება კომპოზიტორ ნიკოლოზ სულხანიშვილის დასაკრძალავათ 5.000 მანეთის გაღების შესახებ.

16. გამგეობის მოხსენება არამიანცის საავადმყოფოს მეკარის ანდრია ბუდიკოვის ობლებისათვის ერთდროულ დახმარების შესახებ.

17. სხვა და სხვა პირთა საჩივარი სანიტარულ გადასახადის განაწი-ლების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალაქის საბჭოს 1920 წლის 5 იანვრის სხდომის

ჟურნალი

თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე სხდომას ხსნის საღამოს 9 საათზე.

1. ჟურნალის დამტკიცება.

ქალაქის მდივანი ვ. ხახანაშვილი კითხულობს 22 დეკემბრის სხდომაზედ მიღებულ რეზოლიუციებს.

საბჭო 1919 წლის 22 დეკემბრის ჟურნალს ამტკიცებს უცვლელად.

2. ხმოსან გლებ ლემლეინის განცხადება ხმოსნის თანამდებობიდგან განთავისუფლების შესახებ.

თავმჯდომარე კითხულობს გლებ ლემლეინის განცხადებას ხმოსნობიდგან განთავისუფლობის შესახებ და აცხადებს, რომ გასულ ლემლეინის მაგიერ საბჭოს ხმოსნათ შემოვა ფოფხაძე გიორგი.

საბჭო თავმჯდომარის განცხადებას იღებს ცნობად.

3. გამგეობის მოხსენება კავშირი „კაპეიკას" თავშესაფარის შესაკეთებლად 10.000 მანეთის და თვიურად 20-20 ათასი მანეთის გაღების შესახებ.

(შრომის განყოფილებიდგან. მოხსენება იხილე ჟურნალის ბოლოში).

ხმ. თალაკვაძე ნ. ბავშვთა თავშესაფარი ფრიად სიმპატიური დაწესებულება არის და ის ქალაქმა უნდა მიიღოს თავის მფარველობის ქვეშ. ამ დაწესებულებამაც თავის მხრივ უნდა მიიღოს საქართველოს სახელმწიფოებრივობის ბეჭედი. ეს დაწესებულება დაარსდა სრულიად სხვა პირობებში და სხვა გარემოებაში. იგი იღებდა დღემდის უცხო ტომის მოხეტიალე ბავშვებს, რომელნიც თავის სამშობლოში უნდა იქნნენ გაგზავნილნი და თავშესაფარში ჩვენი რესპუბლიკის ბავშვებს უნდა დაეთმოს ადგილები. საჭიროა აგრეთვე სახელწოდების გამოცვლა. ძველი სახელი „კაპეიკას კავშირი" შეუფერებელია დღევანდელ მდგომარეობისათვის. იგი უნდა აიღოს ქალაქმა, მისცეს სკოლის ხასიათი და უწოდოს მას „ქალაქის თავშესაფარი".

ხმ. ფანიევი. ქალაქის თვითმართველობას არ შეუძლია შეწყალების საქმეში იხელმძღვანელოს ნაციონალურ მოსაზრებებით. ამას გარდა, ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესებულებას აქვს თავისი წესდება, რომლის შეცვლა, ან გაუქმება თვითმართველობის კომპეტენციაში არ შედის.

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მიეცეს ქალაქის კასიდგან საზოგადოება „კაპეიკას" თავშესაფარის შენობის შესაკეთებლად 10.000 მანეთი და ყოველთვიურად 20.000 მანეთი მიმდინარე ხარჯების დასაფარავად. მიენდოს ქალაქის გამგეობას გაადიდოს მავშვთა რიცხვი თავშესაფარში ორმოცდა ათამდის და შეიტანოს მასში საღი აღზრდის პირობები, საჭირო თანხის ხარჯთაღრიცხვაში შეტანით.

4. გამგეობის მოხსენება გადამხალებელ ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში პროფესიონალურ კავშირის წარმომადგენელის დაშვების შესახებ.

მოახსენებს ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი.
(მოხსენება იხილე ჟურნალის ბოლოში.

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრთა რიცხვი გადიდებულ იქმნას ექვსამდის და მეექვსე წევრად არსებულ შემადგენელობას დაემატოს გადამწყვეტი ხმით პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს ერთი წარმომადგენელი.

5. გამგეობის მოხსენება ბრმათა სკოლისათვის 25.000 მანეთის მიცემის შესახებ.

მოახსენება გამგეობის წევრი კ. ფანიევი.
(შრომის განყოფილებიდგან. მოხსენება იხილე ჟურნალის ბოლოში).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მიეცეს ბრმათა სკოლას ქალაქის სალაროდგან ერთდროულ დახმარებათ ოცდა ხუთი ათასი (25.000) მანეთი, ამ თანხის ხარჯაღრიცხვაში შეტანით.

6. გამგეობის მოხსენება შრომის ბირჟის საჩაიესათვის 3.831 მანეთის მიცემის შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი კ. ფანიევი.
(შრომის განყოფილებიდგან. მოხსენება იხილე ჟურნალის ბოლოში).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მიეცეს ქალაქის სალაროდგან ქალაქის შრომის ბირჟის საჩაიეს ერთი თვის ხარჯების დასაფარავად სამი ათას რვაას ოცდა თერთმეტი (3.831) [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. გამგეობის მოხსენება „შრომისა და საზოგადოებრივ მზრუნველობის“ სახელწოდების შეცვლის შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი კ. ფანიევი.
(შრომის განყოფილებიდგან. მოხსენება იხილე ჟურნალის ბოლოში).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და ქალაქის გამგეობასთან არსებულ „შრომისა და საზოგადოებრივ მზრუნველობის“ განყოფილებას ეწოდოს „შრომის და სოციალურ დახმარების“ განყოფილება.

8. გამგეობის მოხსენება სხვა და სხვა გასართობებზე შეწერილ საქალაქო გადასახადიდგან შრომის და სოციალურ დახმარების განყოფილების განკარგულებაში 30% გადადების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი კ. ფანიევი,
(შრომის განყოფილებიდგან. მოხსენება იხილე ჟურნალის ბოლოში).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და გადაეცეს შრომისა და სოციალურ დახმარების განყოფილების განკარგულებაში სხვა და სხვა გასართობებიდგან ქალაქის სასარგებლოდ შემოსულ საერთო თანხის 30%.

9. გამგეობის მოხსენება მომრიგებელ-მოსამართლეთათვის დამატებითი ჯამაგირების დაწესების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი.
(პირველ განყოფილებიდგან. მოხსენება იხილე ჟურნალის ბოლოში).

ხმ. მზარეულოვი ნ. ითხოვს არსებულ სიძვირის გამო მოსამართლეთ მოემატოთ თითოს 2.000 მანეთი თვეში და აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ გადიდებულ იქმნას სხვა და სხვა გადასახადი მოსამართლეთა კანცელარიებში.

ხმ. ავხაზი კ. მომრიგებელი-მოსამართლე უნდა იყოს ჩაყენებული ისეთ პირობებში, რომ შეეძლოს სწორი მართლმსაჯულება. დღეს კი თბილისში 22 სამომრიგებლო უბნის მაგიერ—ათია, რადგან ყველა მოსამართლეს ბინა არა აქვთ. არც კანცელარიებია მოწყობილი და ზოგი მათგანი კორიდორებში მუშაობენ. აგრეთვე არ არის უზრუნველყოფილი ჯამაგირით. საჭიროა ბინები მიეცეთ ყველას, კანცელარიები მოეწყოთ და ჯამაგირები გაუდიდდეთ.

ხმ. გომართელი ი. საჭიროთ სცნობს ბინების და კანცელარიების საკითხის სწრაფ მოწესრიგებას, ხოლო ჯამაგირების შესახებ აცხადებს, რომ მოსამართლეთათვის ჯამაგირების მომატება არევდარევას გამოიწვევს სამოსამართლო დაწესებულებათა მოხელეებს შორის, რადგან საუბნო მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრიგებელ-მოსამართლედ მაღლა მდგომ მოხელეს, მაგალითად, საოლქო სასამართლოს წევრს, ნაკლები ჯამაგირი ექმნება, თუ მომრიგებელ მოსამართლეთ 1.000 მანეთს მოუმატებთ. საოლქო სასამართლოს წევრი დღეს იღებს 4.600 მანეთს.

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება უარყოფილ იქმნას და მომრიგებელ-მოსამართლეთ ჯამაგირი არ მოემატოთ.

10. გამგეობის მოხსენება მისამართ ბიუროს დებულების შეცვლის შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. მაჯავარიანი.

(პირველ განყოფილებიდგან. მოხსენება იხილე ჟურნალის ბოლოში).

თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე სამისამართო ბიუროს დებულების პროექტს კითხულობს მუხლობრივ.

1, 2, 3, 4, 5, 6, 7 და 8 მუხლს დებულების პროექტისას საბჭო იღებს უცვლელად.

თავმჯდომარე კითხულობს მეცხრე მუხლს.

ხმ. მზარეულოვი ნ. ითხოვს მეცხრე მუხლს დაემატოს შენიშვნის სახით შემდეგი: „თუ მდგმურმა უარი განაცხადა ჩაწერაზედ, სახლის პატრონს უფლები აქვს მიმართოს მილიციას, ხოლო ეს უკანასკნელი ვალდებულია აიძულოს მდგმური რომ ჩაეწეროს სამისამართო ბარათში.

საბჭო ადგენს: დაემატოს მეცხრე მუხლს შემდეგი შენიშვნა: თუ მდგმურმა უარი განაცხადა ჩაწერაზედ, სახლის პატრონს უფლება აქვს მიმართოს მილიციას, ხოლო ეს უკანასკნელი ვალდებულია აიძულოს მდგმური, რომ ის ჩაეწეროს სამისამართო ბარათში.

თავმჯდომარე კითხულობს მეათე მუხლს.

ხმ. მზარეულოვი ნ. ითხოვს, რომ ქართული ენის არ მცოდნეს ნება ჰქონდეს სამისამართო ბარათი დასწეროს რუსულ ენაზედ.

ხმ. დადიანი ს. მზარეულოვის წინადადება არევდარევას გამოიწვევს საქმის წარმოებაში. სამისამართო ბარათს ყველა უნდა სწერდეს ქართულ ენაზედ, ეს არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რადგანაც ქართულის არ მცოდნე დააწერინებს ქართველ მდგმურს, ან მეზობელს ისე, როგორც აქამდის იქცეოდნენ რუსულის არ მცოდნენი.

ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიძეშვილი. თუ არსებობს სახელმწიფო, ოფიციალური მიწერ-მოწერა უნდა არსებობდეს სახელმწიფო ენაზედ.

საბჭო ადგენს: ხმ. მზარეულოვის წინადადება სამისამართო ბარათებში რუსულ ენაზედ ჩაწერის ნებართვის შესახებ უარყოფილ იქმნას.

თავმჯდომარე. კითხულობს მეთერთმეტე მუხლს.

კამგეობის წევრი გ. მაჯავარიანი. მეთერთმეტე მუხლის შენიშვნა შეცდომით გამოტოვებულია დასტამბულ დებულებაში და გთხოვთ ეს შე-

ნიშვნა შეტანილი იყოს შემდეგი რედაქციით: „ვისაც ვინაობის მოწმობა არა აქვს და ისე ჩაეწერება სამისამართო ბარათში, ვალდებულია ვინაობის მოწმობის მიღებისთანავე წინათ წარდგენილ სამისამართო ბარათის მაგიერ ახალი წარადგინოს. ახალი ბარათი უნდა წარადგინონ იმათაც ვისშიაც მოხდება ცვლილება განათლების და სამსახურის გამო“.

საბჭო ადგენს: მე-11 მუხლს დაემატოს შემდეგი შენიშვნა: ვისაც ვინაობის მოწმობა არა აქვს და ისე ჩაეწერება სამისამართო ბარათში, ვალდებულია ვინაობის მოწმობის მიღებისთანავე წინათ წარდგენილი სამისამართო ბარათის მაგიერ ახალი წარადგინოს. ახალი ბარათი უნდა წარადგინონ იმათაც, ვისშიაც მოხდება ცვლილება განათლების და სამსახურის გამო“.

მეთორმეტე მუხლს **საბჭო** ადასტურებს უცვლელად.

თავმჯდომარე. კითხულობს მეცამეტე მუხლს.

ხმ. მზარეულიშვილი ნ. მე-13 მუხლის შენიშვნაში შესწორება უნდა შეიტანოთ—რომ სამისამართო ბარათებს იძენდნენ მდგმურები და არა სახლის პატრონები.

საბჭო ადგენს: მეცამეტე მუხლის შენიშვნა შესწორებულ იქმნას შემდეგ ნაირად: „საბინაო დავთრებს ყიდულობს სახლის პატრონი თავის ხარჯით, ხოლო სამისამართო ბარათებს—მდგმური.

თავმჯდომარე. კითხულობს შემდეგ მუხლებს დებულების ბოლომდის, რომელთაც **საბჭო** უცვლელად იღებს.

გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი. ითხოვს საბჭოს დადგენილება სამისამართო ბიუროს დებულების შესახებ ძალაში შევიდეს დღიდგან მისი მიღებისა, ჟურნალის ხელის მოწერამდის.

საბჭო ადგენს: გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი სამისამართო ბიუროს დებულებისა ზემოთ მოყვანილ შესწორებებით დადასტურებულ იქმნას და ძალაში შევიდეს იგი დღიდგან მისი მიღებისა საბჭოს მიერ.

11. გამგეობის მოხსენება სატრაქტირო გადასახადის განაწილების შესახებ, საგანგებო კომისიის დასკვნით.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. შოთაძე.
(მოხსენება იხილე ჟურნალის ბოლოში).

თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე. მოახსენებს საბჭოს რესტორანების, მოწყობილ ოთახების და ბუფეტების ურთიერთ დამხმარე საზოგადოების გამგეობის შუამდგომლობას (1920 წლის 5 იანვ. № 15), რომ მოსმენილ იქმნეს საბჭოს მიერ მათი წარმომადგენელის აზრი სატრაქტირო გადასახადის შემცირების შესახებ.

საბჭო ადგენს: რესტორანების, მოწყობილ ოთახების და ბუფეტების ურთიერთ დამხმარე საზოგადოების შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნას და მიეცეს მათ წარმომადგენელს სიტყვა სატრაქტირო გადასახადის შესახებ. საბჭოს დარბაზში მათი წარმომადგენელი არ აღმოჩნდა.

მდივანი ვ. ხახანაშვილი მოახსენებს იმავე საზოგადოების გამგეობის შუამდგომლობას სატრაქტირო გადასახადის შემცირების შესახებ და ნოე სიხარულიძის და დავით მაჭავარიანის თხოვნას რომ სასტუმრო „უნივერსალის“ მოწყობილ ოთახებათ გადაქცევის გამო შემცირებულ იქმნას სასტუმროებზედ გაწერილი გადასახადის რაოდენობა.

გამგეობის წევრი გ. შოთაძე. სიხარულიძის და მაჭავარიანის თხოვნა უშედეგოთ დატოვილ უნდა იქმნას, რადგან, თუ „უნივერსალი“ როგორც სასტუმრო დაიხურა, მოწყობილი ოთახები „კავკაზი“ სასტუმროთ გადაიქცა და მაშასადამე რიცხვი სასტუმროების არ შემცირებულა.

ხმ. ედიავა ნ. მოხსენებული შუამდგომლობანი უშედეგოთ უნდა დაიტოვოს და დადასტურდეს საგანგებო კომისიის აზრი.

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება სატრაქტირო გადასახადის განაწილების შესახებ 1920 წელში დადასტურებულ იქმნას შემდეგი შესწორებებით: ბაკები დაიბეგრნონ 2.500 მანეთით ნაცვლად 5.000 მანეთისა; საჩაიები 3.000 მანეთით ნაცვლად 6.000 მანეთისა; სახაშეები 2.500 მანეთით ნაცვლად 5.000 მანეთისა; სასადილოები 4.000 მანეთით ნაცვლად 8.000 მანეთისა; ბუფეტები პროექტორებთან 2.500 მანეთით ნაცვლად 5.000 მანეთისა; ბუფეტები ცირკებთან 15.000 მანეთით ნაცვლად 20.000 მანეთისა; მოწყობილი ოთახები 72.450 მანეთით ნაცვლად 75,000 მანეთისა. ამის გამო ჩამოწერილი თანხა 180.000 მანეთი განაწილდეს: 100.000 მანეთი—კლუბებზედ, რომელთაც საშუალო გადასახადი გაუდიდდეთ 130.000 მანეთამდე; დანარჩენი 80.000 მანეთი სასტუმროებზედ, რომელთაც გაუდიდდეთ საშუალო გადასახადი 150.000 მანეთამდე.

12. გამგეობის მოხსენება თბილისის კოოპერატივთან დადებულ ხელშეკრულების გაუქმების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი კ. ფანიევი.

(სასურსათო განყოფილებიდგან, მოხსენება იხილე ჟურნალის ბოლოში).

ხმ. მზარეულოვი ნ. რამდენი ვალი დაედო კოოპერატივებს და როგორ ფიქრობთ ვალის განაღდებას?

გამგეობის წევრი კ. ფანიევი კოოპერატივთა ახალი გამგეობა შეგვპირდა ამ ვალის განაღდებას ახლო მომავალში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭო აღგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნეს და ა) ხელშეკრულება ქალაქის გამგეობის და კოოპერატივთა კავშირის შორის საყასბოების და სასურსათო დუქნების გადაცემის შესახებ გაუქმებულ იქმნას; ბ) კოოპერატივთა კავშირზე გადაცემული საყასბოების ინვენტარი დაბრუნებულ იქმნას უკან; გ) ამოძრავებულ სასურსათო დუქნების ინვენტარი დაეტოვოს კავშირს, ხოლო დაკეტილ დუქნებისა—მთლად დაბრუნებულ იქმნას აღწერით, და თუ რაიმე აკლია აღწერით, შევსებულ უნდა იქმნას კავშირის მიერ; დ) კოოპერატივთა კავშირზე დარჩენილი ინვენტარი ეანგარიშოს ბაზრის ფასების კვალობაზე, რომლებიც არსებობდენ თბილისში გადაცემის დროს 10 პროცენტის დაკლებით, ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ თვით ღირებულების ფასებისა; ე) კოოპერატივთა კავშირზე გაცემულ ავანსიდან—50.000 მან.—ხორცის მოგვარების საქმის გამო, გამოკლებულ იქმნას ნახევარი ხარჯი, რომელიც გაწეული იყო ქალაქის გამგეობასთან ერთად ხორცის დამზადების დროს, დანარჩენი ჯამი კი სრულად მიღებულ იქმნას კოოპერატივთა კავშირისაგან; ვ) მთელი თანხა, რომელიც ევალება კოოპერატივთა კავშირს—დარჩენილ ინვენტარის ავანსი, გადაცემული სურსათი და სხვა,—უნდა გადახდილ იქმნას 1920 წლის 1 იანვრიდან თანაბარ ნაწილებად ექვსი თვის განმავლობაში; თ) ფასი იმ სურსათისა, რაიც გამართლებული არის ტალონების წარმოდგენით, გადახდეს კოოპერატივთა კავშირს ბაზრის კვალობაზედ. 1.—მიეცეს სასურსათო განყოფილებას წინადადება, რათა მოაწყოს მან სურსათის განაწილება თავის დუქნების საშუალებით, 2.—შეიმუშავოს ინსტრუქცია და წესდება თავის დუქნების და კოოპერატივების საშუალებით სურსათის განაწილების შესახებ და 3.—კოოპერატივებს მიეცეს სურსათი მხოლოდ ნაღდ ფულზე.

13. ხმოსან დ. ვაჩნაძის კითხვა თფილისის ზედმეტ მცხოვრებთაგან გაწმენდის საქმის მდგომარეობის შესახებ.

თავმჯდომარე კითხულობს დ. ვაჩნაძის კითხვას.

ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიძეშვილი. ხმ. დ. ვაჩნაძის კითხვაზედ პასუხის მიცემა შეიძლებოდა დღესვე, მაგრამ უკეთესი იქმნება შემდეგი სხდომისათვის წარმომედგინა უფრო დასაბუთებული პასუხი. დღეს კი ცხადია ის, რომ ჩემი მოლოდინი სრულიად არ გამართლდა და იმის მეორმოცდაათედიც არ გაკეთებულა, რასაც მე ვფიქრობდი.

ხმ. ვაჩნაძე დ. საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. შემდეგ სხდომაზედ ზოგადი ცნობები მაინც მოგვაწოდეთ.

საბჭო აღგენს: ხმოსან ვაჩნაძის კითხვა და გამგეობის პასუხი მოსმენილ იქმნას შემდეგ სხდომაზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. გამგეობის მოხსენება ა. მ. ხოშტარიას მიერ შემოწირულ 90 გირვანქა სტერლინგიდან 37.800 მანეთის გადადების შესახებ კულტურულ-განმანათლებელ საჭიროებისათვის.

მოახსენებს ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიძეშვილი.
(სასკოლო განყოფილებიდგან. მოხსენება იხილე ჟურნალის ბოლოში).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და აკ. ხოშტარიას მიერ საგანმანათლებელო მიზნებისათვის შემოწირულ 90 გირვანქა სტერლინგიდგან მიეცეს ქალაქის სკოლებს უქმეების გამო სამოცი ათასი მანეთი, და რადგან დღემდის გადმოცემულ 30 გირვანქა სტერლინგის განაღდებით აღებული 22.200 მან. სკოლების საჭიროებას ვერ აკმაყოფილებს, მიეცეს გამგეობას სესხათ ქალაქის სალაროდგან 37.800 მანეთი იმ პირობით, რომ ეს თანხა განაღდებულ იქმნას ხოშტარიას მიერ შემოწირულ თანხიდგან.

15. გამგეობის მოხსენება კომპოზიტორ ნიკოლოზ სულხანიშვილის დასაკრძალავათ 5.000 მანეთის გაღების შესახებ.

მოახსენებს ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიძეშვილი.
(მოხსენება იხილე ჟურნალის ბოლოში).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მიეცეს ქართულ სამუსიკო საზოგადოებას გარდაცვალებულ კომპოზიტორ ნ. სულხანიშვილის დასაკრძალავათ ხუთი ათასი მანეთი, ამ თანხის ხარჯთაღრიცხვაში შეტანით.

16. გამგეობის მოხსენება არამიანცის საავადმყოფოს მეკარის ანდრია პუდიკოვის ობლებისათვის ერთდროულ დახმარების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი.
(პირველ განყოფილებიდგან).

საბჭოს ადგენს: გამგეობის მოხსენება გადაეცეს საფინანსო კომისიას დასასკვნელად.

17. სხვა და სხვა პირთა საჩივარი სანიტარულ გადასახადის განაწილების შესახებ.

მოახსენებს ხარჯთამკრეფ ბიუროს გამგე ვ. ხახანაშვილი.

საბჭო ადგენს: დადასტურებულ იქმნას გამგეობის და კომისიის დადგენილებანი და საჩივრებზედ უარი ეთქვათ შემდეგ პირებს: 1. არტემ დავიდოვს, 2. ბაგრატ მარტიროსიანცს, 3. იოსებ მესტვირიშვილს, 4. ივანე ბალდასაროვს, 5. არტაშეს ბაბაევს, 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტეფანე ბალდასაროვს, 7. სარქის პარონიანცს, 8. ხაჩატურ აბრამიანცს, 9. მათეოს გუკასოვს, 10. მიკირტიჩ გრიგორიევს, 11. ზაკი გასანოვს და მამედ ალი ხალილოვს, 12. სედრაკ ტალგაუკოვს, 13. ბენიამინ ნემოვს, 14. ერვანდ სარქისოვს, 15. სიმონ რაბინაშვილს, 16. ამხანაგ. „სინტესის", 17. იბრაგიმ ნაზაროვს, 18. ლევან აკიმიანცს, 19. ალექსანდრე დათიაშვილს, 20. ანნა მირზაბექიანცისას, 21. მ. ლ. ლებანიძეს, 22. ვლადიმერ ბურნუჩაშვილს, 23. პეტრე აპალკოვს, 24. მაქსიმე პეტროსოვს, 25. მამედ ზეინალ აბაზოვს, 26. აღა ხალილ იაგიევს, 27. აგა მირზოევს, 28. იუსუფ მამედოვს, 29. აბუთალიბ მამედ კილის, 30. ანტონიანცს და ვანელიანცს, 31. ბორის რეხაკს, 32. ალექს. აპრესოვს და ი. მირუმოვს, 33. აბრამ შმულევიჩს, 34. თომა ბაკარაშვილს, 35. კარახოჯიევს და კიპიშევს, 36. გრიგოლ საგანელოვს, 37. მიხეილ ნესუაშვილს, 38. გრიგოლ ჯოვლიძეს, 39. სვიმონ მკერვალიშვილს, 40. აბრამ ფიშერს, 41. ამხან. „პეტროლი"-ს, 42. ალექსი სუხიტაშვილს, 43. ხაჩატურ სვახრიანცს, 44. გრიგოლ ბურჩუკიანცს, 45. სვიმონ ღამბაშიძეს, 46. გრიგოლ კირაკოზოვს, 47. ვიკტორ გიორგის-ძე ვალკერს, 48. კრიჩიანცს და ზიგერიანცს, 49. არუთინ არზუმანის-ძე მერანგულიანცს, 50. ა. გ. შერმაზანოვს, 51. აბრამ ჯერეშნელოვს, 52. იაკოფ საღათელოვს, 53. ეკატერინე ჭინჭარაძეს, 54. ალექსი გვენცაძეს და მღვდელაძეს, 55. სარქის ოგაჯანოვს, 56. სოფიო ზუმბარაძეს, 57. ივანე ალიხანოვს, 58. ივანე ჭინჭარაძეს, 59. სამუელ პოლოსოვს, 60. ნიკოლოზ არუთინოვს, 61. იოსებ ჩაუშიანცს, 62. ოლღა დოსმიშვილს, 63. რიზა მუხტარ ზადე აგაევს, 64. ალექსანდრე ჭელენტს, 65. დიმიტრი ოსიტაშვილს, 66. ვასილი ვაშაკიძეს, 67. ვასილი ჩხირაძეს, 68. ოგანეზა (იგივე სარქის) კალაშიანცს, 69. მიხეილ იუზბაშვილს, 70. ოგანეს ყაზაროვს, 71. ალექსანდრე დავიდოვს და ეფრემ ახპატელოვს, 72. დარია ავაკიმოვს, 73. ბაგრატ ხეჩანოვს, 74. ილია ბარნაბაშვილს და გრიგოლ ზალდასტანიშვილს, 75. დავით ჯანჯაშვილს, 76. ლევან ჯამასპაშვილს, 77. ა. კ. პოვოროზნიკს, 78. მიკირტიჩ გუკასოვს, 79. ტატევოს ფიდალიანცს, 80. ხაჩატურიანცს და დომიანცს, 81. მუხტარ მირზა ოღლის, 82. ი. კრიჩევსკის, 83. ივლიტე ჭინჭარაძეს, 84. გალუსტ ტერ-აგაიანცს, 85. ნიკოლოზ ხატიაშვილს, 86. იოსებ ჭილაშვილს, 87. ე. ტესლერს, 88. არჩილ ბენაშვილს, 89. ალექსანდრე ბატუნაშვილს, 90. არშაკ და გაიკა კაგრამანიანცებს, 91. დავით და ნიკო პეტრიაშვილებს, 92. ალექსი ამირჯანოვს, 93. არსენ ტერ-პოლოსოვს და ლევონ აბგაროვს, 94. ნიკოლოზ გვიტაშვილს, 95. ზაქარა ანდრაზაშვილს, 96. კოოპერა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტივი „ზაკო“, 97. იოსებ ივანეს ძე გრინმანს, 98. მირ რაფი მირ გასან ზადეს, 99. ნიკოლოზ გოგინაშვილს, 100. მირზა კასუმ იბრაგიმ ოღლის, 101. გაჯი აღა იბრაგიმ ოღლის, 102. სამუელ პრესბერგს, 103. გრიგოლ მელი-იუზბაშევს, 104. გრიგოლ გაბრიელიანცს, 105. საბა თოფურიას, 106. მაშადი • სამედ და მაშადი ისმაილ ალიევებს, 107. ზაქარია ამბრუცაშვილს, 108. გეურქ ხეჩუევს, 109. ზაქარია ხოხობაშვილს და ალექსანდრე ბაიდაშვილს, 110. აკოფ კოდიანს, 111. ისმაილ ასკარ ოღლის, 112. ამხანაგობა „ტივოლის“, 113. ივანე ჯანინოვს, 114. გეურქ გალუსტოვს, 115. პოღოს ტერ-სიმიონოვს, 116. მიხეილ კახუროვს, 117. რიზა უსეინოვს, 118. ილია სეხნიევს, 119. ფირ მამედ აღაბეგოვს, 120. სერგო არუთინოვს და მიკიჩა დარჩიანს, 121. შავაშ მუშეგლიანცს, 122. ვასილ ახმეტელაშვილს, 123. ვანო ოგიაშვილს, 124. სერგო ლალიშვილს, 125. კონსტანტინე გოლიაძეს, 126. ძმ. მიკირტუმიანებს, 127. ალექსანდრე შიხიაშვილს, 128. მენდელს კარლინსკის, 129. ნიკოლოზ ღვინიაშვილს, 130. ისიდორე გოგოშიძეს, 131. ალექსანდრე ჯაფარიძეს, 132. აქციონ. საზოგადოებას „ტაფი“, 133. ანდრ. ჯერეშნიევს, 134. სიმონ მკერვალიშვილს, 135. აბრ. ფიშერს, 136. რესტორ. „ინტერნაციონალი“ დებლასის, 137. აპრესოვს და მირუმოვს, 138. ბ. ა. რეხაკს, 139. გრიგოლ ბურჯუეიანცს, 140. მამედ მაშადი ოღლი, 141. გეურქა ხალათოვს, 142. დიმიტრი ბუბრიაშვილს, 143. ივანე მანუჩაროვს, 144. ქუთათელაძეს და კვირიჭაიას, 145. სალი აბდულა ოღლის, 146. გაჯი გაბიბულა მურადოვს, 147. შალვა იმნაიშვილს, 148. გრიგოლ გოლაძეს, 149. გიორგი უნაფქიშვილს, 150. ილია გიორგაძეს, 151. აკოფა ფარსეგოვს, 152. იაკოფ დუხოლიანცს, 153. ავეტიქა გეურქოვს, 154. გალუსტა გალუსტიანცს, 155. ალექსანდრა ექსანოვს, 156. ტიგრანა მჭედლოვს, 157. გ. ცოფურაშვილს, 158. ვიკტორ ავალიანს, 159. ივანე ვარამაშვილს, 160. სტეფანე ურამიანცს, 161. გასან მამედ და ძმ. ახმედოვებს, 162. ირაკლი გელიაშვილს, 163. ვასილი მარკოზაშვილს, 164. ვერა კრაპექიანცს, 165. ვართაშეს აგაბოლიანცს, 166. იაკოფ ხახვიაშვილს, 167. მიხეილ ლომიძეს, 168. გერასიმე ქანანოვს, 169. გრიგოლი ჩილაკოთიანს, 170. მ. სემიონოვს, 171. პეტრე ნოზნუხოვს, 172. მაშადი ტაგი ისადულა ოღლის, 173. სედრაკა სააკოვს, 174. უ. ტარახჩიანცს, 175. გიორგი კერესელიძეს, 176. მიხეილ ჩაჩანაშვილს, 177. პავლე ბალიევს, 178. შაქრო დარჩიაშვილს, 179. აბას ალი მამედ ოღლის, 180. აბრამ ტერ-მოსესოვს, 181. თეიმურაზ კაკოშვილს, 182. ფ. პოპოვს, 183. ისრაილ ვოლტკენზონს, 184. ეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტატე გოგიტაშვილს, 185. ივანე ჩილინგაროვს, 186. პავლე ბოგ-სიტაშვილს, 187. უმბათ მამედ ოღლის, 188. ლადო მორანჩლაძეს, 189. იოსებ ბარხუდაროვს, 190. ალექსანდრე ნიკოგოსოვს, 191. ან. მანუჩარაშვილს, 192. ამბარცუმ გოლიანცს, 193. გაიკა ჯაშიევს, 194. არშაკა გრიკუროვს, 195. ივანე ვაშაკიძეს, 196. ლადო კულიავკოვს, 197. ლელო კუპრაშვილს, 198. ლ. შირადელაშვილს, 199. მისაჩაშვილს და გორელაშვილს, 200. არშაკ გამაზიანცს, 201. დარისპან გელენიძეს, 202. ბაგრატ დემუროვს, 203. მიხეილ არზუმანოვს, 204. ილია ფრუიძეს, 205. ალექსანდრე სარქისოვს, 206. დიმიტრი ნოზაძეს.

ამ გადასახადისაგან სრულად განთავისუფლებულნი იქმნან:

1. ალექსანდრე მეტეხელი, 2. რევეკა ბარსკისა, 3. გრიგოლ არუთინოვი, 4. რომან დოლუხანოვი, 5. დიმიტრი ოჩაგოვი, 6. რკინის გზის კოოპერატივის ფურნე, 7. სედრაკ ოღანესის-ძე ოღანესოვი, 8. მიკირტიჩ ასპეტიანცი, 9. არუთინ ყრალიანცი, 10. ალექსანდრე კოპაძე, 11. რომანი მიქაძე, 12. სარქის ვარნაზოვი, 13. მიხეილ სემიონოვი, 14. უსეინ მამედ ოღლი, 15. გიორგი კოჩიაშვილი, 16. კონსტანტინე გვაზავა, 17. ნილა დრაჩუკ, 18. ანდრიან ფედოროვი, 19. მარიამ კირიშიანცი, 20. აირაპეტ ფრანგულიანცი, 21. ისაკა გაბრიელიანცი და არაკელ ხაჩატუროვი, 22. მაშო მირველაშვილი, 23. იოსებ გოლშტეინი, 24. გლახო გერიშვილი, 25. ალექს. მალაძევი, 26, ზაქარია ბუნიმოვიჩი, 27. ივანე უსტინოვი.

შემდეგ პირებს შეუმცირდეს გადასახადი, გამგეობის დადგენილების თანახმად:

1. ნახაპეტ სარქისოვს, 2. ი. კისაშვილს და კრუჩკოვს, 3. მიხეილ მესროპოვს, 4. დავით დოლიძეს, 5. ანდრია ხითაროვს, 6. სოლომონ გასპარიანცს, 7. თინათინა ნასედკინას, 8. ზინაიდა დრაჩუკს, 9. დე-ბლასის, 10. ნიკოლოზ ყორღანოვს, 11. ვარლამ ბარამაძეს, 12. ბათირბეკ მანსუროვს, 13. კარაპეტ კარაპეტიანცს, 14. ოვანეზ სრაპიონიანცს, 15. ალექსანდრე სუმბათოვს, 16. ანასტასია კობიევს, 17. ნიკოლოზ თათუზოვს, 18. ვართან მალაევს, 19. ხაჩატურ კონჩიანცს, 20. სოფიო კეზელს, 21. ანტონ ბედოევს, 22. სარქის მისულოვს, 23. არშაკ გეგლოვს, 24. სერგო ალაჯანოვს, 25. გიორგი სოგარიშვილს, 26. კოტე დათაძეს, 27. ეფრემ ლომთაძეს, 28. მიხეილ ვართანოვს, 29. იოსებ მიდეისკის, 30. სტეფანე ოზნეტიანს, 31. სპირიდონ ლომიძეს, 32. ალეკპერ ჯაფაროვს, 33. ვ. იურიევსკის, 34. ვახტანგ ამირბეგოვს, 35. აბგარა ხახანოვს, 36. ნატალია კსაჯოლიანს, 37. ტიგრან ნაზარიანცს,

38. ბაარატ სტეფანოვს, 39. ოვანეს კარაპეტიანცს, 40. ალექსანდრე ცერცვაძეს, 41. ფუხუ ლოლუას, 42. ბალასაბეკ მუხრანბეკიანცს, 43. მიკირტიჩ ორკანოვს, 44. ისმაილ ჯაფარ უსეინოვს, 45. სიმონ კირაჭიანცს, 46. ალექსანდრე ჩალაგოვს, 47. ქრისტეფორე ახალბედაშვილს, 48. სარდალა ჩაჩანიძეს, 49. ა ესკერ ალი ზადეს, 50. არშაკა მალელოვს, 51. ბაგირ ბეგ მანსუროვს, 52. ზინაიდა დრაჩუკს, 53. ტატიანა ნასედკინას, 54. ვართან ალექსიანცს, 55. ვასილ ხაჩატუროვს, 56. გრიგოლ ოლანეზოვს, 57. ივანე ასლამაზოვს.

გამგეობის დადგენილების თანახმათ, ამოიშალნენ ერთი ჯგუფიდან და დარჩნენ მეორე ჯგუფში შემდეგი პირნი:

1. აღა ბაბა გაჯიევი, 2. იაკოფ იაფაშვილი, 3. ზაქარია ბუნიმოვიჩი, 4. ალექსი მალაშევი, 5. დავით კოკუაშვილი, 6. მოშე იოსებაშვილი, 7. გრიგოლ მაისურაძე, 8. მიხეილ კუზანოვი, 9. პელაგია სარქისოვი, 10. არუთინ ტერ-სიმონიანცი, 11. ყაზარა საფიანცი, 12. სასონ ენუქიძე, 13. ვლადიმერ კუმანსკი, 14. პოლოსა გალუსტოვი, 15. ალექსანდრე ვართანოვი, 16. მამედ გუსეინ მამედოვი, 17. მარიამ არეფიევი, 18. ალექსანდრე ბათუნაშვილი, 19. არტემა ფილიპოსიანცი, 20. ალექსანორე როსებიაშვილი, 21. მარტიროს მიქაელიანცი, 22. იოსებ ათნიევი, 23. გრიგოლ სომხიევი, 24. ბურნაზიანცი და კარაპეტიანცი, 25. შაპსიონ გიტლი, 26. გრიგოლ ლამაზოვი, 27. სიმონ დარჩიევი, 28. გრიქუროვი და ტერ-გევონდიანი, 29. ტრასიევი და ხლისტოვი, 30. ტრიფონ პერშინი, 31. გიორგი გაგნიძე, 32. თედო გოგუაძე, 33. ივანე (ისაკა) დიასამიძე, 34. ალექსანდრე კუდრიავცოვი, 35. ძმ. მამედოვი, 36. ძმ. კოიავა, 37. ვართანა მარტიროსიანცი, 38. იაკოფა საღათელოვი, 39. რომანა მიქაძე, 40. გიორგი კოლიშვილი, 41. გრიგოლი საგანელოვი, 42. აგასი შექოიანცი, 43. ერვანდა ანტონიანცი, 44. მელიტონ იოსელიანი, 45. გალუსტა ვართანოვი, 46. გიორგი ღელაშვილი, 47. გრიგოლი ისაკოვი, 48. გაჯი სადალი სადიკოვი, 49. მიკირტიჩ კარაპეტიანცი.

დადასტურებულ იქმნას კომისიის დადგენილება შემდეგი საჩივრების შესახებ:

1. ვარლამ გვათუას გადასახადი შეუმცირდეს 25.000 მანეთამდის, 2. ვიკტორ ავალიანს შეუმცირდეს გადასახადი 10.000 მანეთამდის, 3. ზალიკო ახმეტელაშვილს შეუმცირდეს გადასახადი 1.500 მანეთამდის.

სოფიო მაგაკელოვისას კომისიის დადგენილობის წინააღმდეგ გადახდეს 23.000 მანეთი.

სხდომა დაიხურა საღამოს 12 საათზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალაქ თბილისის საბჭოს 1920 წ., 13 იანვარის საზეიმო სხდომის

ᲣᲣᲠᲜᲐᲚᲘ

თავმჯდომარეობდა გრ. გველესიანი.

დაესწრენ ხმოსნები: აუშტროვი რ., აბდუშელიშვილი შ., ბალიაშვილი, ბურჯანაძე ვ., ბადრიძე ი., ბერიტაშვილი დ., გომელაური ი., გომართელი ივ., გოგუა კალ., გოგლიძე მ., დვალი, დიდიძე ერ., ვაჩნაძე დ., ვეფხვაძე მ., ჯადაჭკორია ს., დეკ. თალაქვაძე ნ., თევზაძე ს., ირემაშვილი ი., კიკვაძე თ., კოვალიოვი მ., ლასხიშვილი ვ., მიკირტუმოვი ბ., მდივანი ალ., ნაცვლიშვილი, რამიშვილი ირ., რუსია ნ., რუხაძე არჩ., რესია მ., სულიაშვილი დ., საღირაშვილი კ., სადაღაშვილი ვ., სირბილაძე ე., ღლონტი თ., შევჩუკი, ჩადუნელი დ., ჭიჭინაძე პ., ხართიშვილი, ხახანაშვილი ვ., ხელაძე, ხუნდაძე სვ. ჯაფარიძე ს., ჯაჯანაშვილი არჩ.

ქალაქის მდივანი ვ. ხახანაშვილი.

---

13 იანვარს ქალაქის თვითმართველობის შენობა მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა. გირლიანდებით და ნოხებით მორთული, ელექტრონებით საგანგებოთ გაჩირაღდანებული იპყრობდა გამვლელთა ყურადღებას. შესავალ კარებიდან საბჭოს დარბაზამდე იატაკი მოფენილი იყო ხალიჩებით და მცენარეებით. საღამოს 7 საათზე თავისუფლების მოედნის წინ მუსიკამ ამცნო საზოგადოებას, რომ დღეს ქალაქი იხდიდა დემოკრატიის ბრწყინვალე გამარჯვების დღესასწაულს.

სხდომას დაესწრნენ: საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე მთავრობის მთელი შემადგენლობით, უორდროპი, ჰასკელი, პოლკოვნიკი გაბბა, სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე ა. ხატისოვი, უცხო სახელმწიფოთა სხვა წარმომადგენელნი, საქართველოს კათოლიკოსი ლეონიდი, დამფუძნებელი კრების წევრნი, პროფესიონალური კავშირების წარმომადგენელნი და აუარებელი საზოგადოება.

თავმჯდომარის ამხანაგი გრ. გველესიანი საბჭოს სხდომას ხსნის საღამოს $8^1/_2$ საათზე.

თავმჯდომარე გველესიანი გრ. მოქალაქენო! გილოცავთ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარებას მოკავშირეთა მიერ, როდესაც ქართველი ერი, როგორც ერთი კაცი ხარობს, როდესაც ძლევამოსილი დემოკრატია ბრძოლაში გამარჯვებული ბრწყინვალე გამარჯვებას დღესასწაულობს, ჩვენ ვსთქვათ, რომ დიდია ეს დღე. 120 წელი ქართველი ერი სულს ღაფავდა მონობის ქვეშ. დღეს მან მოიხვეჭა თავისუფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება, მაგრამ მას ეს დღეს კი არ მიულია, მან 26 მაისს აღბეჭდა ... დღეს ქართველმა ერმა სთქვა, რომ მას უნდა თავისუფლება და უპირველესად ყოვლისა ამ დღეს გილოცავთ; შემდეგ კი მოჰყვა ევროპის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება. ეს უკანასკნელი არის ორი გარემოების შედეგი: პირველად მისი ხანგრძლივი ბრძოლისა და კულტურულად ამაღლებისა და მეორედ მისი სახელმწიფო შენობის უნარისა, რომ მან ამ მოკლე ხანში მთელ ქვეყანას დაუმტკიცა, რომ მას შეუძლია თავისუფლად და დამოუკიდებლად ცხოვრება. ვისურვოთ გამარჯვება და ჩვენი მოპოებული დამოუკიდებლობის განმტკიცება. გაუმარჯოს საქართველოს. გაუმარჯოს ქართველი ერის მძლავრ ხელს და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. (ტაში. მუსიკა უკრავს ეროვნულ ჰიმნს). მომეცით ნება ქალაქის საბჭოს სახელით დიდი მადლობა გამოუცხადო დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენელთ, რომელთაც დახმარება გაგვიწიეს ჩვენ დამოუკიდებლობის მოპოებაში. (ხმოსნები და საზოგადოება ფეხზე ადგომით ტაშს უკრავენ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელთ).

ხმ. გრიგორთელი ივ. ბატონებო! ქართველი ერის თავგანწირული ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდა. ბევრი ჭირი, ბევრი ბრძოლა და ბევრი დამარცხება შეგვხვდა წილათ და ჯილდოთ დღევანდელი საზეიმო დღე მივიღეთ. ეს ბრწყინვალე დღე ჩვენ მოგვცა ჩვენმა დემოკრატიის დაუღალავმა და ერთსულოვანმა ბრძოლამ. დამფუძნებელი კრება, მთავრობა და საზღვარ გარეთ წასული დელეგაცია ყველა ამ დღეს მიესწრაფოდა, ყველა ამ დღის მოლოდინში იყო. დღეს დასავლეთმა ევროპამ გარკვევით სთქვა, რომ ჩვენც ვართ ღირსი თავისუფლებისა და ძალღონეც შეგვწევს დამოუკიდებელ არსებობისა.

დღემდის ევროპა ჩვენთვის დახურული იყო და მასთან დაახლოვება, მისი კულტურის ზიარება ჩვენ საარსებო მიზანს შეადგენდა. თუ თქვენ გაითვალისწინებთ რა დღეში ვიყავით, რა პირობებში გვიხდებოდა არსებობა, მაშინ თქვენთვის დღევანდელი ბრწყინვალე და სასიხარულო დღის მნიშვნელობა ნათელი იქმნება. მთელი საუკუნის განმავლობაში ჩვენ სულს ვღაფავდით რუსეთის რკინის უღელ ქვეშ და მის დემოკრატიასთან ერთად თავგანწირულ ბრძოლას ვაწარმოებდით. სანამ გზა და საშვალებანი ჩვენ ერთი გვქონდა — ერთად ვიყავით, მაგრამ დღიდგან საერთო ბორკილის დამსხვრევისა თავი წამოჰყო ორმა ერთი ერთმანეთის საწინააღმდეგო გზამ. ანარქიიდან სოციალიზმში, დემოკრატიზმიდან თავისუფლების სამეფოში — აი ის ორი გზა, რომელმაც ჩვენ და რუსეთის დემოკრატია გაგვყო და გაგვთიშა. პირველ გზას რუსეთის დემოკრატია დაადგა უკანასკნელი-კი — ჩვენ ამოვირჩიეთ. ჩვენ ღრმათ ვიყავით და ვართ დარწმუნებული, რომ ის გზა, რომელზედაც რუსეთის დემოკრატია დაადგა სამუდამოთ თუ არა, დიდი, ძაან დიდი ხნით დაგვაშორებდა ჩვენს საბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოვო მიზანს. ჩვენი პოლიტიკა უაღრესათ სწორი და ნამდვილი გამოდგა. სწორეთ ამ სწორმა პოლიტიკამ საქართველო მიიყვანა გამარჯვებამდის და თავისუფლება მიანიჭა ქართველ ხალხთან ერთად ყველა მათაც, ვინც ჩვენ საზღვრებში და ჩვენს მიწა-წყალზე სცხოვრობს. ამიტომ ის გზა, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ, მუდმივ ჩვენი გზაა და მას არასოდეს არ გადაუხვევთ. მხურვალე სალამი ჩვენ ეროვნულ ბელადს ნოე ჟორდანიას, რომელიც ამ ბრძოლაში წინ მიგვიძღოდა, მადლობა და ვაშა ჩვენს შეიარაღებულ ძალას გვარდიას და ჯარს, რომელთაც თავის სისხლით მრავალჯერ გადაგვარჩინეს დაღუპვასა და განადგურებას, სალამი ევროპას, რომელმაც ძმური ხელი გამოგვიწოდა, როგორც თანასწორ თანამოძმეს. ძმური სალამი ჩვენს მოძმეს და მოკავშირეს ადერბეიჯანს. დღევანდელი დღის ბრწყინვალება იჩრდილება მხოლოდ მით, რომ ჩვენი მოძმენი და მეზობელნი სომხეთი და მთიელნი ამ ზეიმს მოკლებულნი არიან, მარა სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სულ მოკლე ხანში მათაც ესვე ბედნიერი დღე მიენიჭებათ. ჩვენ მხოლოდ ჩვენი თავისუფლება არ გვაკმაყოფილებს, ჩვენ ვიცით, რომ მჭიდრო კავშირი ამიერ კავკასიის ერთა შორის საბუთია ჩვენი თავისუფლების შენარჩუნების და განმტკიცებისა.

გაუმარჯოს თავისუფალ და სუვერენულ საქართველოს.

გაუმარჯოს მტკიცე კავშირს ამიერ კავკასიის ერთა შორის,

ხმ. ფანიშვილი გ. მოქალაქენო! ნება მიბოძეთ თბილისის ქალაქის საბჭოს სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის სახელით მოგილოცოთ ეს ბრწყინვალე დღესასწაული. ჩვენთვის, სოციალ-ფედერალისტთათვის ამ გამარჯვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ნება მიბოძეთ გაორკეცებულათ მოგილოცოთ ის. ჩვენ შეუძლებლათ მიგვაჩნია ეროვნული თავისუფლების გარეშე წინსვლა. ჩვენ ვიბრძოდით ამისათვის და გვგონია, რომ ეს არ არის შემთხვევითი, ჩვენთვის ცხადი იყო, რომ ეროვნული თვითგამორკვევის ჟამი დადგა და ის თავის ლოგიკურ დასკვნამდე მივიდოდა. რევოლიუციის შემდეგ ხალხში დაგროვილი იყო ეროვნული ენერგია და იმან ჩვენ მიგვიყვანა 26 მაისამდე. ეს იყო ჩვენი გამარჯვება შინ და ეხლა ჩვენ ვდღესასწაულობთ. საქართველო იცნო ევროპამ. ჩვენ ვხედამთ რომ ჩვენი ერის ბრძნულმა მომწიფებამ მიგვიყვანა ამ დღემდე. მაგრამ ეს არ არის ჯერ სრული. ჩვენი ფრაქციის აზრით ჩვენი დამოუკიდებლობა არ იქნება სრული, სანამ სამივე რესპუბლიკის დამოუკიდებლობას არ იცნობენ. ჩვენ ვიბრძოლეთ ამისათვის. (ტაში).

ხმ. დეკ. თალაკვაძე ნ. მამულიშვილნო! გუშინ, ნაშუადღევს, საქართველოს დედაქალაქ თბილისის ტაძარ-ეკლესიებში მოულოდნელად ასტყდა—ასტყდა ზარის რეკა“ და, თითქოს ქრისტეს აღდგომა არისო, სიონის დიდმა ზარმაც ბანი მისცა, ზარბაზნებმაც დაჭექა. გამაცოცხლებელმა, რაღაც უხილავმა ძალამ სუყველას ტანში დაგვიარა. მოქალაქენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზეიმოთ აიშალნენ, სალიტონიოთ დაირაზმენ, ერთი მეორეს ეხვევა, ულოცავს დიდ დღესასწაულს, აუწყებენ ურთიერთს სიხარულსა დიდსა, რომელსაც შეგვასწრო ჩვენ ღმერთმა. თბილისის ქუჩები, თითქოს ჯადოსნურ ხელის დაქნევით, ზღვა ხალხით აივსო წითელ დროშებით ხელში, მწკრივად და დასტათ ეწყობა ჯარი,—სახელოვანი ჩვენი გვარდია და გაისმა განგაშის ხმა ტკბილი. მიდი-მოდიან დამფუძნებელ კრების დარბაზის წინაშე, სალამს უძღვნიან მომვლელ პატრონთ, ულოცავენ მთავრობას ბრწყინვალე გამარჯვებას.

რა მოხდა? რა ამბავია?—ეკითხებიან გაოცებული უცხონი ერთმანეთს.—საქართველო ევროპამ სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარა—უპასუხებენ მათ ქართველნი და ესენი განაგრძობენ ისევ ზეიმს.

აი, მამულიშვილნო, გუშინდელ დიად დღის შთაბეჭდილება, რომლის საზეიმოთ შემოვკრბით დღესაც აქ, საქართველოს რესპუბლიკის სატახტო ქალაქის საბჭოს დარბაზში, ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენელთა, მოკავშირე ადერბეიჯანის, მეზობელ სომხეთის და ეს ამოდენა მოქალაქეთა თანადასწრობით, ამ საბჭოს გამგეობა და ხმოსნები. ჭეშმარიტათ გვმართებს სიხარული და ზეიმი. ერთიც და მეორეც ნუ მოგვიშალოს ღმერთმა.

ამიერიდან საქართველო თვისს დედაქალაქით ქართველ ერის მკერდს ეყუდვნის, ერს მოწამებრივ გვირგვინის შარავენდენით გაბრწყინვებულს აღდგომის კვერცხივით საკუთარ სახლში სჯულისა და მამულისათვის მრავალჯერ განბანილს, ერს—მებრძოლ თვისის ბედისთვის.

საქართველო 1918 წლის 26 მაისს საკუთარი ძალ-ღონით აღსდგა მკვდრეთით, დაამსხვრია ასი წლის ნაჭედი მონობის ბორკილები, მოეგო თავს. ამა იანვრის 12-ს კი ეს მკვდრეთით აღდგომილი ტურფა მხარე ამაღლდა ქვეყნად. ის ამ მოკლე ხანში ისე გაიზარდა, ისე გადახალისდა, ისე დადარბაისლდა, რომ მისი სასიცოცხლო-სახელმწიფოებრივი ძალა, უნარი და ნიჭი შენიშნეს, იცნეს და აღიარეს იმათ, ვინც დღეს დედამიწაზე განაგებს ხალხთა და სახელმწიფოთა სვე-ბედს.

მართალია, 26 მაისიდან დამოუკიდებლად ვგრძნობდით ჩვენს თავს, მაღლა გვეჭირა სახელმწიფოებრივი-ეროვნული დროშაც, მაგრამ სადღაც შორს, გულის სილრმის კუნჭულში, მაინც გვრღნიდა მოუსვენარი ეჭვი, რაღაც გული გვეთანაღრებოდა წინ მივიწევდით და თან უკან-უკან ვიხედებოდით, –ხო არავინ მოგვდევს, ხიფათს ხო არას გვიმზადებენო... დღეს გავსრისეთ ეს გულის მრღნელი ეჭვის მატლიც. დღეს გავსწორდით წელში, დღეს ყველას თამამად თვალში უცქერით. დღეს სახელმწიფოთა შორის ჩვენც ვიხსენიებით, ჩვენც ევროპის განათლებულ ოჯახში ჩაგვრიცხეს. ჩვენ, როგორც თანასწორთ, ხელი გამოგვიწოდეს და ამ გამოწვდილ ხელს საქართველოს რასპუბლიკა ვაჟკაცურათ ჩამოართმევს ევრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პას. ევროპაც არ შეინანებს ჩვენთან ასეთ ურთიერთობას, —საქართველო ამ მცირე აზიის უბეში კავკასიის საფრანგეთის.

აი, ამ ღირსების და შემეცნების საფეხურზე დაიცავს სამშობლოს ის ძალა, რომელსაც ჰქვიან საქართველოს დემოკრატია, თვის დამფუძნებელ კრების საშვალებით, ხოლო ამის მიერ მოწოდებულ ჩვენ სახელოვან მთავრობის ხელმძღვანელობით. ჩვენ-კი, მოქალაქენო, უფრო მეტი ხალისით, ენერგიით და გარჯილობით ავიღოთ ხელში დედაქალაქის მოვლა-პატრონობის კვერთხი, მისი ოჯახური სამეურნეო საქმე; შევქმნათ ისეთი პირობები, რომ ადამიანს აქ ცხოვრება არ დაუმძიმდეს, რომ ეს წუთისოფელი მოქალაქემ იგემოს შედარებით უმტკივნელოდ, ნუ ჩაუშხამებთ ერთმანეთს სიცოცხლეს, ნუ გაუძვირებთ ლუკმა-პურს და თავ-შესაფარს. ეს დიდი ღვთის წყალობა იქმნება ჩვენთვის. ამ სამსახურს ითხოვს ევროპასაგან დღეს უკვე ცნობილი და ამაღლებული საქართველოს რესპუბლიკა და მისი სატახტო ქალაქი თბილისი.

ამიერიდან ჩვენ მასპინძლები ვართ ჩვენ დედაქალაქში, მოყვრათ მოსულ სტუმართ ჩვენ პურ-მარილით ვეგებებით ხოლმე და ნურას უკაცრავათ თუ დაუპატიჟებელ სტუმრებს ქართველი ერი სხვანაირად მიეგებოს. გულ-კეთილობასა და პურ-მარილიანობასთან, მას სხვა რამეც ეხერხება და ემარჯვება კიდეც.

მაშ სცანთ, ყოველთა, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი.

საქართველო კვლავ აღარავის გაეთელვინება.

გულის სიღრმიდან მადლობას და აღფრთოვანებას უცხადებთ ევროპა-ამერიკის სახელმწიფოთა წარმომადგენელთ, რომელთაც ხელი შეგვიწყეს და დაგვეხმარნენ ამ ისტორიულ განძის მოპოებაში, ხოლო დღეს, ჩვენთან იზიარებენ ამ დიდ ეროვნულ სახელმწიფოებრივ ჩვენს სიხარულს. გულითადმ სალამი ჩვენს მოკავშირე-დამოუკიდებელ ადერბეიჯანს და ძველ მეზობელ სომხეთს, ესეც მალე მოესწრობა ამ სიკეთეს. სალამი კავკასიის ყველა ერთ. მათთან გვწყურია ჩვენ ძმობა, ერთობა და სოლიდარობა, რომელიც, იმედი გვაქვს, ამიერიდან უფრო განმტკიცდება ჩვენ შორის. იყოს კურთხეულ ეს ჩვენი ზეიმობა ამიერ უკუნისამდე.

ხმ. ჯაჩსაძე დ. საბჭოს წევრნო. თქვენ ვერ წარმოიდგენთ ჩემს განცდას ამ წუთს. თქვენ თქვენის ბუნებით ენტუზიასტები ხართ და დღესაც აქ თქმული ამბით თქვენს აღფრთოვანებას და გატაცებას საზღვარი არა აქვს. მე-კი ვფიქრობ სწორედ დღეიდგან გვმართებს ოცნებებზედ ხელი ავიღოთ და გაორკეცებული ენერგიით შეუდგეთ მუშაობას და სახელმწიფოს შენებას. თბილისი ათას ხუთასი წელიწადია არსებობს, მან განიცადა 29 შემოსევა ბერძნების, რომაელების, სპარსების, ოსმალოების და ბოლოს სლავიანების. იგი კვდებოდა, მაგრამ კვლავ სდგებოდა და შემომსევი მარცხდებოდა. დღეს განსაკუთრებულ სასიამოვნოთ მიგვაჩნია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის გარემოება, რომ შებორკილ-შეჯაჭული საქართველო, მონობის უღელ ქვეშ მოქვითინე ჩვენი ერი, აღსდგა, მოიშორა ძველი ბორკილები და ამასთანავე აღსდგა გაერთიანებული. ქართველი ერი მთელი თავის შემადგენელ ნაწილებით ზეიმობს დღევანდელ დღეს, თავის განთავისუფლებას და ეროვნულ სახელმწიფოს შექმნას.

ძველი საქართველოც ყოველთვის დასავლეთ ევროპისაკენ იყურებოდა, ისიც, თქვენსავით, გზავნიდა ევროპაში სხვა და სხვა სახელმწიფოებში თავის დელეგაციებს, იმ განსხვავებით, რომ მაშინდელი დელეგაციები დანიშნულ ადგილამდის ხშირად ვერ მიდიოდა და გზაში ან შიმშილით, ან სიცივით კვდებოდა. თქვენ კი გზავნით დელეგაციებს და დარწმუნებულნი ბრძანდებით, რომ დელეგატები მშვიდობით მივლენ დანიშნულ ადგილას და მშვიდობითვე დაბრუნდებიან თავის სამშობლოში.

დღეს ბ. ჩხენკელმა თავის მოხსენებაში, სახელმწიფო თეატრში, აღნიშნა, რომ ევროპა ჩვენ არ გვიცნობდა და მხოლოდ ჩვენებურ ქალის სილამაზეზედ ლაპარაკობდაო, დღეს კი ევროპამ აღიარა ჩვენი სახელმწიფოებრივობაო და ეს შედეგია სოციალ-დემოკრატიის მუშაობისაო.

რაც პოლიტიკაში გაკეთებულია იმ დამსახურებას თქვენ ვერავინ წაგართმევთ, მაგრამ არ უნდა დაივიწყოთ, რომ აქაც თქვენ განმარტოებულნი არ იყავით. ჩვენ სამი წლის განმავლობაში ფიზიკურ მუშაობას ვაწარმოებდით, მოგდევდით გვერდში და ზურგიდამ არას დროს მოგპარვივართ მახვილის ჩასაცემათ. თქვენი პოლიტიკის გამარჯვება მარტო თქვენი გამარჯვება არ არის.

გათანასწორება პოლიტიკურ უფლებაში სხვა სახელმწიფოებთან ჯერ კიდევ არ ნიშნავს მუნიციპალურ გათანასწორებას ევროპის სხვა ქალაქებთან. გავიორკეცოთ ენერგია, გავითვალისწინოთ პრესპეკტივები, შეუდგეთ შემოქმედებითი, დადებითი მუშაობას და ევროპის მუნიციპალურ ოჯახშიც შევიდეთ სრულუფლებიან და თანასწორ წევრათ. გაუმარჯოს საქართველოს და მის მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას!

ხმ. გამართული ივ. სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით შემომაქვს შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა ცნობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს მიერ, საქართველოს დედაქალაქ თბილისის საბჭო გამოსთქვამს თავის აღტაცებას ამ ბრწყინვალე გამარჯვების გამო, რომელიც მოიპოვა საქართველოს დემოკრატიამ და თავის სასიამოვნო მოვალეობათ მიაჩნია მიულოცოს საგანგებო დელეგაციის პირით დამფუძნებელ კრებას ეს დიადი გამარჯვება და აცნობოს, რომ ქალაქის საბჭო და დედა ქალაქის ყველა მოქალაქენი მზათ არიან წინანდებურათ იბრძოლონ მოპოვებულ თავისუფლების და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად“. ამასთანავე დაევალოს ქალაქის მოურავს მიულოცოს ბაქოს ქალაქის საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადერბეიჯანის დამოუკიდებელ სახელმწიფოთ აღიარება, ხოლო ერევნისას უსურვოს ახლო მომავალში დამოუკიდებლობის განხორციელება.

საბჭო ადგენს: მოისმინა რა ცნობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს მიერ, საქართველოს დედა ქალაქ თბილისის საბჭო გამოსთქვამს თავის აღტაცებას ამ ბრწყინვალე გამარჯვების გამო, რომელიც მოიპოვა საქართველოს დემოკრატიამ და თავის სასიამოვნო მოვალეობათ მიაჩნია მიულოცოს საგანგებო დელეგაციის პირით დამფუძნებელ კრებას ეს დიადი გამარჯვება და აცნობოს, რომ ქალაქის საბჭო და დედა ქალაქის ყველა მოქალაქენი მზათ არიან წინანდებურათ იბრძოლონ მოპოვებულ თავისუფლების და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად. ამასთანავე დაევალოს ქალაქის მოურავს მიულოცოს ბაქოს ქალაქის საბჭოს ადერბეიჯანის დამოუკიდებელ სახელმწიფოთ აღიარება, ხოლო ერევნისას—უსურვოს ახლო მომავალში დამოუკიდებლობის განხორციელება.

სხდომა დაიხურა საღამოს $9^1/_2$ საათზე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალაქ თბილისის საბჭოს 1920 წ. 25 იანვარის სხდომის

ჟურნალი

თავმჯდომარეობდა ალ. ლომთათიძე.

დაესწრნენ ხმოსნები: აბდუშელიშვილი შ., ახმეტელი ალ., აუშტროვი რ., ბალიაშვილი, ბერიტაშვილი, ბადრიძე, ბესელიძე, ბურჯანაძე, გველესიანი, გომართელი ივ., გუნცაძე ირ., გომელაური, გოგუა, გოთუა, დიდიძე, ელიავა ნ., ვაჩნაძე დ, ვეფხვაძე მ., ვადაჭკორია ს., თალაკვაძე ნ., თოფურიძე, თევზაძე, ირემაშვილი, კიკვაძე, კოვალიოვი მ., კახიანი, ლასხიშვილი, ლორია, ლომთათიძე ალ., მაჭავარიანი გ., მზარეულოვი, მიკირტუმოვი, მგელაძე, მგალობლიშვილი, ნაცვლიშვილი, ჟორჟოლიანი, რუხაძე არჩ., სირბილაძე, საღირაშვილი, სადაღაშვილი, ქავთარაძე პ., ღლონტი თ., შევჩუკი, ჩიჩუა ზ., ფარქოსაძე, ძიძიშვილი, წვერავა, ხუნდაძე, ხელაძე, ხახანაშვილი ვ., ჭიჭინაძე, ჯაჯანაშვილი, შოთაძე, ფანიევი კ., ჩხიკვიშვილი ბ.

ქალაქის მდივანი ვ. ხახანაშვილი.

საბჭომ განიხილა:

1. ჟურნალის დამტკიცება.
2. საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო მოლოცვანი საბჭოსადმი.
3. დღიური წესრიგი.
4. სავალდებულო დადგენილების პროექტი სავაჭრო დაწესებულებებში სამუშაო საათების განსაზღვრის შესახებ.
5. გამგეობის მოხსენება თვითმპყრობელური რუსეთის მიერ თბილისში აღმართული ძეგლების გაუქმებაზე.
6. გამგეობის მოხსენება არამიანცის საავადმყოფოს მეკარის ანდრია პუდიკოვის ოჯლებისათვის ერთდროულ დახმარების მიცემის შესახებ.
7. გამგეობის მოხსენება ავლაბრის საქალებო სასწავლებლის მასწავლებელ ნატალია სკანდაროვისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ.
8. გამგეობის მოხსენება კუკიის საქალებო სასწავლებლის მასწავლებელ ოლღა ნასიძისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ.
9. გამგეობის მოხსენება ავლაბრის საქალებო სასწავლებლის მასწავლებელ ელისაბედ ტერ-მოსესოვისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ.
10. გამგეობის მოხსენება ანნა კარაბაშის ოჯლებისათვის ერთდროულ დახმარების მიცემის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. გამგეობის მოხსენება დარაჯის ვასილ მონტინის ქვრივისათვის ერთდროულ დახმარების მიცემის შესახებ.

12. გამგეობის მოხსენება ავლაბრის სანაგვის მეთვალყურის სოლომონ მჭედლიშვილის ქვრივისათვის ერთდროულ დახმარების მიცემის შესახებ.

13. გამგეობის მოხსენება ავჭალის წყალსადენის მემანქანის ნონიკაშვილისათვის ერთდროულ დახმარების აღმოჩენის შესახებ.

14. გამგეობის მოხსენება სალიკვიდაციო კომისიის შესანახად ყოველ თვიურად 1.000 მანეთის გადადების შესახებ.

15. გამგეობის მოხსენება კონტროლის განყოფილებაში მეორე რეგისტრატორის თანამდებობის დაარსების შესახებ.

16. გამგეობის მოხსენება კონტროლის განყოფილებაში ბუჰგალტერი-კონტროლიორის თანამდებობის დაწესების შესახებ.

17. გამგეობის მოხსენება თვითმართველობის მოსამსახურეთა ნამსახურების სიების მოსაწესრიგებლად 20.640 მანეთის გაღების შესახებ.

18. სხვა და სხვა პირთა საჩივარი სანიტარულ გადასახადის განაწილების შესახებ.

19. გამგეობის მოხსენება 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში იანვრისა და თებერვლის ხარჯების დასაფარავად 40 მილიონი მანეთის გადადების შესახებ.

20. გამგეობის მოხსენება 3 მილიონიან საობლიგაციო სესხის ტირაჟის დროს მომხდარი შეცდომის გასწორების შესახებ.

21. ხმოსან დ. ვაჩნაძის კითხვა თბილისის ზედმეტ მცხოვრებთაგან გაწმენდის საქმის მდგომარეობის შესახებ და გამგეობის პასუხი.

თავმჯდომარე ალ. ლომოთიძე საბჭოს სხდომას ხსნის საღამოს 9 საათზე და 15 წუთზედ.

1. ჟურნალის დამტკიცება.

ქალაქის მდივანი ვ. ხახანაშვილი კითხულობს საბჭოს 5 და 13 იანვრის სხდომაზედ მიღებულ რეზოლიუციებს.

საბჭო უცვლელად ამტკიცებს 1920 წ. 5 და 13 იანვრის სხდომის ჟურნალებს.

2. საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო მოლოცვები საბჭოსადმი.

ქალაქის მდივანი ვ. ხახანაშვილი კითხულობს ქალაქის მოურავის მიერ ბაქოში და ერევანში გაგზავნილ დეპეშებს და ამ ქალაქებიდგან მოსულ დეპეშებს.

საბჭო იღებს ცნობად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დღიური წესრიგი.

ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიძეშვილი ითხოვს უწყების მეჩვიდმეტე მუხლში აღნიშნული საკითხი მოიხსნას, რადგან გამგეობა ფიქრობს ახლო მომავალში შემოვიდეს საბჭოში უფრო ფართო მოხსენებით ფინანსების გაუმჯობესების საშუალებებზედ. მეცხრამეტე მოხსენება მოიხსნას კონტროლის დასკვნის უქონლობისა გამო, ხოლო მეთოთხმეტე მოხსენება განხილულ იქმნას პირველათ.

საბჭო ეთანხმება მოურავის წინადადებას.

4. სავალდებულო დადგენილების პროექტი სავაჭრო დაწესებულებებში სამუშაო საათების განსაზღვრის შესახებ.

მოახსენებს ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიძეშვილი.
(შრომის განყოფილებიდგან).

ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიძეშვილი - აცხადებს, რომ ეს პროექტი არსებითად ცოტათი განსხვავდება იმ სავალდებულო დადგენილებისაგან, რომელიც მიიღო საბჭომ 1919 წელს 7 ივნისს, მხოლოდ ერთი მუხლია, რომლის შესახებ გამგეობა ვერ შეუთანხმდა შრომის სამინისტროს და პროფესიონალურ კავშირის გადაწყვეტილებას. ეს მუხლი ეხება კვირაობით ვაჭრობის საყოველთაოდ აღკრძალვას. ქალაქის გამგეობის და შრომის სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრეს მაჰმადიანებმა და ებრაელებმა, რომ კვირაობით მათ მიეცეთ ვაჭრობის უფლება, რადგან მაჰმადიანები უქმობენ პარასკევს და ებრაელები შაბათს, რის გამო კვირაობითაც დუქან-მაღაზიების დაკეტვა დიდს ზარალს აყენებს მათ. ამ შუამდგომლობას შრომის სამინისტრო და პროფესიონალური კავშირი უარყოფით შეხვდნენ. იგინი ამბობენ, რომ სახელმწიფოში კვირაში ერთი დღეა დასასვენებლად ცნობილი და ეს დღე ყველასათვის საავალდებულო უნდა იყოსო. ჩვენ კი ასე უყურებთ საქმეს: რესპუბლიკაში სინიდისის თავისუფლება ძირითადი კანონია და ეს კარგათ ვიცით, რომ მუსულმანთა და ებრაელთა სამოქალაქო ცხოვრება მეტად დაკავშირებულია რელიგიურ ცხოვრებასთან და დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ არც მაჰმადიანები და არც ებრაელები თავიანთ უქმე დღეებს არ გასტეხავენ. მაშასადამე მათ, თუ კვირაობითაც დაკეტილი ექმნებათ სავაჭროები, კვირაში ორი დღე უნდა იუქმონ და მაშასადამე ზარალიც დიდი ექნებათ. ამიტომ გამგეობა ფიქრობს, რომ კვირა დღით ვაჭრობის ნება უნდა მიეცეს მაჰმადიანებს და ებრაელებს.

მეორე მუხლი, რომელიც აგრეთვე იწვევს უთანხმოებას — ეს არის შაბათ დღეს ვაჭრობა. შრომის სამინისტრო და პროფესიონალური კავშირი ფიქრობენ შაბათობით ვაჭრობა უნდა თავდებოდეს სამ საათზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ კი ვამბობთ—არ შეიძლება მცირე ნაწილის ინტერესებს შეეწირ[illegible] დიდი ნაწილის ინტერესები, რადგან ყველა მუშა-მოსამსახურე დღიურ მუშაობას ათავებს მხოლოდ სამ საათზედ და, მაშასადამე, იგი მოკლებული იქმნება საშუალებას შეიძინოს რამე ამ ხნის შემდეგ.

ხმ. გომართელი ივ. ორი საკითხი ყოფილა სადავო—უქმის და შაბათის მუშაობის შესახებ. მეორე საკითხში ჩვენ გამგეობას სრულიად ვეთანხმებით და სადავო არაფერია. რაც შეეხება პირველ საკითხს, ე. ი. კვირა დღეს მუშაობის დაშვებას, ჩვენ გამგეობის აზრს არ ვიზიარებთ. საქმე იმაშია, რომ რელიგიურ ფანატიზმს თან სდევს ეროვნული ფანატიზმი და დღეს, როდესაც ასე ძალიან საჭიროა ამიერ კავკასიის ერებისათვის სოლიდარობა, ჩვენ ეროვნულ ფანატიზმის განელებას უნდა ვცდილობდეთ. მას შემდეგ, რაც საქართველომ, სომხეთმა და ადერბეიჯანმა დამოუკიდებლობა მიიღეს, ამ რესპუბლიკათა ერების სოლიდარობაზედ ჩვენი ზრუნვა მთავარი მოვალეობა უნდა იყოს. სოლიდარობის განსამტკიცებლად საჭიროა ყველა მუშა-მოსამსახურე ერთსა და იმავე დროს იყოს თავისუფალი ყოველდღიურ მუშაობისაგან, რომ შეეძლოთ ერთათ ყოფნა. ერთი მეორის გაცნობა და დაახლოვება. თუ სხვა და სხვა ეროვნების მუშა-მოსამსახურე სხვა და სხვა დღეს იქმნება მუშაობისაგან თავისუფალი, ეს ხელს შეუწყობს არა მათ შეკავშირებას არამედ გააძლიერებს მათ ეროვნულ კარჩაკეტილობას, იზოლიაციას. ამიტომ სახელმწიფოში ერთი დღე უნდა იყოს კვირაში დასასვენებლად და ამ დღეს დასვენება ყველასათვის სავალდებულო უნდა იყოს. მეორე მოსაზრება, გამგეობის დასკვნის საწინააღმდეგო არის შემდეგი. გამგეობა ამბობს, რომ მუსულმანი და ებრაელი ვაჭრები კარგავენ შემოსავალს, რადგან კვირაში ორი დღე არა ვაჭრობენო. ეს მოსაზრება სრულიად მართალია, მაგრამ წინააღმდეგ შემთხვევაში დაკარგავს პროლეტარიატი და თუ არჩევანზედ მიდგა საქმე, ჩვენ დემოკრატიის ინტერესებს ვარჩევთ. ამასთანავე კონტროლი შეუძლებელია და ყველა მოვაჭრე ისარგებლებს ან მუსულმანს ან ებრაელს, თუ ფაქტიურად არა ფიქტიურად მაინც, მიამხანაგებს.

ხმ. გვეჯესიანი გრ. იზიარებს შრომის სამინისტროს შეხედულებას და ხმ. გომართელის მოსაზრებებს. კვირა დღეს უყურებს, როგორც დასასვენებელ და არა უქმ დღეს და ამიტომ საჭიროდ სთვლის დასასვენებელი დღე ყველასათვის ერთი იყოს. შემდეგ აღნიშნავს კონტროლის შეუძლებლობას თუ სხვა და სხვა ეროვნების მოვაჭრე სხვა და სხვა დღეს დაისვენებს და ამტკიცებს, რომ ის მოვაჭრენი, რომელთაც ნება დართული ექმნებათ კვირა დღეს ვაჭრობისა, ჩაყენებული იქმნებიან, სხვა მოვაჭრეებთან შედარებით, პრივილეგიურ მდგომარეობაში.

ხმ. მზარეულიშვილი ნ. სარწმუნოებრივ დევნას არ ხედავს იმ გარემოებაში, რომ კვირა დღეს დასვენება ყველასთვის სავალდებულო იქმნება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, აცხადებს იგი, შრომის ინტერესი არ დაირღვევა თუ ნოქარი ... რის ამხანაგი გახდება. შემდეგ ხმოსანი აღნიშნავს, რომ სავალდებულო დადგენილება ყველა დარგს ვაჭრობისას ერთნაირად არ ეხება და განცვიფრებას გამოსთქვამს რატომ არ ეკრძალებათ ვაჭრობა კვირაობით გაშლილ ბაზრებზედ, ქუჩებზედ და თუ აქ გამართლება იმაშია, რომ ეს ვაჭრობა გარეთ სწარმოებს, რატომ ეძლევა ნებართვა კვირას ვაჭრობისა რესტორანებში და ტრაქტირებში. ხმოსანი იზიარებს გამგეობის აზრს და საჭიროთ რაცხს ნება დაერთოთ კვირაობით ვაჭრობისა მუსულმანებს და ებრაელებს.

ხმ. თალაქვაძე ნ. აცხადებს, რომ რელიგიურ დევნას ადგილი არა აქვს და თუ ჩვენი სახელმწიფო ერთგვარ ტიპიკონზედ არის აგებული, იგი სავალდებულო უნდა იყოს ყველასათვის. ეს საკითხი შეგუების საკითხია და ჩვენს სახელმწიფოში მცხოვრები სხვა ეროვნება ჩვენს წესებს და ჩვეულებებს უნდა შეეგუოს. ქართველები ადერბეიჯანში ვერ მოითხოვენ პარასკეობით ვაჭრობის უფლებას. ეს აუცილებელია სოციალურ-პოლიტიკურ მწყობიაობისათვის.

ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენელი ქეშიშოვი ითხოვს საკითხის ხელმეორეთ გადასინჯვას შერეულ კომისიაში, რადგან წარმოდგენილ პროექტის შემუშავებაში მთავარი მნიშვნელობა მიეცა შრომის წარმომადგენელებს, ვაჭარ მრეწველთა დაუსწრებლად.

ხმ. ძიძიშვილი ნ. საკამათო საკითხში ხმოსანი გარდა დასვენების საკითხისა ხედავს რელიგიურ მომენტსაც და საჭიროთ რაცხს საგანს შეეხოს ამ მხრივაც, მაგრამ ის უმთავრესად ჩერდება დღევანდელ ეკონომიურ მდგომარეობაზედ. ხანგრძლივი მუშაობის საჭიროებას აღიარებს და ამბობს, რომ სოფლად კვირა დღეს აღარ ისვენებენ და ამ დღესაც მუშაობენო, ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა გვიკარნახებს 18 საათის მუშაობასაო. შემდეგ ხმოსანი აღნიშნავს სინიდისის თავისუფლების საჭიროებას, ითხოვს მას ანგარიში გაუწიონ და არც ეკონომიური პირობები დაივიწყონ. მაშასადამე, დასკვნის ხმოსანი, ეკონომიური პირობები ხანგრძლივ მუშაობას გვიკარნახებს, ხოლო სინიდისის თავისუფლება სხვა სარწმუნოების პატივის ცემას. ამ ორი მოსაზრებით მუსულმანებს პარასკეობით და ებრაელებს შაბათობით უსათუოდ ვაჭრობას ვერ დავავალებთ, მათ ამ დღეებში უქმობა შეუძლიანთ, ეკონომიურის მოსაზრებებით კი კვირაობით ვაჭრობის ნება უნდა მივცეთ მათ. ეს არც სოლიდარობის განმტკიცებას შეუშლის ხელს, თუ სოლიდარობას მიზნათ დავისახამთ.

ხმ. აბდუშელიშვილი მ. ამტკიცებს, რომ კვირაობით ვაჭრობის ნებართვა მოვაჭრეთა ერთი ნაწილისათვის დიდს პრივილეგიას შეადგენს. შემდეგ აღნიშნავს რას ნიშნავს ნოქარის ამხანაგად გახდომა და აცხადებს, რომ ეს ამხანაგობა აუტანელი ექსპლოატაცია იქმნება ნოქარისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მეტი არაფერია. გარდა ამისა ებრაელ მუშას შაბათობით ამუშავებთ, მას არავინ ეტყვის შაბათია და მანქანას თავი დაანებე, რა უყოთ, რომ შუქი არ მექნება შენ ხომ შამათს უნდა დაისვენოვო, მოვაჭრეებს კი შესაძლებლობას აძლევს თავისი უქმი დღე იუქმოს. ამ ორ შრომის სხვა და სხვა წარმომადგენელს სხვა და სხვა პირობებში აყენებთ. იზიარებს შრომის სამინისტროს აზრს და აცხადებს, რომ მუშათა პოლიტიკა ითხოვს, რომ ყველა თავისუფალი იყოს ერთ დღეს და ამ გზის გადახვევა ჩვენ არ შეგვფერის.

ხმ. გომართელი ი. ჩვენთვის საკითხი სრულიად გამორკვეულია, მაგრამ ვაჭართა შეამდგომლობის გამო წინადადებას ვიძლევი—პროექტი ხელ მეორეთ გადაეცეს შერეულ კომისიას დაწვრილებით განსახილველად.

ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიკვიშვილი. აღძრული საკითხი დიდი და სათუთია. უნდა გვახსოვდეს, რომ მორწმუნე ებრაელები და მუსულმანები თავიანთ თავს შეურაცყოფილად იცნობენ და ამას ანგარიში უნდა გაუწიოთ. ქალაქის მოურავი აქ მუშათა პოლიტიკის ღალატს არ ხედავს და ამბობს, რომ სოლიდარობის განმტკიცება შეიძლება სხვა დღესაც, კვირის გარდა.

შემდეგ აცხადებს, რომ მუსულმანთა წარმომადგენელი მისი ინიციატივით არიან მოწვეულნი საბჭოს სხდომაზედ, რაც შეეხება ვაჭართა დეპუტატების წარმომადგენელთა მოწვევას, ეს მას არ განუზრახავს. იგინი მოუწვევია შრომის განყოფილების გამგეს, მოურავის ნება დაურთველად, ის ახალი კაცია და არ იცის მან გამგეობის შეხედულება ვაჭართა დეპუტატების საბჭოზედ. ჩვენ ვფიქრობდით მოგვეწვია დღევანდელ სხდომაზედ სავაჭრო პალატის წარმომადგენელი და ვაჭართა საბჭოსი. თუ საკითხი გადაეცემა კომისიას ხელმეორეთ განსახილველად ჩვენ მოვიწვევთ სავაჭრო პალატის წარმომადგენელს.

საბჭო ადგენს: სავალდებულო დადგენილებათა პროექტი სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებში სამუშაო დროს განსაზღვრის შესახებ დაუბრუნდეს ქალაქის გამგეობას ხელმეორეთ განსახილველად შერეულ კომისიაში და ეთხოვოს მას კომისიის გადაწყვეტილება და თავისი დასკვნა წარმოუდგინოს საბჭოს ახლო მომავალში.

5. გამგეობის მოხსენება თვითმპყრობელური რუსეთის მიერ თბილისში აღმართული ძეგლების გაუქმებაზე.

მოახსენებს ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიკვიშვილი.

ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიკვიშვილი—ასეთი ძეგლები ორია—ერთი კუკიის მოედანზე ვორონცოვის ძეგლი, ამ უკანასკნელის პატივსაცემლათ აგებული და მეორე—ვერის დალმართზე აკაკის (ყოფილი ოლღის) ქუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩის დასასრულს, ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის პირდაპირ — ალექსან-
დრე მესამის ეტლიდან გადმოვარდნის დროს მისი „სასწაულებრივი“ გა-
დარჩენის აღსანიშნავად. გამგეობის აზრით სრულიად შეუფერებელია ამ
ძეგლების ქუჩებში კიდევ დატოვება. პირველი, ე. ი. ვორონცოვის ძეგ-
ლი შენახული უნდა იქნას მუზეუმში, როგორც ისტორიული ნაშთი.

გარდა ამისა, ჩამოხსნილი უნდა იქმნან დაფები წარწერებით „დი-
დების ტაძრიდან“, რადგანაც ეს წარწერებიც თვითმპყრობელური რუსე-
თის საქართველოზე ძალადობის და თვითნებობის გამომხატველია.

გამგეობა თხოულობს საბჭოს დასტურს ხსენებული ძეგლების აღე-
ბის შესახებ და საჭირო თანხის ამ მიზნისათვის დახარჯვაზე და მთავრო-
ბის წინაშე შუამდგომლობის აღსაძვრელად ხსენებული წარწერების „დი-
დების ტაძრიდან“ ჩამოხსნის შესახებ, რაც მთავრობის ხარჯითა და გან-
კარგულებით უნდა მოხდეს. ამისათვის საჭირო ხარჯთ-აღრიცხვას წარმო-
გიდგენთ საქმის შესრულების შემდეგ, დღეს კი ნება უნდა დაგვრთოთ
ვორონცოვის ძეგლის და ვერის ჯვარის მოხსნაზედ.

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას
და ვორონცოვის ძეგლი და ვერის (აკაკის ქუჩის ბოლოში) ჯვარი
მოხსნილ იქმნან. ვორონცოვის ძეგლი მოხსნის შემდეგ გადატანილ
იქმნას სახელმწიფო მუზეუმში და ამ ძეგლით დაკავებული ადგილი
სრულიად განთავისუფლდეს. ნება დაერთოს ქალაქის გამგეობას ამ
ძეგლების ასაღებათ საჭირო ხარჯები გაიღოს ქალაქის სალაროდგან
იმ პირობით, რომ საქმის დამთავრების შემდეგ წარმოუდგინოს საბ-
ჭოს დახარჯული თანხის ანგარიში. ამასთანავე დაევალოს გამგეობას
აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ მთავრობის ხარჯზე
„დიდების ტაძრიდგან“ ჩამოხსნილ იქმნას ყველა წარწერები, რო-
გორც თვითმპყრობელურ რუსეთის საქართველოზედ ძალადობის და
თვითნებობის გამომხატველნი.

**6. გამგეობის მოხსენება არამიანცის საავადმყოფოს მეკარის ანდრია პუდიკო-
ვის ობლებისათვის ერთდროულ დახმარების მიცემის შესახებ.**

მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი გ. მაჯავარიანი.
(პირველ განყოფილებიდგან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას,
ქალაქის საავადმყოფოს მეკარის ანდრია პუდიკოვის ობლებს მიეცეს
ერთდროულ დახმარებად სამი ათას ცხრაას სამოცი (3960) მანეთი.

**7. გამგეობის მოხსენება ავლაბრის საქალებო სასწავლებლის მასწავლებელ
ნატალია სკანდაროვისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ.**

მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი გ. მაჯავარიანი.
(პირველ განყოფილებიდგან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას, ავლაბრის საქალებო პირველდაწყებითი სასწავლებლის ყოფილ მასწავლებელს ნატალია ივანეს ასულ სკანდაროვისას 20 წლის სამსახურისათვის დღევანდელ ცხოვრების მეტად მძიმე პირობების მიხედვით საპენსიო წესების გარეშე, დაენიშნოს გაძლიერებული პენსია ხუთასი (500) მანეთი თვეში 1919 წლის 1 ოქტომბრიდგან.

8. გამგეობის მოხსენება კუკიის საქალებო სასწავლებლის მასწავლებელ ოლღა ნასიძისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ.

მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი.
(პირველ განყოფილებიდგან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. კუკიის საქალებო სასწავლებლის ყოფილ მასწავლებელს ოლღა (იგივე სალომე) თევდორეს ასულ ნასიძისას 18 წლის, 7 თვის და 15 დღის სამსახური ჩაეთვალოს საპენსიო ვადათ და დღევანდელ ცხოვრების მეტად მძიმე პირობების მიხედვით დაენიშნოს მას გაძლიერებული პენსია თვეში ხუთასი (500) მანეთი, 1919 წლის 15 ენკენისთვიდან.

9. გამგეობის მოხსენება ავლაბრის საქალებო სასწავლებლის მასწავლებელ ელისაბედ ტერ-მოსესოვისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ.

მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი.
(პირველ განყოფილებიდგან))

საბჭო ადგენს: ავლაბრის საქალებო სასწავლებლის მასწავლებელ ელისაბედ ივანეს ასულს ტერ-მოსესოვისას, მისი 23 წლის პედაგოგიური სამსახურისთვის, დღევანდელ ცხოვრების მეტად მძიმე პირობების მიხედვით არსებულ საპენსიო წესების გარეშე დაენიშნოს გაძლიერებული პენსია, თვეში ხუთასი (500) მანეთი, 1919 წლის 10 ენკენისთვიდან.

10. გამგეობის მოხსენება ანნა კარაბაშის ობლებისათვის ერთდროულ დახმარების მიცემის შესახებ.

მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი.
(პირველ განყოფილებიდგან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას, ქალაქის გადამდებ სენთა საავადმყოფოს ბარაკის მომვლელ ქალის ანნა კარაბაშის ობლებს მიეცეს ერთდროული დახმარება შვიდი ათასი (7.000) მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. გამგეობის მოხსენება დარაჯის ვასილ მონტინის ქვრივისათვის ერთდროულ დახმარების მიცემის შესახებ.

მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი.
(პირველ განყოფილებიდგან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენები დადასტურებულ იქმნას. მიეცეს ერთდროული დახმარება დარაჯ ვასილ მონტინის ქვრივს და ქალიშვილს ექვსი ათას რვაას ორმოცდა თვრამეტი (6.858) მანეთი, იმ ათას ექვსას ოთხმოცდა ექვსი (1.686) მანეთის გამოკლებით, რომელიც მათ უკვე მიეცათ.

12. გამგეობის მოხსენება ავლაბრის სანაგვის მეთვალყურის სოლომონ მჭედლიშვილის ქვრივისათვის ერთდროულ დახმარების მიცემის შესახებ.

მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი.
(პირველ განყოფილებიდგან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას, მიეცეს ავლაბრის სანაგვის მეთვალყურის სოლომონ მჭედლიშვილის ქვრივს და ობოლს ექვსი ათას შვიდას სამოცდა რვა (6.768) მანეთი.

13. გამგეობის მოხსენება ავჭალის წყალსადენის მემანქანის ნონიკაშვილისათვის ერთდროულ დახმარების აღმოჩენის შესახებ.

მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი.
(პირველ განყოფილებიდგან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას, მიეცეს ავჭალის წყალსადენის ყოფილ მემანქანეს ილია ივანეს ძე ნონიკაშვილს ერთდროულ დახმარებად ხუთი ათას ხუთას ოცი (5.520) მანეთი.

14. გამგეობის მოხსენება სალიკვიდაციო კომისიის შესანახათ ყოველ თვიურად 1.000 მანეთის გადადების შესახებ.

მოხსენებას აკეთებს ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიძეიშვილი.
(შრომის განყოფილებიდგან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას, გაღებულ იქმნას ქალაქის სალაროდგან ყოველთვიურად 1919 წლის 1 ოქტომბრიდან სალიკვიდაციო კომისიის შესანახად ათასი (1.000) მანეთი და წინადადება მიეცეს სავაჭრო პალატას ხსენებულ კომისიისათვის ამავე დროიდან ამდენივე ხარჯები მიიღოს თავის თავზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. გამგეობის მოხსენება კონტროლის განყოფილებაში მეორე რეგისტრატორის თანამდებობის დაარსების შესახებ.

მოხსენებას აკეთებს ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიძეშვილი.

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას, დაარსებულ იქმნას კონტროლის განყოფილებაში მეორე რეგისტრატორის თანამდებობა მითვისებულ ჯამაგირით.

16. გამგეობის მოხსენება კონტროლის განყოფილებაში ბუჰგალტერ-კონტროლიორის თანამდებობის დაწესების შესახებ.

მოხსენებას აკეთებს ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიძეშვილი.

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას, დაარსდეს კონტროლის განყოფილებაში ბუჰგალტერ-კონტროლიორის თანამდებობა საგანგებოთ ფულისა და მასალათა საანგარიშო წიგნების რეგისტრაციისათვის, აგრეთვე კვიტანციის და მარკის წიგნებისთვის, რომელიც ეძლევათ ქალაქის დაწესებულებებს და ჯამაგირათ დაენიშნოს ბუჰგალტერის უმფროს თანაშემწის თანაბრად.

17. გამგეობის მოხსენება თვითმართველობის მოსამსახურეთა ნამსახურობის სიების მოსაწესრიგებლად 20.640 მანეთის გაღების შესახებ.

მოხსენებას აკეთებს ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიძეშვილი.

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას, გაღებულ იქმნას ქალაქის სალარიდგან ოცი ათას ექვსას ორმოცი (20.640) მანეთი ქალაქის მოსამსახურეთა ნამსახურობის სიების მოსაწესრიგებლად.

18. სხვა და სხვა პირთა საჩივარი სანიტარულ გადასახადის განაწილების შესახებ.

მოხსენებას აკეთებს ხარჯთამკრეფ ბიუროს გამგე კ. ხახანაშვილი.

საბჭო ადგენს: დადასტურებულ იქმნას გამგეობის და კომისიის დადგენილებანი და საჩივრებზედ უარი ეთქვათ შემდეგ პირებს:

1. გაბრიელ ქებაძეს, 2. ვ. ს. ალიხანოვს, 3. ნიკოლოზ ოგანეზოვს, 4. კვირიკაძეს და სოსანიძეს, 5. ანტონ ტაინიანცს, 6. გეურქ გასპაროვს, 7. ტიგრან არეშოვს, 8. აბელ ავაქიანცს, 9. ალექსანდრე ჯავარბეკოვს, 10. ტიგრან ცაკანოვს, 11. ჩერნიშევს, 12. გიორგი მამაცაშვილს, 13. დავით ხარტიანცს, 14. ავქსენტი ჯანჯლავას, 15. სიმონ ფირალოვს, 16. ივანე ციხისელს, 17. იოსებ მაისაშვილს, 18. საფარ კაგრამან ოღლის, 19. ალექსანდრე ელიოზოვს, 20. ნიკოლოზ მარქაროვს, 21. ოგანეზ ტერ-არუთი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოვს, 22. ალფეზ ფანჯავიძეს, 23. კბილის ექიმთა კომისიის 24. ფ. ი. პოპოვს, 25. ისრაილ ვოლფენზონს, 26. პეტრე კატოშვილს, 27. აბრამ ტერ-მოსესოვს, 28. შაქრო დარჩიაშვილს, 29. პავლე ბალიევს, 30. მიხეილ ჩაჩანაშვილს, 31. გრიგოლ ტარახჩიანცს, 32. სედრაკ საააკოვს, 33. მაშადი თაგი ასადულა, 34. პეტრე პოზნუხოვს, 35. მარიამ სემიონოვას, 36. ვერა კარაკაშინას, 37. იოსებ ხახვიშვილს, 38. მიხეილ ლომაძეს, 39. ივანე ანდროსოვს, 40. ისაი სოსიანცს, 41. აბრამ ციცვაშვილს, 42. გიორგი კეკრესელიძეს, 43. დიმიტრი ნოზაძეს, 44. აბას ალი სამედ ოღლის, 45. გრიგოლ ალაჯანოვს, 46. გრ. კანანოვს, 47. ვარტკეს აგაბალიანცს, 48. ალექსანდრე სარქისოვს, 49. ლ. კუპრაშვილს, 50. ავეტიკა შამადელაშვილს, 51. გორელაშვილს და მისალაშვილს, 52. არშაკ გამაზიანცს, 53. მიხეილ არზუმანოვს, 54. დარისპანე გელენიძეს, 55. ილია ფრუიძეს, 56. გაბრიელ დემურუოვს, 57. ვლადიმერ კვიატკოვსკის, 58. ივანე ვაშაკიძეს, 59. არმენაკ გრიქურუოვს, 60. ამბარცუმ ბალაიანცს, 61. ალექსანდრე მანუჩაროვს, 62. ნიკოგოსოვს და ქართველოვს, 63. იოსებ ბარხუდაროვს, 64. ლადო მორჩილაძეს, 65. უმბათ მამედ ოღლის, 66. პავლე ხოსიტაშვილს, 67. ოგანეზ ჩილინგაროვს, 68. გაიკ ჯანშიევს, 69. ესტატე გოგიტაშვილს, 70. სადიხ მამედ ოღლის, 71. სავაჭრო სახლს „შუამავალი“, 72. ევგენია პეტიკს, 73. ამხანაგ. ელექტრონის სადგური, 74. დავით რაბინოვიჩს, 75. ალექსანდრე ოგანეზოვს, 76. ავეტისიანცს და სარქისოვს, 77. ნიკო ქურტაულს, 78. არტემ მეზუროვს.

ამ გადასახადისაგან სრულიად განთავისუფლებულნი იქმნან:

1. იოსებ აბაშიძე, 2. თავდგირიძე, 3. ელენე მატიევი, 4. ქრისტეფორე ივანეს ძე კილიჩევი, 5. მირზა მარტიროსიანცი, 6. ილია ბაზიერაშვილი, 7. ნაშრევან მერკვილაძე, 8. გიორგი ხატიევი, 9. ნიკოლოზ სულიევი, 10. რაინგოლდ ლანგი, 11. ეკატერინე კუვალდინა, 12. დანიელ მაჩახინი, 13. ალექსი ჟაბინი, 14. სოფიო პიკმაშვილი, 15. მიხეილ ოჩიგავა, 16. არშაკ ეირანოვი, 17. ალექსანდრე კაზაკოვი, 18. ვანო თამასიძე, 19. დავით ქურქჩიშვილი, 20. გაიკ აბოვიანცი, 21. კეკელია, 22. ასლანოვი და ტერ-სარქისიანცი.

შემდეგ პირებს შეუმცირდეს გადასახადი, გამგეობის დადგენილების თანახმად:

1. დავით იოსების ძე სარაძეს, 2. ა. მ. ტატიევს, 3. სოსო ტატულოვს, 4. ეფრემ ზაქარიას ძე ჩიტოშვილს, 5. სოლომონ პავლეს ძე არუშანოვს, 6. შამილ სულეიმან ოღლის, 7. დარჩო ბეჟუაშვილს, 8. ვასილი კაპანაძეს, 9. ალექსანდრე ჯობაძეს, 10.

ოგადჯან ვართპატრიქიანცს, 11. სერგო ჩიხაშვილს, 12. ივანე დადიანს, 13. არშაკ არუთინოვს, 14. ა. გ. აბიბიანცს, 15. ტატოსიანი ბარხუდაროვს, 16. პარტენ გივიევს, 17. მაგერამ ნაბი ოღლის, 18. მამედ კურბან ოღლის, 19. გიორგი ხოჯიევს, 20. ვერა ბაიბურევისას, 21. ილია ინაძეს, 22. მართა პოპოვისას, 23. საფარ ეგიაზაროვს, 24. გიორგი ქანანოვს, 25. არუთინ ოგანეზოვს, 26. არსენ მაისაშვილს, 27. მელიქ ნუბაროვს, 28. მიხეილ ოგანეზოვს, 29. საქილ მერაბიშვილს, 30. ოგანეს ოგანიანცს, 31. ნიკოლოზ შალამოვს, 32. მიხეილ აბგანიძეს, 33. აბრამ მაღლაკელიძეს, 34. ვასილ ზუკაკიშვილს, 35. შნაიდერს, 36. ბაინდურ ედიგაროვს, 37. აბგარ არუთინოვს, 38. სამუილ პრეისბერგს, 39. ალექსანდრ ცერცვაძეს, 40. რუბენ მჭედლიშვილს, 41. ნესტორ მასხარაშვილს, 42. აბრამ გინზბურგს.

შემდეგი პირნი ამოიშალნენ ერთი ჯგუფიდან და დარჩნენ მეორე ჯგუფში, გამგეობის დადგენილების თანახმათ:

1. მიკირტუმოვი და დანიელიანცი, 2. ალექსი ბაბაჯანოვი, 3. სვიმონ პავლეს ძე სულხანოვი, 4. ნაგიევი და ალიევი, 5. ბალდარაშვილი და ამხ. 6. გიორგი ზურაბის ძე ლებანიძე, 7. ოგანეზ იაკოფას ძე კამანდაროვი, 8. იბრაგიმ ისახანოვი, 9. იოსებ რევაზოვი, 10. გიორგი კობერიძე, 11. დოროთეა კოვტუნენკო, 12. საკ სტეფანოვი, 13. მიხეილ თურმანიძე, 14. ნიკოლოზ ხაჩატურას ძე შახნაზაროვი, 15. გაჯი რახმანოვი, 16. ალასკერ იბრაგიმ ოღლი, 17. საკოვი და დიდიზოვი, 18. რ. ოგ. ჩილინგაროვი, 19. ვერა პეტრეს ასული ნაუმენკო, 20. გიორგი პეტრეს ძე ცაგარელი, 21. გაჯი ისმაილ ბაგიროვი, 22. ივანე სოლომონის ძე ადუაშვილი, 23. გრიგოლ ბეკზადოვი, 24. გიორგი სერგოს ძე ხეჩანოვი, 25. ბენიამინ ქრისტეფორის ძე კირაკოსიანცი, 26 გევორქ არტემას ძე კარაპეტიანცი, 27. არშაკ ავეტიკოვი, 28. სვიმონ მეხერევი, 29. ვასილი კირილეს ძე ჩიკვილაძე, 30. აგრაფინა ევსეევი, 31. ძმ. მიკირტუმოვები, 32. ზაქაროვი და ფარემუზოვი, 33. სარქისოვი მ. და ცალაკა, 34. შტრანგი (კავ. შავი ზღვის სავაჭროსამრეწვ. ამხან. თავმჯდომარე), 35. ტიგრან ძაგიანი, 36. კონსტანტინე ჩახავა, 37. თომა ონიკაძე, 38. ბახშო ოგანეზოვი, 39. ავაქ ხუდავერდოვი, 40. სვიმონ აშულბაბიევი, 41. სვიმონ გიორგობიანი, 42. ძმ. მურადიანები, 43. სოფიო ჭანკიძე, 44. იოსებ კოხტიევი, 45. კარაპეტ შირიგიანი, 46. გრიგორ ზულიევი, 47. ალექსანდრე ჩერნიშევი, 48. აიკაზ არაკელიანცი, 49. მიკირტიჩ ხზარჯიანცი, 50. ავეტიკ მხითარიანცი, 51. ვასილ ონიკაძე, 52. გრიგორი ტერ-ოგანეზოვი, 53. ყარამან ბალაშვილი, 54. ამხ. „შუა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავალი“, 55. ენოქ კოდიანცი, 56. წყალობ სოლოლაშვილი, 57. დავითიანი, 58. დავით მიქვატაძე, 59. თუშმალოვი და ბ[illegible] 60. ვასილ გოგინოვი, 61. არტაშეს კასპარიანცი, 62. ძ[illegible] ნოვები, 63. პოპოვი, 64. სტეფანე ფირკულოვი, 65. ახმედ ბაგირ ოღლი, 66. არტემ გრიგორიანცი.

შემდეგი საჩივრების შესახებ დადასტურებულ იქმნას კომისიის დადგენილება:

1. კონსტანტინე დოლიძესი და გილიაძესი, 2. ზუკაკიშვილის და მარმარაშვილის, 3. ალფესა ფარჯანაძესი და მღვდელაძესი, 4. ისაკა მელიქოვისა, 5. ნაზარბეგოვის და არღუტინსკი-დოლგორუკოვისა.

19. გამგეობის მოხსენება 1920 წლის ანგარიშში იანვარსა და თებერვალში ხარჯების დასაფარავად 40 მილიონი მანეთის გადადების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. შოთაძე.

(ფინანსიურ განყოფილებიდგან, მოხსენება იხილე ჟურნალის ბოლოში).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას; მიეცეს ქალაქის გამგეობას 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში ამა წლის იანვრის და თებერვლის მიმდინარე ხარჯების დასაფარავათ ორმოცი მილიონი მანეთი. ამასთანავე დაევალოს ქალაქის გამგეობას 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვა წარმოუდგინოს საბჭოს არა უგვიანეს მიმდინარე წლის თებერვლისა.

20. გამგეობის მოხსენება 3 მილიონიან საობლიგაციო სესხის ტირაჟის დროს მომხდარი შეცდომის გასწორების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. შოთაძე.

(ფინანსიურ განყოფილებიდგან).

გამგეობის წევრი გ. შოთაძე. მე-4 სამ მილიონიან სესხის ობლიგაციების ტირაჟის ოქმში 2—15 იანვრიდან 1917 წ. და 2—15 იანვრიდან 1919 წ. გამოსულ ტირაჟში აღნიშნულია ერთი და იგივე ობლიგაციის ნომერი, სახელდობრ 15573, რომელი შეცდომაც გამოაშკარავდა 2—15 ივლისის 1919 წ. ტირაჟის შემდეგ.

ვინაიდგან უკანასკნელ ივლისის ტირაჟის ნუსხის დაბეჭდა მომხდარ შეცდომის გამო გაუსწორებლად შეუძლებელია, რადგან ერთი და იგივე ნომერი განმეორებულია ორჯელ და, როგორც იურისკონსულტი გვირჩევს, გადასინჯვა ყველა დარჩენილ ნომრებისა (13250 ცალი) ტეხნიკურ მხრივ სრულიად შეუძლებელია, ამიტომ ქალაქის გამგეობა და საბჭოს მიერ ამორჩეული წარმომადგენელნი დაეთანხმნენ ფინანსიურ განყოფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების აზრს, თუ როგორ გასწორდეს მომხდარი შეცდომა, სახელდობრ: შეცდომით გასულ 15573 ნომრის მაგიერ ამოღებულ იქმნეს მეორეულ-მერი, რომელიც ჯერ ტირაჟში არ გასულა და უკანასკნელი ტირაჟის დროს მხედველობაში იყვეს მიღებული მეორედ გასული ნომერი 15573.

ზემოდ მოხსენებულის თანახმად, კომისიამ მიმდინარე წლის 2-15 იანვრის ტირაჟის დროს ამოიღო ერთი ნომერი მეტი, სახელდობრ 2695, რომელიც გამოაცხადა გასულ წლის 2—15 ტირაჟის სიებში.

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მოხსენებაში აღნიშნული შეცდომის გასწორებისა დამტკიცებულ იქმნას.

21. ხმოსან დ. ვაჩნაძის კითხვა თბილისის ზედმეტ მცხოვრებთაგან გაწმენდის საქმის მდგომარეობის შესახებ და გამგეობის პასუხი.

ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი. ხმოსანმა ვაჩნაძემ წარსულ სხდომაზედ ქალაქის გამგეობას მისცა კითხვა: რა მდგომარეობაშია ქალაქ თბილისის ზედმეტ მცხოვრებთაგან გაწმენდის საქმე. მაშინ მე საზოგადოთ მოგახსენეთ, რომ ამ ზომის შედეგებით მე კმაყოფილი ა'ა ვარ მეთქი, დღეს კი შეძლება მაქვს უფრო დაწვრილებით მოგახსენოთ საქმის მდგომარეობა. სულ მთელს თბილისში შესდგა 1758 დადგენილება გადასახლების შესახებ, გადასახლებულია ფაქტიურად კი 562 კაცი. მაგრამ ჩვენმა სავალდებულო დადგენილებამ ჯეროვანი შთაბეჭდილება მოახდინა მისი გამოცემის პირველ ხანებში. ამ დადგენილების გავლენით ბევრი თავისნებით გადასახლდა თბილისიდგან, განსაკუთრებით ბევრნი წავიდნენ კავკავის გზით. მაგრამ ამავე ხნის განმავლობაში ბევრი მოვიდა თბილისში რკინის გზით. პირველ ხანებში სახლის პატრონები ერთგულად მოეკიდნენ საქმეს; იგინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ განთავისუფლებული ბინები გადაეცემათ მათ საკუთარ განკარგულებაში, მაგრამ როდესაც გაიგეს მთავრობის თავმჯდომარის განკარგულება, რომ ბინების გადაცემა არავის შეუძლია, მათი პირველი გატაცება განელდა და ცნობები საკანტროლო კომისიაში ნაკლებ მოჰქონდათ.

ერთის სიტყვით შედეგი მცირეა თუ არ ჩავთვლით ლტოლვილებს, რომელნიც ჩვენი სავალდებულო დადგენილების გარეშეც უნდა ყოფილ-იყვნენ გადასახლებულნი, თუმცა ჩვენმა დადგენილებამ დააჩქარა მათი წასვლა თბილისიდგან.

ხმ. გეჯესიანი გრ. რა მიზეზია, რომ 1800 დადგენილებიდგან მხოლოდ 560 არის მოყვანილი სისრულეში?

ხმ. ბუშტროვი რ. რა ხასიათის ბინები არის განთავისუფლებული?

ხმ. ვაჩნაძე დ. რა ეროვნების ხალხია გადასახლებული?

ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი—სისრულეში არ არის მოყვანილი დადგენილებათა უმრავლესობა იმიტომ, რომ გადასახლებულ პირებს ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დები ეძლევათ წასასვლელად. დანიშნული ვადების გასვლის შემდეგ მატებული ნაწილი დადგენილებისა შესრულდება. მილიცია ყოველივე ეჩვს გარეშეა და ის ხშირათ თავის უფლებასაც აჭარბებს ამ საქმეში.

ბინები უფრო ხშირათ ოთხ და ხუთ ოთახებიანი თავისუფლდებიან, მაგრამ სანამ ჩვენი აგენტები მივლენ ამ ბინებს უკვე იჭერენ იმავე სახლში ნაკლებ ბინებზედ მცხოვრებნი. ამის გამო ქალაქს მხოლოდ ცუდი ბინები რჩება.

ეროვნების მხრივ ვინ არის გადასახლებული ნამდვილი ცნობები არა მაქვს. შთაბეჭდილებით კი მოგახსენებთ, რომ გადასახლებულთა შორის ყველაზედ მეტი რუსია, თუმცა სომხებიც და ქართველებიც არიან.

ხმ. ჯაჯანაშვილი ალ.—აღნიშნავს რომ სახლის პატრონები მოვალეობას კარგათ არ ასრულებენ, მათ წარმოადგინეს სიები ყველა მდგმურებისა და ამიტომ კომისიები იძულებულნი იყვნენ ყველა მდგმურების ვინაობა გამოერკვიათ და მათ შორის გადასასახლებელი პირები ამოერჩიათ. ამის გამო წინასწარი მუშაობა უსწრობს დადგენილებებს. ეხლა წინასწარი მუშაობა დამთავრებულია და დადგენილებათა რიცხვი გადიდდება. ხმოსანი ფიქრობს, რომ გადასასახლებულთა რიცხვი 10.000 ავა. მაგრამ კომისიების წევრებს არა აქვთ რწმენა, რომ ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებენ, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ ფაქტიურად გადასახლებულნი უკანვე ბრუნდებიან, ან და მათ მაგიერ მრავალი სხვა მოდის თბილისში. მიღებული უნდა იქმნას ისეთი ზომები, რომ აღარც მათ და არც სხვა ვისმეს დაბრუნების ან თბილისში შემოსვლის უფლება არ უნდა ჰქონდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ცდა უნაყოფო იქმნება და მიზანს ვერ მივაღწევთ.

ხმ. გოთუა ბ. არ ყოფილა ჩემს სიცოცხლეში ისეთი დავალება, რომლის ასრულება ისე გამჭირებოდა, როგორც გადამსახლებელ კომისიის თავმჯდომარეობა. უსიამოვნობა მრავალია და ამავე დროს რწმენა, რომ შრომა უშედეგოა და მიზანშეუწონელი. თვით დეკრეტში ბევრი ისეთი ბუნდოვანი მუხლია, რომელიც მის გატარებას ცხოვრებაში ხელს უშლის. გადასასახლებელი იძენს ყველა საჭირო დოკუმენტს და სხვა და სხვა საშუალებებით რჩება. თუ სხვა ეროვნების კაცის გადასახლება დარჩა საჭირო, მაშინათვე იწყება მისი დატოვების შესახებ შუამდგომლობა კონსულებისა, მისიებისა და ეროვნულ საბჭოებისა. დენიკინელების გადასახლება შეჩერდა ფაქტიური შეუძლებლობის გამო.

ხმოსანი ფიქრობს, რომ დღეს შეიძლება კომისიების გაუქმება, რადგან მათ თავისი მნიშვნელობა შეასრულეს. კომისიების არსებობის მიზეზით ბევრი თავისის ნებით გადასახლდა და ზოგის ყოყლოჩინაობა განელდა. კომისიები ან უნდა გაუქმდნენ ან მათი ფუნქციები უნდა გაფართოვდნენ.

ხმ. ვაჩნაძე დ. ხმოსანი აცხადებს, რომ იგი ამ დიდი საქმის შესრულებას არც ელოდა, მაგრამ მაშინ ისეთი დრო იყო, რომ ქალაქის მამამენდა უცებ უნდა მომხდარიყო, დღეს კი ჩვენი მდგომარეობა შეიცვალა და საკითხი მწვავე აღარ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს სხვა საშიშროება სდგას ჩვენი რესპუბლიკის წინაშე და ქალაქის მოურავის სიტყვაში, თუმცა იგი, არა ჩვეულებრივ, გულწრფელი იყო, ეს შიში საფრთხის წინაშე არ შემინიშნავს. საქმე იმაში გახლავთ, რომ რუსეთის დაშლის შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებს სტიქიური ძალა მოადგება და მინდა გავიგო რა ღონეს ხმარობს ქალაქის გამგეობა, რომ ეს სტიქია ქალაქშიც არ შემოიჭრას.

ხმოსანი ფიქრობს, რომ რესპუბლიკის საზღვრები ჩრდილოეთის მხრივ მაინც უსათუოდ და დაუყონებლივ უნდა დაიკეტოს რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი საფრთხის წინაშე სდგას, როგორც ჩვენი დედა-ქალაქი ისე მთელი რესპუბლიკა.

აი დღეს მე ეს კითხვა მაინტერესებდა და ამიტომ მივეცი გამგეობას ჩემი კითხვა. ქალაქის მოურავის პასუხი კი ჩემს კითხვაზედ მაკმაყოფილებს.

კვორუმი აღარ არის და თავმჯდომარე სხდომას ხურავს.

სხდომა დაიხურა საღამოს $11^1/_2$ საათზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქ თბილისის საბჭოს 1920 წ. 5 თებერვლის სხდომის

ჟურნალი

თავმჯდომარეობდა ალ. ლომთათიძე.

დაესწრნენ ხმოსნები: ახმეტელი ალ., აუშტროვი რ., აფხაზი კ., ავაქოვი ი., ბერიტაშვილი ლ., ბესელიძე ი., ბურჯანაძე ვარ., ბახანაშვილი, ბახტაძე ი., გველესიანი გრ., გომართელი ივ., გუნცაძე ირ., გომელაური ი., გოგუა კალ., გოთუა ი., დიდიძე ერ., დადიანი ს., ელიავა ნ., ელიავა უ., ვაჩნაძე დ., ვეფხვაძე მ., ვადაჭკორია ს., თოფურიძე დ., თევზაძე ს., ირემაშვილი ი., კიკვაძე თ., კოვალიოვი მ., კახიანი პ., კალანდაძე დ., ლასხიშვილი გ., ლომთათიძე ალ., მაჭავარიანი გ., მზარეულოვი ნ., მგალობლიშვილი მ., მახვილაძე, ჟორჟოლიანი ალ., ულენტი ლ., რუხაძე არჩ., რუსია ნ., რუსია მ., რამიშვილი ირ., სირბილაძე, სულუხია მ., ტოროშელიძე მ., ფარქოსაძე ს., ფანიევი კ., ფირცხალაიშვილი მ., ქავთარაძე პ., ღლონტი თ., შევჩუკი გ., შოთაძე, ჩადუნელი დ., ჩიჩუა ზ., ჩხიკვიშვილი ბ., ძიძიშვილი ნ., წვერავა ნ., ხუნდაძე სვ., ხახანაშვილი ვ., ჯაჯანაშვილი არ.

ქალაქის მდივანი ვ. ხახანაშვილი.

საბჭომ განიხილა:

1. ჟურნალის დამტკიცება.
2. თავმჯოომარის განცხადება საზოგადო მოღვაწის გიორგი თუმანოვის გარდაცვლის შესახებ.
3. მედიკო-სანიტარულ ინსპეკტორის კ. მეუნარგიას მოხსენება ქალაქში ეპიდემიის მსვლელობის შესახებ.
4. გამგეობის მოხსენება ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირების მე-10 მომატების შესახებ.
5. გამგეობის მოხსენება ტრამვაის ტარიფის გადიდების შესახებ, საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის დასკვნით.
6. გამგეობის მოხსენება სასაკლაოზედ დაკლულ საქონელზე ტარიფის გადიდების შესახებ, საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის დასკვნით.

თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე სხდომას ხსნის საღამოს 9 ს.და40 წ.

1. ჟურნალის დამტკიცება.

ქალაქის მდივანი ვ. ხახანაშვილი კითხულობს საბჭოს 26 იანვრის სხდომაზედ მიღებულ რეზოლიუციებს.

საბჭო უცვლელად ამტკიცებს 1920 წ. 26 იანვრის სხდომის ჟურნალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. თავმჯდომარის განცხადება საზოგადო მოღვაწის გიორგი თუმანოვის გარდაცვლის შესახებ.

თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე. ბ. ბ. მიმდინარე წლის 26 იანვარს ქალაქ თბილისში გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე გიორგი მიხეილის ძე თუმანი.ვი. უმაღლეს სასწავლებლის გათავების შემდეგ, ჯერ კიდევ ჭაბუკი, დაბრუნდა იგი სამშობლო ქვეყანაში და მას აქეთ სიკვდილის უკანასკნელ დღემდის პირნათლად ემსახურებოდა საზოგადო ინტერესებს. აღზრდილი 60 წლების იდეალთა გავლენის ქვეშ, იგი მედგრად იდგა თავის პოზიციაზედ. მისი მოღვაწეობა მრავალფეროვანი და ნაყოფიერი იყო. განსვენებული მხურვალე მონაწილეობას იღებდა მარტო ადგილობრივ პრესსაში კი არა, რუსულ პრესაშიდაც, სადაც მკაცრად ებრძოდა იგი რუსეთის რეაქციას. განსაკუთრებით მას ვერ დაივიწყებს ქართველი ხალხი, რომლის თეატრის შექმნა-აღორძინებაში მან ინიციატორობა იკისრა. ჩემი ფიქრით მთელ საბჭოს აზრს გამოვთქვამ, თუ განსვენებულის ოჯახს თქვენი სახელით სამძიმარს გამოუცხადებ. გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ განსვენებულის ხსოვნას.

(ყველა, როგორც ხმოსნები ისე ქანდარაზე მყოფი გარეშე საზოგადოება, ფეხზე სდგება).

3. მედიკო-სანიტარული ინსპექტორის კ. მეუნარგიას მოხსენება ქალაქში ეპიდემიის მსვლელობის შესახებ.

მეუნარგია კ. პარტახტიანი ტიფით ქალაქში ავათ გახდა 1919 წლის 1—3 დექემბრამდის 43; მუცლის ტიფით—30; ყვავილით—6; წითელათი—5; ქუნთრუშათი—7; დივტერიტით—29; დეზინტერიით—2. 1920 წლის იანვრის 1—31-დის ავათ გახდა: პარტახტიან ტიფით—60; მუცლის ტიფით—13; ყვავილით—6; წითელათი—15; ქუნთრუშათი—7; დივტერიტით—29.

(მოხსენება იხილე ჟურნალის ბოლოში).

საბჭო მედიკო-სანიტარული ინსპექტორის კ. მეუნარგიას მოხსენებას იღებს ცნობად.

4. გამგეობის მოხსენება ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირების მე 10 მომატების შესახებ.

მოხსენებას აკეთებს ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიძეშვილი.

(ფინანსიურ განყოფილებიდგან).

ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიძეშვილი—დღეს ქალაქის გამგეობას არა აქვს ციფრებით დასაბუთებული მოხსენება მეათე მომატების შესახებ. საბჭომ უნდა გადასწყიტოს ძირითადი საკითხი ამ მომატების შესახებ და საბჭოს გადაწყვეტილებასთან შეთანხმებით შემდეგი სხდომისათვის წარმოვადგენთ ვრცელს და ციფრებით დასაბუთებულს მოხსენებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმე იმაში გახლავთ, რომ დღემდის სატარიფო პალატის დადგენილება ჯამაგირების მომატების საკითხში ჩვენთვის ყოველთვის სავალდებულო იყო და მის დადგენილებას ჩვენ მხოლოდ სახელმძღვანელოდ ვიღებდით.

სატარიფო პალატამ დაადგინა, რომ მუშა-მოსამსახურეთ მიმდინარე წლის 1 იანვრიდგან მოემატოთ ჯამაგირები 60%. სატარიფო პალატის დადგენილებას არ დაეთანხმა რესპუბლიკის მთავრობა და ამ უკანასკნელმა შეიმუშავა თავისი ნუსხა ამ მომატებისა. გუშინ დამფუძნებელმა კრებამ განიხილა მთავრობის გადაწყვეტილება ჯამაგირების მომატების შესახებ და დაადგინა: 1500-ამდე—60%; 1501—1800 მან.—55%; 1801—2000 მან.—50%; 2001—2400 მან.—40%; 2401—3000 მან.—35% და 3001 და მეტს—30%.

მთავრობის მიერ გამოგზავნილ ქაღალდში ნათქვამია, რომ მთავრობის მიერ შემუშავებული ნუსხა სავალდებულოა ქალაქებისა და ერობისათვის. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან მთავრობის დადგენილება ყველასათვის სავალდებულო უნდა იყოს. მაგრამ დამფუძნებელ კრების დადგენილებაში არ არის ნათქვამი, რომ მისი დადგენილება სავალდებულოა ქალაქებისა და ერობისათვის. ეს იქმნებოდა თვითმართველობის უფლებაში შეჭრა.

უდავო ჩვენთვის, გამგეობის ყველა წევრისათვის, ერთია, სახელდობრ ის, რომ წარმოების მუშებს უნდა მოემატოს 60%, ასეთი წარმოებანი ქალაქს აქვს: ტრამვაი, წყალსადენი, სასაკლაო, აბანოები, ფურნეები და აფთიაქი. მთავრობის და დამფუძნებელ კრების დადგენილებაში შემუშავებულია განსაზღვრული ნუსხა მომატებისა. ამ ნუსხით რკინის გზის მუშებისათვის მომატება ერთია, ხოლო სახელმწიფო მოსამსახურეებისათვის მეორე.

რკინის გზის მუშებს დეკრეტით ემატებათ 60% და პირველ იანვრიდგან, ხოლო სახელმწიფო მოსამსახურეთ 30% და პირველი თებერვლიდგან.

გამგეობაში ორნაირი აზრია თვითმართველობის მოსამსახურეთა ჯამაგირის მომატების შესახებ.

უმრავლესობა ფიქრობს უნდა მოემატოს ყველას თანაბრათ 60% და ეს არის გამგეობის დადგენილება. ხოლო მე განსაკუთრებული აზრისა ვარ ამ კითხვაში, და ორთავე აზრის დასაბუთებას მოგახსენებთ.

საქმე იმაში გახლავთ, რომ წინასწარი გამოანგარიშებით თუ ყველა მოსამსახურეთ, მათ რიცხვში მილიციასაც, მოემატება 60%—ეს განსხვავებას იმ თანხასთან შედარებით, რომელიც საჭირო იქმნება დამფუძნებელ კრების დადგენილების თანახმათ, მომატებისათვის მისცემს თვეში 571.000 მანეთს. გამგეობის ყველა წევრი იმ აზრისა არის, რომ მილიციაში მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსახურეთ ყველას უნდა მოემატოს 60%, ეს კითხვა არც ჩემთვის ერის სადავო. გამგეობის ის წევრნი, რომელნიც მომხრენი არიან 60%-ან მომატებისა, თავის აზრს ასაბუთებენ შემდეგი მოსაზრებებით: არა ერთნაირი მომატება გამოიწვევს აურ—ზაურს მოსამსახურეთა შორის, შექმნის მათ ზოგიერთ ნაწილში უკმაყოფილებას და ის ეკონომია, რომელსაც გვაძლევს დამფუძნებელ კრების განმარტება არ ღირს მით გამოწვეულ არევ—დარევათ.

მეორე—დამფუძნებელ კრების დადგენილების მიხედვით ჯამაგირების მომატება გამოიწვევს იმას, რომ დაბალ მოსამსახურეს უფრო მეტი ჯამაგირი ექმნება, ვინემ სამსახურის მაღალ საფეხურზედ მდგომ პირს. მაგალითად, წარმოების კანტორაშჩიკი უფრო დიდს ჯამაგირს აიღებს ვინემ ცენტრალურ სამმართველოს ბუჰგალტერი.

მესამე მათი მოსაზრება ის არის, რომ 1600 მანეთი არც ისეთი დიდი ჯამაგირია, რომ 60%-იანი მომატება მათთვის დიდი იყოს.

მე კი ვფიქრობ, რომ, მართალია, დამფუძნებელ კრების დადგენილებაში არ წერია, რომ იგი სავალდებულოა თვითმართველობისათვის, მაგრამ მისი დადგენილებით ხელმძღვანელობა, თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვენთვის სავალდებულოა. მეორე—საქმე 500.000 მანეთში არ არის. ჩვენ უნდა ვიცოდეთ საიდგან მივცემთ ამ თანხას. უკანასკნელ დროს მომატებებს ჩვენ ყოველთვის სესხით ვფარამდით და ეხლაც სხვა გზა არ გვექნება. თუ მთავრობის და დამფუძნებელ კრების დადგენილებას არ დავემორჩილეთ —ჩვენ თვითონ გადავიჭრით იმ გზას, რომლითაც შეგვიძლია სესხის მიღება. მესამე—თვით მოსამსახურეთათვის უმჯობესია ორასი მანეთი ნაკლები მიიღონ ჯამაგირები და დაახლოვებით თავის დროზედ, ვინემ ბევრი და დაგვიანებით.

მეოთხე მოსაზრება ის გახლავთ, რომ დამფუძნებელ კრების დადგენილების ცხოვრებაში გატარებით უმჯობესდება იმათი ცხოვრება, ვინც ყველაზედ მეტად არიან გაჭირვებულნი, თუმცა უკეთეს პირობებში მყოფნიც არ არიან დავიწყებულნი ამ დადგენილებით.

წარმოების კანტორაში მოსამსახურეთ, ვფიქრობ, უნდა მიეცეთ სწორეთ ისეთივე მომატება, როგორც საერთო სამმართველოს მოსამსახურეთ. არსებითათ მათი მუშაობა ერთნაირია ყველგან, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ერთის სამუშაო ადგილი იმყოფება მუშტაიდის ქუჩაზედ, მეორის კი ერევნის მოედანზედ. არ არის განსხვავება მათი მუშაობის ხასიათში—არ უნდა იყოს განსხვავება მათ ჯამაგირშიაც.

მოგახსენებთ მოსამსახურეთა აზრსაც. მე მაქვს მოსამსახურეთა აღმასრულებელ კომიტეტის მოწერილობა, სადაც ოგინი ყველა მოსამსახურისათვის 60%-იან მომატებას კატეგორიულად ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში იტოვებენ მოქმედების თავისუფლებას და პასუხისმგებლობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობას ავალებენ. გამგეობის წევრს იოსებ ეგნატეს ძე ბესელიძეს აქვს ტრამვაის პროფესიონალურ კავშირის განცხადება, რომელშიაც ისეთივე კატეგორიულად ითხოვენ 60% მომატებას კანტორაში მოსამსახურეთათვის.

რაც შეეხება ვადას, ამის შესახებ გამგეობას აზრი არა აქვს. ერთმა წევრმა მისცა ხმა მომატებას პირველ იანვრიდგან და ერთმა პირველ თებერვლიდგან, დანარჩენებმა თავი შეიკავეს.

ხმ. გოთუა ბ. რა მდგომარეობაშია მომარაგების ფონდი, იხდის თუ არა გამგეობა ხვედრ ფულს?

ხმ. გვეჯესიანი გრ. განიხილა თუ არა ფინანსიურმა კომისიამ გამგეობის მოხსენება?

ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიძეშვილი. მომარაგების ფონდში შევიტანეთ ორი მილიონი და დანარჩენიც შეგვაქვს ნაწილ-ნაწილ. ფინანსიურ კომისიაში საკითხის შეტანა ვერ მოვასწარით, რადგან დამფუძნებელმა კრებამ მხოლოდ გუშინ გადასწყვიტა ეს საკითხი.

ხმ. დადიანი ს. დამოუკიდებელ რესპუბლიკაში მუშა მოსამსახურეთა ორ ჯგუფად, ორ კატეგორიად დანაწილება მიზანშეუწონელი არის. არსებობს ერთგვარი უცნაური შეხედულება სახელმწიფო და თვითმართველობის მოხელეებში, მოხელეებათ გადაქცევის შემდეგ აღარ არიან სრულუფლებიანი წევრები. ასევე უყურებენ მათ პროფესიონალურ კავშირებს და ასეთი შეხედულება უცნაურია. ერთიც და მეორენიც ჰქმნიან სახელმწიფოსა და თვითმართველობის საჭირო ღირებულობას და მათი განცალკევება მიზანშეუწონელია. მომატების მხრივაც თუ მუშებს ემატება ჯამაგირი თანაბრათ ყველას 60%, ასევე უნდა მოემატოს ყველა მოხელე-მოსამსახურესაც. თუ ვინმე ფიქრობს, რომ მოხელე უკეთეს პირობებში იმყოფება ვინემ მუშა — შემცდარი აზრია. თუ ამ მომატების მიცემა არ შეგვიძლიან — ეს სხვა კითხვა არის, ჩვენ კი არ შეგვიძლია მათი უფლება ამ მომატებაზედ არ აღვნიშნოთ.

ხმ. გოთუა ბ. მომატების საკითხი რთული საკითხია. მას სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს. ორი კომპეტენტური დაწესებულების გადაწყვეტილება ერთი მეორეს ეწინააღმდეგება. გარდა ამისა ნახევარი მილიონი არც ისეთი პატარა თანხა არის, რომ ყურადღება არ მივაქციოთ და ამიტომ ვფიქრობ ეს მოხსენება გადაეცეს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას.

ხმ. ჯაჩნაძე დ. ჩვენ ისეთს მდგომარეობაში ვართ, რომ ბოლოს და ბოლოს სატარიფო პალატის დადგენილებას მივიღებთ. სატარიფო პალატა ამ საკითხში მთავრობა არის, ის სწყვეტს ამ გვარ კითხვებს და უკანასკნელი სიტყვაც მისია. ინტელიგენცია უკეთეს პირობებში არ არის, ისიც ისეთივე მდგომარეობაშია, როგორშიაც არის მუშა, ამიტომ ხმოსან დადიანს ვეთანხმები და განსხვავება მომატებაში არ უნდა იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ რათ მივდივართ ამ გზით? უკეთესი იქმნება პირდაპირ მე-18 მომატებაზედ ვილაპარაკოთ. მეათე მომატებას ვფიქრობთ და ვიცით, ეს მომატება მდგომარეობას არ გააუმჯობესებს. მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლია მხოლოდ სურსათ-სანოვაგის რაოდენობის მომატებას. ჩვენ კი ამ მხრივ ან სულ არა, ან ძალიან ნაკლებათ ვმუშაობთ. უმატებთ ჯამაგირებს მუშა-მოსამსახურეებს და ვეუბნებით — ჯამაგირებს ვერ მოგცემთო. ეს რა ნაირი მომატება არის? ეს დაკლება არის და არა მომატება. ვაჩვენოთ ის რაცა გვაქვს. საკითხი სათუთია და ვემხრობი გოთუას აზრს, რომ მოხსენება მე-10 მომატების შესახებ გადაეცეს საფინანსო კომისიას.

ხმ. ელიავა ნ. საბოლოოდ მნიშვნელობა ამ კითხვის გადაწყვეტაში ციფრებს აქვთ, რომლებიც დღეს ხელთ არა გვაქვს, გარდა ამისა რამდენიმე ხმოსანი თხოულობს საკითხის ფინანსიურ კომისიაში გადაცემას, ამიტომ ჩვენც ვფიქრობთ ეს კითხვა გადაეცეს ფინანსიურ კომისიას, მხოლოდ დაევალოს ფინანსიურ კომისიას თავისი დასკვნა წარმოუდგინოს საბჭოს მომავალ ორშაბათის სხდომაზედ.

ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი — ორი ორატორის სიტყვაში ნათლად გამოსჭყივის ის რომ მუშა და მოხელე ერთი და იგივეაო. ამ კითხვის შესახებ შეიძლება დაუსრულებელი ლაპარაკი და ამიტომ ამას თავს ვანებებ. მაგრამ რა სთქვა ხმოსანმა ვაჩნაძემ? იგი ოპოზიციაში არის და ოპოზიციის თვისება ის არის, რომ მმართველი პარტიის ან მთავრობის წინააღმდეგ ილაპარაკოს მაშინ, როდესაც სალაპარაკოც არა არის რა. ხმ. ვაჩნაძეს უნდა ეთქვა, რომ საქმეს სათავეში მისი პარტია რომ ედგას, ესეც არ მოხდებაო. მაგრამ ჩვენ ვიცით ისეთი სახელმწიფოები, სადაც სათავეში ეგენი არიან, მაგრამ უკეთესი მდგომარეობა არც იქ არის. ჩვენ საწინააღმდეგო არა გვაქს რა ამ საკითხის ფინანსიურ კომისიაში გადაცემისა, მხოლოდ იმ დამატებით რაიც სთქვა ხმ. ელიავამ.

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება მეათე მომატების შესახებ გადაეცეს საფინანსო კომისიას და დაევალოს მას მოხსენება თავისი დასკვნით წარმოუდგინოს საბჭოს ორშაბათის 9 თებერვალის სხდომაზედ.

5. გამგეობის მოხსენება ტრამვაის ტარიფის გადიდების შესახებ, საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის დასკვნით.

მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი ი. ბესელაძე.

(წარმოებათა განყოფილებიდგან, მოხსენება იხილე ჟურნალის ბოლოში).

ხმ. დლონტი თ. რამდენია ტრამვაის მუშა დღეს და რამდენი იყო უწინ ამდენივე ვაგონის ასამუშავებლად?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის წევრი ი. ბესელიძე. დღეს ტრამვაიზე მუშაობს 1.164 კაცი. ამ რამდენიმე თვის წინათ ჩვენ შევამცირეთ 50 კაცით, 100 კაცზე მეტი გვარდიაში არის ჩაწერილი და მათ ხარჯებს, როგორც მოგეხსენებათ, მთავრობა კისრულობს.

ხმ. ლორნტი ი. (ს.-ფ.) დღემდის ჩვენი ფრაქცია ყოველთვის მხარს უჭერდა მმართველ პარტიას ტარიფის გადიდების საკითხში იმ იმედით, რომ ოდესმე ამ მოვლენას ბოლო მოეღებოდა. დღეს კი ჩვენ ამ გზას ველარ დავადგებით. ჩვენ გვინდა ვიცოდეთ სად არის საზღვარი ასეთ უთავბოლო ტარიფის ზრდის. დროა, ბატონებო, შევიგნოთ ერთი გარემოება, სახელდობრ ის, რომ ასეთი ტარიფების ზრდით თვით ჩვენ ხელს უწყობთ ცხოვრების გაძვირებას, ამიტომ სახელმწიფოსთან ერთად თვითმართველობებმაც სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ ამ მოვლენას. დავიწყოთ ქადაგება ყველგან, ვებრძოლოთ ყველგან და ყველას, ვინც ხელს უწყობს ჩვენ დაღუპვას ამ საქმეში. ჩვენ მიგვაჩნია რა ტრამვაი პირველ საჭიროების საგნათ, ხმას არ მივცემთ მისი ტარიფის გადიდებას. შეიძლება მკითხოთ რით დავაკმაყოფილოთ მოსამსახურეთა გადიდებული ჯამაგირებიო. ბ. ბ. რათ გეშინიანთ დეფიციტის? დავაკმაყოფილოთ დეფიციტით. ჩვენ თავს უნდა ვიდვათ როგორც ვაჭრობის, ისე გამნაწილებელის როლი. ყველა ამ მოსაზრებით ჩვენი ფრაქცია ამ საკითხში გამგეობას მხარს არ დაუჭერს.

ხმ. გაბართელი ივ. ხმ. ლორნტმა დასვა კითხვა: როდის მოეღება ბოლო ასეთ უთავბოლო ტარიფების ზრდასო. ამავე კითხვით მე მინდა მივმართო მას. სხვაზე ნაკლებ არც ჩვენ ვგრძნობთ, ბ. ლორნტო, ამ მოვლენის უბედურებას, მაგრამ კუჭის მოთხოვნილება, რომელიც ახლავე დაკმაყოფილებას თხოულობს, ჩვენ ერთად ერთ შესაძლებლობის გზაზე გვაყენებს. თუ შეიცვლება დღევანდელი პირობები, ჩვენც შევცვლით დღევანდელ დადგენილებას.

ხმ. გვეჯესიანი გრ. პირველი არ გახლავთ ასეთი გამოსვლები ამ დარბაზში და პირველად არ მიგითითებთ იმ გარემოებაზე, რომ დროა ხელი მივყოთ წარმოებას. ბ. ბ. თვითმოქმედება თვით არ დაიწყება, თუ ჩვენ არ დავიწყეთ. არა ერთხელ მოგვიხსენებია აგვეღო მაგალითად ნავთის მონოპოლია. მონოპოლია საერთოთ სახელმწიფოს უფლებას შეადგენს, მარა ეს უფლება ფაქტიურად თვითმართველობებს რჩებათ. რომ თავის დროზე ყურადგეღოთ ჩვენი განცხადება, დღეს ისეთი უბრალო საქმე, როგორიცაა ნავთის მონოპოლია, უკვე მოგვარებული იქმნებოდა და იგი დღეს 8—10 მანეთი არ ეღირებოდა.

ხმ. დადიანი ს. ოპოზიციის დანიშნულება არის მიგითითოსთ მმართველ პარტიას ამა თუ იმ დეფექტებზე და, თუ არ ან ვერ გააკეთეთ— მათრახი გადაგკრასთ. ნავთის საკითხის მოწესრიგებას, როგორც ხმოსანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გველესიანმა მოგახსენათ დიდი შრომა არ სჭირდებოდა. თქვენ თუ ახერ-ხებთ სამუდამოთ იძულებით ჩამოართვათ საუკეთესო შენობები კერძო პირთ, რაის ჩვენც მომხრენი ვართ, რატომ ვერ ახერხებთ უძრავად არ-სებულ სხვა და სხვა საწყობების რეკვიზიციას, ისეც დროებით. თქვენს უმწეო მდგომარეობაზე თქვენი კარის ჟურნალ-გაზეთებიც, თუმცა ლმო-ბიერი ხუმრობის კილოთი, მიგითითებენ ხოლმე. ორმა წელმა განვლო, რაც თქვენ ბატონობთ ქალაქის საქმეებში და დღემდის არა გაგიკეთებიათ რა. ამასთან ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენ დაგჩემ-დათ ერთი დიდი თვისება: შეპირების არ ასრულება. როცა ამ რამდე-ნიმე თვის წინათ ტრამვაის ტარიფის გადიდების საკითხს ვარჩევდით აქ, თქვენ შეგვპირდით მოწაფეთა და მუშებისათვის ფასდაკლებულ ბილე-თებს. დღემდის კი ეს საქმე მიყუჩებულია. დღეს მაინც ინებეთ და ამ საგანზე იზრუნეთ.

ხმ. წვერავა ნ. სასურველია ნავთლულის ტრამვაის ხაზის ტარიფი გაუ-თანასწორდეს ნაძალადევ-დიდუბის ხაზს.

გამგეობის წევრი ი. ბესლიძე. აქ ბევრი ილაპარაკეს, მარა ტრამვაის შესახებ კი ძაან ცოტა. თქვენ დარიგებული გქონდათ დაბეჭდილი მოხსე-ნებები და რომ გენებებიათ მისი გადაკითხვა, ბევრ რამეს გაიგებთ იქიდ-გან. თქვენ კითხულობთ, თუ როდის მოელება ბოლო ტარიფის მომატე-ბასო. მე ეს არ ვიცი როდის მოელება, ისე როგორც თქვენ. დღევან-დელი მდგომარეობა კი, როგორც ხმ. გომართელმა მოგახსენათ, დაჟი-ნებით მოითხოვს ხარჯების გადიდებას. ტრამვაის თქვენ ისე უყურებთ, როგორც არ მომგებიან წარმოებას და ეს გიბნევთ გზა-კვალს. ინგლისში და საფრანგეთში ყველგან ტრამვაის უყურებენ, როგორც მომგებიან წარ-მოებას და სხვა ნაირად არც ჩვენ შეგვიძლია უყუროთ მას. თქვენ ფიქ-რობთ მოსამსახურეთა შტატის შემცირებით საქმეს უშველოთ, სინამდვი-ლეში კი სულ სხვა ხდება. ორი ან სამი კაცი რომ ავად გახდეს, ერთი ვაგონი აუცილებლად შეჩერდება. ხმ. გველესიანი ჩააკივდა ნავთს. მან იცის, რომ გამგეობამ ამ გარემოებას დიდი ყურადღება მიაქცია და სა-გრძნობელი ნაყოფიც მოიტანა, მაგრამ ყველა ამას მხოლოდ შთაბეჭდი-ლების მოსახდენათ ლაპარაკობთ და საქმის სინამდვილეს ანგარიშს არ უწევთ.

საბჭო ადგენს: გამგეობის დადგენილება დადასტურებულ იქმ-ნას, გადიდდეს ტრამვაის ტარიფი: 1. დიდუბის და ნაძალადევის ხა-ზები—2 მანეთი; 2. თითო უბანი—3 მანეთი; 3. ორი უბანი 6 მა-ნეთი; 4. ნავთლულის ხაზის ტარიფი გათანასწორებულ იქმნას დი-დუბე-ნაძალადევის ხაზებთან. ეს დადგენილება იქმნას განხორციე-ლებული ჟურნალის ხელის მოწერით დამტკიცებამდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. გამგეობის მოხსენება სასაკლაოზე დაკლულ საქონელზე ტარიფის გადიდებ-ბის შესახებ, საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის დასკვნით.

მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი ი. ბესელიძე.

(წარმოებათა განყოფილებიდგან, მოხსენება იხილე ჟურნალის ბოლოში).

ხმ. დეფუტატი ო. ამ მოხსენებიდან სჩანს, რომ გამგეობა რაღასაც აკეთებს, რაღასაც შრომობს, მარა უმთავრეს კი ყურადღებას არ აქცევს. ბ. ბ., რათ გვინდა თქვენი წებო, ან ბულიონი? თქვენ გველაპარაკეთ მთავარ საგანზე—ხორცზე. ვინ არ იცის თუ როგორ დასცილდა დღეს სინამდვილე თქვენ მიერ შემუშავებულ ნიხრს. ამ ტარიფის გადიდებით თქვენ უფრო ადიდებთ მის ფასს. თუ ტრამვაი მოშგებიან წარმოებათ და არა პირველ საჭიროების საგნათ მიგაჩნიათ, სასაკლაო ხომ ასეთად უნდა ჩაითვალოს მაინც. ჩვენი ფრაქცია არც ამ საკითხში დაუჭერს გამგეობას მხარს.

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. ქალაქის სასაკლაოში დაწესდეს შემდეგი ტარიფი:

დგომისათვის—კამეჩი 15 მ., ძროხა 15 მ., ცხვარი 3 მ. ღორი 6 მ.; დაკვლისათვის—კამეჩი 55 მ., ძროხა 45 მ., ცხვარი 15 მ., ღორი 15 მ.; საწელე ქარხნით სარგებლობისათვის—კამეჩი 5 მ., ძროხა 5 მ., ცხვარი 2 მ., ღორი 4 მ. და ღორის გასინჯვისათვის 25 მან. ეს დადგენილება გატარდეს ცხოვრებაში ჟურნალის ხელის მოწერით დამტკიცებამდის.

სხდომა დაიხურა ღამის 12 საათზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალაქ თბილისის საბჭოს 1920 წ. 9 თებერვლის სხდომის

ჟურნალი

თავმჯდომარეობდა ალ. ლომთათიძე.

დაესწრენ ხმოსნები: აუშტროვი რ., აბდუშელიშვილი შ., ახმეტელი ალ., ავაქოვი ი., ბურჯანაძე ვ., ბალიაშვილი, ბახანაშვილი ბ., ბერიტაშვილი დ., ბესელიძე ი., ბახტაძე გ., გველესიანი გრ., გომართელი ივ., გომელაური ი., გუნცაძე ირ., გოგუა კალ., გოთუა პ., დვალი დ., ელიავა უ., ელიავა ნ., ვეფხვაძე მ., ვადაჭკორია ს., ვაჩნაძე დ., დეკ. თალაქვაძე ნ., თევზაძე ს., ირემაშვილი ი., კიკვაძე თ., კოვალიოვი მ., კალანდაძე დ., კონიაშვილი გ., ლასხიშვილი ვ., ლოსკუტოვი, ლომთათიძე ალ., მზარეულოვი ნ., მაჭავარიანი გ., მახვილაძე, მგელაძე, ჟორჟოლიანი ალ., ჟღენტი ლ., რამიშვილი ირ., რუსია ნ., რუხაძე არჩ., რუსია მ., სულიაშვილი დ., საღირაშვილი კ., სადაღაშვილი ვ., სირბილაძე ე., ტოროშელიძე მ., ქავთარაძე პ., ღლონტი თ., *შევჩუკი, ჩადუნელი დ., ჩიჩუა ზ., წვერავა ნ., ჭიჭინაძე პ., ხართიშვილი დ., ხახანაშვილი ვ., ხუნდაძე სვ. ხელაძე ალ., ჩხიკვიშვილი ბ., შოთაძე გ., ჯაჯანაშვილი არჩ.

ქალაქის მდივანი ვ. ხახანაშვილი.

საბჭომ განიხილა:

1. ჟურნალის დამტკიცება.
2. გამგეობის მოხსენება ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირების შე-10 მომატების შესახებ.
3. გამგეობის მოხსენება არტისტიულ საზოგადოების თეატრის და მის შენობების იძულებით ჩამორთმევის შესახებ.
4. გამგეობის მოხსენება თბილისის სამაზრო ეროობის შუამდგომლობის გამო მანთაშევის სახლის ეროობის საჭიროებისათვის იძულებით ჩამორთმევის შესახებ.
5. გამგეობის მოხსენება დამფასებლის გასამრჯელოს შესახებ.
6. გამგეობის მოხსენება საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო გაწეულ ხარჯების დადასტურების შესახებ.

თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე სხდომას ხსნის საღამოს 9 საათზე.

1. ჟურნალის დამტკიცება.

ქალაქის მდივანი ვ. ხახანაშვილი კითხულობს საბჭოს 5 თებერვლის სხდომაზედ მიღებულ რეზოლიუციებს.

საბჭო უცვლელად ამტკიცებს 1920 წლის 5 თებერვლის სხდომის ჟურნალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. გამგეობის მოხსენება ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირების მე-10 მომატების შესახებ.

მოხსენებას აკეთებს ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიძეშვილი.

(ფინანსიურ განყოფილებიდგან, მოხსენება იხილე ჟურნალის ბოლოში).

ხმ. გვეჯესიანი გრ. ნება მიბოძეთ საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის სახელით განვაცხადო: ის, რაც მოგახსენათ ქალაქის მოურავმა იყო მიღებული გამგეობის და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის შეერთებულ სხდომაზე, შემდეგ კი საბიუჯეტო-საფინანსო კომისიამ იქონია მსჯელობა ცალკე გამგეობის წევრთა და ქალაქის მოურავის ჯამაგირებზე და დაადგინა: გამგეობის წევრებს მიეცეთ 8.000 და ქალაქის მოურავს 9.000 მანეთი თვეში ჯამაგირად.

ხმ. გოგსრთელი ივ. ამ მოხსენების შესახებ საკამათო არაფერია და არსებითად ს.-დ. ფრაქცია გამგეობის აზრს ეთანხმება. ჩემი ფრაქციის სახელით შემომაქვს შემდეგი წინადადება: მოემატოს ჯამაგირები ყველა იმ მუშა-მოსამსახურეთ, რომელნიც ღებულობდნენ დღემდის სამი ათას მანეთამდის—60%, ვინც სამი ათასზე ზევით ღებულობს, ამორჩეულ თუ მოწვეულ პირებს, მოემატოთ ისე, რომ არსებული განსვავება ჯამაგირებში დარჩეს. ფრაქცია ეთანხმება გამგეობის აზრს იმ რამოდენიმე თანამდებობის პირთა ჯამაგირების გადიდების შესახებ, რომლებზედაც უკანასკნელი შუამდგომლობს.

საბჭო ადგენს: მე-10 მომატება ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირებისა დადასტურებულ იქმნას. იმ მუშა-მოსამსახურეთ, რომელნიც ღებულობენ სამი ათას მანეთამდის,—ჯამაგირები გაუდიდდეთ 60%-ით; დანარჩენს, ვინც სამი ათას ერთ მანეთს და მეტს ღებულობს, როგორც მოწვეულ ისე ამორჩეულ პირებს, ჯამაგირები მოემატოს ისე, რომ დატოვებული იქმნას აბსოლიუტიური განსხვავება მაღალ და მის ხელქვევით მოსამსახურეთა ჯამაგირების შორის.

გაუდიდდეთ ჯამაგირები ხსენებულ მომატების ჩათვლით:

უბნის კომისრებს თითოს	4.000 მ.
მის თანაშემწეებს თითოს	3.400 მ.
ქალაქის სკოლების ინსპექტორებს თითოს . . .	6.000 მ.
ტრამვაისა და სასურს. განყოფ. ბუჰგალტერს თითოს .	6.000 მ.
მთავარ ბუჰგალტერის თანაშემწეს თითოს	6.000 მ.
ტრამვაის მონტიორებს კატეგორიების მიხედვით	4.600—5.100 მ.
ტრამვაის მოძრაობის უმფროსს	4.800 მ.
სასაკლაოს ზედამხედველს, როგორც ზედამხედველს და ტეხნიკის მოვალეობის ამსრულებელს . . .	5.300 მ.
ავჭალის წყალსადენის გამგის თანაშემწეს	5.300 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქის საავადმყოფოს ექიმებს გაუთანასწორდეთ ჯამაგირები სახაზინო რკინის გზის საავადმყოფოს ექიმების ჯამაგირთან.

ეს მომატება გავრცელდეს 1920 წლის 1 იანვრიდგან. (რეზოლიუციას ტაშის ცემით ხვდება ქანდარაზე მყოფი გარეშე საზოგადოება).

(იხილე საბჭოს სხდომის ჟურნალი 1920 წ. 23 თებერ. № 6).

ვ. გამგეობის მოხსენება არტისტიულ საზოგადოების თეატრის და მის შენობების იძულებით ჩამორთმევის შესახებ.

მოახსენებს ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი.

ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი. ბ. ბ., ამ საკითხზე თქვენ არსებითი წარმოდგენა შეგიძლიათ იქონიოთ იმ დასტამბულ მოხსენებიდან, რომელიც უკვე დაგირიგდათ (მოხსენება იხილე ჟურნალის ბოლოში). მე მინდა მხოლოდ ამ კითხვის ისტორიას შევეხო. როდესაც ჩვენ განვიზრახეთ ამ შენობის შეძენა, შევატყობინეთ შენობის პატრონს ბ. ხან-საგნახსკის და შეველაპარაკეთ მორიგებით საქმის დაბოლოებას. ბ. საგნახსკიმ დაგვიდვა 10 დღის ვადა, რომლის განმავლობაში მას უნდა ეცნობებინა ჩვენთვის თავის პირობები. ათი დღის მაგიერ გაიარა 20 დღემ და ბ. საგნახსკიმ არავითარი პასუხის მოცემა არ მოისურვა. ამის შემდეგ გამგეობა შეუდგა საქმეს. ხან-საგნახსკი მიხვდა რა, რომ საქმე სერიოზულ ხასიათს ღებულობდა, ამა წლის 25 იანვარს ჩემს სახელზე გამოგზავნა ბარათი, რომელშიაც მატყობინებდა თუ რა მიზეზით ვერ მოგვცა პასუხი აღთქმულ ვადაში და მთხოვდა 26 იანვრის საბჭოს სხდომის წესრიგიდგან მომეხსნა საკითხი მისი შენობის რეკვიზიციის შესახებ. მე მივეცი იმ დღესვე პასუხი, რომლითაც ვატყობინებდი, რომ გამგეობამ, თანახმათ ჩემი მოხსენებისა, დაადგინა მის შენობის იძულებით ჩამორთმევა და ეს დადგენილება უკვე გადაეცა საბჭოს პრეზიდიუმს და ამ კითხვის მოხსნა დღიურ წესრიგიდან ჩემს უფლებას აღემატება. ამის შემდეგ კიდევ მოვიდა ბ. საგნახსკის ბარათი, სადაც მატყობინებდა, რომ ის თანახმაა თეატრის შენობა იჯარით მისცეს ქალაქს ორასი ათას მანეთად წელიწადში. ამის შემდეგ მისმა რწმუნებულმა გედევანოვმა შემოიტანა განცხადება, რომელშიაც გვატყობინებდა, რომ 200.000 მანეთის გადახდა ქალაქის ბიუჯეტისათვის მძიმე იქმნება, ამიტომ თანახმაა ყველა იმ პირობებზე, რომელსაც ქალაქის გამგეობა თავისათვის ხელსაყრელად მიიჩნევს. ამ პირობის მიღება ჩვენთვის შეუძლებელი იქმნებოდა, თუ თვით საგნახსკი არ დაარღვევდა იმ ხელშეკრულებას, რომლითაც ის იყო დაკავშირებული ეხლანდელ მოიჯარადრესთან, ამის მოხერხება კი მან არ იკისრა.

ყველა ამ მოსაზრებით ჩვენ შემოვდივართ საბჭოში სათანადო დასტურის მისაღებად.

ხმ. მზარეულოვი ნ. მე არ ვამყარებ დიდ იმედებს მის შესახებ, რომ ჩემი აზრი ვისმეს დააჯერებს, მაგრამ მაინც მინდა მიგითითოთ ერთ-ერთ დომაზე, რომელსაც ქალაქის გამგეობა ამ საკითხში უშვებს, როგორც ქალაქის მესაკუთრეთა წარმომადგენელი მე მით უფრო ვალდებული ვარ ამ საკითხში გამგეობის საწინააღმდეგო აზრი დავიცვა. მთელი მოხსენება ქალაქის გამგეობისა მე მეჩვენება უსამართლოზე აშენებულ დასკვნათ. თუ თქვენ საქალაქო დებულების იმ ადგილს დაუკვირდებით, სადაც ჩამოთვლილია გამგეობის მოვალეობები, თქვენ შეამჩნევთ, რომ ერთი მოვლენანი შეადგენენ ქალაქის პირდაპირ აუცილებელ მოვალეობას, მეორენი-კი არა პირდაპირ მოვალეობას, არამედ მზრუნველობა-ზედამხედველობას. ქუჩების განათება და მოკირწყვლა, სანიტარია და სხვა—ყველა ეს ქალაქის აუცილებელ მოვალეობას შეადგენს. როგორიცაა განათლება, ეს მთავრობის ორგანოს განათლების სამინისტროს პირდაპირი მოვალეობა არის და ქალაქისათვის სავალდებულო არ არის. მაშასადამე, ქალაქი იძულებით ართმევს შენობას არა მოვალეობის განსახორციელებლად, კანონმდებელი კი ფიქრობს აუცილებელ საჭიროებაზედ. მე მესმის, რომ აქ იყოს ლაპარაკი ისეთ შემთხვევებზე, როგორც კარლინსკის სახლის სახლის საჭიროებაზე. კიდევ შეიძლებოდა ლაპარაკი იძულებით ჩამორთმევაზე, რომ ქალაქში სხვა თეატრები არ მოიპოვებოდნენ და ამ ერთ შენობაზე იყოს საქმე მიმდგარი. ჩვენი ქალაქი სავსეა ცნობილ არტისტებით და სად მოღვაწეობენ ისინი თუ არა სხვა და სხვა თეატრებში. ამ თეატრის შენობაში რა კეთდება, თუ არა ისევ ის საქმე, რაზედაც ზრუნვას აპირებს ქალაქის გამგეობა? შეიძლება იქ რაიმე უზნეობა ან და არა სასურველი საქმე კეთდებოდეს, მარა ამის ბოლოს მოღება შეიძლება იმ ადმინისტრატიული უფლებებით, რომელნიც თქვენ განკარგულებაშია. თუ თეატრი გჭირდებათ, მაშინ რა შუაშია მაღაზიები და ელექტრონის სადგური? მე ვფიქრობ, რომ ამ თეატრის საქმეს ქალაქი ჩაუდგეს სათავეში, ისევე წაახდენს და ვერ მოუვლის მას, როგორც მოხდა, მაგალითად, აბანოების შესახებ. ყველა ეს იურიდიული თვალსაზრისით. რაც შეეხება მიზანშეწონილების თვალსაზრისს, აქაც გლახათაა საქმე. დამფუძნებელი კრება, რომლისგანაც შემუშავებულია იძულებით ჩამორთმევის კანონი, იმ აზრისაა, რომ კერძო საკუთრებას ძაან ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ და თქვენი ნაბიჯი კი სრულიად ეწინააღმდეგება კანონმდებლის საერთო პრინციპს. (გ. კონიაშვილი, რამდენს იხდიდა დღემდის შესაფასებელ გადასახადს ქალაქის სასარგებლოდ?). თქვენ, ბ. ბ., ასეთ ნაბიჯებით იქამდინ მიიყვანთ საქმეს, რომ თბილისში აწ ვერავინ გაბედავს შენობის აგებას. ამიტომ, ჩემი ფიქრით, გამგეობის მოხსენება, როგორც ყოვლად უსამართლო უარყოფილი უნდა იქმნას.

ხმ. დეპუტატი თ. მზარეულოვმა იქიდგან დაიწყო, თუ ვინაა ის და აქედან ცხადჰყო წინდაწინვე მთელი შინაარსი თავის სიტყვისა. ის შეეხო

საკითხს დოგმატიური თვალსაზრისით, რომელიც შემუშავებულია მე-18 საუკუნეში და მხარი აუქცია იმ ცვლილებას, რომელიც შემდეგში მოხდა და ბევრგან დღეს ხდება თვით ბურჟუაზიულ სახელმწიფოებშიაც კი კერძო საკუთრების ინსტიტუტის შესახებ. მზარეულოვი ფიქრობს, რომ თეატრზე ზრუნვა არ შეადგენს ქალაქის მოვალეობასაო. ამ ქვეყანაზე არ უნდა სცხოვრობდე, რომ არ იცოდე, თუ რამდენად აფართოვებს თანამედროვე ხანა თვითმართველობის კომპეტენციებს და თეატრის შესახებ ზრუნვა უწინარეს ყოვლისა ვიდრე სახელმწიფოს ავალებს. ნუ თუ, ბ. მზარეულოვო, ქალაქის მზრუნველობის საგანს მხოლოდ ნავთი და პური უნდა შეადგენდეს? არა, ბ. მზარეულოვო, თუ ჩვენ გვინდა ვიზრუნოთ მოქალაქეებზე საზოგადოთ, მისი კულტურულად და ზნეობრივათ ამაღლებაც ჩვენს აუცილებელ მოვალეობას უნდა შეადგენდეს. ახლა გკითხავთ მე თქვენ—რამდენჯერ აიღო შენობის პატრონმა საგნახსკიმ დახარჯული თანხა და რამდენი ზედმეტი კიდევ ააძრო მან ხალხს ზურგზე? ამ მოსაზრებით სრულიად სამართლიანი იქმნებოდა, რომ მისთვის ჩამოგვერთმია შენობა სრულიად უსასყიდლოდ, როგორც მაღაზიები, ისე ელექტრონის სადგური ჩვენთვის საჭიროა და კიდეც უნდა ჩამოვართვათ. ამისთვის ჩვენი ფრაქცია გამგეობას დიდი სიამოვნებით უჭერს მხარს.

ხმ. გოთუა ვ. ჩვენ—ეროვნულ-დემოკრატები—ყოველთვის იმ აზრის ვიყავით და ვართ, რომ კერძო საკუთრება ეს ის ღერძია, რომელზედაც ტრიალებს კაცობრიობის კულტურულ-ეკონომიური კეთილდღეობა. მოსპეთ ეს ინსტიტუტი და გამეფდება ქაოსი და ანარქია. იძულებით ჩამორთმევა ყოველთვის არსებობდა და ყოველთვის კერძომ საზოგადოს წინაშე თავი უნდა მოიხაროს. როცა ანალოგიურ საკითხს ვარჩევდით ამ დარბაზში კარლინსკის სახლის შესახებ მე გამოვსთქვი ის აზრი, რომ ასეთ მოვლენას ძაან ფრთხილად უნდა ვეკიდებოდეთ, ბატონი ღლონტი კი მაშინაც და ეხლაც ასეთ მოვლენების სისტემათ გადაქცევას გვირჩევდა. არა, ბატონებო, ასეთ კითხვებს ძაან ფრთხილად მოპყრობა ესაჭიროება. რაც შეეხება კონკრეტიულ კითხვას აქ ჩვენი გამგეობა ძაან ფრთხილად და წინდახედულად მოიქცა. ჩვენი ხელოვნება განსაცდელშია, ჩვენი მსახიობები უბინაოთ დადიან და ჩვენ წმინდა მოვალეობას უნდა შეადგენდეს მათი ბინის მონახვა. ჩვენ მომხრე ვართ არტისტიული თეატრის შენობის იძულებით ჩამორთმევის, მხოლოდ ვერ დავეთანხმებით გამგეობას გამოსასყიდელ თანხის რაოდენობაში. ეს, ჩვენი აზრით, აუცილებლათ შეთანხეებით უნდა მოხდეს. უნდა იქნას ამორჩეული განსაკუთრებული კომისია, რომელიც გამოიკვლევს შეფასების სამართლიან რაოდენობას.

ხმ. ახმეტელი ალ. თუ რამდენად სამართლიანია გამგეობის დადგენილება, ამას თვით სასამართლო დაადგენს, მე კი მინდა თქვენი ყურადღება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვაზე მივაქციო. მე ხელთა მაქვს გამგეობის მოხსენება და შიგ ერთ-ერთ-მეს ვერ ვპოულობ, სახელდობრ იმას, რომ არაფერი არ არის ნათქვამი დეკორაციების, ავეჯის, გარდერობის და სხვა სათეატრო ქონების შესახებ, ურომლისოდაც შენობის ჩამორთმევას არავითარი აზრი არ ექმნებოდა.

ხმ. ელიავა ნ. იძულებით ჩამორთმევის უფლებას რომ კანონი გვაძლევს, ეს ახალი მოვლენა არ არის, ამაზე არც არავინ მსჯელობს. აქ ამბობენ მხოლოდ სიფრთხილით ამ საქმის მოპყრობაზე. მე კი მგონია, რომ დღევანდელი კურსი ჩვენი ცხოვრებისა თვით გვიკარნახებს ამ სიფრთხილეს და მას ჩვენ ანგარიშს უწევთ. ბ. მზარეულოვმა სრულიად აურ-დაურია საქალაქო დებულებაში გამოთქმული კანონმდებლობის აზრი. თუ გადვიკითხავთ გულდასმით იმ ადგილს, სადაც ქალაქის კომპეტენციებზედ ლაპარაკია, თქვენ შენიშნავთ, რომ ის სრულებით არა ჰყოფს ქალაქის მოვალეობას სავალდებულო და არა სავალდებულოთ. აქ ტერმინები არის ნახმარი ყველგან ერთ და იმავე აზრით. ეს, როგორც გამოცდილ ვექილს ბ. მზარეულოვსაც კარგათ მოეხსენება. ამის მიზეზი ის არის, რომ ახალმა კანონმდებლობამ მექანიკურად გადმოიღო ძველი კანონმდებლობის შეუფერებელი ტერმინოლოგია. იძულებით ჩამორთმევისათვის აუცილებელ პირობათ ჩვენი კანონმდებლობა სთვლის მიზანს, ქონების მის ტერიტორიაზედ არსებობას და მთავრობის დასტურს. პირველი ორის არსებობაზეა დამოკიდებული უკანასკნელი—მთავრობის დასტურიც. აქედგან ცხადია, რომ ჩვენ იურიდიული უფლება გვაქვს ამ შენობის იძულებით ჩამორთმევისა. აქ იყო კიდევ ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჩვენ თუ თეატრის შენობა გვინდა, რაღა შუაშია მაღაზიები და ელექტრონის სადგური. ჩვენ ვიცით, ბატონებო, რომ თეატრი, მაღაზიები და სხვა ყველა ეს ერთი მთელი და განუყოფელი ობიექტია. საფრანგეთში, ამერიკაში და სხვაგან მართლაც არსებობენ ისეთი სახლები, როცა ერთი სართული—ერთს ეკუთვნის, მეორე—მეორეს და სხვა; მარა ჩვენი ცხოვრებისათვის ეს ჯერ კიდევ უცხო ხილია. ამასაც რომ თავი გავანებოთ, ძაან უხერხული იქმნება, ერთ მთლიან შენობაში ჩვენთან ერთად კიდევ სხვა ვინმე მესაკუთრეობდეს. შეიძლება ეს შესაძლებელი იყოს კერძო პირებისათვის, ქალაქისთვის კი ყოვლად მიუღებელია. ჩვენ არ ვეთანხმებით ბ. გოთუას ფასის შესახებ. როგორც მოგახსენეთ აქ, ბ. ხან-საგნახსკის ვადა ჰქონდა მიცემული, რომლითაც მან არ ისარგებლა და თავის დროზე არ მოახდინა ხელ-ახალი შეფასება თავის მამულისა, რაც შეეხება თანხის რაოდენობას, ეს კი შესაძლებელია გავადიდოთ და მომხრენიც ვიქნებით ამ მხრივ შეთანხმებისა. რაც შეეხება ბ. ახმეტელის განცხადებას ავეჯის, გარდერობის და სხვათა შესახებ, ამაზე კანონი არას ამბობს და ჩვენც იძულებით მისი ჩამორთმევა არ შეგვიძლია. ამ შემთხვევაში დაგვრჩენია ერთად ერთი გზა შეთანხმებისა.

ხმ. მზარეულიშვილი ნ. ღლონტი თავის სოფლმხედველობის თანახმად მართალს ლაპარაკობს, მარა როცა იძულებით ჩამორთმევაზე ლაპარაკობს, და ამის დასაბუთება სურს დასავლეთ ევროპის მაგალითებით, უკეთესი იქმნებოდა დასავლეთის მაგიერ ჩრდილოეთი მოსკოვის სახით მოეგონებინა, ეს უფრო თვალცხადი მაგალითი იქმნებოდა. ჩემს სიტყვას მან დოგმატიკა უწოდა. მერე რა გნებავთ ამით ბრძანოთ? თუ არსებობს კანონი, მას ახსნა-განმარტება და სწორედ გაგება უნდა. აქ ვერც ერთმა ვერ დაამტკიცა მაღაზიების და სხვა შენობების იძულებით ჩამორთმევის აუცილებლობა, თუმცა ამას ძაან შეეცადნენ. ჩემი ფიქრით, როცა ქალაქის ცარიელ კასისათვის ყოველ კაპიკს ამ ჟამად დიდი მნიშვნელობა აქვს, ასეთ ხარჯების გაღება უაზრობა იქმნებოდა.

ხმ. გომართელი ივ. ჩვენ, როგორც მოგახსენეთ, მომხრენი ვართ იძულებით ჩამორთმევის, ხოლო რაც შეეხება სასყიდელს—ამაზე მოხდეს შეთანხმება. თუ შეთანხმება არ მოხდება—მიეცეს შეფასების მიხედვით, თუ შეფასება მოხდება—მიეცეს გამგეობას უფლება ამ მამულში გაიღოს ფასი 10-ჯერ გადიდებულ შეფასების საზღვრებში.

საბჭო ადგენს: საქალაქო დებულების მეორე მუხლის მე-7 და 8 პუნკტში აღნიშნულ ქალაქის თვითმართველობის მოვალეობის განსახორციელებლად საქართველოს დამფუძნებელ კრების მიერ 1919 წ. 11 ივლისს მიღებულ კანონის ძალით, იძულებით ჩამოერთვას ქალაქ თბილისის მე-2 კომისარიატში, რუსთაველის (ყოფილ გოლოვინის) პროსპექტზედ № 21 მდებარე მამული, რომელიც ჩაწერილია ქალაქის წიგნებში 92-№-ით და ეკუთვნის (კით ბოგდანის ძე ავან-იუზბაშევ-ხან-საგნახსკის, შემდეგ საზღვრები: ჩრდილოეთით—მიხეილ ოსიპის ძე არამიანცის, იასია არზუმანის ძე ტიუნიბეკოვის, მატრონა ილიას ასული ივანოვისა და ალექსანდრე მურადოვის მამული და ეფრეიტორის ჩიხი; სამხრეთით—მარგარიტა მიხეილის ასული აბიანცის და სამხედრო სამნეო უწყების მამული; დასავლეთით—რუსთაველის (ყოფილი გოლოვინის) პროსპექტი, მიწა, სივრცით 1277 საჟენი (ქალაქის წიგნების ჩვენებით) ან რამდენიც აღმოჩნდება ზემოთ ხსენებულ საზღვრებში, ყველა ამ მიწაზე აგებული შენობებით. ამ მამულის პატრონი დაკმაყოფილებულ იქმნას 1919 წლის 11 ივლისის კანონის მე-7 მუხ. თანახმათ, ე. ი. უკანასკნელი შეფასების მიხედვით, რომელიც უდრის სამას ოთხმოცდა ჩვიდმეტ ათას ორას ორმოცდა თოთხმეტ (397.254) მანეთს.

თუ ამ მამულის პატრონი ბ. ავან-იუზბაშევ-ხან-საგნახსკი ერთი კვირის განმავლობაში თანხმობას განაცხადებს ხსენებულ მამულის ნებაყოფლობით გადმოცემაზე, ნება მიეცეს ქალაქის გამგეობას მისცეს ამ მამულში ფასი უკანასკნელ შეფასების ათჯერ გადიდებული თანხის საზღვრებში.

4. გამგეობის მოხსენება თბილისის სამაზრო ერობის შუამდგომლობის გამო მანთაშევის სახლის ერობის საჭიროებისათვის იძულებით ჩამორთმევის შესახებ.

ხმ. ელიავა ნ. საკითხი ჩვენის აზრით უნდა გადაეცეს იურიდიული კომისიას.

საბჭო ადგენს: საკითხი თბილისის სამაზრო ერობის საჭიროებისათვის მანთაშევის შენობის (რუსთაველის პრ. № 6) იძულებით ჩამორთმევის შესახებ გადაეცეს იურიდიული კომისიას დასასკვნელად.

5. გამგეობის მოხსენება დამფასებლის გასამრჯელოს შესახებ.

მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი გ. შოთაძე.
(ფინანსიურ განყოფილებიდგან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. მიეცეს ათი მანეთი თითო შემფასებელს თვითეულ შეფასებაში ხუთ ოთახამდის, თვითეულ ოთახის შეფასებაში ხუთ ოთახზე ზევით ორი მანეთი თითოს. გაუშენებელ მამულის შეფასებაში ხუთი მანეთი თითოს. ამავე დროს დარჩეს 27 ნოემბრის დადგენილება 50%-ის შეფასების უწყების შედგენისათვის სასყიდელზედ, ამ წესით მიეცეს დამფასებლებს სასყიდელი 14 ივლისიდან 1 იანვრამდის, ხოლო 1 იანვრიდგან გავრცელებულ იქმნას, როგორც მათ ჯამაგირზედ, აგრეთვე უწყების შედგენისათვის სასყიდელზედ—60%.

6. გამგეობის მოხსენება საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო გაწეულ ხარჯების დადასტურების შესახებ.

მოხსენებას აკეთებს ქალაქის მდივანი ვ. ხახანაშვილი.

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო გაწეულ ხარჯების დასაფარავად გადადებულ იქმნას სამოცდა თექვსმეტი ათას ცხრაას ორი მანეთი 40 კაპ. (76.902 მ. 40 კ.).

სხდომა დაიხურა ღამის 11 საათზედ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალაქ თბილისის საბჭოს 1920 წ. 23 თებერვლის სხდომის

ჟურნალი

თავმჯდომარეობდა ალ. ლომთათიძე.

დაესწრნენ ხმოსნები: აუშტროვი რ., აბდუშელიშვილი შ., ახმეტელი ალ., ავაქოვი ი., ბალიაშვილი, ბესელიძე ი., ბურჯანაძე ვ., გველესიანი გრ., გოგუა კალ., გომელაური ი., გოგლიძე მ., გუნცაძე ირ., გოთუა პ., დიდიძე ერ., ვადაჩკორია ს., ვაჩნაძე დ., ვეფხვაძე მ., თალაქვაძე ნ., თევზაძე, ირემაშვილი, კალანდაძე დ., კიკვაძე, კოვალიოვი, კონიევი, ლომთათიძე ალ., ლორია, მაჭავარიანი, მზარეულოვი, მიკირტუმოვი, პაპავა ა., ჟორჟოლიანი, ჟღენტი, რამიშვილი ირ., რუხაძე არ., საგირაშვილი, სულუხია, სირბილაძე, ტოროშელიძე, ფირცხალაიშვილი ი., ფანიევი კ., შევჩუქი, შოთაძე, ჩადუნელი დ., ჩიჩუა ზ., ჩხიკვიშვილი ბ., წვერავა ნ. ჭიჭინაძე, ხარაიშვილი, ხახანაშვილი ვ., ხუნდაძე სვ., ჯაჯანაშვილი არჩ.

ქალაქის მდივანი ვ. ხახანაშვილი.

საბჭომ განიხილა:

1. ჟურნალის დამტკიცება.
2. საბჭოს თავმჯდომარის და მისი ამხანაგის არჩევნები.
3. ქალაქის მოურავის ცნობა გორის და მისი მიდამოების მიწის ძვრისაგან დაზარალების შესახებ.
4. შინაგან საქმეთა მინისტრის შეკითხვა თბილისიდან ზედმეტ მცხოვრებთა გადასახლების დეკრეტის გაუქმების შესახებ.
5. გამგეობის მოხსენება მუსულმანურ სკოლების სასელწოდების შეცვლის შესახებ.
6. გამგეობის მოხსენება აბანოებში საბანაო ფასების გადიდების შესახებ.
7. ხმ. მზარეულოვის შეკითხვა მეეზოვეთა ინსტიტუტის გაუქმების შესახებ.
8. გამგეობის მოხსენება საძოვარი მიწების ექსპლოატაციის შესახებ.
9. გამგეობის მოხსენება შრომის და სოციალურ დახმარების სპეციალურ თანხიდან 50.000 მანეთის დახარჯვის ნებართვის შესახებ, სხვა და სხვა ორგანიზაციების თავშესაფარში მოთავსებულ ბავშვების შესანახად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე საბჭოს სხდომას ხსნის საღამოს 9 საათსა და 35 წუთზედ.

1. ჟურნალის დამტკიცება.

ქალაქის მდივანი ვ. ხახანაშვილი კითხულობს წინა სხდომაზედ მიღებულ რეზოლიუციებს.

ხმ. ჩადუნელი დ. საბჭოს სხდომის ჟურნალის ის ნაწილი, რომელიც ეხება ჯამაგირის მომატებას, ჟურნალში სწორეთ არის აღნიშნული, მაგრამ თხოულობს განმარტებას. მე ვფიქრობ შეტანილი იქმნას შემდეგი დამატება: ვინც ჯამაგირს სამი ათას მანეთამდის იღებს მოემატოს 60% ხოლო ვინც სამი ათას ერთს და მეტს ღებულობს მოემატოს ყველას თანაბრათ 1800 მან. (ათას რვაასი მანეთი). და თუ ეს რაიმე გაუგებრობას გამოიწვევს მიეცეს გამგეობას უფლება გაუგებრობის და შეუთანხმებლობის შესწორებისა, იმ პირობით, რომ ყველა ეს შესწორებანი ხელმეორეთ მოხსენდეს ქალაქის საბჭოს. გარდა ამისა, საჭიროთ მიმაჩნია აღინიშნოს ჟურნალში, რომ მეათე მომატება გავრცელდება მხოლოდ იმ პირებზედ, ვინც სამსახურში ირიცხება ამ დადგენილების გამოტანის დღეს.

საბჭო ადგენს: 1920 წლის 9 თებერვლის სხდომის ჟურნალი დამტკიცებულ იქმნას შემდეგის დამატებით იმ ნაწილში, რომელიც ეხება მეათე მომატებას: ვინც სამი ათას მანეთზედ მეტს იღებს მოემატოს ყველას ერთნაირათ თითოს ათას რვაასი მანეთი და თუ ესეთი მომატება გამოიწვევს რაიმე შეუსაბამოებას, მიეცეს ქალაქის გამგეობას უფლება ჯეროვანი შესწორების შეტანისა, იმ პირობით კი რომ ეს შესწორებანი შემდეგ მოხსენდეს საბჭოს.

საბჭოს დადგენილება მეათე მომატების შესახებ გავრცელდეს მხოლოდ იმ პირებზედ, რომელნიც სამსახურში ირიცხებოდნენ საბჭოს მიერ დადგენილების გამოტანის დღეს.

2. საბჭოს თავმჯდომარის და მისი ამხანაგის არჩევნები.

თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე—მორიგ კითხვათ სდგას თავმჯდომარის და მისი ამხანაგის არჩევნები. ამიტომ გთხოვთ დაასახელოთ დროებით თავმჯდომარე, რომელიც კრებას გაუძღვება ამ საკითხის გარჩევის დროს.

ხმ. ჩადუნელი დ. პარმენ ჭიჭინაძე.

საბჭო დროებით თავმჯდომარეთ პ. ჭიჭინაძეს ირჩევს.

ალექსანდრე ლომთათიძე სტოვებს თავმჯდომარის ადგილს და გადის დარბაზიდგან. პარმენ ჭიჭინაძე მის ალაგს იჭერს.

ხმ. ჯაჯანაშვილი არჩ. (ს.-ფ.) თავმჯდომარის ამხანაგის ადგილი ჩვენ ფრაქციის წევრს გრ. გველესიანს ეჭირა, მარა ვინაიდგან მას, როგორც სენატორს, და ისიც ადმინისტრატიულ განყოფილების წევრს, უფლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა აქვს საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგობის, ამიტომ ჩვენ ალექსანდრე მდივანს ვასახელებთ.

ხმ. გოთუა ბ. (ნ.-დ.) ჩვენი ფრაქცია როგორც ერთს ისე მეორეს მხარს დაუჭერს.

ხმ. ჩადუნელი დ. (ს.-დ.) ჩვენი ფრაქცია ალ. მდივანის კანდიდატურას მხარს უჭერს.

ხმ. წვერავა ნ. იქნებ შეიძლება ღია კენჭის ყრით ავირჩიოთ, რადგანაც წინააღმდეგი არავინაა.

ქალაქის მდივანი ვ. ხასანაშვილი. ფარული კენჭის ყრით უნდა ირჩეოდეს გამგეობა, ხოლო თავმჯდომარის და მის ამხანაგის შესახებ საქალაქო დებულება არას ამბობს.

საბჭო ერთხმად ირჩევს ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ ალექსანდრე სპირიდონის ძე ლომთათიძეს და მის ამხანაგად ალექსანდრე ბესარიონის ძე მდივანს.

დარბაზში შემოდის ალ. ლომთათიძე, რომელსაც საბჭო ტაშისცემით ხვდება.

3. ქალაქის მოურავის ცნობა გორის და მისი მიდამოების მიწის ძვრისაგან დაზარალების შესახებ.

ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიძეშვილი. ყველას მოგეხსენებათ რა უბედურება დაატყდა გორს და მის გარშემო სოფლებს 20 თებერვალს მომხდარ მიწის ძვრით. ათასობით და ათი ათასობით — უბინაონი, მშიერ-მწყურვალნი, ტიტველ-შიშველნი დარჩნენ ქუჩაში ამ ცივს და სუსხიან ზამთარში. დახმარება სწრაფად უნდა აღმოეჩინოს როგორც მთავრობას ისე საზოგადო ორგანიზაციებს. მაშინათვე შესდგა მთავრობის კომისია იუსტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით და მეორე დამფუძნებელ კრების კომისია პრეზიდიუმის მეთაურობით, რომელნიც მაშინათვე გაემგზავრნენ და ადგილობრივ დაათვალიერეს და გაითვალისწინეს ზარალი. ჩვენ შევადგინეთ პატარა სანიტარული რაზმი და მაშინათვე გავგზავნეთ გორში, რომელმაც პირველი დახმარება აღმოუჩინა დაზარალებულ მცხოვრებთ. შემდეგ ყოველ დღიურათ იგზავნება ჩვენი სასურსათო განყოფილებიდგან დღეში 600 ფუთი გამომცხვარი პური. დღემდის გაგზავნილია 1.800 ფუთი. გავგზავნეთ აგრეთვე რამდენიმე ვაგონი შეშა.

მთავრობის კომისიაში, იუსტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით, მოწვეულნი არიან სხვა და სხვა უწყების წარმომადგენელნი და ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელი. ყოველგვარი შემოწირულება გროვდება ამ კომისიაში და ეს კომისია ანაწილებს შეწირულებას იმ პირთა შორის, ვისაც დახმარება ესაჭიროებათ. არის მეორე კომისია ივანე გომართელის მეთაურობით, საქველმოქმედო, რომელიც მიიღებს ყოველგვარ შეწირულებას მთელი რესპუბლიკის ტერიტორიაზედ. ეს კომისია,

ექვს გარეშეა, თვითონ ვერ შესძლებს შემოწირულების მიღებას, და მა-
შასადამე, ადგილობრივ მას უნდა ჰყავდეს დამხმარე კომისიები. ეს ეს
კომისიები ადგილობრივ უნდა შეადგინონ ქალაქის და ერობის თვითმარ-
თველობებმა და იმუშავონ იმ კომისიის ხელმძღვანელობით, რომელსაც
მეთაურობს ხმოსანი გომართელი. თბილისის ქალაქის თვითმართველობა-
მაც უნდა შექმნას ასეთი კომისია და ეს საბჭოს საქმეა. ეს კომისია უნდა
შესდგებოდეს საბჭოს წარმომადგენელთაგან, პროფესიონალურ კავშირთა,
ვაჭარ-მრეწველთა და სხვა ადგილობრივ ორგანიზაციების წარმომადგენელ-
თაგან. მათი მოვალეობა იქნება შეწირულების შეგროვება ადგილობრივ.
ყველა შეწირულებანი, ფულით იქმნება ეს თუ ნივთებით, ამ კომისიამ
უნდა გადასცეს მთავარ საქველმოქმედო კომისიას. საზოგადო ზომებათ
განზრახულია: ერთდღიური ჯამაგირი ყველა მუშა-მოსამსახურეთაგან,
ერთდღიური მთელი შემოსავალი თეატრებისა, პროექტორების, ცირკე-
ბისა და სხვა გასართობ ადგილებიდგან. ფულის შეგროვება ყულაბებით
ქუჩებში და ნივთების შეგროვება მთელს ქალაქში.

ყველა ხსენებულ ზომების გარდა ქალაქმა მიუხედავად მეტად გა-
ჭირვებულ ფინანსიურ მდგომარეობისა უნდა გაიღოს ფულით დახმარე-
ბაც. გამგეობა ფიქრობს დახმარებათ ქალაქის სალაროდგან გაიღოს ორ
მილიონ მანეთამდის.

დღევანდლამდის პურის სახით მივეცით 1.400.000 მან. ამას გარდა
თბილისში ჩამოყვანილნი დაჭრილ-დასახიჩრებულნი მოვათავსეთ ჩვენს
საავადმყოფოებში და უფასოთ ვწამლობთ მათ. ამ ავადმყოფებზედ გა-
წეულ ხარჯებს ჩვენ არ ვანგარიშობთ დახმარების თანხაში.

ხმ. არ. ჯაჯანაშვილი. რასაკვირველია, ის ნაწილი, რომელიც უნდა
გაიღოს ქ. თბილისმა ადიდი ვერ იქმნება, მაგრამ თბილისის მცხოვრებ-
ლებს ბევრის გაღება შეუძლიანთ. თუ ქალაქის კომისია ამოძრავდება
თბილისში მილიონების შეგროვება შეიძლება. კერძო და საზოგადოებრივ
თაოსნობას ხელი უნდა შეუწყოს როგორც მთავარმა კომიტეტმა, ისე
თბილისის კომისიამ. მაგრამ თვით შეწირულების მოგროვების საქმეში
არევ-დარევა არ უნდა მოხდეს. ფუნქციები სწორედ და მიზანშეწონილათ
თუ განაწილდება, თბილისს მართლაც შეეძლება დიდი და რეალური და-
ხმარება აღმოუჩინოს დაზარალებულებს.

ხმ. ნ. წვერაჯ. მიუღებლად მიაჩნია, რომ მთელს თბილისში ერთმა
კომისიამ მოაგროვოს შეწირულებანი. იგი აღნიშნავს, რომ სავაჭრო პა-
ლატაში ვაჭარ-მრეწველთაგან უკვე შესდგა კომისია, რომელიც ფულის
შეგროვების საქმეს უკვე შეუდგა. მაგრამ არც ის მიაჩნია შესაძლებლად,
რომ სხვა და სხვა კომისიებმა ცალ-ცალკე იმუშაონ დამოუკიდებლად.
ხმოსანის აზრით საჭიროა ყველა კომისიების შეთანხმებული მოქმედება,
ისე კი რომ კერძო თაოსნობა არ იყოს ჩაკლული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმ. ჯიჯინაძე ბ. მთავარი საქველმოქმედო კომისია ამუშავებს საზოგადო ხასიათის დირეკტივებს და მისი მოქმედება არ განისაზღვრება [illegible] პუბლიკის ფარგლებით. მას შეუძლია მოქმედება გადიტანოს მეზობელ და სხვა სახელმწიფოშიც. ეს მთავარი კომისია შეიმუშავებს შეწირულების საზოგადო ფორმებს, ხოლო მისი დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება დაევალება ადგილობრივ თვითმართველობათ. ცალკე ორგანიზაციების და კომისიების არსებობა შესაძლებელ გახდის ბოროტმოქმედების ჩადენას. ამიტომ ყველა ორგანიზაციებმა ერთად, შეთანხმებით, უნდა იმუშაონ.

საბჭო ადგენს: გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ გადაიდოს ქალაქის სალაროდგან ორი მილიონი მანეთი, არჩეულ იქმნას კომისია 6 კაცისაგან შემდგარი ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით, რომელსაც ევალება შემოწირულებათა (ფულით, ნივთებით, სურსათ-სანოვაგით და სხვ.) შეგროვების მოწყობა იმ ფორმით და სახით, რომელიც ნაკარნახევი იქნება ცენტრალურ დამხმარე კომისიის მიერ და ამ უკანასკნელს გადასცემს ყოველგვარ შეწირულებას. კომისიაში არჩეულ იქმნენ: ვ. ხახანაშვილი, დ. კალანდაძე, დ. ვაჩნაძე და თ. კიკვაძე.

4. შინაგან საქმეთა მინისტრის შეკითხვა თბილისიდან ზედმეტ მცხოვრებთა გადასახლების დეკრეტის გაუქმების შესახებ.

მოხსენებას აკეთებს ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიძეშვილი.

ხმ. მზარეულიშვილი ნ. ჩემი ფიქრით სრულიად სამართლიან გზას დასდგომია ჩვენი გამგეობა, როცა ამ დეკრეტის გაუქმებაზე ზრუნვას შესდგომია. ამ დეკრეტმა იმის გარდა, რომ მიზანს ვერ მიაღწია, ბევრი ზიანიც მოგვიტანა. უპირველეს ყოვლისა სრულიად შეაჩერა მომრიგებელი მართლმსაჯულება. თქვენ იცით, რომ ჩვენი ქალაქის მომრიგებელ მოსამართლეთა შემადგენლობის ნახევარი ამ გადასახლების კომისიებში იყო დაბანდებული და თავის პირდაპირი მოვალეობას ვეღარ ასრულებდა. ამის გარდა, უნდა მივიღოთ მხედველობაში ის პანიკური ლტოლვა თბილისაკენ, რომელიც გამოიწვია გორის მაზრაში მომხდარმა სტიქიურმა კატასტროფამ. რომ ამ უბედურ და გასაწყლებულ ხალხს შეძლება ჰქონდეთ პირველ ხანებში მაინც თავისუფლად შეაფარონ თავი, დაუბრკოლებლად უნდა შეეძლოთ აქ შემოსვლა. ეს უკანასკნელი მოსაზრება ზედმეტად გვიკარნახებს დეკრეტის გაუქმების საჭიროებას.

ხმ. ვაჩნაძე დ. ამ საკითხზე მე მქონდა შემთხვევა ჩემი აზრი უკვე გამომეთქვა. დღეს უკვე შეურიგდი იმას, რომ ჩემი შიში გამართლდა და მიზანს ვერ მივაღწიეთ. ამას წინათ მე დავსვი კითხვა, არის თუ არა დახურული ჩვენი საზღვრები. მე კიდევ მეშინია, ბ. ბ., რომ ამ დეკრეტის გაუქმებამ არ გაათამამოს ჩვენი მეზობლები (რომელ მეზობლებზედაც მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსენებთ ის თქვენ იცით) და ქალაქი კვლავ არ გაივსოს უსაქმოთ მოხეტიალე მუქთა მჭამლებით. ამიტომ მე მინდა მხოლოდ ვიცოდე, ო�ა ამ დეკრეტს ვაუქმებთ, საზღვრები არის თუ არა დაკეტილი?

ხმ. ჯიჯინაძე ბ. ვაჩნაძის საპასუხოდ უნდა განვაცხადო, რომ საზღვრები დაკეტილია და ნებადაურთველად იქიდან ვერავინ შემოვა. რაც შეეხება გორის მაზრიდან შემოსულ ლტოლვილებს უნდა მოგახსენოთ რომ ყველა მათგანს, რომელიც ადგელიდან მიდის სადმე, სათანადო ბარათი ეძლევა. ასე რომ ლტოლვილის სახითაც გარეშენი ვერ შესძლებენ შემოსვლას.

საბჭო ადგენს: აღძრული იქმნას შუამდგომლობა სათანადო მთავრობის წინაშე, რათა დეკრეტი თფილისიდან ზედმეტ მცხოვრებთა გადასახლების შესახებ გაუქმებულ იქმნას. ვის შესახებაც დღემდის საუბნო გადამსახლებელ კომისიებს აქვთ დადგენილი გადასახლება,ან და უკვე გადასახლებულნი არიან, დადგენილება ძალაში დარჩეს.

ბ. გამგეობის მოხსენება მუსულმანურ სკოლების სახელწოდების შეცვლის შესახებ.

მოხსენებას აკეთებს ქალაქის მოურავის ამხანაგი გ. კონიაშვილი. (სასკოლო განყოფილებიდან. მოხსენება იხილე ჟურნალის ბოლოში).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. ხარფუხის მე-2 სკოლას ეწოდოს „საადის“ და ვერის მე-6 სკოლას „საბირის“ სახელები.

6. გამგეობის მოხსენება აბანოებში საბანაო ფასების გადიდების შესახებ.

მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი. (პირველი განყოფილებიდან).

ხმ. გველესიანი გრ. თუმცა აბანოებით სარგებლობის ფასების გადიდება სასურველი არ არის, მარა დღევანდელ პირობებში მას უნდა შეურიგდეთ. საბიუჯეტო-საფინანსო კომისიამ იქონია მსჯელობა ამ საკითხზე და დაადგინა ერთგვარი კორრეკტივის შეტანა გამგეობის დადგენილებაში. დღეს ჩვენ გვაქვს ერთი უფასო აბანო, სასურველი იყო ერთი უფასო აბანო კიდევ დაგვეარსებია. ამ შემთხვევაში ჩვენ არ უნდა გამოვდიოდეთ მოგების მოსაზრებიდან, ვინაიდან აბანოებს კომერციულ ხასიათს ვერ მივსცემთ.

ხმ. ჩადუნელი დ. არსებითად ხმ. გველესიანის სურვილი მისაღებია მარა ტეხნიკურად სრულიად გამოუსადეგარი. რომ ჩვენი აბანოები სხვა და სხვა უბნებში იყოს, ეს მოსახერხებელი იქმნებოდა, მარა ვინაიდან

ყველა აბანოები ერთ პატარა რაიონშია მოთავსებული, რამდენიმე უფასო აბანოების დაარსებას მნიშვნელობა არ ექმნება.

ხმ. მზარეულოვი ნ. მე წინააღმდეგი ვარ ცალკე უფასო აბანოს დაარსებისა. ჩვენ ვიცით, რომ აბანოები მხოლოდ 16 საათს მუშაობენ, დანარჩენი დრო კი წყალი სრულიად ტყუილად და უსარგებლოდ იკარგება. ჩემი ფიქრით უფრო სასარგებლო და მიზანშეწონილი იქმნებოდა, რომ უფასოთ ბანაობა გვეწარმოვებინა თავისუფალ დროს და ფასები აბანოებით სარგებლობისათვის არ გაგვედიდებინა სრულიად.

გამგეობის წევრი მაჭავარიანი გ. დღეს ჩვენ აბანოებში ორი რიგი (სმენა) მუშაობს, მესამეც რომ მიუმატოთ, ეს ახალ შტატს მოსამსახურეებისას და ზედმეტ გასავალს მოითხოვს, ამიტომ მიუღებელია ბ. მზარეულოვის წინადადება. რაც შეეხება ბ. გველესიანის აზრს, უნდა მოგახსენოთ, რომ საქმის ფაქტიური მდგომარეობა სრულებით არ მოითხოვს მეორე უფასო აბანოს. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ მედიკო-სანიტარულ ინსპეკტორის საშვალებით ფართეთ გაუწყეთ საზოგადოებას უფასო აბანოს არსებობა, მაინც მუქთა აბანოთ სარგებლობის მსურველი ცოტა არის. თუ ფასიან აბანოში მოსიარულეთა რიცხვი უდრის დღეში 120 კაცს, უფასოში ეს რიცხვი ძლივს-ძლივობით 80-დი ადის. ამის მიზეზი ალბათ პსიხოლოგიურ მოტივებში უნდა ვეძიოთ. მაშასადამე, ზედმეტია ლაპარაკი ახალ უფასო აბანოს დაარსებაზე, როცა არსებულიც თითქმის ცარიელია.

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნს და დაწესდეს ფასები ქალაქის აბანოებში საერთო განყოფილებაში: ბავშვებისათვის — 5 მ., დიდებისათვის — 10 მ., ტარო ერთი პორცია — 15 მ., ტარო ნომრებში — 20 მ. და ზეწარი — 8 მ. ნომრები საათში: I აბანოში. № 1 — 36 მ., №№ 2, 3, 4, 5 და 6 — 25 მ.; II აბანოში. №№ 1, 2, 3, 4 და 5 — 30 მ., № 6 — 24 მ.; III აბანოში. №№ 1 და 2 — 25 მ.; IV აბანოში. №№ 1, 2, 3, 4 და 5 — 30 მ., № 6 — 24 მ.; V აბანოში. №№ 1 და 2 — 30 მ., №№ 3 და 4 — 24 მ.; VI აბანოში. №№ 1, 2, 3 და 4 — 30 მ. ეს ტარიფი ძალაში შევიდეს ჟურნალის დამტკიცებამდის.

7. ხმ. მზარეულოვის შეკითხვა მეეზოვეთა ინსტიტუტის გაუქმების შესახებ.

თავმჯდომარე. შემოსულია ბ. ბ., განცხადება ხმ. ბ. მზარეულოვისა. თანახმად რეგლამენტისა შეკითხვები მოხსენდება საბჭოს 11 საათზე, ამიტომ ნება მიბოძეთ მოგახსენოთ.

ფომთაძე ალ. (კითხულობს) „თბილისის ქალაქის საბჭოს. ვინაიდან სატარიფო პალატის მიერ მეეზოვეთა ჯამაგირები გადიდებულია 1300 მანეთამდის თვეში და ეს თანხა, ცხადია, მოკლე ხანში გაიზრდება, არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ არა დრო, რომ ის სახლის პატრონები, რომელთაც 10.000 მანეთი წლიური შემოსავალი აქვთ, იქმნან განთავისუფლებულნი მეეზოვეთა და დაქირაველებისაგან. საბჭოს ხმოსანი ნ. მზარეულოვი". ჩემი ფიქრით ეს შეკითხვა არ არის. ეს გახლავთ კითხვა და როგორც კითხვა შეეხება გამგეობას და არა საბჭოს.

ხმ. მზარეულოვი ნ. ჩემთვის სულ ერთი იქმნება, გინდ აქ გაარჩიეთ, გინდ გამგეობას გადაეცით, ოღონდ საქმეს კი ეშველოს რამე და ეს კითხვა ბოლოს და ბოლოს სასურველად გადაწყდეს. სახლის პატრონი წელიწადში საერთოდ ღებულობს 18.000 მ., აქედგან 1300 მ. მეეზოვეს უნდა აძლიოს. ამასაც დაურთეთ ცოცხის, ნაგვის გადასაზიდი და სხვა და სხვა წვრილმანი ხარჯები და თქვენ ნათლად წარმოიდგენთ მათ აუტანელ მდგომარეობას.

საბჭო ადგენს: ხმ. მზარეულოვის კითხვა გადაეცეს გამგეობას დასკვნისათვის და მოხსენდეს იგი საბჭოს შემდეგ სხდომაზე.

8. გამგეობის მოხსენება საძოვარი მიწების ექსპლოატაციის შესახებ.

მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი. (პირველ განყოფილებიდან).

ხმ. წვერავა ნ. ვინაიდან ორი თვე საანგარიშო წელში უკვე გასულია, ამიტომ ამ ორი თვის საჭირო თანხა უნდა გამოირიცხოს წარმოდგენილ ხარჯ-აღრიცხვიდან.

გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი. ხარჯთ-აღრიცხვა ხდება ერთი წლით, ხოლო რაც შეეხება ხმ. წვერავას განცხადებას ეს თავის თავად იგულისხმება.

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. ყველა საკუთარ საძოვარი ადგილების ექსპლოატაცია თვით ქალაქმა აწარმოვოს საოჯახო წესით და გადაიდოს ამისათვის საჭირო ას თორმეტი ათასი (112.000) მანეთი წელიწადში, ამ თანხის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანათ. (იხილე შემდეგი ჟურნალი).

9. გამგეობის მოხსენება შრომის და სოციალურ დახმარების სპეციალურ თანხიდან 50.000 მანეთის დახარჯვის ნებართვის შესახებ, სხვა და სხვა ორგანიზაციების თავშესაფარში მოთავსებულ ბავშვების შესანახად.

მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი გ. შოთაძე. (საფინანსო განყოფილებიდან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. თბილისში არსებულ ბავშვთა თავშესაფარებში უპატრონო ბავშვთა შესანახად გადაიდოს 50.000 მანეთი იმ თანხიდან, რომელიც შრომის და სოციალურ დახმარების განყოფილებას შემოსდის სხვა და სხვა გასართობებიდან 30% გადასახადიდან.

სხდომა დაიხურა ღამის 11 ს. 20 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალაქ თბილისის საბჭოს 1920 წ. 15 მარტის სხდომის

ჟურნალი

თავმჯდომარეობდა ალ. მდივანი.

დაესწრნენ ხმოსნები: აფხაზი კ., აბდუშელიშვილი შ., აუშტროვი რ., ბადრიძე ი., ბურჯანაძე ვ., გომელაური ი., გომართელი ი., გობლაძე გ., გველესიანი გრ., გუნცაძე ირ., გოთუა პ., დიდიძე ერ., ელიავა ნ., ელიავა ს., ვადაჭკორია ს., ვეფხვაძე მ., ვაჩნაძე დ., თალაქვაძე ნ. დეკ., თევზაძე, კოვალიოვი მ., კანდელაკი ალ., კიკვაძე თ., მიკირტუმოვი ბ., მაჭავარიანი ვ., მესხი ი., მდივანი ალ., მგალობლიშვილი მ., მზარეულოვი ნ., ჟორჟოლიანი ალ., რამიშვილი ირ., რუსია მ., რუხაძე არჩ., საგირაშვილი კ., სადაგაშვილი გ., სირბილაძე ე., სოლოლაშვილი ა., სულუხია, ტოროშელიძე მ., ფარქოსაძე ს., ფანიევი კ., ღლონტი თ., შევჩუკი გ., ჩადუნელი დ., ჩხიკვიშვილი ბ. ძიძიშვილი ნ., ხელაძე ალ., ხახანაშვილი ვ.,

ქალაქის მდივანი ვ. ხახანაშვილი.

საბჭომ განიხილა:

1. ჟურნალის დამტკიცება.

2. ხმ. გ. ფოფხაძის განცხადება მისი ხმოსნობიდგან განთავისუფლების შესახებ.

3. სასკოლო კომისიის თავმჯდომარის განცხადება კომისიის შევსების შესახებ.

4. გამგეობის მოხსენება 30 მილიონ მანეთის სესხად აღების შესახებ.

5. გამგეობის მოხსენება წყლის ტარიფის გადიდების შესახებ.

6. გამგეობის მოხსენება ვორონცოვ-დაშკოვის სახელობის საბავშვო თავშესაფარის თვიურად 5.000 მანეთით დახმარების შესახებ.

7. გამგეობის მოხსენება ქალაქის საავადმყოფოების ამბულატორიების გასაერთიანებლად 20 ათასი მანეთის გადადების შესახებ.

8. გამგეობის მოხსენება საფუთო გადასახადის შემოღების შესახებ.

9. გამგეობის მოხსენება სისხლის სამართლის მილიციის უფროსის და მისი თანაშემწეებისათვის ჯამაგირების გადიდების შესახებ.

10. გამგეობის მოხსენება მე-13 უბნის ცალკე სამილიციო უბნად აღიარების და იქ განსაკუთრებულ კომისრის თანამდებობის დაარსების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. გამგეობის მოხსენება ქალაქის სასადილოებიდან უფასო სადილების ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

12. გამგეობის მოხსენება მილიციის უფროს ადმინისტრატორ პირთათვის ტანისამოსის შეკერვის შესახებ.

13. გამგეობის მოხსენება დ. კლდიაშვილის 30 წლის სამწერლო მოღვაწეობის გამო 5.000 მანეთის გაღების შესახებ.

14. 1919 წ. ქალაქ თბილისის თვითმართველობის ხარჯთ-აღრიცხვა.

15. გამგეობის მოხსენება პირველ საავადმყოფოს ზედამხედველის ჯამაგირის მომატების შესახებ.

16. სავალდებულო დადგენილების პროექტი სავაჭრო დაწესებულებებში სამუშაო საათების განსაზღვრის შესახებ.

17. გამგეობის მოხსენება ცეცხლის მქრობელი რაზმის გაუმჯობესობის და მისი განყოფილების გახსნის შესახებ.

18. ხმ. ვეფხვაძის განცხადება საუბნო სასანიტარო სამზრუნველოების 2 თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

19. მე-50 დამფუძნებელ კრების საარჩევნო უბანში ხელახალი არჩევნების მოსახდენად კომისიის არჩევა.

თავმჯდომარეობს ალ. მდივანი, რომელიც საბჭოს სხდომას ხსნის $8^1/_2$ საათზედ.

1. ჟურნალის დამტკიცება.

ქალაქის მდივანი ვ. ხახანაშვილი კითხულობს 1920 წ. 23 თებერვლის სხდომაზედ მიღებულ რეზოლიუციებს.

გამგეობის წევრი მაჭავარიანი გ. აცხადებს, რომ ჟურნალის მე-8 მუხლში, საძოვარი მიწების ექსპლოატაციისათვის ერთდროულ ხარჯების დასაფარავად საბჭომ გადასდო სამოცი ათასი (60.000) მანეთი და ეს კი ხაბჭოს ჟურნალში აღნიშნული არ არის და სთხოვს საბჭოს ჟურნალი დაამტკიცოს აღნიშნულ შესწორებით.

საბჭო ადგენს: 1920 წლის 23 თებერვლის ჟურნალი დამტკიცებულ იქმნას შემდეგის შესწორებით—მერვე მუხლში: ქალაქის საძოვარი ადგილების ექსპლოატაციისათვის ერთდროულ ხარჯების დასაფარავად მიეცეს ქალაქის გამგეობას სამოცი ათასი (60.000) მანეთი, ამ თანხის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით.

2. ხმოსან გიორგი ფოფხაძის განცხადება მისი ხმოსნობისაგან განთავისუფლების შესახებ.

თავმჯდომარე ალ. მდივანი აცნობებს საბჭოს გ. ფოფხაძის განცხადებას და აცხადებს, რომ მის მაგიერ ხმოსნათ შემოვა პირველი ნომრის სიის კანდიდატი ივანე გიორგის ძე კამტიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ფოფხაძის განცხადებას და თავმჯდომარის განმარტებას **საბჭო** იღებს ცნობათ.

3. სასკოლო კომისიის თავმჯდომარის განცხადება კომისიის შევსების შესახებ.

თავმჯდომარე კითხულობს სასკოლო კომისიის თავმჯდომარის მოწერილობას: ვინაიდგან სასკოლო კომისიის შემადგენლობიდან გამოვიდა 3 წევრი: ბ. ბ. გამყრელიძე, ლემლეინი და ქ-ნი ბარსუგიანი, გთხოვთ ორშაბათს, ა. წ. 15 მარტს, საბჭოს სხდომაზე დასვათ საკითხი—ამორჩეულ იქმნას სამი ახალი წევრი გასულ წევრების მაგიერ.

საბჭო ადგენს: სასკოლო კომისიის გასულ წევრების მაგიერ არჩევნები მოხდეს საბჭოს შემდეგ სხდომაზედ.

4. გამგეობის მოხსენება 30 მილიონ მანეთის სესხად აღების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. შოთაძე.

(ფინანსიურ განყოფილებიდგან; დასტამბული მოხსენება № 6 იხილე ჟურნალის ბოლოში).

საბჭო უკამათოდ ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და აღიძრას შუამდგომლობა რესპუბლიკის მთავრობის წინაშე, რომ სახელმწიფო ხაზინიდგან მიეცეს ქალაქ თბილისს გრძელვადიან და უსარგებლო სესხათ ოთცდაათი მილიონი მანეთი. სესხი უზრუნველყოფილ იქმნას თბილისის თვითმართველობის უძრავი ქონებით და უკავო გადასახადებით. სათანადო შუამდგომლობის აღძვრა მთავრობის წინაშე დაევალოს ქალაქის გამგეობას. ეს დადგენილება სისრულეში იქმნას მოყვანილი ჟურნალის ხელის მოწერით დამტკიცებამდის.

5. გამგეობის მოხსენება წყლის ტარიფის გადიდების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი ი. ბესელიძე.

(წარმოებათა განყოფილებიდგან; დასტამბული მოხსენება № 5 იხილე ჟურნალის ბოლოში).

ხმ. მზარეულოვი ნ. ვის დაეკისრება წყლის ფასის გადახდა, სახლის პატრონს თუ მდგმურს?

ხმ. ვაჩნაძე დ. რა საშუალებით დაფარავთ იმ დეფიციტს, რომელიც წლის დამლევს ექმნება წყალსადენს?

გამგეობის წევრი ბესელიძე ი. წყლის ფასის გადახდის შესახებ ძალაში რჩება არსებული წესი, ე. ი. წყლის ტარიფის მეორეთ გადიდებამდის რასაც იხდიდა სახლის პატრონი—ის ეხლაც უნდა გადიხადოს მან, დანარჩენი თანხა კი განაწილდება ყველაზედ ვინც ამ სახლში სცხოვრობს, მათ რიცხვში სახლის პატრონიც. რაც შეეხება დეფიციტის დასაფარავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალებებს, გამგეობა ფიქრობს, რომ გერმანიაში დაკვეთილ მანქანის მილების შემდეგ საექსპლოატაციო ხარჯები კიდევ ექვსი მილიონით შემცირდება და, მაშასადამე, დეფიციტი დაიფარება. ესეც რომ არ იყოს, დეფიციტი დიდი არ არის და მის დაფარვა ქალაქის საზოგადო შემოსავლიდამ ძნელი არ იქნება.

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და წყლის ტარიფი 1920 წლის პირველი მარტიდგან გადიდებულ იქმნას 100%-ით, ე. ი. ვედრო წყალი იყიდებოდეს ორ შაურათ.

6. გამგეობის მოხსენება ვორონცოვ-დაშკოვის სახელობის საბავშვო თავშესაფარის თვიურად 5.000 მანეთით დახმარების შესახებ.

საბჭო ადგენს: საკითხი გადადებულ იქმნას.

7. გამგეობის მოხსენება ქალაქის საავადმყოფოების ამბულატორიების გასაერთიანებლად 20 ათასი მანეთის გადადების შესახებ.

მოხსენებას აკეთებს მედიკო-სანიტარული ინსპექტორი კ. მეუსარგია. (მედიკო-სანიტარული განყოფილებიდგან).

საბჭო ადგენს: გამგეობის დადგენილება დადასტურებულ იქმნას. ქალაქის საავადმყოფოების ამბულატორიების გასაერთიანებლად გაღებულ იქმნას ოცი ათასი (20.000) მანეთი, ამ თანხის 1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით.

8. გამგეობის მოხსენება საფუთო გადასახადის შემოღების შესახებ.

მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი გ. შოთაძე.

(ხარჯთ ამკრეფ განყოფილებიდგან; მოხსენება იხილე ჟურნალის ბოლოში.

ხმ. გოთუა ბ. საფუთო გადასახადი ხორბლეულობასაც დაედება?

გამგეობის წევრი გ. შოთაძე. საფინანსო კომისიის დადგენილებით ხორბლეულობა და ყოველგვარი ფქვილი განთავისუფლებული უნდა იქმნეს საფუთო გადასახადისაგან.

ხმ. მზარეულოვი ნ. საფუთო გადასახადი. ხმ. მზარეულოვის აზრით. არ შეიძლება დაედოს პირველ მოთხოვნილების საგნებს, როგორიც არის პური, სიმინდი, მარილი და სხვა. ესეთი გადასახადი ცხოვრების სიძვირეს აძლიერებს და აუტანელს ხდის ისედაც სამძიმო ცხოვრების პირობებს.

ხმ. გოთუა ბ. იცავს საფინანსო კომისიის აზრს და ითხოვს საფუთო გადასახადისაგან ხორბლეულობის და ფქვილის განთავისუფლებას.

ხმ. ჩადუნელი დ. ამტკიცებს, რომ ყოველგვარი გადასახადის გადიდება იწვევს ცხოვრების გაძვირებას, მაგრამ აუცილებლობა გვიკარნახებს ასეთ საქციელს. წინადადება შემოაქვს ხორბლეულობაზედ და ფქვილზედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესდეს გადასახადი გაათკეცებული ძირითადი ტარიფი, მიცვალებულ-ლების გადატანა კი სრულიად განთავისუფლდეს გადასახადისაგან.

ხმ. გვეჯესიანი გრ. ითხოვს, რომ საფუთო გადასახადისაგან თავისუ-ფალი იყვნენ ყველა პირველმოთხოვნილების საგნები, ყოველივე პირო-ბაში და გარემოებაში.

ხმ. ელიავა ნ. საფუთო გადასახადი დაკანონებულია განსაზღვრულის აზრით. მთელი შემოსავალი საფუთო გადასახადისა უნდა მოხმარდეს გზე-ბის და ქუჩების გაუმჯობესობას. თავის თავად ცხადია, რომ კარგი გზე-ბი და ქუჩები აადვილებს საქონლის გადაზიდვა-გადმოზიდვას და მაშასადა-მე, სავაჭრო ხარჯებიც მცირდება. აქედან სჩანს, რომ თუ საფუთო გა-დასახადი გადიდებული იქნება და ის დანიშნულისამებრ მოხმარდება, ამან სიძვირის გაძლიერება არ უნდა გამოიწვიოს, მით უმეტეს, რომ გადასახა-დი მაინც მცირე იქმნება. მაგრამ სპეკულიანტები მხოლოდ მიზეზს ეძე-ბენ ხოლმე და ხორბლეულობა კიდეც რომ გაანთავისუფლონ გადასახა-დისაგან, ისინი მაინც იტყვიან-ფასები მოემატა, რადგან საფუთო გადა-სახადი გაადიდესო. თბილისში კი ყველაზედ მეტი ხორბლეული და ფქვი-ლი შემოდის და თუ ეს საქონელი გავანთავისუფლეთ გადასახადისაგან, დანარჩენ საქონელზედ გადასახადი არაფერს აღარ შეადგენს და, მაშასადა-მე, ჩიტი პტყვნათ აღარ ეღირება.

საბჭო ადგენს: 1) შემოღებულ იქმნას, დამფუძნებელ კრების მიერ 1919 წლის 31 ივლისს მიღებული დეკრეტის თანახმათ, საფუ-თო გადასახადი ქალაქ თფილისის თვითმართველობის სასარგებლოდ ყველა იმ ტვირთზედ, რომელიც შემოტანილი, ან გატანილი იქმნება თბილისში და თბილისიდან, რკინისგზის თბილისის და ნავთლუღის სადგურებით, აგრეთვე კახეთის გზის სადგურ ნავთლუღით; 2) გა-დასახადის რაოდენობა განისაზღროს გაორკეცებული ძირითად სა-ტარიფო გადასახადით, რომელიც აძევს ან დაედება ვერსტზედ ტვირ-თვის თითო ფუთს, თითო ცალს ან თითო ვაგონს ამ ტვირთის გა-დაზიდვის საერთო ტარიფის თანახმათ, გარდა ხორბლეულობისა და ფქვილეულობისა, რომელზედაც გადასახადი განისაზღვროს გაათკე-ცებული სატარიფო გადასახადით; 3) ამ გადასახადიდგან სრულიად განთავისუფლდეს მიცვალებულთა გადატანა; 4) ეს დადგენილება ძალაში შევიდეს ჟურნალის ხელის მოწერით დამტკიცებამდის.

9. გამგეობის მოხსენება სისხლის სამართლის მილიციის უფროსის და მისი თა-ნაშემწეებისთვის ჯამაგირების გადიდების შესახებ.

მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი.

(I. განყოფილებიდგან.)

ხმ. ხართიშვილი დ. თქვენ მოგეხსენებათ, რომ დამფუძნებელ კრების ტრიბუნიდგან გარკვეული დანაშაული იქმნა წაყენებული სისხლის სამარ-

თლის მილიციის წინააღმდეგ, რისთვისაც გამოძიებაც სწარმოებს. ამიტომ, მე ვფიქრობ, ჯერ-ჯერობით, მინამ საქმე გამოირკვეოდეს-თავი შეეკავოთ მათთვის ჯამაგირების მომატებაზედ.

ხმ. ელიავა ნ. ეს საკითხი ხმ. ხართიშვილმა საკუთარ ინიციატივით დასვა და მას ჩვენი ფრაქცია არ ეთანხმება: აქ ლაპარაკია არა ამ თუ იმ პიროვნებაზე, არამედ თანამდებობაზე. დღეს ამ ადგილზე ერთია, ხვალ მეორე იქმნება. ამიტომ ს.-დ: ფრაქციას წინადადება შემოაქვს მიღებულ იქმნას საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის აზრი ამ საგანზე

საბჭო ადგენს: სისხლის სამართლის მილიციის უფროსს დაენიშნოს მილიციის უფროსის უფროს თანაშემწის თანაბრად 5.800 მანეთი თვეში და ბინის, გათბობის და განათების-400 მან.-სულ ექვსი ათას ორასი (6-200) მანეთი თვეში; მის თანაშემწეებს ოთხი ათას ხუთასი (4.500) მანეთი თვეში, 1920 წლის 1 იანვრიდგან.

10. გამგეობის მოხსენება მე-13 უბნის ცალკე სამილიციო უბნად აღიარებისა და იქ განსაკუთრებული კომისრის თანამდებობის დაარსების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. შოთაძე.
(საფინანსო განყოფილებიდგან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. გამოყოფილ იქმნას საბურთალო ცალკე (მე-13) სამილიციო უბნად და დაინიშნოს ამ უბნისათვის ცალკე კომისარი.

11. გამგეობის მოხსენება ქალაქის სასადილოებიდან უფასო სადილების ხარჯის ანაზღაურების შესახებ.

მოახსენებს ქალაქის მოურავის ამხანაგი გ. ჯინიაშვილი.
(შრომისა და სოციალურ დახმარების განყოფილებიდგან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. 1919 წელში უფასო სასადილოებზე გაწეული ხარჯი ცხრა ათას რვაას ოთხმოცდაცამეტი მანეთი და 40 კ. (9.893 მ. 40 კ.) დამტკიცებულ იქმნას და 1920 წლისთვის ამავე ხარჯებისათვის ჯერ-ჯერობით გადადებულ იქმნას ოცდაორი ათას ოთხასი (22.400) მანეთი, ამ თანხის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით.

12. გამგეობის მოხსენება მილიციის უფროს ადმინისტრატორ პირთათვის ტანისამოსის შეკერვის შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. მაწავარიანი.
(1 განყოფილებიდგან).

საბჭო ადგენს: საკითხი მოხსნილ იქმნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. გამგეობის მოხსენება დ. კლდიაშვილის 30 წლის სამწერლო მოღვაწეობის გამო 5.000 მანეთის გაღების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. მაწყვარიანი.
(1 განყოფილებიდგან).

საბჭო ადგენს: გამგეობის დადგენილება დადასტურებულ იქმნას. გაღებულ იქმნას ქალაქის სალაროდგან მწერალ დ. კლდიაშვილის სასარგებლოდ 30 წლის სამწერლო მოღვაწეობის აღსანიშნავათ ხუთი არასი (5.000) მანეთი, ამ თანხის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით.

14. 1919 წლის ქალაქ თბილისის თვითმართველობის ხარჯთ-აღრიცხვა.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. შოთაძე.
(მოხსენება დასტამბული № 7 იხილე ჟურნალის ბოლოში.

ხმ. ვაჩნაძე დ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა დიდი საკითხია, დღეს კი საბჭოს მცირე რიცხოვანი სხდომა არის, უმჯობესი იქნება მისი განხილვის გადადება შემდეგ სხდომისათვის.

ხმ. გვეტაძიანი გრ. გადადებას პრაკტიკული მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილია ფაქტიურად გაწეული ხარჯები, რომლებიც სხვა და სხვა დროს საბჭოს მიერ უკვე დადასტურებულია.

საბჭო ადგენს: გამგეობის მიერ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა 155.821.970 მან. 46 კ. ნავარაუდევ შემოსავალით და ამდენივე ნავარეუდევ ხარჯით დადასტურებულ იქმნას.

დაევალოს ქალაქის გამგეობას 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვა წარმოუდგინოს საბჭოს არა უგვიანეს მიმდინარე წლის აპრილისა.

15. გამგეობის მოხსენება პირველ საავადმყოფოს ზედამხედველის ჯამაგირის მომატების შესახებ.

მოახსენებს მედიკო-სანიტარული ინსპექტორი კ. მეუნარგია.
(მედიკო-სანიტარულ განყოფილებიდგან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. დაენიშნოს ქალაქის პირველ საავადმყოფოს ზედამხედველს ჯამაგირათ მე-10 მომატებით ოთხი ათას რვაასი (4.800) მანეთი.

16. სავალდებულო დადგენილების პროექტი სავაჭრო დაწესებულებებში სამუშაო საათის განსაზღვრის შესახებ.

საბჭო ადგენს: კამათი მოხსნილ იქმნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. გამგეობის მოხსენება ცეცხლის მქრობელი რაზმის გაუმჯობესების და მისი განყოფილების გახსნის შესახებ.

მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი.
(1 განყოფილებიდგან).

საბჭო ადგენს: გახსნილ იქმნას კუკიის რაიონში ცეცხლის მქრობელ რაზმის განყოფილება და მით გამოწვეული ერთდროული ხარჯების დასაფარავად გაღებულ იქმნას სამას ორმოცდათექვსმეტი ათას შვიდას ოთხმოცი (356.780) მანეთი; საერთო ცეცხლის მქრობელ რაზმის გასაუმჯობესებლად დაიხარჯოს ას ოცდახუთი ათასი (125.000) მანეთი, წინადადება მიეცეს თბილისში არსებულ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოებებს, რათა მთელი ამ გასავლის (356.780—125.000=481.780 მან.) ნახევარი მიიღონ თავის თავზე. ეთხოვოს მთავრობას ერთი მესამედი წლიური ხარჯებისა (2.700.000 მან. წლიური ხარჯი) გაიღოს სახელმწიფო ხაზინიდგან.

18. ხმოსან ვეფხვაძის განცხადება საუბნო სასანიტარო სამზრუნველოების 2 თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

საბჭო ადგენს: არჩეულ იქმნას საუბნო სასანიტარო სამზრუნველოების თავმჯდომარეებათ მე-9 უბანში სტეფანე გოკიელი და მე-10-ში ილია ჩხარტიშვილი.

19. დამფუძნებელ კრების მე-50 საარჩევნო უბანში ხელახალი არჩევნების მოსახდენად კომისიის არჩევა.

საბჭო ადგენს: არჩეულ იქმნას კომისია დამფუძნებელ კრების მე-50 უბანში ხელმეორე არჩევნების მოსახდენად. არჩეულ იქმნან: გიორგი სადაგაშვილი, ელეონორა ტერ-პარსეგოვა-მახვილაძე, დავით ხართიშვილი, გრიგოლ ლორდქიფანიძე და ნიკოლოზ წვერავა.

სხდომა დაიხურა 10 ს. 40 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალაქ თბილისის საბჭოს 1920 წ. 29 მარტის სხდომის

ჟურნალი

თავმჯდომარეობდა ალ. ლომთათიძე.

დაესწრნენ ხმოსნები: აუშტროვი რ., ახმეტელი ალ., აფხაზი კ., ბალიაშვილი ი., ბადრიძე, ბერიტაშვილი ლ., გომართელი ივ., გოთუა პ., გველესიანი გრ., დიდიძე, დვალი დ., ელიავა ს., ელიავა ნ., ვადაჩკორია ს., ვეფხვაძე მ., თალაქვაძე ნ., ირემაშვილი ი., კალანდაძე დ., კანტიძე, კიკვაძე თ., კოვალიოვი მ.. კონიევი გ., კახიანი პ., ლომთათიძე ალ., მაჭავარიანი ვ., მგალობლიშვილი მ., მზარეულოვი ნ., მიკირტუმოვი ბ., მახვილაძე ე., რამიშვილი ირ., რუსია მ., რუსია ნ., რუხაძე არჩ., საღირაშვილი კ., სადაგაშვილი ვ., ტოროშელიძე მ., შოთაძე ვ., ძიძიშვილი ნ., ხართიშვილი დ., ჯიბლაძე ს.

ქალაქის მდივანი ვ. ხახანაშვილი.

საბჭომ განიხილა:

1. ჟურნალის დამტკიცება.
2. გამგეობის მოხსენება ლომბარდისათვის ორი მილიონ მანეთის სესხად აღების შესახებ.
3. გამგეობის მოხსენება მილიციის უფროს ადმინისტრატორ პირთათვის ტანისამოსის შეკერვის შესახებ.
4. გამგეობის მოხსენება ავლაბარ-ხარფუხ-ნავთლუღის ქართველთა გამნათლებელ საზოგადოების მუდმივ სუბსიდიის დანიშვნის შესახებ.
5. გამგეობის მოხსენება ქალაქის მე-2 საავადმყოფოს ტერაპევტიულ და ვენერიულ განყოფილების მოსამსახურეთა ჯამაგირის გადიდების შესახებ.
6. გამგეობის მოხსენება ქალაქის მუშის ტონო გრიქუროვის ქვრივს აიკანუშ გრიქუროვისათვის პენსიის გადიდების შესახებ.
7. გამგეობის მოხსენება ცენტრალურ საწყობის გამგეს კონსტანტინე ლუარსაბის ძე ფირადოვისათვის ჯამაგირის გადიდების შესახებ.
8. გამგეობის მოხსენება ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების ჭრა-კერვის სკოლისათვის 5.000 მანეთით დახმარების შესახებ.
9. გამგეობის მოხსენება თბილისის უმაღლეს საინჟენერო სასწავლებლის სამზრუნველო კომიტეტის თხოვნის შესახებ.
10. გამგეობის მოხსენება ქართულ სამუსიკო საზოგადოების დახმარების შესახებ.
11. გამგეობის მოხსენება ცენტრალურ მომრიგებელ კამერის შესანახად საჭირო ხარჯების ერთი მეოთხედის ქალაქის სალაროდგან გაღების შესახებ.

12. გამგეობის მოხსენება ქალაქის გამგეობის ყოფილ მდივანს ლი. უბოვ ბოდისკოსათვის 3.000 მანეთით ერთდროულ დახმარების შესახებ.

13. გამგეობის მოხსენება ვორონცოვ-დაშკოვის სახელობის საბავშვო თავშესაფარის თვიურად 5.000 მან. დახმარების შესახებ.

14. სავალდებულო დადგენილების პროეკტი სავაჭრო დაწესებულებებში სამუშაო საათების განსაზღვრის შესახებ.

15. სალიკვიდაციო კომისიის წევრის არჩევა ნაცვლად გასულის ბ. მიკირტუმოვისა.

თავმჯდომარე ალ. დოლთათიძე სხდომას ხსნის საღამოს 9 საათზე 10 წუთზედ.

1. ჟურნალის დამტკიცება.

ქალაქის მდივანი ვ. ხახანაშვილი კითხულობს საბჭოს მიმდინარე წლის 15 მარტის სხდომაზედ მიღებულ რეზოლიუციებს.

თავმჯდომარე ალ. დოლთათიძე იმ დადგენილებებში, რომელნიც ეხლა თქვენ მოგხსენდათ არის ერთი დადგენილება, სახელდობ საფუთო გადასახადის შესახებ, რომლის კანონიერებისათვის, დამფუძნებელ კრების მიერ მიღებულ კანონის მეექვსე მუხლის თანახმათ, საჭირო იყო დასწრებოდა საბჭოს სხდომას ხმოსანთა საერთო რიცხვის არა ნაკლებ ორი მესამედისა. იმ სხდომას კი, რომელზედაც მიღებული იყო ეს დადგენილება, დაესწრო სულ ორმოცდა შვიდი ხმოსანი. ამიტომ ამ დადგენილების დამტკიცება საბჭოს არ შეუძლია, იგი დღეს უნდა მოიხსნას და შემდეგისათვის შევიტანთ უწყებაში და საბჭო განიხილავს მაშინ, როდესაც ამისათვის საჭირო კვორუმი იქმნება.

საბჭო ადგენს: 1920 წლის 15 მარტის სხდომის ჟურნალის მე-8 მუხლი საფუთო გადასახადის შესახებ დატოვებულ იქმნას დაუმტკიცებლად, რადგან მის განხილვას და მიღებას კანონიერი კვორუმი არ დასწრებია, დანარჩენ ნაწილში ჟურნალი დამტკიცებული იქმნას უცვლელად.

2. გამგეობის მოხსენება ქალაქის ლომბარდისათვის ორი მილიონ მანეთის სესხად აღების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი ვ. შოთაძე.

(ფინანსიურ განყოფილებიდან, მოხსენება იხილე ჟურნალის ბოლოში).

ხმ. ალფასი კ. რამდენს ხანში მოახერხებს გამგეობა სესხის აღებას?

გამგეობის წევრი შოთაძე ვ. სესხის დროზედ მიღება დამოკიდებულია იმაზედ, თუ როგორ ნაბიჯებს გადასდგამს გამგეობა.

ხმ. ალფასი კ. ლომბარდის საკითხი, ჩემის აზრით, დიდი ეკონომიური საკითხია, რომელსაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. რომ

ლომბარდი სჭირია ხალხს-დემოკრატიას, იქიდან სჩანს რომ ლომბარდში დასაგირავებლად მიაქვთ სამუშაო იარაღი და ძვირფასი ნივთებიც. ლომბარდი ხელმოკლეობის გამო დამგირავებლებს ვერ აძლევს საჭიროდ ფასს. მაგალითად საკერავ მანქანაში, დღევანდელ პირობებში, ლომბარდი აძლევს ხუთ თუმანს. ეჭვს გარეშეა, რომ ხუთი თუმანი დამგირავებელს ვერ აკმაყოფილებს და იგი იძულებული ხდება თავისი ნივთი წაიღოს სხვაგან და გაყიდოს. ასევე ემართება ძვირფას ნივთებს. ამ ნივთებს ყიდულობენ უცხო სახელმწიფოდგან მოსული სპეკულიანტები და ამ გვარად აუარებელი სიმდიდრე მიდის ჩვენი რესპუბლიკიდგან, ეს კი სრულიად ეწინააღმდეგება ჩვენი რესპუბლიკის ინტერესებს. ამის თავიდგან ასაცილებლად საჭიროა დამგირავებელს ეძლეოდეს ნივთში შესაფერი თანხა. ამას გარდა საჭიროა სესხი საჩქაროდ იქმნას აღებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ლომბარდს დიდი ზარალი მოსდის და სახელმწიფოს ინტერესებიც ილახება, ლომბარდის სარევიზიო კომისიამ ითხოვა ოთხი მილიონის აღება სესხად და არ ვიცი გამგეობამ რათ შეამცირა ეს თანხა ორ მილიონამდის. აღბათ იმ მოსაზრებით, რომ ოთხი მილიონის აღება გაძნელდება. გარდა ამისა სესხის აღებისათვის საჭიროა ჯერ მთავრობამ განიხილოს ქალაქის შუამდგომლობა, შემდეგ კანონ-პროეკტი უნდა შევიდეს დამფუძნებელ კრებაში და მხოლოდ მისი დადასტურების შემდეგ შეიძლება ფულის მიღება. ამას დიდი დრო უნდა, საქმე კი დაყოვნებას არ ითმენს. ამიტომ, ვფიქრობ, უკეთესი იქმნება გამგეობამ აღძრას შუამდგომლობა ამ სესხის მიღების შესახებ, ხოლო მის გადაწყვეტამდის ორი მილიონი მანეთი მისცეს ლომბარდს იმ 30 მილიონ მანეთიდგან, რომლის აღებასაც ფიქრობს ქალაქის გამგეობა.

გამგეობის წევრი ვ. შოთაძე. გამგეობა ხმოსან აფხაზის მოსაზრებებს ანგარიშს გაუწევს.

საბჭო აღგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. ლომბარდის—საბრუნი თანხის გასაძლიერებლად აღებულ იქმნას მთავრობისაგან სესხად ორი მილიონი მანეთი, სესხი უზრუნველყოფილ იქმნება ლომბარდის ქონებით და დაგირავებულ ნივთებით. სათანადო შუამდგომლობის აღძვრა მთავრობის წინაშე დაევალოს ქალაქის გამგეობას.

8. გამგეობის მოხსენება მილიციის უფროს ადმინისტრატორ პირთათვის ტანისამოსის შეკერვის შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი ვ. მაჭავარიანი.
(პირველ განყოფილებიდგან, მოხსენება იხილე ჟურნალის ბოლოში).

საბჭო აღგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მილიციის უმფროს მოხელეთ: მილიციის უმფროსს, მის თანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემწეებს, სისხლის სამართლის მილიციის უფროსს, მის თანაშემწეებს, უბნის კომისარებს და მათ თანაშემწეებს ამიერიდგან ეძლიოთ ტანისამოსი თვითმართველობის ხარჯზედ. ამ ჟამად კი იმავე მიზნისათვის გაღებულ იქმნას ქალაქის სალაროდან ორას სამოცდა შვიდი ათას ხუთას ორმოცი (267.540) მანეთი, ამ თანხის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით.

4. გამგეობის მოხსენება ავლაბარ-ხარფუხ-ნავთლუღის ქართველთა გამნათლებელ საზოგადოების მუდმივ სუბსიდიის დანიშვნის შესახებ.

მოახსენებს ქალაქის მოურავის ამხანაგი გ. კონიაშვილი.
(სასკოლო განყოფილებიდგან, მოხსენება იხილე ჟურნალის ბოლოში).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას და მიეცეს ავლაბარ-ხარფუხ-ნავთლუღის ქართველთა კულტურულ გამნათლებელ საზოგადოების გამგეობას ერთდროულ დახმარებად ხუთი ათასი (5.000) მანეთი, ამ თანხის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით.

5. გამგეობის მოხსენება ქალაქის მე-2 საავადმყოფოს ტერაპევტიულ და ვენერიულ განყოფილების მოსამსახურეთა ჯამაგირების გადიდების შესახებ.

მოახსენებს მედიკო-სანიტარული ინსპექტორი კ. მეუნარგია.
(მედიკო-სანიტარულ განყოფილებიდგან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. ქალაქის მე-2 საავადმყოფოს შემდეგ მოსამსახურეთ დაენიშნოს ჯამაგირად თვეში ფერშლებს თითოს—1.308 მ. და 35 კ., მომვლელს—1.129 მ. და 70 კ., დიასახლისებს თითოს—1.227 მან. და 8 კ., შვეიცარს—1·121 მან. და 80 კ. ავრეთვე მიეცეთ მათ 1919 წლის ნოემბრის და დეკემბრის განსხვავება 6894 მან. 18 კ. და შემდეგშიაც ეძლეოდეთ სრული ჯამაგირი.

6. გამგეობის მოხსენება ქალაქის მუშის ტონო გრიქუროვის ქვრივს აიკანუშ გრიქუროვისათვის პენსიის გადიდების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი ვ. მაჯავარიანი.
(1 განყოფილებიდან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. ცენტრალური საწყობის გამგეს კონსტანტინე ლუარსაბის ძე ფირადოვს 1920 წლის 1 იანვრიდან გაუდიდდეს ჯამაგირი ოთხი ათას (4.000) მანეთამდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. გამგეობის მოხსენება ცენტრალურ საწყობის გამგის კონსტანტინე ლუარსაბის ძე ფირადოვისათვის ჯამაგირის გადიდების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი ვ. მაჭავარიანი.
(პირველ განყოფილებიდგან).

სებჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. ცენტრალური საწყობის გამგეს კონსტანტინე ლუარსაბის ძე ფირადოვს 1920 წლის 1 იანვრიდან გაუდიდდეს ჯამაგირი ოთხი ათას (4.000) მანეთამდის.

8. გამგეობის მოხსენება ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების ჭრაკერვის სკოლისათვის 5.000 მანეთით დახმარების შესახებ.

მოახსენებს ქალაქის მოურავის ამხანაგი გ. კონიაშვილი.
(სასკოლო განყოფილებიდგან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. მიეცეს ქალთა საზოგადოებას ერთ-დროული დახმარება ჭრა-კერვის სკოლის სამი უმცროსი განყოფილების ხარჯების დასაფარავად ხუთი ათასი (5.000) მანეთი, ამ თანხის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით.

9. გამგეობის მოხსენება თბილისის უმაღლეს საინჟენერო სასწავლებლის საშზრუნველო კომიტეტის თხოვნის შესახებ.

მოახსენებს ქალაქის მოურავის ამხანაგი გ. კონიაშვილი.
(სასკოლო განყოფილებიდგან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. მიეცეს ერთდროული დახმარებად ოცი ათასი (20.000) მანეთი თბილისის უმაღლეს საინჟენერო სასწავლებელს, ამ თანხის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით.

10. გამგეობის მოხსენება ქართულ სამუსიკო საზოგადოების დახმარების შესახებ.

მოახსენებს ქალაქის მოურავის ამხანაგი გ. კონიაშვილი.
(სასკოლო განყოფილებიდგან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. მიეცეს ქართულ სამუსიკო საზოგადოებას ერთი წლის დახმარების სახით ორმოცდა ათი ათასი (50.000) მანეთი, ამ თანხის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით.

11. გამგეობის მოხსენება ცენტრალურ მომრიგებელ კამერის შესანახად საჭირო ხარჯების ერთი მეოთხედის ქალაქის სალაროდგან გაღების შესახებ.

მომხსენებლის დაუსწრობლობის გამო საკითხი მოხსნილ იქმნა.

12. გამგეობის მოხსენება ქალაქის გამგეობის ყოფილ მდივნის ლიუბოვ ბოდისკოსათვის 3.000 მანეთით ერთდროულ დახმარების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი ვ. მაჭავარიანი.
(1 განყოფილებიდგან).

ხმ. გომართელი ივ. როგორც გამგეობის მოხსენებიდან სჩანს, ქ-ნ ბოდისკოს უმსახურნია 19 წელიწადზე მეტი. თუ ეს ასეა, მაშინ მე არ მესმის, რატომ 3.000 მანეთს აძლევს გამგეობა? თუ ბოდისკო გაფიცვის გამო იქმნა დათხოვნილი, მაშინ მის დახმარებაზე ლაპარაკი ზედ მეტია, თუ თავის ნებით წავიდა, მაშინ ასეთი უმნიშვნელო დახმარების მიცემა უსამართლო იქნებოდა, ამიტომ ჩემი ფრაქციის სახელით შემომაქვს წინადადება—ეს საკითხი იქმნას გადადებული.

საბჭო ადგენს: ხმოსან გომართელის განცხადება მიღებულ იქმნას. ბოდისკოსათვის დახმარების მიცემის საკითხი გადადებულ იქმნას.

13. გამგეობის მოხსენება ვორონცოვ-დაშკოვის სახელობის საბავშვო თავშესაფარის თვიურად 5.000 მან. დახმარების შესახებ.

მომხსენებლის დაუსწრებლობის გამო საკითხი მოხსნილ იქმნა.

14. სავალდებულო დადგენილების პროექტი სავაჭრო დაწესებულებებში სამუშაო საათების განსაზღვრის შესახებ.

მოახსენებს ქალაქის მოურავის ამხანაგი გ. ჯინიაშვილი.

ხმ. გომართელი ივ. (ს.-დ.) ჩვენმა ფრაქციამ თავისი აზრი უკვე გამოსთქვა ამ საკითხზე, როცა ეს კითხვა აქ ირჩერდა, მაშინ სხდომას დაესწრნენ თათრების წარმომადგენელნი, რომელნიც თხოულობდნენ მათთვის მიეცათ ნება პარასკეობით ეუქმებიათ. ჩვენ ამ კითხვის გარჩევა გადავდეთ იმ მოსაზრებით, რომ დაინტერესებულთ შეძლება ჰქონდათ თავისი აზრი გამოეთქვათ, დღემდის ეს აზრი ჩვენ არ გვსმენია. მას აქეთ არა შეცვლილა რა, ამიტომ ჩვენი ფრაქცია ადგია. რა ძველ გადაწყვეტილებას, წინადადება შემომაქვს იქმნას ცნობილი ერთი დღე ყველასათვის სავალდებულოთ. ამ შემთხვევაში ჩვენ გამოვდივართ არა რელიგიოზურ, არამედ პოლიტიკური მოსაზრებიდან ყველასათვის სავალდებულო ერთ დღეს უქმობა შეძლებას მისცემს მშრომელ ხალხს ერთმანეთის შეხვედრისას და დაახლოვებისას ღა აქედგან მათში სოლიდარობის განმტკიცებისას.

ხმ. მზარეულოვი ნ. (მესაკუთ.) მე მაინც არ მესმის რათ უნდა იყოს დაწესებული ყველასათვის ერთი დღის უქმობა. ჩემი ფიქრით, თუ ჩვენ ნებას მივცემთ ყველა სარწმუნოების ხალხს თავის უქმე იუქმოს, ამით ჩვენ თავიდან ავიცდენთ იმ უხერხულობას, რომელშიაც მოქალაქენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდებიან, როცა კვირა დღეს ყველა დუქნები დაკეტილია. უქმე დღე ეროვნული უქმისთვისაა დაარსებული და არა რაღაც შეხვედრისათვის.

ხმ. გოთუა ბ. (ნ.-დ.) მომხრეა, რომ ყველა სარწმუნოების ხალხს უფლება ჰქონდეთ იუქმოს თავისი უქმე.

ხმ. გომართელი ივ. აქ ნათქვამიდან ის გამოდის, ვითომც ჩვენ წინააღმდეგი ვიყოთ ამა თუ იმ სარწმუნოების უქმის. ეს შემცდარი აზრია. ჩვენ ამ შემთხვევაში რელიგიოზურ მოსაზრების წინააღმდეგ სრულიადაც არ მივდივართ. ვისაც რომელი დღე სურს ის დღე იუქმოს, ხოლო რაც შეეხება საყოველთაო სავალდებულო დღეს დასასვენებლად, ასეთად ჩვენ მიგვაჩნია კვირაში ყველასათვის ერთი დღე.

ხმ. გეჟელიანი გრ. (ს.-ფ.) ეთანხმება ხმ. გომართელის აზრს და აცხადებს, რომ კონტროლი მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვის საქმეში ძაან გაგვიძნელდება, თუ ერთი დღე არ იქმნა ყველასათვის სავალდებულო.

ქალაქის მოურავის ამხანაგი გ. ჯინიაშვილი. ხმოსნების გომართელის და გველესიანის მოსაზრებანი ფრიად საფუძვლიანია, მარა მხედველობაში უნდა მივიღოთ ზოგიერთი ეროვნებები, რომლებშიაც რელიგიოზურ მხარეს ღრმად აქვს ფესვები გადგმული, მაგალითად მუსულმანები. ხსენებული ხმოსნების საზომით მათთან მისვლა ყოვლად შეუძლებელია. ხმ. მზარეულოვის აზრს თუ გავყევით და „ობივატელის“ ინტერესებიდან გამოვედით, მაშინ ყველა დღეები კვირაში ერთისათვის უქმე იქმნება, მეორესათვის კი სამუშაო დღე.

საბჭო ადგენს: კვირაში ერთი დღე იქმნას ცნობილი ყველასათვის სავალდებულოთ დასვენების დღეთ და ამ დღეთ კვირა ჩაითვალოს.

ამის შემდეგ საბჭო შეუდგა სავალდებულო დადგენილების ცალ-ცალკე პუნკტების გარჩევას, მაგრამ კვორუმის დაშლის გამო სხდომა იშლება.

16. სალიკვიდაციო კომისიის წევრის არჩევა ნაცვლად გასულის ბ. მიკირტუმოვისა.

კრების დახურვის წინ **საბჭო** ნაცვლად გასულის ბაგრატ მიკირტუმოვისა სალიკვიდაციო კომისიის წევრად ირჩევს სოლომონ ვადაჩკორიას.

სხდომა დაიხურა 10 საათ. და 30 წუთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალაქ თბილისის საბჭოს 1920 წ. 5 აპრილის სხდომის

ჟურნალი

თავმჯდომარეობდა პ. ჭიჭინაძე.

დაესწრნენ ხმოსნები: აუშტროვი რ., ბურჯანაძე ვარ., ბადრიძე ი., ბერიტაშვილი ლ., გველესიანი გრ., გოთუა პ., გოგუა კალ., გოგლიძე, გუნცაძე ირ., დადიანი ს., დიდიძე ერ., დეალი, ელიავა ს., ვეფხვაძე მ., ვადაჭკორია ს., თოფურიძე, კოვალიოვი მ., კახიანი პ., კანტიძე ი., კიკვაძე თ., ლორია ფ., მიკირტუმოვი ბ., მაჭავარიანი გ., მდივანი ალ., მზარეულოვი, მგალობლიშვილი მ., ნაცვლიშვილი, ჟორჟოლიანი, რამიშვილი ნ., რამიშვილი ირ., რუსია მ., რუსია ნ., რუხაძე არ., საგირაშვილი, სადღაშვილი გ., სირბილაძე, ტოროშელიძე მ., ფირცხალაიშვილი ი., ფანიევი კ., ჩადუნელი, ჩხიკვიშვილი ბ., ძიძიშვილი ნ., წვერავა ნ., ჭიჭინაძე ნ., ხახანაშვილი ვ., ხართიშვილი დ., ხუნდაძე სვ., ჯაჯანაშვილი არჩ., ჯიბლაძე ს., შოთაძე გ.

ქალაქის მდივანი ვ. ხახანაშვილი.

საბჭომ განიხილა:

1. ჟურნალის დამტკიცება.
2. გამგეობის მოხსენება საფუთო გადასახადის შემოღების შესახებ.
3. გამგეობის მოხსენება თბილისის ცენტრალურ მომრიგებელ კამერის შესანახად საჭირო ხარჯების ერთი მეოთხედის ქალაქის სალაროდგან გაღების შესახებ.
4. გამგეობის მოხსენება ვორონცოვ-დაშკოვის სახელობის საბავშვო თავშესაფარის თვიურად 5.000 მანეთით დახმარების შესახებ.
5. სავალდებულო დადგენილების პროექტი სავაჭრო დაწესებულებებში სამუშაო საათების განსაზღვრის შესახებ.
6. გამგეობის მოხსენება სულით ავადმყოფთა თავშესაფარის მოსამსახურის ესტატე გურასპარიშვილისათვის 8.580 მანეთით ერთდროულ დახმარების შესახებ.
7. გამგეობის მოხსენება ალექსანდრე ლანდიას ქვრივ-ობლებისათვის 1.066 მანეთით და 66 კ. ერთდროულ დახმარების შესახებ.
8. გამგეობის მოხსენება ქალაქის მუშა ოღანეზ ასტვაცატუროვის ქვრივ-ობლებისათვის 6.840 მანეთით ერთდროულ დახმარების შესახებ.
9. სასკოლო კომისიის სამი წევრის არჩევა, გასულების ნაცვლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. გამგეობის მოხსენება მომრიგებელ-მოსამართლეთათვის ბინის ქირის გადიდების შესახებ.

11. გამგეობის მოხსენება აკულინა ლუკიანოვის მამულის იჯარითი დავთრებიდან ძირითადი წიგნებში გადატანის შესახებ.

12. ქალაქის საბჭოს სალიკვიდაციო კომისიაში ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეთა საზოგადოების წარმომადგენელის დაშვების შესახებ.

13. გამგეობის მოხსენება ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის საბალნო სახლში შესასვლელ ბილეთების ფასის გადიდების შესახებ.

14. ხმ. გოთუას შეკითხვა თბილისის ფუნიკულიორის უმოქმედობის შესახებ.

ქალაქის მოურავი ჩხეიძეშვილი ბ. ვინაიდან საბჭოს თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე თბილისში არ იმყოფება და არც მისი ამხანაგი ალ. მდივანი მოსულა, საჭიროა საბჭომ დღევანდელი სხდომისთვის თავმჯდომარე აირჩიოს.

ხმ. კახიანი ვ. დღევანდელ სხდომისათვის ვასახელებ ხმოსან პარმენ ჭიჭინაძეს.

საბჭო დღევანდელ სხდომისათვის თავმჯდომარეთ ირჩევს პარმენ ჭიჭინაძეს, რომელიც საბჭოს სხდომას ხსნის 8 საათსა და 55 წუთზე.

1. ჟურნალის დამტკიცება.

ქალაქის მდივანი ვ. ხახანაშვილი კითხულობს 1920 წლის 29 მარტის სხდომაზე მიღებულ რეზოლიუციებს.

საბჭო უცვლელად ამტკიცებს 1920 წლის 29 მარტის სხდომის ჟურნალს.

2. გამგეობის მოხსენება საფუთო გადასახადის შემოღების შესახებ.

კანონით საჭირო კვორუმის დაუსწრებლობის გამო საკითხი გადაიდო.

3. გამგეობის მოხსენება თბილისის ცენტრალურ მომრიგებელ კამერის შესანახად საჭირო ხარჯების ერთი მეოთხედის ქალაქის სალაროდგან გაღების შესახებ.

მოახსენებს ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიძეშვილი.
(შრომისა და სოციალურ დახმარების განყოფილებიდგან).

საბჭო ადგენს: საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის დასკვნა დადასტურებულ იქმნას. გაღებულ იქმნას ყოველ თვიურად ქალაქის სალაროდგან მომრიგებელ კამერის შესანახად საჭირო 17.020 მან. ერთი მეოთხედი —1.250 მან. გამოკლებით, რომელსაც იხდის ქალაქთა კავშირი, სულ 3.942 მ. 50 კ. (17.020—1.250=15.770 : 4=3.942 მან. 50 კაპ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. გამგეობის მოხსენება ვორონცოვ-დაშკოვის სახელობის ბავშვთა თავშესაფარის თვიურად 5.000 მან. დახმარების შესახებ.

მოახსენებს ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი.
(შრომისა და სოციალურ დახმარების განყოფილებიდგან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. გაღებულ იქმნას ყოველ თვიურად ვორონცოვ-დაშკოვის სახელობის ბავშვთა თავშესაფარის დასახმარებლად ხუთი ათასი (5.000) მანეთი, ამ თანხის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით.

5. სავალდებულო დადგენილების პროეკტი სავაჭრო დაწესებულებებში სამუშაო საათების განსაზღვრის შესახებ.

მოახსენებს ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი.
(პროეკტი სავალდებულო დადგენილებისა იხილე ჟურნალის ბოლოში).

ქალაქის მდივანი ხახანაშვილი ვ. წინა სხდომაზე საბჭომ განიხილა მთავარი სადავო მუხლი და დაადგინა: დასვენების დღეთ ყველა ეროვნების მუშა-მოსამსახურეთათვის ცნობილ იქმნას კვირა დღე. ამ დადგენილების შემდეგ საბჭომ შეუდგა პროეკტის მუხლობრივ განხილვას, მაგრამ ამ დროს საბჭოს დარბაზში კვორუმი აღარ იყო და განხილვა შემდეგ სხდომისათვის გადაიდო.

ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი კითხულობს პროეკტს მუხლობრივ. თავმჯდომარე კენჭს უყრის თვითეულს მუხლს ცალკე.

საბჭო უცვლელად იღებს 1 და 2 მუხლს, შენიშვნა მეორე მუხლისა, წინა სხდომაზედ მიღებულ დადგენილებით გაუქმდება, მე-3 მუხლში, ხმ. გველესიანის წინადადების თანახმათ, საბჭო ადგენს: ზაფხულში (1 მაისიდგან 1 ოკტომბრამდე) დილის 6 საათიდგან 12 საათამდე და ნაშუადღევის 2 საათიდგან 4 საათამდის. შემდეგი მუხლები: 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11- მისი შენიშვნა და 12 მიღებულია უცვლელად.

საბჭო ადგენს: 1. ვაჭრობა, როგორც ნარდათ ისე ნაჭროებით, ყველა საწყობებში, მაღაზიებში და სხვა სავაჭრო დაწესებულებებში სწარმოებდეს დღეში 8 საათს.

2. კვირაობით და დამფუძნებელ კრების მიერ დეკრეტით ცნობილ უქმეებში ყველა სავაჭრო დაწესებულებანი დაკეტილი უნდა იყოს. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ის სავაჭროები, რომლებიც ვაჭრობენ პურით, ხორცით, თევზეულობით, ძეხვით და მწვანილეულობით, რომელთაც უფლება აქვთ კვირა-უქმეებს ივაჭრონ შუადღის 12 საათ., რისთვისაც. მომუშავეთ ეძლევათ განსაკუთრებული გასამრჯელო ერთ ნახევარით მეტი დღიური ხელ-ფასის ნორმისა.

შენიშვნა: კვირაში ერთი დღე იქმნას ცნობილი ყველასათვის სავალდებულოთ დასვენების დღეთ და ამ დღეთ კვირა ჩაითვალოს.

3. იმ სავაჭრო დაწესებულებებში, სადაც ვაჭრობენ მხოლოდ ხორცით, თევზეულობით და მწვანილეულობით ვაჭრობა სწარმოებს: ზაფხულში (1-ლ მაისიდგან 1-ლ ოკტომბრამდე) დილის 6 საათიდგან 12 საათამდე და ნაშუადღევის 2 საათიდგან 4 საათამდე.

ზამთრობით: (1 ოქტომბრიდგან 1 მაისამდე) დილის 7 საათიდგან შუადღის 12 საათამდე და ნაშუადღევის 2 საათ. 5 საათამდე.

შენიშვნა: თევზეულობით მოვაჭრეთ უფლება აქვთ აწარმოონ ვაჭრობა განუწყვეტლივ იმ პირობით, თუ მომუშავენი შეცვლილნი იქმნებიან მომუშავეთა მეორე წყებით და სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის სასტიკი კონტროლით.

4. სავაჭრო დაწესებულებანი, რომლებიც ვაჭრობენ ნარდათ ხილით და მწვანილეულობით აწარმოებენ ვაჭრობას: ზაფხულობით — დილის 4 საათიდგან 9 საათამდე და 11 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ზამთრობით — დილის 6 საათიდგან 11 საათამდე და შუადღის 1 საათიდგან 4 საათამდე.

5. საჩაიებში. საკანდიტროებში და ყავახანებში ვაჭრობა სწარმოებს ზაფხულობითაც და ზამთრობითაც დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 4 საათიდგან 7 საათამდე.

6. წვრილი მოვაჭრენი, რომელნიც დაქირავებული შრომით არ სარგებლობენ, ვაჭრობენ საერთო წესით თანახმათ დღეში 8 საათს.

7. ოქრომჭედლები, თამბაქოთი მოვაჭრეთ, ავეჯეულობით, რკინეულობით და სხვა ნივთებით მოვაჭრეთ, ფართლეულობით და გალანტერეული ნივთებით ნარდათ მოვაჭრეთ ეძლევათ უფლება ივაჭრონ განუწყვეტლივ, თუ მომუშავენი თანახმანი იქმნებიან, იმ პირობით, რომ სამუშაო დრო 8 საათზე ნაკლებ განისაზღვრებოდეს.

8. ყველა დანარჩენი დაწესებულებანი აწარმოებენ ვაჭრობას: ზაფხულში დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს $4^1/_2$ საათიდგან $6^1/_2$ საათამდე. ზამთარში — დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 6 საათამდე.

9. ყოველ გვარი მუშაობა და ვაჭრობა სავაჭრო დაწესებულებებში და მათ კანტორებში შაბათობით თავდება ნაშუადღევის 2 ს.

10. მაღაზიების კანტორებში მუშაობა ორი საათით გვიან იწყება და გრძელდება 6 საათს.

11. სავაჭრო დაწესებულებებში მუშაობის შეწყვეტამდე 15 წუთით ადრე შესავალი კარები უნდა იხურებოდეს და კარებზე იკიდებოდეს პლაკატები წარწერით „მაღაზია დაკეტილია“.

შენიშვნა: სავაჭრო დაწესებულებათა პატრონები ვალდებულნი არიან მაღაზიების შიგნით გამოსაჩენ ადგილას გამოაკრან პლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატი, რომელზედაც ნაჩვენები უნდა იყოს ვაჭრობის დაწყების და გათავების დრო, აგრეთვე მოწოდება მოქალაქეთადმი, რომ ... დახურვის დროს დასტოვონ მაღაზია.

12. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს პასუხის გებაში იქმნება მიცემული სასჯელთა დებულების 29 მუხლით.

6. გამგეობის მოხსენება სულით ავადმყოფთა თავშესაფარის მოსამსახურის ესტატე გურასპაშვილისათვის 8.580 მან. ერთდროულ დახმარების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი.
(1 განყოფილებიდგან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას, სულით ავადმყოფთა თავშესაფარის მოსამსახურეს ესტატე გურასპაშვილს მიეცეს დახმარებათ ერთი წლის მისი ჯამაგირი რვა ათას ხუთას ოთხმოცი (8.580) მანეთი.

7. გამგეობის მოხსენება ალექსანდრე ლანდიას ქვრივ-ობლებისათვის 1.066 მანეთით და 66 კაპ. ერთდროულ დახმარების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი.
(1 განყოფილებიდგან).

ხმ. კახიანი ბ. (ს. დ.). ალექსანდრე ლანდია გარდაიცვალა ორი წლის წინათ. 1.066 მან. 66 კ., რომ მაშინვე მიგვეცა მისი ქვრივ-ობლებისათვის, ამას აზრი ექმნებოდა, მაგრამ დღეს, როცა მანეთის კურსი დაცემულია, სამართლიანი იქმნებოდა ეს თანხა ცოტა გადიდებულიყო. ჩვენი ფრაქციის სახელით წინადადება შემომაქვს გამგეობის მიერ წარმოდგენილი რიცხვი გადიდებულ იქმნას 4.000 მანეთამდე.

საბჭო ადგენს: მიეცეს ქალაქის ყოფილ მოსამსახურეს ალექსანდრე ლანდიას ქვრივ-ობლებს ერთდროული დახმარება ოთხი ათასი (4.000) მან., ამ თანხის 1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით.

8. გამგეობის მოხსენება ქალაქის მუშა ოლანეზ ასტვაცატუროვის ქვრივ-ობლებისათვის 6.840 მან. ერთდროულ დახმარების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი.
(1 განყოფილებიდგან).

საბჭო ადგენს: გამგეობის დადგენილება დადასტურებულ იქმნას. მიეცეს ერთდროულ დახმარებად ქალაქის ყოფილ მუშას ოლანეზ ასტვაცატუროვის ქვრივს ორი ათას ორას ოთხმოცი (2.280) მანეთი და ობლებს ოთხი ათას ხუთას სამოცი (4.560) მანეთი, ამ თანხის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. სასკოლო კომისიის სამი წევრის არჩევა გასულების ნაცვლად.

საბჭო ადგენს: სასკოლო კომისიაში ნაცვლად გასულებისა ამორჩეულ იქმნან ხმოსნები: ირემაშვილი ი., ხუნდაძე სვ. და დეკ. თალაქვაძე ნ.

10. გამგეობის მოხსენება მომრიგებელ-მოსამართლეთათვის ბინის ქირის გადიდების შესახებ.

მოახსენებს ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიკვიშვილი.
(სასამართლოს განყოფილებიდგან).

ხმ. მზარეულიშვილი ნ. გამგეობის მოხსენება ჩვენ აუცილებლად უნდა მივიღოთ. მაგრამ მე მინდა ამ საკითხის მეორე მხარეს მივაქცია თქვენი ყურადღება. ჯამაგირებს რომ თავი გავანებოთ მომრიგებელ-მოსამართლეთა მდგომარეობა სხვა მხრივაც აუტანელია. მათი კამერები უმეტეს შემთხვევაში ერთ პატარა ოთახისაგან შესდგება. ამ ერთ ოთახში მომრიგებელი მოსამართლე საქმესაც არჩევს, მთხოვნელებითაც და გარეშე დამსწრე საზოგადოებითაც სავსეა. წარმოიდგინეთ ამ შემთხვევაში დამცველის მდგომარეობაც, რომელსაც აუარებელი ხალხი თავზე დაჰყურებს. მომრიგებელ მოსამართლეებს არ გააჩნიათ არც სკამები, არც კანონთა კრებული და სხვა საჭირო საგნები. ასეთი მდგომარეობა ხელს უშლის საქმის სისწრაფეს. მე მინდა გამოვსთქვა სურვილი, რომ ამ მხრივ იქნას მიღებული საჭირო ზომები.

ხმ. გეჯელიანი გრ. ეთხოვოს გამგეობას შეიმუშაოს მოხსენება მომრიგებელ-მოსამართლეთა ჯამაგირების გადიდების შესახებ.

ხმ. კახიანი ბ. შემომაქვს წინადადება, რომ გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას მიმდინარე წლის 1 აპრილიდან.

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. მომრიგებელ-მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარეს ბინის ქირათ მიეცეს თვეში 1920 წლის 1 აპრილიდან (1.944 მან. და 44 კ.) ათას ცხრაას ორმოცდაოთხი მანეთი და 44 კ., მომრიგებელ-მოსამართლეთ თითოს ოთხას ოთხმოცი მანეთი (480 მ,)—სულ ყოველ თვიურად თერთმეტი ათასი სამოცდაოთხი მან. 44 კ. (11.064 მ. 44 კაპ.) ხოლო სამოცდათოთხმეტი ათას ცამეტი მან. და 38 კაპ. (74.013 მან. 38 კ,) ყველას დღიდგან ამორჩევისა მიმდინარე წლის 1 აპრილამდე. ამ თანხის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით.

11. გამგეობის მოხსენება აკულინა ლუკიანოვის მამულის იჯარითი დავთრებიდან ძირითადი წიგნებში გადატანის შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. შოთაძე.
(საფინანსო განყოფილებიდგან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას, აკულინა ლუკიანოვის მამული № 674 იჯარითი დაკთრებიდგან ძარითად წიგნებში იქმნას გადატანილი.

12. ქალაქის საბჭოს სალიკვიდაციო კომისიაში ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეთა საზოგადოების წარმომადგენელის დაშვების შესახებ.

თავმჯდომარე ჭიჭინაძე ვ. კითხულობს. თბილისის ქალაქის საბჭოს. შრომის მინისტრის მოწერილობის თანახმად ქალაქის საბჭომ ამოირჩია სალიკვიდაციო კომისია, რომელსაც დაევალა შრომისა და კაპიტალს შორის მომხდარი კონფლიკტები, წარმოების მთელი თუ ნაწილობრივი ლიკვიდაციის სახით, გაეწესრიგებინა. ამ კომისიაში შედის ქალაქის საბჭოს, სავაჭრო პალატის, საქართველოს კოოპერატივთა კავშირის, სავაჭრო-სამრეწველოების მოსამსახურეთა კავშირის და პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატის წარმომადგენლები, სამ-სამი კაცი თითო ჩამოთვლილ დაწესებულებებიდგან. ამ კომისიის დაარსების დროს შემთხვევით იქმნა გამორჩენილი ისეთი დაწესებულება, რომელსაც ხსენებულ კომისიის მუშაობაში დიდი მნიშვნელობა ექმნება. ეს დაწესებულება გახლავთ ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეთა საზოგადოება. სალიკვიდაციო კომისიას თავისი მუშაობაში უმეტეს შემთხვევაში უხდება საქმე მწარმოებლებთან, რომელნიც ხსენებულ საზოგადოების გარშემოა შეკავშირებული. ამ საზოგადოებამ რამოდენიმე ჯერ აღძრა შუამდგომლობა კომისიის წინაშე, რათა მათი წარმომადგენელიც ყოფილიყო პარიტეტულ ნიადაგზე სალიკვიდაციო კომისიაში დაშვებული. კომისიამ განიხილა ეს შუამდგომლობა და დაადგინა: ვინაიდან ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეთა საზოგადოების წარმომადგენელნი სალიკვიდაციო კომისიის მუშაობის ობიექტივობას ხელს შეუწყობს და მწარმოებელთა სალიკვიდაციო კომისიის მუშაობაზე ,აყვედურს, როგორც იურიდიულ, ისე ზნეობრივ, საფუძველს მოაკლებს, ეთხოვოს ქალაქის საბჭოს სალიკვიდაციო კომისიაში იქმნან დაშვებული ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეთა საზოგადოების მხრივ სამი წარმომადგენელი. სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარე ხმოსანი ი. ირემაშვილი. კომისიის მდივანი აკ. ტყემალაძე.

ხმ. კახიანი ვ. მწარმოებელთა წარმომადგენელნი საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლების სახით უკვე არიან ამ კომისიაში დაშვებულნი, რაიც კომისიის პარიტეტობისათვის სრულიად საკმაოა. ჩვენ რომ ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეთა თხოვნა დავაკმაყოფილოთ, მაშინ ათასი სხვა ასეთი საზოგადოებები მოინდომებენ ამ კომისიაში თავის წარმომადგენელის დაშვებას. ჩვენ წინადადება შემოგვაქვს ეს შუამდგომლობა უარყოფილ იქმნას.

ქალაქის მოურავი ჩხეიძეშვილი ბ. ეს საკითხი გამგეობაში არ გარჩეულა. თუ გნებავთ დღეს ამაზე მსჯელობა იქონიეთ, მაშინ ჩემს აზრს მოგახსენებთ.

ხმ. კახიანი ვ. აღარ არის საჭირო ლაპარაკი. მოისპოს კამათი.

საბჭო ადგენს: სალიკვიდაციო კომისიის შუამდგომლობა ბრიკა-ქარხნების მეპატრონეთა საზოგადოების წარმომადგენელების კომისიაში დაშვების შესახებ უარყოფილ იქმნას.

13. გამგეობის მოხსენება ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლში შესასვლელ ბილეთების ფასის გადიდების შესახებ.

მოახსენებს ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიძეიშვილი.
(სასკოლო განყოფილებიდან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლში შესასვლელ ბილეთებზე დაწესდეს შემდეგი ფასები:

პარტერი:			ბალკონი:	
1—7	რიგი. .	15	მან.	შუა ბალკონის პირველი
8—12	„ . .	12	„	რიგი და გვერდები . . . 5 მ.
13—20	„ . .	8	„	შუა ბალკონის დანარჩენი (2—8) რიგების ადგილი 3 მ.
ორკესტრებში.	.	12	„	

14. ხმ. გოთუას შეკითხვა თბილისის ფუნიკულიორის უმოქმედობის შესახებ.

თავმჯდომარე ჯიჯინაძე ვ. კითხულობს: ორ წელიწადზე მეტი დრო გადის, რაც ისეთი თვალსაჩინო დაწესებულება, როგორიც არის ქალაქის ფუნიკულიორი, აღარ მოქმედობს და მცხოვრებლები მოკლებულნი არიან საშუალებას ისარგებლონ ამ დიადი წარმოებით. გთხოვთ გვაცნობოთ, რა მდგომარეობაში არის ეს საკითხი და რა ღონისძიება იხმარეთ, რომ ფუნიკულიორმა განაახლოს თავისი მოქმედება. ხმოსანი პარტენ გოთუა. თბილისი 5 აპრილი 1920 წ.

ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიძეიშვილი. ამ საკითხს ჩვენ კიდევ შარშან მივაქციეთ ყურადღება. მოვიწვიეთ უსახელო საზოგადოების წარმომადგენელი და გავმართეთ მასთან მოლაპარაკება. ის დაგვპირდა, რომ მოძრაობა იქნებოდა აღდგენილი. ასეთი ჩვენი მოლაპარაკება შარშან აქვეთ ჩვენ რამდენჯერმე გავმართეთ, მაგრამ ყველა მისი დაპირებანი უშედეგოთ რჩება. თუ თქვენ თქვენის დადგენილებით დაგვავალებთ უკანასკნელად მოლაპარაკებას, ამას ჩვენ ვიზამთ, რის შემდეგაც შეიძლება ლაპარაკი იძულებით ჩამორთმევაზე. ის ჯარიმა, რომელიც ხელშეკრულებაშია აღნიშნული, უსახელო საზოგადოებისათვის საგრძნობ თანხას არ წარმოადგენს. ჯარიმას გადიხდის, ხოლო მუშაობას კი არ განაახლებს.

ხმ. ხართიშვილი დ. ჩემი ფიქრით, ყველა იმ შემთხვევაში, როცა წარმოება უქმად სდგას და მეპატრონე მის ამუშავებას არ ცდილობს, იძულებით უნდა იქმნას ჩამორთმეული.

ხმ. გველესიანი გრ. ხელშეკრულება, რომელიც ქალაქსა და უსახელო საზოგადოების შორის არის დადებული უმეტესად უკანასკნელის სარგებლობაზედ ზრუნავს და იქ არ მოიპოვება არც ერთი ისეთი მუხლი, რომლის ხელის ჩაკიდებაც შეგვეძლოს. ამიტომ ფუნიკულიორის საკითხი სხვა გზით, თუ გნებავთ კანონმდებლობითი გზით უნდა გადაიჭრას.

ხმ. დადიანი ს. მე არ ვარ გაცნობილი ამ ხელშეკრულობის შინაარს, ამიტომ მინდოდა გამეგო, ნუ თუ არ შეიძლება რაიმე ისეთი ხელმოსაკიდებელი საბუთის მოძებნა, რომლის შემწეობითაც მეპატრონე გვაიძულებინა მუშაობა განეახლებინა?

ხმ. გოთუა ბ. მე ეს საკითხი დავსვი იმიტომ კი არა, რომ იძულებით ჩამორთმევაზე გვეფიქრა (მარცხენა მხარეზე სიცილი და ხმები „შეეშინდა“), არამედ იმიტომ, რომ როგორმე ქალაქის მცხოვრებნი ზაფხულის სიცხე-პაპანაქებაში ოდნავ უზრუნველ გვეყო.

საბჭო ადგენს: დაევალოს გამგეობას უკანასკნელათ გამართოს მოლაპარაკება უსახელო საზოგადოების წარმომადგენელთან, რომ თბილისის ფუნიკულიორის მოქმედება განახლებულ იქმნას და თუ ამ მოლაპარაკებამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, გამგეობა შემოვიდეს საბჭოში მოხსენებით ფუნიკულიორის იძულებით ჩამორთმევის შესახებ.

სხდომა დაიხურა 10 საათ. და 10 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალაქ თბილისის საბჭოს 1920 წ. 19 აპრილის სხდომის

ჟურნალი

თავმჯდომარეობდა ალ. ლომთათიძე.

დაესწრნენ ხმოსნები: აუშტროვი რ., აფხაზი კ., არსენიძე რ., ავაქოვი ი., ბახტაძე,, ბურჯანაძე ვ., ბადრიძე, ბერიტაშვილი ლ., ბესელიძე ი., ბალიაშვილი ი., გომელაური ი, გოგუა კ., გომართელი ივ., გუნცაძე, ი., გოგლიძე ა., გველესიანი გრ., გოთუა პ., დიდიძე, დვალი დ., ელიავა ს., ვაჩნაძე დ., ვეფხვაძე მ., თალაქვაძე დეკ., თევზაძე ს., კონიაშვილი გ., კანტიძე ი., კიკვაძე თ., კანდელაკი ა., კალანდაძე დ., კახიანი პ., კოვალიოვი მ., ლომთათიძე ალ., ლაზხიშვილი ვ., ლორია ფ., მიკირტუმოვი ბ., მგელაძე, მზარეულოვი ნ., მაჭავარიანი გ., ნაცვლიშვილი, პაპავა აკ., ელენტი ლ., რუსია მ., რუხაძე ნ., რამიშვილი ირ., რუსია არჩ., რუსია ნ., სულიაშვილი დ., სოლოლაშვილი ა., სადაღაშვილი, ტორობელიძე მ., ფარქოსაძე, ფირცხალაიშვილი, ქავთარაძე პ., შოთაძე, ჩადუნელი დ. ჩიჩუა ზ., ჩხიკვიშვილი ბ., ძიძიშვილი ნ., წვერავა, ჭიჭინაძე, ხართიშვილი, ხახანაშვილი, ხელაძე, ჯაფარიძე ს., ჯაჯანაშვილი, ჯიბლაძე.

ქალაქის მდივანი ვ. ხახანაშვილი.

საბჭომ განიხილა:

1. ჟურნალის დამტკიცება.
2. გამგეობის მოხსენება საფუთო გადასახადის შემოღების შესახებ.

თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე საბჭოს სხდომას ხსნის 8 საათს და 40 წუთზე.

1. ჟურნალის დამტკიცება.

ქალაქის მდივანი ვ. ხახანაშვილი კითხულობს 1920 წლის 5 აპრილის სხდომაზე მიღებულ რეზოლიუციებს.

2. გამგეობის მოხსენება საფუთო გადასახადის შემოღების შესახებ.

თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე. ბატონებო, დღევანდელ დღიურ წესრიგში სდგას მხოლოდ ერთი საკითხი უკვე გაირჩა საბჭოში ამ წლის 15 მარტს, მაგრამ კანონის მოთხოვნილებით ამ საკითხის გადასაჭრელად საჭიროა ხმოსანთა ორი მესამედის, ე. ი. 60 ხმოსნის, დასწრება. 15 მარტის სხდომაზე კი ხმოსანთა საკმაო რიცხვი არ გამოცხადებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს სხდომაზე სამოცდა ექვსი ხმოსანია, ასე რომ ამ საკითხის გადაჭრა შეგვიძლია. როგორც მოგახსენეთ, კამათი საფუთო გადასახადის შესახებ და სათანადო დადგენილებაც იქმნა გამოტანილი. დღეს როგორ ინებებთ, ხელახლათ ვიმსჯელოთ ამ საკითხზე, თუ დაადასტურებთ 15 მარტის დადგენილებას?

ხმ. გომართელი ივ. 15 მარტს, როცა ჩვენ საკითხს საფუთო გადასახადის შესახებ ვარჩევდით, ყველა მიმართულების ორატორებს მიეცათ შეძლება თავისი აზრი გამოეთქვათ. არსებითად ყველა, განურჩევლად მიმართულებისა, მომხრე იყო საფუთო გადასახადის იმ სახით შემოღებისა, როგორც თვით დადგენილებაშია ნათქვამი. ამიტომ, ჩემი აზრით, დღეს ჩვენ უნდა დავადასტუროთ 15 მარტის სხდომის დადგენილება ამ საგანზე.

საბჭო, ხმოსანთა საერთო რიცხვის ორ მესამეზედ მეტის დასწრებით, ერთხმივ, **ადგენს**: 1) შემოღებულ იქმნას, დამფუძნებელ კრების მიერ 1919 წლის 31 ივლისს მიღებული დეკრეტის თანახმათ, საფუთო გადასახადი ქალაქ თბილისის თვითმმართველობის სასარგებლოდ ყველა იმ ტვირთზედ, რომელიც შემოტანილი თბილისში ან გატანილი იქმნება თბილისიდგან, რკინის გზის თბილისის და ნავთლულის სადგურებით, აგრეთვე კახეთის რკინის გზის სადგურ ნავთლულით; 2) გადასახადის რაოდენობა განისაზღვროს გაოცკეცებულ ძირითად სატარიფო გადასახადით, რომელიც აქვს ან დაედება ვერსტზედ ტვირთის თითო ფუთს, თითო ცალს ან თითო ვაგონს ამ ტვირთვის გადაზიდვის საერთო ტარიფის თანახმათ, გა' და ხორბლეულობის და ფქვილეულობისა, რომელზედაც გადასახადი განისაზღვროს გაათკეცებული სატარიფო გადასახადით; 3) ამ გადასახადისაგან სრულიად განთავისუფლდეს მიცვალებულთა გადატანა; 4) ეს დადგენილება ძალაში შევიდეს ჟურნალის ხელის მოწერით დამტკიცებამდის.

სხდომა დაიხურა 8 საათსა და 55 წუთზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალაქ თბილისის საბჭოს 1920 წ. 15 მარტის სხდომის

ᲣᲣᲠᲜᲐᲚᲘ

თავმჯდომარეობდა ალ. ლომთათიძე.

დაესწრნენ ხმოსნები: აფხაზი კ., აუშტროვი რ., ავაქოვი ი., აბდუშელიშვილი შ., ბესელიძე ი., ბალიაშვილი, ბერიტაშვილი ლ., ბადრიძე ი., ბახტაძე ვ., ბურჯანაძე ვ.. გომართელი ივ., გველესიანი გრ., გოგლიძე გ., გომელაური ი., გოთუა პ., გუნცაძე, დადიანი ს., დვალი, ელიავა ს, ვადაჭკორია ს., ვეფხვაძე მ., ვაჩნაძე დ., თოფურიძე დ., დეკ. თალაქვაძე ნ., თევზაძე ს., ირემაშვილი ი., კანდელაკი ალ., კიკვაძე თ., კანტიძე ი., კახიანი პ., ლორია ფ., ლომთათიძე ალ., მიკირტუმოვი ბ., მგალობლიშვილი მ., მახვილაძე ე., მზარეულოვი ნ., მაჭავარიანი ვ., მდივანი ალ., ნაცვლიშვილი ა., ჟღენტი ლ., რუსია მ., რუსია ნ, რამიშვილი ირ., საგირაშვილი კ., სადაგაშვილი გ., სოლოლაშვილი ა., ფარქოსაძე, ფანიევი კ., ჩადუნელი დ., ჩიჩუა ზ., ძიძიშვილი ნ., ხახანაშვილი ვ., ხართიშვილი დ., ჯაფარიძე ს., ჯაჯანაშვილი არჩ., ჯიბლაძე ს.

ქალაქის მდივანი ვ. ხახანაშვილი.

ᲡᲐᲑᲭᲝᲛ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐ:

1. მიმდინარე მომენტი.

თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე 9 საათსა და 10 წუთზე ხსნის საბჭოს სხდომას.

საბჭოს დარბაზის ქანდარა გარეშე ხალხითაა გაჭედილი.

ალ. ლომთათიძე. ბატონებო, დღევანდელი სხდომა მოწვეულია ყველასათვის ცნობილ მოვლენათა მიერ გამოწვეულ გარემოებით. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ადერბეიჯანმა, რომელიც ჩვენთან იყო კავშირში გარეშე ძალთა შემოსვლის წინააღმდეგ საერთო ძალით მოსაგერებლად, დღეს სრულიად უეცრად და მხდლათ მტრის წინაშე თავი მოიხარა და იგი დაუბრკოლებლივ თავის საზღვრებში შემოუშვა. სრულის თანხმობით და შეგნებით მისმა მთავრობამ თავისი ადგილი მტერს დაუთმო და მით თავის და თავად ჩვენ საერთო კავშირიდან გამოვიდა. ადერბეიჯანი დღეს, ყოველ შემთხვევაში ქაღალდზე, საბჭოთა მთავრობის „იარლიკით“ მოგვევლინა. თქვენ კარგათ მოგეხსენებათ ის გეგმა, რომელიც ლენინს და მის „კომპანიას“ ასულდგმულებს. მათ მიზნათ აქვთ დასახუ-

ლი ენვერ-ფაშას ხელი გაუწოდონ და საერთო ძალით იმოქმედონ. საქართველო ხშირად ყოფილა ასეთ გასაჭირში, ნამეტურ ორი წელიწადი მისი დამოუკიდებლად არსებობისა სავსეა ამ გვარ მდგომარეობით. ... რამ მას თავის სახელოვან ჯარის და გვარდიის შემწეობით ყოველთვის თავი დაულწევია გასაჭირისაგან. თუ ხალხის ფართო მასსა წინა ხანებში სათანადო ანგარიშს ვერ უწევდა მდგომარეობას - დღეს მან ნათლად შეიგნო და შეითვისა დამოუკიდებლობის იდეა და მტრის ავლა-დიდებას გაეცნო. ხალხმა დღეს ზედმიწევნით შეისწავლა უარყოფითი მხარეები მოწინააღმდეგისა და უკანასკნელის ანკესზე ასე ადვილად აღარ წამოეგება. ბატონებო, დღეს გარკვევით უნდა ითქვას, რომ ჩვენს წინააღმდეგ მოდის ველიკოროსია დაპყრობითი ინსტიკტებით გაჟღენთილი და მას გვერდს უმშვენებს აზიური თურქული იმპერიალიზმი. ამ მოვლენას სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს და შესაფერი წინააღმდეგობა გაუწიოთ. დაწვრილებით თანამედროვე მომენტზედ მოხსენებას გააკეთებს ქალაქის მოურავის ამხანაგი ბატონი გ. კონიაშვილი.

ქალაქის მოურავის ამხანაგი გ. კონიაშვილი.—მოქალაქენო, ხმოსნებო. ჩვენ შეგვიძლია მოგილოცოთ ახლად გამოჩეკილ სოციალისტურ რესპუბლიკის არსებობის დასაწყისი. გუშინდელი სათათრეთის ყურ-მოჭრილი მონა-მორჩილი ადერბეიჯანი, დღეს საბჭოთა მთავრობის დროშას თავს აფარებს და ქვეყანას წითელ სამოსელში გამოხვეული ევლინება. ის ადერბეიჯანი, რომელსაც არ გააჩნია არც ინტელიგენცია, არც ჯარი, არც ფინანსები, არ აქვს არავითარი სახელმწიფოებრივი ტრადიცია და არც მისი შექმნის უნარი შესწევს, დღეს სოციალიზმს ეპოტინება. გაბატონებული პარტია „მუსავატისა“ ყოველგვარ ნდობას მოკლებული ერავის ხალხში ერთსა და იმავე ადგილს სტკეპნიდა და ბოლოს სახელმწიფო დალუპვის პირას მიიყვანა. უკანასკნელი ხნის კრიზისი მთავრობისა, რომელიც დიდხანს გაგრძელდა, არავის ეჭვს არ უბადებდა, რომ ადერბეიჯანის დღეები დათვლილი იყო. აქედგან ყველას შეგვეძლო გამოგვეტანა ერთად ერთი დასკვნა: ადერბეიჯანი სიკვდილის წინ კონვულსიით იგრიხებოდა. საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო ბაქო, სხვა სახელმწიფო, სხვა ტომის ხალხი, დაეპატრონა მას და ეს მოსული ძალა ჩვენს არსებობასაც საფრთხეში აყენებს. ვინ არიან ეს მოსული ხალხი? რას წარმოადგენს ბოლშევიზმი? თქვენ იცით, რომ იგი ცხოვრების ასპარეზზე ინტერნაციონალურ დროშით გამოვიდა, მაგრამ მან დასავლეთ ევროპაში მარცხი იგემა. მათ სოციალიზმს ევროპის პროლეტარიატმა ზურგი შეაქცია და მათ იმედს ევროპაში სოციალურ რევოლიუციის ცეცხლის გაჩენისა უკუღმართი ბედი ეწია. თვით ბოლშევიზმის სულის ჩამდგმელი ლენინი სასწარკვეთილებამ მოიცვა და სოციალიზმისაგან გვერდი აახვევინა. თქვენ წაიკითხავდით გაზეთებში ლენინის განცხადებას, სადაც ის ამბობს — ბედ-

ნიერი ვიქმნებით, თუ სოციალიზმს ჩვენი შვილი-შვილები მოესწრენო. ოთხი წლის ომმა რუსეთი ეკონომიურად დასცა და გაანადგურა და ამის შემდეგ იგი ნაციონალურ აღორძინების გზას უნდა დასდგომოდა. ბოლშევიკებს ამის ანგარიშის არ გაწევა არ შეეძლოთ. დამარცხდნენ რა ისინი დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმთან ბრძოლაში, მოქმედების ასპარეზი სოციალიზმის დასამყარებლად ხივა-ბუხარა-ადერბეიჯანში გადმოიტანეს. ვისაც სურს ნამდვილი სახე ბოლშევიზმისა დაინახოს, მან სოციალიზმის ფარდა უნდა გადაგლიჯოს საბჭოთა კამარილიას, ხელში შეგრჩებათ იმპერიალისტები, რომლებიც რუსეთის ძველ საზღვრებში აღდგენას ლამობენ. უახლობელესი მიზანი, რომელსაც ბოლშევიკურ-თურქული ბლოკი ისახავს, გახლავთ ანტანტასთან საზოგადოთ და კერძოთ აღმოსავლეთში ინგლისის გავლენის სფეროსთან ბრძოლა, რომ მით შექმნან ზავისთვის ხელსაყრელი პირობები. ამ ვაკხანალიის დროს განსაკუთრებულ პირობებში ვიმყოფებით ჩვენ და სომხები. მე მინდა ორიოდ სიტყვით უკანასკნელს შევეხო. სომხის ხალხის ბედ-იღბალი, როგორც მოგეხსენებათ, დაშნაკცუტიუნს უპყრია ხელთ. ამ პარტიის მესვეურთა პოლიტიკა დამღუპველი იყო სომხის ერისათვის. დაშნაკელები ქვეყანას არწმუნებდნენ, რომ ჩრდილოეთის საშიშროება არ არსებობს და ამ შემცდარ გზაზე დგომით მათ ბევრი ზიანი მოუტანეს თავის ხალხს. ახლა მაინც, როცა წითელი რუსეთი მათ მოსისხლე მტერს ენვერ ფაშას მეგობრულ ხელს უწვდის მიხვდნენ, თუ რა შედეგები მოჰყვება ასეთ კავშირს სომხის ერისათვის. სადაც ენვერ ფაშაა, იქ დანა ილესება სომხის ხალხის ყელის გამოსაჭრელად. ჩვენ შესახებ ბევრი არა დამრჩენია რა სათქმელი—ჩვენ შევძელით შეგვექმნა რეგულიარული ჯარი, ჩვენ გვაქვს დამფუძნებელი კრება, გვყავს მუშათა კლასის თაიგული—გვარდია და ყველას ნდობით აღჭურვილი მთავრობა. აი ჩვენი ციხე-სიმაგრე, აი ჩვენი ძალა. მთავრობის თავმჯდომარემ მოწოდებით მიმართა ყველას და ქალაქებსაც მათ რიცხვში. რა გზას ადგია ხალხი? თბილისის დემოკრატია, რომელმაც ჩვენ აქ წარმოგვგზავნა, მტკიცეთ სდგას თავის პოზიციაზე და მთავრობის თავმჯდომარის საპასუხოთაც ხმა აღიმაღლა 1 მაისს. ვერავითარი ძალა ვერ შესძლებს მის შერყევას და გზიდან გადახვევას. ჩვენ გვრჩება მხოლოთ ორი გზა, ან გამარჯვება, ან და ისტორიულ სცენიდან წასვლა. (ტაში).

ხმ. გომართელი ივ. (ს.-დ.). ყველა ის, რაც თქვენ აქ მოისმინეთ, აღმაშფოთებელია. აღმაშფოთებელია იგი ორ მხრივ: ერთი ადერბეიჯანის, მეორე საბჭოთა რუსეთის მხრივ. ადერბეიჯანი ჩვენთან კავშირში იყო. ჩვენ საერთო ძალით თავი უნდა დაგვეცვა გარეშე მტრისაგან. თუმცა მათი სიბნელე და ორპოფობა მუდამ ეჭვს გვიბადებდა, მაგრამ არ გვეგონა, თუ ისინი ასე მუხანათურად ულალატებდნენ მარტო თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს კი არა—თავის მოკავშირეებსაც. ის ერი, გინდ ხალხი, რომელსაც არავითარი ეროვნული თავმოყვარეობა არ გააჩნია, იგი არსებობის უფლებასაც არ არის. ადერბეიჯანმა ფეხ ქვეშ გათელა თავისი ეროვნული თავმოყვარეობა. რომ მას ჩვენთვის ეთქვას მოზღვავებულ გარეშე მტერს ვერ გაუმკლავდი და ამიტომ ვმორჩილდებიო, ჩვენ შეიძლება კიდევ მოვნახავდით მათთვის რაიმე გასამართლებელ სიტყვას. დღეს კი ჩუში ღალატი თავის თავია და მოკავშირეთა წინაშე მათ ბრალდებას აორკეცებს. რა ჩაიდინა საბჭოთა რუსეთმა? თვითგამორკვევის მომხრენი სიტყვით, ისინი არა ერთჯერ და ორჯერ ღალატობენ ამ პრინციპს. ყველა ის რევოლიუციონური ლოზუნგები, რომელნიც მათ „წითელ“ დროშაზე ეწერა. თანდათან იშლება და ბოლოს წითელის მაგიერ შავი დროშა შერჩათ ხელში. მათ მიზნათ დაისახეს დღევანდელ შეუფერებელ პირობებში სოციალიზმის დამყარება. რომ მართლა ვხედავდეთ რაიმე ნასახს სოციალიზმისას მე და ყველა ჩემი ამხანაგები მათ გვერდში ვიქნებოდით, მაგრამ სოციალიზმის მაგიერ ჩვენ ვხედავთ დაუსრულებელ სისხლის ღვრას შიგნით, სამოქალაქო ომის სახით და დაპყრობის გაუნელებელ მადის საზღვრებზე. რუსეთის დემოკრატიას საბჭოთა მთავრობის სახით დაეპატრონა ერთი მუჭა კამარილიისა, რომლის მოქმედება არაფრათ არ გაირჩევა ნოკოლოზის დროის კამარილიისაგან. თუ ყველა გზები გადეჭრათ მათ, ერთში მაინც უნდათ გამოსწორება. აღდგენა რუსეთის ძველ საზღვრებში, აი ის იდეა, რომელიც დღეს ბოლშევიზმს ასულდგმულებს. ამ მიზნის განსახორციელებლად მათ მოიწვიეს ძველი გენერლები, რომელნიც ძველი გზით მიდიან ძველ მიზნის განსახორციელებლად. თუ რა სახის იქმნება მათი აქ შემოსვლა—ამაში გვარწმუნებს მათი ოსმალეთთან კავშირი. შეიძლება ჩვენ მოკლე ხნის დამოუკიდებლად არსებობის განმავლობაში სახელმწიფოს ამენება ვერ შევძელით, შეიძლება კიდევ ბევრი გვაკლია, მაგრამ ამ აღმშენებლობითი მუშაობის მკვიდრი საფუძველი უკვე ჩაყარეთ, ეს ცხადია, რომელზედაც ჩვენ ჩამომავლობას, ჩვენ თუ არა, მაინც შეეძლო მკვიდრი სახელმწიფოებრივი შენობის აგება. ბოლშევიკ-ოსმალთა კავშირის აქ შემოსვლა ამ საფუძველსაც ძირიან-ბუდიანათ აღმოფხვრის. სხვა დროზე უფრო ჩვენი მდგომარეობა ეხლა უფრო სანუგეშოა. ჩვენ გვყავს გამოწვრთნილი ჯარი და გვარდია, ჩვენ გვყავს ჩვენი ნდობით აღჭურვილი მთავრობა, რომლებსაც სრულის იმედით შეგვიძლია დავეყრდნოთ. ამას დაურთეთ ის ერთსულოვნება, რომელიც, საბედნიეროთ, ჩვენს ხალხში არსებობს, წარმოიდგინეთ ის აღტაცება, რომლითაც ხალხი მობილიზაციას ეგებება და თქვენ დამშვიდებით შეგიძლიათ სთქვათ, რომ ჩვენი საქმე მოგებულია. ის სულიერი გადატეხა, რომელიც ჩვენ ხალხის ფსიხიკაში მოხდა ამ ერთი წლის განმავლობაში დამოუკიდებლობის საყარგებლოდ, ის სიძულვილი, რომელიც ხალხში არსებობს ბოლშევიზმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინააღმდეგ ნამდვილი მაჩვენებელია ჩვენი გამარჯვებისა და კიდეც გა-ეიმარჯვებთ.

გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკის სიმტკიცეს. (მხურვალე ტაში).

ხმ. ჯაჯანაშვილი ა. (ს.-ფ.) საქართველომ დღიდგან თავის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა სამუდამოთ ზურგი შეაქცია რუსეთს. რუსეთი კვლავ დასაპყრობლად ჩვენსკენ მოიწევს. რუსეთი დაავადმყოფებულია, შიგნით სამოქალაქო ომისაგან სისხლით იცლება, გარეთ საზღვრებზე მარცხდება: პოლშა, ფინლანდია, ესტონია და სხვა პატარა ერები რუსეთის ყოფილ იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულნი თავდადებულ ბრძოლით თავის დამოუკიდებლობას იცავენ. ყველგან, სადაც კი სახელმწიფოებრიობის ტრადიცია არსებობდა, დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს. განსაკუთრებით კი უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ რუსეთის მიერ დაგებულ ანკესზე წამოეგო გუშინდელი ჩვენი მოკავშირე ადერბეიჯანი. ჩვენი მიწა-წყალი ჩვენ მოწინააღმდეგეთა თავშესაფარი შეიქნა. ამ ბოლო დროს რუსეთის ორი მოწინააღმდეგე ძალები აქ იყრიან თავს. საქართველო ორთავეს სძულს და ეს შეურიგებელი ბტრები საქართველოს დამხობის გარშემო რიგდებიან, საერთო მოქმედების ხაზს პოულობენ. როგორც ბოლშევიკები, ისე დენიკინელები აქ ივიწყებენ თავის მტრობას და ერთად ერთ მიზნის განსახორციელებლად მოლვაწეობენ. თუ ჩვენ გვინდა გარეშე ფრონტის გამაგრება, შიგნით ფრონტი უნდა გამაგრდეს, ამიტომ ამ მოსულ ელემენტებისაგან თავი უნდა დავიხსნათ. როგორც დენიკინელები, ისე ბოლშევიკები საქართველოს საზღვრებიდან დაუყოვნებლივ განდევნილი უნდა იყვნენ. კმარა სტუმართ-მოყვარეობა, გვეყოფა ამდენი მოთმენა. სოც.-ფედერალისტთა პარტია მუდამ ოპოზიციაში უდგა მთავრობას, მაგრამ დღეს ჩვენ პარტიულ ანგარიშებს ვერ შეუდგებით. დღევანდელ ფრიად სერიოზულ და საპასუხისმგებლო მომენტში ჩვენ მხარში ამოუდგებით ჩვენს მთავრობას და მასთან ერთად არავითარ შრომას არ დავზოგავთ, რათა საშშობლო შავი ძალებისაგან ვიხსნათ. (ტაში).

ხმ. გოთუა ბ. მოქალაქენო, ჩვენი ხალხი და მისი ნებისყოფის გამომხატველი მთავრობა არასოდეს არ ყოფილა მომხრე დაპყრობითი პოლიტიკის. ჩვენ ყოველთვის ჩვენსას ვიცავდით და სხვისი არასოდეს არ გვდომებია, არავის არ ავმხედრებივართ. ჩვენი ხალხი მიზანში არ.ს ამოღებული ყველასაგან, ჩვენი არსებობა ბევრს მოსვენებას არ აძლევს. პირველი ლახვარი სომხეთმა ჩაგვცა. ეს ჩვენ უკვე დავივიწყეთ. მიუხედავათ ამისა ისინი კიდევ არ ისვენებენ და შიგნით აჯანყებებს გვიწყობენ. ერევნის მთავრობა, თუ მას ოდნავ შეგნებული აქვს თავის ინტერესები და გათვალისწინება შეუძლია იმ პერსპექტივების, რომელიც სომხეთს მოე-

ლის ბოლშევიკ-თურქთა კავშირის შემოსევით, აუცილებლად ჩვენ გვერდში უნდა გვიდგენ ამ სერიოზულ მომენტში, მაგრამ ისინი რაღაც ყოყმანობენ. ძალიან სიფრთხილე გვმართებს, მოქალაქენო. ადერბეიჯანი ჩვენ შევქმენით, ჩვენი შემწეობით შესძლო მან ამდენ ხანს არსებობა, მაგრამ იგი სუსტი გამოდგა და რუსეთის მორიგ გუბერნიად გადაიქცა. რუსეთთან ჩვენ საწინააღმდეგო არა გვაქვს რა. ჩვენ მათთან ძმური კავშირი გვსურს, მაგრამ ის არ ისვენებს. დროებით გამარჯვებით თავბრუ დასხმული ბოლშევიზმი ჩვენსკენაც ხელებს აპოტინებს, მაგრამ ქართველი ხალხი შესძლებს მათ უკუგდებას. ჩვენი ეოი მთელი თავის არსებით ბოლშევიზმის წინააღმდეგია დღეს და არც მომავალში გაჰყვება მას, ხოლო თუ ვინმე ჰყავთ მათ ჩვენში მომხრე, ისინი მხოლოდ მოსულები არიან და ეს მოსულები, უმეტეს შემთხვევაში, ახლო მეზობლებთა ნაძირალებია. მარტო ვართ ჩვენ, ჩვენი მომხმარე არავინ არის, გარდა თვით ჩვენი თავისა. მაგრამ ეს საფრთხე ჩვენთვის სრულებითაც საშიშარი არ არის. იგი გარდამავალია და ქართველი ერი გამარჯვებული გამოვა ამ შემთხვევაშიდაც. ბოლშევიკო-ოსმალთა ბლოკი სახიფათოა, მაგრამ თუ ჩვენ ერთად ვიქმნებით, თუ ჩვენში უთანხმოებას ადგილი არ ექმნება, ვერავინ ვერაფერს დაგვაკლებს. თუმცა ჩვენ ოპოზიციაში უდგევართ მთავრობას, მაგრამ ამ წმიდა საქმეში, სამშობლოს დაცვაში, ჩვენ მათთან ვიქნებით მთელი ჩვენი არსებით. მხოლოდ, ბატონებო, დროებით მაინც მოვიშოროთ თავიდან ჩვენი ტრადიციული თვისება — გულკეთილობა და სტუმართ-მოყვარეობა. მე მინდა, ბატონებო, კიდევ ერთ გარემოებას მივაქციო თქვენი ყურადღება. საქართველოს მთლიანი სხეული დანაწილებულია. მხოლოდ ეხლა არის შესაფერისი მომენტი გაერთიანებისათვის. ჩვენ დაუყონებლივ უნდა დავიკავოთ ბათუმი ოლქით და ზაქათალა. ეს ნაწილები ჩვენი განუყოფელი ნაწილებია და ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს. ამ დიდი საქმის დროს ევროპა ჩვენთან უნდა იყოს, განსაკუთრებით ინგლისი, თუ მას არ სურს, რომ გამხრწნელი თვისებები ბოლშევიზმისა აღმოსავლეთს არ მოედოს და ინდოეთი არ დაჰკარგოს. საქართველო მათთვის ერთად-ერთი დასაყრდნობი ბაზა იქმნება. გაუმარჯოს ჩვენს ხალხს, ჩვენს დამოუკიდებლობას, მთავრობასთან ერთად. (ტაში).

ხმ. ვაჩნაძე დ. — ბატონებო, მე ნაციონალისტი გახლავართ, და როგორც ასეთს თქვენ კაპიტალიას მიწოდებთ, მაგრამ მე ეს არ მაფიქრებს. ადერბეიჯანის მე სრულიად არ მეშინიან. მე ყოველთვის მაშინებდა რუსეთი. რუსეთია ჩვენი დამღუპველი და ის არც დღეს გვასვენებს. თქვენ დაბრძანდებით დედა ქალაქში და თავი სადღაც რუსეთის გულში გგონიათ. გაივსო რუსებით თბილისი, რომელნიც ერთ მშვენიერ დღეს ზურგში დანას ჩაგვცემენ. ქუჩაში რუსები, თეატრში „დიადია ვანიები“ და „ვიშნიოვი სადები“. ერთი სიტყვით, რუსეთის მომქმედმა მოწინააღმდეგე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალებმა თავისი მთავარი შტაბები აქ გადმოიტანეს. მათ ჩვენი შეჯმა უნდათ. როდის გავნთავისუფლდებით მათგან? გუშინდელი თავდასხმა ჩვენ სამხედრო სასწავლებელზე ვისგან არის მოწყობილი? კმარა, ბატონებო, გულახდილად უნდა ითქვას, რომ ჩვენი მოსისხლე მტრები სომხებია. სასტიკი და შეუბრალებელი ბრძოლა გვმართებს მათთან და მათ სულის ჩამდგმელ დაშნაკცუტიუნთან. მე მოვითხოვ მთავრობამ კონფისკაცია უყოს ყველა ამ გვარ დაშნაკთა ქონებას. ყველაზე უფრო სომხებია საშიშარი. (ხმ. თევზაძე, თურქების არ გეშინია?) არა, მე თურქების არ შეშინია, ისინი მესოპოტამიაში არიან და იქიდგან აქამდის ჯერ კიდევ დიდი მანძილია. ბევრჯერ გამიცხადებია აქ და ეხლაც ვაცხადებ—საზღვრები გაამაგრეთ, მაგრამ საზღვრები წითელ ხიდთან არ გახლავს. ისტორიულ საქართველოს თავის საზღვრები აქვს. ამას გარდა, მე მოვითხოვ დაუყონებლივ იქმნას ჩვენი დადგენილება სისრულეში მოყვანილი ვორონცოვის ძეგლის აღების შესახებ. ყოველ გამვლელ-გამომვლელს თვალში ეჩხირება ეს რუსეთის გენერალი და თვის მწარე წარსულს, თავის დამცირებას და ეროვნულ თავმოყვარეობის შებღალვას აგონებს.

სმ. მიკირტუმოვი ბ.—(ს.-დ.) მე მესმის, როცა ახალგაზრდა ხმოსანი ვაჩნაძე სომხეთს ემუქრება, მაგრამ მადარდებს ბ. გოთუას შეუფერებელი კილო და აზრი სომხეთის წინააღმდეგ. ნაძირალები, ბატონებო, ყველას გვყავს და ის სომხის ნაძირალები, რომელნიც აქ აჯანყებას გვიწყობენ მავნებელია მარტო ქართველებისათვის კი არა, თვით სომხებისათვისაც. მათთან ბრძოლა ყველას მოვალეობაა.

ქალაქის მთურავის ამხანაგი გ. კონიაშვილი.—მე არ მინდა დღეს კამათი, მაგრამ არ შემიძლია ჩვენს მოწინააღმდეგებს მარჯვნიდან ორიოდ სიტყვა არ მოვახსენო. ბ. ვაჩნაძის რჩევას რომ ყური უგდოთ ისეთსავე შედეგებს მივიღებთ, როგორც თვით დაშნაკელები იღებენ თავის შოვინიზმით. დამნაშავენი, ცხადია, სასტიკათ იქმნებიან დასჯილნი, მაგრამ მთელი ერი, მთლათ, სომხეთი, აქ რა შუაშია? რაც შეეხება ვორონცოვის ძეგლის აღებას, ეს შეფერხდა ტეხნიკური მიზეზებით, რომელნიც მალე იქმნებიან დაძლეულნი.

ხმ. გოშართელი ივ. (ს.-დ.) მე შემომაქვს ჩემი ფრაქციის სახელით შემდეგი რეზოლიუცია (კითხულობს): რუსეთის ყოფილ იმპერიის ტერიტორიაზედ საქართველომ შესძლო რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნება, სახელმწიფოს შექმნა და დაცვა მასზედ მომდგარ შავ-ბნელ ძალისაგან.

ამავე დროს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მტკიცეთ იცავდა ერთა სოლიდარობას, მეზობლებთან კეთილ განწყობილებას და კულტურულ კაცობრიობასთან მჭიდრო დამოუკიდებლობას. დღეს საქართველოს დამოუკიდებლობას, რევოლიუციით მონაპოვარ თავისუფლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათ საფრთხე მოელის და საფრთხე მოდის ბოლშევიკურ-თურქული იმპერიალიზმის სახით.

ის იმპერიალისტური ძალა წითელ და მწვანე დროშების ქვეშ ლამობს ჩვენი თავისუფლების და დამოუკიდებლობის დამხობას მოსკოვ-არზრუმის ნაკარნახევი გზით და საშუალებით.

საქართველოს რესპუბლიკის დედა ქალაქის დემოკრატიული საბჭო მთელი თბილისის დემოკრატიის სახელით აღიარებს, რომ რესპუბლიკისა და თავისუფლების დასამხობათ მომართული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში, საბჭო ყოველთვის მტკიცეთ დაუჭერს მხარს დამფუძნებელ კრებას და მთავრობას და არავითარ საშუალებებს არ დაზოგავს თავდაცვის საქმეში.

საბჭო ადგენს: რუსეთის ყოფილ იმპერიის ტერიტორიაზედ საქართველომ შესძლო რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნება, სახელმწიფოს შექმნა და დაცვა მასზედ მომდგარ ყოველგვარ შავბნელ ძალისაგან.

ამავე დროს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მტკიცედ იცავდა ერთა სოლიდარობას, მეზობლებთან კეთილ-განწყობილებას და კულტურულ კაცობრიობახთან მჭიდრო დამოკიდებულებას. დღეს საქართველოს დამოუკიდებლობას, რევოლიუციით მონაპოვარ თავისუფლებათ საფრთხე მოელის და საფრთხე მოდის ბოლშევიკურ-თურქული იმპერიალიზმის სახით.

ეს იმპერიალისტური ძალა წითელ და მწვანე დროშების ქვეშ ლამობს ჩვენი თავისუფლების და დამოუკიდებლობის დამხობას მოსკოვ-არზრუმის ნაკარნახავი გზით და საშუალებით.

საქართველოს რესპუბლიკის დედა ქალაქის დემოკრატიული საბჭო მთელი თბილისის დემოკრატიის სახელით, აღიარებს, რომ რესპუბლიკის და თავისუფლობის დასამხობათ მომართული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში, საბჭო ყოველთვის მტკიცეთ დაუჭერს მხარს დამფუძნებელ კრებას და მთავრობას და არავითარ საშუალებებს არ დაზოგავს თავდაცვის საქმეში.

სხდომა დაიხურა 11 საათზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალაქ თბილისის საბჭოს 1920 წ. 17 მაისის სხდომის

ჟურნალი

თავმჯდომარეობდა ალ. მდივანი.

დაესწრნენ ხმოსნები: აფხაზი კ., ავაქოვი ი., აბდუშელიშვილი შ., ბახანაშვილი, ბერიტაშვილი ლ., გომელაური ი., გოთუა პ., გველესიანი გრ., გუნცაძე ირ., დადიანი ს., დიდიძე ერ., ელიავა ს., ვადაჭკორია ს., ვეფხვაძე მ., თოფურიძე დ., ირემაშვილი ი., კალანდაძე, კახიანი პ., კოვალიოვი მ., კონიაშვილი გ., მიკირტუმოვი ბ., მდივანი ალ., მახვილაძე, მაჭავარიანი ვ., ნაცვლიშვილი ა. ჟორჟოლიანი ა., რამიშვილი ირ., რუხაძე არჩ., რუსია ნ., რუსია მ., რამიშვილი ნ., სულიაშვილი დ., სადაგაშვილი, ფირცხალაიშვილი ი., ფანიევი კ., შევჩუკი, შოთაძე, ჩადუნელი დ., ჭიძიშვილი ნ., ჭიჭინაძე პ., ხართიშვილი დ., ხახანაშვილი ვ.

ქალაქის მდივანი ვ. ხახანაშვილი.

საბჭომ განიხილა:

1. ჟურნალის დამტკიცება.

2. გამგეობის მოხსენება სისხლის სამართლის მილიციის საერთო მილიციიდან გამოყოფის შესახებ.

3. გამგეობის მოხსენება შრომის ბირჟის წესდების პროექტის შესახებ.

4. გამგეობის მოხსენება იურისკონსულტის ხუბერიანისათვის ჯამაგირის მომატების შესახებ.

5. გამგეობის მოხსენება ექიმი ექვთიმე ვაშაკიძის ქვრივისათვის ერთდროულ დახმარების აღმოჩენის შესახებ.

6. გამგეობის მოხსენება სასურსათო განყოფილების პასუხისაგებ თანამდებობის პირთა ჯამაგირების გადიდების შესახებ.

7. გამგეობის მოხსენება სახალხო უნივერსიტეტისათვის 200.000 მანეთით დახმარების აღმოჩენის შესახებ.

8. გამგეობის მოხსენება განსვენებულ მასწავლებლის ოლღა ბაბოკაშვილის დედისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

9. გამგეობის მოხსენება მოსკოვის სამხატვრო თეატრის წარმოდგენების საქალაქო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

10. გამგეობის მოხსენება საოფიშო ბოძების იჯარით გაცემის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. გამგეობის მოხსენება ქალაქის საავადმყოფოებში და სამკურნალოებში გადასახადის გადიდების შესახებ.

12. გამგეობის მოხსენება ცხენების შეძენის შესახებ.

13. გამგეობის მოხსენება დედობის და ბავშვობის დაცვის საზოგადოებისათვის 25.000 მანეთით დახმარების აღმოჩენის შესახებ.

14. გამგეობის მოხსენება წყალსადენის მოსამსახურის ავერიან ოსიპოვის ქვრივისათვის თვეში 200 მანეთის პენსიად დანიშვნის შესახებ.

15. გამგეობის მოხსენება გამგეობის სამდივნოს ყოფილ საქმის მწარმოებლის დ. ბოდისკოსათვის 10.220 მანეთით დახმარების შესახებ.

16. გამგეობის მოხსენება ქართულ ტანსავარჯიშო საზოგადოების „შევარდენი"-სათვის 10.000 მანეთით დახმარების აღმოჩენის შესახებ.

17. გამგეობის მოხსენება სულით ავადმყოფთა თავშესაფარის მოსამსახურის ყაზაროვისათვის 9.168 მანეთით ერთდროულ დახმარების აღმოჩენის შესახებ.

18. გამგეობის მოხსენება ძველი წყნეთის გზით ვაკის პროსპექტთან შესაერთებელ ქუჩის საჭიროებისათვის ტრაპაიძის მამულის შეფასების შესახებ.

19. სარევიზიო კომისიის ერთი წევრის არჩევა.

20. სასურსათო კომისიის არჩევა.

21. გამგეობის მოხსენება არტემ სოლომონის ძე დონოვის მამულის იჯარით დავთრებიდან ძირითადში გადატანის შესახებ.

22. პენსიების დანიშვნის წესის გადამსინჯავ კომისიის არჩევა.

23. შეფასების კომისიის წევრთა არჩევა.

24. ხმ. პ. გოთუას შეკითხვები.

თავმჯდომარე ალ. მდივანი საბჭოს სხდომას ხსნის 9 საათსა და 5 წუთზე.

1. ჟურნალის დამტკიცება.

ქალაქის მდივანი ვ. ხახანაშვილი კითხულობს საბჭოს მიმდინარე წლის 19 აპრილის და 3 მაისის სხდომებზე მიღებულ რეზოლიუციებს.

საბჭო უცვლელად ამტკიცებს 19 აპრილის და 3 მაისის სხდომების ჟურნალებს.

2. გამგეობის მოხსენება სისხლის სამართლის მილიციის საერთო მილიციიდან გამოყოფის შესახებ.

მოახსენებს ქალაქის მოურავის ამხანაგი ვ. ხახანაშვილი.

(1 განყოფილებიდან, მოხსენება იხილე ჟურნალის ბოლოში).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას.

1. სისხლის სამართლის მილიცია გამოყოფილ იქმნას ქალაქის საერთო მილიციიდან ცალკე ორგანოთ და თავის დარგში სის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხლის სამართლის მილიციის უფროსი აღიჭურვოს ქალაქის მილიციის უფროსის უფლებებით.

2. ამასთანავე სისხლის სამართლის მილიციის შესანახად კრედიტები გამოეყოს ქალაქის მილიციის კრედიტებიდან და გადაირიცხოს სისხლის სამართლის მილიციის უფროსის განკარგულებაში და მას უშვალოთ ეძლიოს ფულები გამგეობის სალაროდან საერთო წესით.

3. სისხლის სამართლის მილიციის სამსახურში მიღება-დათხოვნის საქმე დაექვემდებაროს სისხლის სამართლის მილიციის უფროსს. გარდა თავისი თანაშემწეებისა, რომელთა დანიშვნა-დათხოვნა შეადგენს ქალაქის გამგეობის უფლებას.

4. დამნაშავეთა ადმინისტრატიული წესით დაპატიმრების საქმეში სისხლის სამართლის მილიციის უფროსი აღიჭურვოს იმ უფლებით, როგორითაც სარგებლობს ქალაქის მილიციის უფროსი.

5. მიეცეს უფლება სისხლის სამართლის მილიციის უფროსს გადაწყვიტოს ყველა ის საკითხები სისხლის სამართლის საქმეებისა და მილიციის მოხელეებისა, რომელსაც ამ ჟამად განაგებს ქალაქის მილიციის უფროსი.

6. ამასთანავე გადიდებულ იქმნას სისხლის სამართლის მილიციის შტატი ხუთი უფროსი და ხუთი უნტროსი მილიციონერით და ერთი კანცელარიის მოხელით.

7. სისხლის სამართლის მილიციის უფროსს დაენიშნოს თვიურად ჯამაგირი 7.800 მან. (შვიდი ათას რვაასი მანეთი) ა. წ. პირველ მაისიდან. მილიციის უფროსის თანაშემწეთა რიცხვი შემცირდეს ერთი კაცით და დანარჩენებთა შორის ერთს, როგორც უფროსს თანაშემწეს, დაენიშნოს 5.500 მან. (ხუთი ათას ხუთასი მან.) და ორს როგორც უნტროს თანაშემწეებს, 5.000 მან. (ხუთი ათასი მან.) თვიურად ა. წ. 1 მაისიდან, და ეს ცვლილება შეტანილ იქმნას 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში.

3. გამგეობის მოხსენება შრომის ბირჟის წესდების პროექტის შესახებ.

საბჭო ადგენს: მოხსენება შრომის ბირჟის წესდების პროექტის შესახებ გადადებულ იქმნას.

4. გამგეობის მოხსენება ქალაქის იურისკონსულტის ხუბერიანისათვის ჯამაგირის მომატების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი.
(1 განყოფილებიდან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. ქალაქის იურისკონსულტს მ. ა. ხუბერიანს ამა წლის 1 მაისიდან გაუდიდდეს ჯამაგირი ექვსი ათას (6.000) მანეთამდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. გამგეობის მოხსენება ექიმი ექვთიმე ვაშაკიძის ქვრივისათვის ერთდროულ დახმარების აღმოჩენის შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი.
(1 განყოფილებიდან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. ექიმ ექვთიმე ვაშაკიძის ქვრივს ქეთევან თევდორეს ასულ ვაშაკიძისას მიეცეს ერთდროულ დახმარებად სამი ათას შვიდას ოთხმოც და თორმეტი (3.792) მანეთი, ამ თანხის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით.

6. გამგეობის მოხსენება სასურსათო განყოფილების პასუხსაგებ თანამდებობის პირთა ჯამაგირების გადიდების შესახებ.

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება გადიდებულ იქმნას.

7. გამგეობის მოხსენება სახალხო უნივერსიტეტისათვის 200.000 მანეთით დახმარების აღმოჩენის შესახებ.

მოახსენებს ქალაქის მოურავის ამხანაგი გ. კოხიაშვილი.
(სამოსწავლო განყოფილებიდან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. მიეცეს სახალხო უნივერსიტეტს ორასი ათასი (200.000) მანეთი, ამ თანხის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით.

8. გამგეობის მოხსენება განსვენებულ მასწავლებლის ოლღა ბაბოკაშვილის დედისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი.
(1 განყოფილებიდან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. განსვენებულ მასწავლებლის ოლღა ბაბოკაშვილის დედას მიეცეს ერთდროულ დახმარებად შვიდი ათას ორმოცდა ათი (7.050) მანეთი, ამ თანხის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით.

9. გამგეობის მოხსენება მოსკოვის სამხატვრო თეატრის წარმოდგენების საქალაქო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. შთაძე.
(1 საფინანსო განყოფილებიდან).

ხმ. კახიანი ვ. (ს.-დ.) ჩვენი აზრით მოსკოვის სამხატვრო თეატრის წარმოდგენები უნდა იქმნას დაბეგვრილი. სახელმწიფო თეატრში ყველა ოპერები განთავისუფლებულია. ეს იმ მოსაზრებით, რომ ოპერებს დიდი გასავალი აქვს, დრამებს კი ცოტა ხარჯები სჭირდება. ამ მოსაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებით სამხატვრო თეატრის წარმოდგენების პირველი სერია უნდა იქმნას მხოლოდ განთავისუფლებული, დანარჩენი კი დაბეგვრილი საქალაქო გადასახადით.

ხმ. გოთუა ბ. (ნ.-დ.) გლახა ზნე გვჭირს, ბატონებო. იქ, სადაც გასავალზეა ლაპარაკი უსიტყვოთ ვიღებთ გამგეობის მოხსენებებს, სადაც შემოსავალზე, იქ კი ბევრს ვლაპარაკობთ, ამიტომ რომ თვით ამ შემოსავალზე უარი ვსთქვათ. მოსკოვის სამხატვრო თეატრის წარმოდგენები ხალხითაა გაჭედილი. რაც ფულები იყო თბილისში სულ მათ ხელში შეგროვდა და ასეთ ხალხის განთავისუფლებას ლამობთ გადასახადისაგან. მე მესმის, რომ ისინი გაჭირვებული იყვნენ, მარა ისინი აქ კი არა იქ იყვნენ გაჭირვებულნი, საიდანაც გამოდევნეს. ჩვენ ყოველივე დახმარება აღმოუჩინეთ მათ: უბინაოებს ბინა მივეცით, იმ დროს, როცა ჩვენ თვითონ ბინები არ გაგვაჩნია. მათ წარმოდგენებს ხალხი დიდი თანაგრძნობით შეხვდა. აქ ჩვენ პრინციპიალურად სრულიადაც არ გვინდა საკითხს შევეხოთ. საკითხი პრაკტიკულათ უნდა გადაიჭრას და რამოდენიმე ათეულ ათას მანეთს ქალაქის კასას ნუ დაუკარგავთ ამ კრიზისის დროს. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ პირველი სერიის განთავისუფლებისაც.

ხმ. დადიანი ს. (ს.-ფ.) ცხადია, ბატონებო, რომ კულტურული საქმე, ლექცია იქმნება იგი წარმოდგენა თუ სხვა, არ უნდა იბეგრებოდეს. ეს პრინციპი ყველასათვის მისაღები და მოსაწონია, მარა ეს ყველას შესახებ ასე არ ხდება. ჩვენ ვიცით, რომ სახელმწიფო თეატრში არსებობს დაფარული სუბსიდია ოპერებისათვის. იმ დროს, როცა ჩვენი თეატრი უბინაოთ არის მიტოვებული. ასე გასინჯეთ, როცა ჩვენი მსახიობები თავის საარსებოთ სდგამენ რაიმე წარმოდგენებს იმასაც კი ვბეგრავთ. მე მაკვირვებს, რატომ არ უნდა იყოს დაბეგრილნი ისინი ვინც უზრუნველ ყოფილნი არიან. სამხატვრო თეატრს საქმე ჯერ-ჯეროობით არ უჭირს და თუ გაუჭირდება გადასახადისაგან განთავისუფლებაზედაც მაშინ ვილაპარაკოთ. დღეს კი ჩვენ წინააღმდეგი ვართ მათი წარმოდგენების პირველი სერიის საქალაქო გადასახადისაგან განთავისუფლების.

ქალაქის მოურავის ამხანაგი ბ. ჯანიაშვილი. მე მგონია სამხატვრო თეატრის დაფასებაში პრინციპიალური უთანხმოება ჩვენში არ მოხდება. შევეხები საკითხს მხოლოდ პრაკტიკულ მოსაზრებით. პირველი სერია წარმოდგენებისა ჩვენ გავანთავისუფლეთ იმიტომ, რომ სამხატვრო თეატრის მსახიობნი აქ ჩამოსვლის დროს დიდ გაჭირვებას განიცდიდენ. როცა მათ ხელი მოითბეს, ჩვენ საჭიროთ დავინახეთ მათი წარმოდგენების გაბეგვრა. აქ წამოყენებული ბრალდება ვითომც ჩვენ შშობლიურ ხელოვნებას არ ვეხმარებოდეთ სიმართლეს მოკლებულია. ყოველივე ის, რაც ჩვენს ხელთ იყო გავაკეთეთ მისთვის, რაც ჩვენ ძალა-უფლებას აღემატება, მის არ გაკეთებას დანაშაულში ვერვინ ჩამოგვართმევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰმ. კახიანი ბ. აქ არ იყო მოყვანილი ციფრები, თუ რამდენი შემოსავალი ან გასავალი ჰქონდა სამხატვრო თეატრის წარმოდგენებს პირველ სერიაში, ამიტომ ჩემი ფრაქციის სახელით წინადადება შემომაქვს საკითხი გადაიდოს შემდეგისათვის და დაევალოს გამგეობას წარმოადგინოს ამ მხრივ საჭირო ცნობები.

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება მოსკოვის სამხატვრო თეატრის წარმოდგენების პირველ სერიის საქალაქო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ გადადებულ იქმნას. დაევალოს გამგეობას საბჭოს შემდეგ სხდომისათვის წარმოადგინოს ციფრები პირველი სერიის წარმოდგენების შემოსავალ-გასავალისა.

10. გამგეობის მოხსენება სააფიშო ბოძების იჯარით გაცემის შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი.
(1 განყოფილებიდან).

საბჭო ადგენს: გამგეობის დადგენილება დადასტურებულ იქმნას. ქალაქის სააფიშო ბოძებ-სვეტები იჯარით მიეცეს ქართველ არტისტთა კავშირის გამგეობას ათი ათას (10.000) მანეთად წელიწადში.

11. გამგეობის მოხსენება ქალაქის საავადმყოფოებში და სამკურნალოებში გადასახადის გადიდების შესახებ.

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება გადადებულ იქმნას.

12. გამგეობის მოხსენება ცხენების შეძენის შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი.
(1 განყოფილებიდან).

საბჭო ადგენს: გამგეობის დადგენილება დადასტურებულ იქმნას. 1) ქალაქის სამრეწველო განყოფილებისათვის ცხენების შესაძენად გაღებულ იქმნას ორმოცდა ათი ათასი (50.000) მანეთი; 2) მიმდინარე წლის 6 აპრილიდან ცეცხლის მქრობელ რაზმის ოთხი ცხენის შესანახად ყოველ თვიურად 16.370 მან., ამ თანხის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით.

13. გამგეობის მოხსენება დედობისა და ბავშვობის დაცვის საზოგადოებისათვის 25.000 მანეთით დახმარების აღმოჩენის შესახებ.

მოახსენებს ქალაქის მოურავის ამხანაგი გ. ჯანიაშვილი.
(სამოსწავლო განყოფილებიდან).

საბჭო ადგენს: გამგეობის დადგენილება დადასტურებულ იქმნას. დედობის და ბავშვობის დაცვის საზოგადოებას მიეცეს ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროულ დახმარებად ოცდა ხუთი ათასი (25.000) მანეთი, იმ ფულებ-ხიდან, რომელიც სოციალურ დახმარების განყოფილების განკარგულებაშია.

14. გამგეობის მოხსენება წყალსადენის მოსამსახურის ავერიან ოსიპოვის ქვრივისათვის თვეში 200 მანეთის პენსიად დანიშვნის შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი.
(2 განყოფილებიდან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. ქალაქის წყალსადენის მუშის ავერიან ოსიპოვის ქვრივს დაენიშნოს პენსია ორასი (200) მანეთი თვიურად, ამა წლის 1 იანვრიდან, ამ თანხის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით.

15. გამგეობის მოხსენება გამგეობის სამდივნოს ყოფილ საქმის მწარმოებლის ლ. ბოდისკოსათვის 10.220 მანეთით დახმარების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი.
(1 განყოფილებიდან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება ქალაქის გამგეობის სამდივნოს საქმის მწარმოებლის დ. ბოდისკოსათვის ერთდროულ დახმარების მიცემის შესახებ გადაეცეს წინასწარ განსახილველად საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას.

16. გამგეობის მოხსენება ქართულ ტანსავარჯიშო საზოგადოების „შევარდენი"-სათვის 10.000 მანეთით დახმარების აღმოჩენის შესახებ.

საბჭო ადგენს: მოხსენება ქართულ ტანსავარჯიშო საზოგადოების „შევარდენი"-სათვის 10.000 მან. დახმარების შესახებ გადადებულ იქმნას.

17. გამგეობის მოხსენება სულით ავადმყოფთა თავშესაფარის მოსამსახურის ყაზაროვისათვის 9.168 მან. ერთდროულ დახმარების აღმოჩენის შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი.
(1 განყოფილებიდან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. სულით ავადმყოფთა თავშესაფარის ყოფილ მოსამსახურეს ეზეფინა ყაზაროვისას მიეცეს ერთდროულ დახმარებად ცხრა ათას ას სამოცდა რვა (9.168) მანეთი, ამ თანხის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. გამგეობის მოხსენება ძველი წყნეთის გზით ვაკის პროსპექტთან შესაერთებელ ქუჩის საჭიროებისათვის ტრაპაიძის მამულის შეფასების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი.
(საალმშენებლო განყოფილება).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება გადადებულ იქმნას. ამორჩეულ იქმნას განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაეკალოს ადგილობრივ გაეცნოს საქმის მდგომარეობას და მოახსენოს საბჭოს. კომისიაში იქმნან არჩეულნი: ჩადუნელი დ., ელიავა უშ., ბერიტაშვილი ლუკა, კალანდაძე დ. და ჯაჯანაშვილი არჩ.

19. სარევიზიო კომისიის ერთი წევრის არჩევა.

საბჭო ადგენს: გადადებულ იქმნას.

20. სასურსათო კომისიის არჩევა.

საბჭო ადგენს: სასურსათო კომისიაში იქმნან არჩეულნი: ირ. რამიშვილი, მ. ვეფხვაძე, უშ. ელიავა, ბ. მიკირტუმოვი, ნ. წვერავა, არჩ. ჯაჯანაშვილი და დ. დვალი.

21. გამგეობის მოხსენება არტემ სოლომონის ძე დონოვის მამულის იჯარითი დავთრებიდან ძირითადში გადატანის შესახებ.

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება ა. დონოვის მამულის იჯარითი დავთრებიდან ძირითადში გადატანის შესახებ გადადებულ იქმნას.

22. პენსიების დანიშვნის წესის გადამსინჯავ კომისიის არჩევა.

საბჭო ადგენს: პენსიების დანიშვნის წესის შემცველ კომისიაში იქმნან არჩეულნი: ვ. ხახანაშვილი, დ. ხართიშვილი, ირ. გუნცაძე და გრ. გველესიანი.

23. შეფასების კომისიის წევრთა არჩევა.

საბჭო ადგენს: შეფასების კომისიაში იქმნას არჩეულნი: მიხ. გოგლიძე და ივ. გომელაური

24. ხმოსან პ. გოთუას შეკითხვები.

თავმჯდომარე ალ. მდივანი (კითხულობს): ქ. თბილისის საბჭოს თავმჯდომარეს. 1. ქ. თბილისის საბჭოს არა ერთხელ გამოუტანია წინა წლებში დადგენილება, რომ გაკეთებულიყო მტკვარზედ შესაფერ ადგილას საზაფხულო აბანოები (купальни), რომ მიეცეს საშუალება მცხოვრებთ ისარგებლონ მდინარის წყლით და აგრეთვე მოწესრიგდეს მტკვარში ბანაობა, რომელიც სწარმოებს ყოველივე წესების წინააღმდეგ. სასურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველია შეგვატყობინოს გამგეობამ, აპირებს ის ამ საკითხის მოგვარებას ამ წელში და თუ აპირებს, როდის შემოიტანს შესაფერ მოხსენებას საბჭოში 2. გასულ წელში ქალაქმა განიზრახა შეეძინა საკუთრებად მადატოვის კუნძული, რომელსაც ქალაქის მომავალი კეთილ დღეებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ კუნძულის უდიდესი ნაწილის პატრონთან იყო გამართული მოლაპარაკება შესყიდვის შესახებ, მაგრამ საქმე შეჩერებულია და სისრულეში არავის მოჰყავს. რა მდგომარეობაში ეს საკითხი, რა გააკეთა გამგეობამ და რა აბრკოლებს მას, რომ დაწყებული საქმე ბოლომდის მიიყვანოს. ხმოსანი პართენ გოთუა. თბილისი 17—V 20 წლ.

საბჭო ადგენს: ხმ. გოთუას შეკითხვები მტკვარზე საზაფხულო საბანაოს მოწყობის და მადატოვის კუნძულის შეძენის შესახებ გადაეცეს გამგეობას დასასკვნელად.

სხდომა დაიხურა 11 საათზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალაქ თბილისის საბჭოს 1920 წ. 7 ივნისის სხდომის

ჟურნალი

თავმჯდომარეობდა ალ. ლომთათიძე.

დაესწრნენ ხმოსნები: აბდუშელიშვილი შ., ავაქოვი ი., აფხაზი კ., ბადრიძე ი., ბახტაძე, ბურჯანაძე ვ., ბერიტაშვილი ლ., გველესიანი გრ., გოგლიძე მ., გუნცაძე ირ., გოგუა კალ., გომართელი ივ., დადიანი, დიდიძე ერ., დვალი დ., ელიავა ს., ვაჩნაძე დ., ვადაჭკორია ს., ვეფხვაძე მ., თევზაძე ს., თალაქვაძე ნ., ირემაშვილი ი., კახიანი პ., კოვალიოვი მ., კონიაშვილი გ., ლომთათიძე ალ., ლორია ფ., მზარეულოვი ნ., მიკირტუმოვი ბ., მახვილაძე ელ., მგალობლიშვილი, მგელაძე გ., მაჭავარიანი, მესხი ი., ნაცვალიშვილი ა., რამიშვილი ირ., რამიშვილი ნ., რუსია მ., რუსია ნ., რუხაძე არ., საგირაშვილი კ., სოლოლაშვილი ა., სულიაშვილი დ., სადაგაშვილი გ., ტოროშელიძე მ., ფირცხალაიშვილი ი., ფარქოსაძე, ფანიევი კ., ჩიჩუა ზ., ჩადუნელი დ., ჩხიკვიშვილი ბ., ძიძიშვილი ნ., წვერავა ნ., ჭიჭინაძე პ., ხართიშვილი დ., ხახანაშვილი ვ., ხელაძე ა., ჯაჯანაშვილი არ.

ქალაქის მდივანი ვ. ხახანაშვილი.

საბჭომ განიხილა:

1. თავმჯდომარის განცხადება ხმ. ხმ. პ. მასალკინის, პ. ქავთარაძის, ნ. რუხაძის და შ. ბახანაშვილის ხმოსნობიდან გასვლის და მათ ადგილზე 1 ნომრის სიიდან მორიგ კანდიდატების ჭალიძის მიხეილ გაბრიელის ძის, ათაბეგოვის ვასილ გეორგის ძის, ხუხუნაიშვილის თედორე ქიშვარდის ძის და ბალიანცის მიკირტიჩ ბალახანის ძის ხმოსნებად შემოსვლის შესახებ.

2. ჟურნალის დამტკიცება.

3. გამგეობის წევრის კ. ფანიევის ცნობა პურის გაძვირების შესახებ.

4. საქართველოს ქალაქების წარმომადგენელთა ყრილობაზე 5 წარმომადგენელის არჩევა.

5. გამგეობის მოხსენება ფუნიკულიორის ამუშავების შესახებ.

6. გამგეობის მოხსენება „ფრონტის დამხმარე კომიტეტის“ განკარგულებაში 100.000 მანეთის გადადების შესახებ.

7. გამგეობის მოხსენება მოხუც და უპატრონო ქალთა შესანახად შრომისა და სოციალურ დახმარების სპეციალურ თანხიდან 15.000 მანეთის გადადების შესახებ.

8. გამგეობის მოხსენება შრომისა და სოციალურ დახმარების განყოფილების ფონდიდან უფასო სასადილოების ხარჯების ასანაზღაურებლად ყოველ თვიურად 19.200 მანეთის გადადების შესახებ.

9. გამგეობის მოხსენება უიმედო მოვალეების სხვა და სხვა საქალაქო გადასახადებიდან განთავისუფლების შესახებ.

10. გამგეობის მოხსენება ქალაქის მიკროსკოპიულ სადგურზე ნიხრის გადიდების შესახებ.

11. გამგეობის მოხსენება სასაკლაოზე ძეხვების დასამზადებელ მექანიკურ ქარხნის შეძენის შესახებ.

12. გამგეობის მოხსენება ლაბორატორიაში რძის გაშინჯვის, აღნუსხვის და სათანადო მოწმობის მიცების ფასის გადიდების შესახებ.

13. გამგეობის მოხსენება არტემ სოლომონის ძე დონოვის მამულის საიჯარო დავთრებიდან ძირითადში გადატანის შესახებ.

14. გამგეობის მოხსენება მიმდინარე ზაფუხლში ქალაქის ბაღებისათვის ზედმეტი მუშების დაქირავების შესახებ.

15. გამგეობის მოხსენება მადათოვის კუნძულზე მუხრანსკების მამულის შეძენის შესახებ.

16. გამგეობის მოხსენება ჯარში გაწვეულთა ოჯახებისათვის დახმარების შესახებ.

17. გამგეობის მოხსენება „სოციალურ დახმარების დროებით წესების“ განხორციელების შესახებ.

18. გამგეობის მოხსენება 26 მაისის სადღესასწაულოდ 75.000 მანეთის გადადების შესახებ.

19. გამგეობის მოხსენება ქუჩის ბავშვების მათხოვრობის აკრძალვის შესახებ.

20. გამგეობის მოხსენება შრომის ბირჟის წესდების პროეკტის შესახებ.

21. სარევიზიო კომისიის ერთ წევრის არჩევნები.

თავმჯდომარე ალ. დომოთეიძე საბჭოს სხდომას ხსნის 9 საათსა 30 წ.

1. თავმჯდომარის განცხადება ხმ. ხმ. პ. მასალკინის, პ. ქავთარაძის, ნ. რუხაძის და შ. ბახანაშვილის ხმოსნობიდან გასვლის და მათ ადგილზე 1 ნომრის სიიდან მორიგ კანდიდატების: მ. გ. ჭალიძის, ვ. გ. ათაბეგოვის, თ. ქ. ხუხუნაიშვილის და მ. ბ. ბალიანცის ხმოსნებად შემოსვლის შესახებ.

საბჭო თავმჯდომარის განცხადებას იღებს ცნობად.

2. ჟურნალის დამტკიცება.

საბჭო უცვლელად ამტკიცებს 16 მაისის სხდომის ჟურნალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. გამგეობის წევრის კ. ფანიევის ცნობა პურის გაძვირების შესახებ.

(სასურსათო განყოფილებიდან).

გამგეობის წევრი კ. ფანიევი. ამ ორ-სამ დღეში პურის ფასმა საშინლად აიწია. ამის მიზეზი ის გარემოება გახლავთ, რომ ცუდი ამინდების გამო გზები გაფუჭდა და შეუძლებელი შეიქმნა პურის მოზიდვა პროვინციებიდან. გზის გარდა, თვით გადასაზიდი საშვალებაც არ იშოვებოდა სოფლად. ჩვენ გვქონდა ხორბალი, რომელიც თბილისში არსებულ ყველა წისქვილებში სასწრაფოდ იფქვება. გზებიც შეკეთებული იქნა და პროვინციიდან კვლავ დაიწყებს პური მოსვლას. ამას გარდა მთავრობას მოუვიდა ფოთიდან დიდძალი პური. ასე, რომ ყველა ეს ორი-სამი დღის შემდეგ პურის საქმეს კვლავ ნორმალურ კალაპოტში ჩააყენებს.

საბჭო გამგეობის წევრის კ. ფანიევის მოხსენებას იღებს ცნობად.

4. საქართველოს ქალაქების წარმომადგენელთა ყრილობაზე 5 წარმომადგენელის არჩევა.

საბჭო ადგენს: საქართველოს ქალაქების წარმომადგენელთა ყრილობაზე დასასწრებად ამორჩეულ იქნან ბ. ჩხიკვიშვილი, ალ. ლომთათიძე, ივ. გომართელი, გრ. გველესიანი და პ. გოთუა.

5. გამგეობის მოხსენება ფუნიკულიორის ამუშავების შესახებ.

მოახსენებს ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი.
(წარმოებათა განყოფილებიდან).

ხმ. გველესიანი გრ. ის დასკვნა, რომელიც იურიდიულ კომისიას გამოუტანია, ეწინააღმდეგება თუ არა ქალაქსა და ფუნიკულიორის მესაკუთრეთა შორის დადებულ ხელშეკრულებას?

ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი. ხელშეკრულება ისეა შედგენილი, რომ ქალაქს, თითქმის, არავითარ უფლებას არ ანიჭებს. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა კონცესიონერი გაურბის მუშაობის აღდგენას, კანონი, საზოგადოთ, ნებას გვაძლევს წარმოება აღვადგინოთ ჩვენ ხარჯზე და ხარჯები მესაკუთრეს მივაწეროთ.

ხმ. გველესიანი გრ. ასეთ პირობებში სამართლიანი და აუცილებელია ის გზა, რომელიც იურიდიულ კომისიას გამოუნახავს. მაგრამ მე მინდოდა ერთი გარემოებისათვის მიმექცია გამგეობის ყურადღება: კონცესიონერი, ცხადია, სასამართლოს საშვალებით შეებრძოლება ქალაქს, მაგალითად, თქვენ მიერ დახარჯულ თანხას გადაჭარბებულად იცნობს და სხვა. ამიტომ გამგეობამ თავიდანვე საქმის წარმოება ისეთ ჩარჩოებში უნდა ჩააყენოს, რომ მომავალში კონცესიონერს ყოველი საშვალება მოუსპოს გამარჯვებისა სასამართლოს წინაშე. ამისათვის საჭიროა ექსპერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიზა, რომელიც გამოიკვლევს, თუ რამდენია საჭირო დაიხარჯოს ფუნიკულიორის შესაკეთებლათ და მუშაობის აღსადგენად. ამასთან აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შემოსავალიც, რომ შესაძლებელი იყოს დანახარჯის ანაზღაურება.

ხმ. მზარეულოვი ნ. მე მხოლოდ სურვილს გამოვსთქვამ, რომ გამგეობამ მომავალში თავი დაიზღვიოს მოსალოდნელ საჩივრისაგან კონცესიორებისაგან. ამიტომ ახლავე უნდა დაინიშნოს განსაკუთრებული ტეხნიკური ექსპერტიზა საქმის დეტალურად გამოსარკვევად. ამასთან საჭიროდ მიმაჩნია ამ ჟამად გადადებულ იქნას მუშაობის დასაწყებათ 300.000 მანეთი, შემდეგისათვის კი დაევალოს გამგეობას სრული ხარჯთ-აღრიცხვა გასავლისა წარმოგვიდგინოს, დანარჩენ საჭირო თანხასაც მაშინ გადავდებთ.

ქალაქის მოურავი ჩხეიძეშვილი ბ. ყოველივე ის ზომები, რომლებზედაც ხმოსნები გველესიანი და მზარეულოვი მიგვითითებენ, ჩვენ მიერ უკვე მიღებულია. ექსპერტიზა ჩვენ გვყავს ჩვენი ინჟენერების, თუ საჭიროა გარეშე პირთაგანაც მოვიწვევთ. ხმ. მზარეულოვის წინადადება ჯერ-ჯერობით 300.000 მანეთის გადადების შესახებ ჩვენთვის მისაღებია.

საბჭო ადგენს: ვინაიდან ფუნიკულიორის საქციონერო საზოგადოება არ ზრუნავს ფუნიკულიორის მუშაობის განახლებაზე ქალაქმა თვით იკისროს მისი შეკეთება და ამუშავება და თუ, ამის შემდეგ, საზოგადოება მაშინვე არ გადიხდის შეკეთებაზე და ამოძრავებაზე დახარჯულ თანხას, ქალაქი თვით შეუდგეს ფუნიკულიორის ამუშავებას და ექსპლოატაციას. პირველ ხანებში ამ საქმისათვის გადადებულ იქნას 300.000 მანეთი, ხოლო დანარჩენი,—როცა გამგეობა დაწვრილებით ამ საგანზე ხარჯთ-აღრიცხვას წარმოადგენს. ეს დადგენილება ძალაში შედის ჟურნალის ხელის მოწერით დამტკიცებამდის.

6. გამგეობის მოხსენება „ფრონტის დამხმარე კომიტეტის" განკარგულებაში 100.000 მანეთის გადადების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი კ. ფანიევი.
(სასურსათო განყოფილებიდან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. შეწირული იქმნას „ფრონტის დამხმარე კომიტეტისათვის" ასი ათასი (100.000) მანეთად ღირებული საქონელი, რომელიც გამგეობის საწყობებში მოიპოება და რომელიც მეტად ესაჭიროება ფრონტს.

7. გამგეობის მოხსენება მოხუც და უპატრონო ქალთა შესანახად შრომისა და სოციალურ დახმარების სპეციალურ თანხიდან 15.000 მ. გადადების შესახებ.

მოახსენებს ქალაქის მოურავის ამხანაგი გ. ჯინიაშვილი.
(შრომის და სოციალურ დახმარების განყოფილებიდან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. მოხუც და უპატრონო ქალთა შესანახად შრომისა და სოციალურ დახმარების განყოფილების სპეციალურ ფონდიდან ყოველ თვიურად გადადებულ იქმნას ხუთმეტი ათასი (15.000) მანეთი.

8. გამგეობის მოხსენება შრომისა და სოციალურ დახმარების განყოფილების სპეციალურ ფონდიდან უფასო სასადილოების ხარჯების ასანაზღაურებლად ყოველ თვიურად 19.200 მ. გადადების შესახებ.

მოახსენებს ქალაქის მოურავის ამხანაგი გ. ჯანიაშვილი.
(შრომის და სოციალურ დახმარების განყოფილებიდან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. შრომისა და სოციალურ დახმარების განყოფილებას გაეხსნას კრედიტი თავის სპეციალურ ფონდიდან ცხრამეტი ათას ორასი (19.200) მანეთი ყოველ თვიურად უფასო სასადილოების ხარჯების ასანაზღაურებლად.

9. გამგეობის მოხსენება უიმედო მოვალეების სხვა და სხვა საქალაქო გადასახადებიდან განთავისუფლების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. შოთაძე.
(საფინანსო განყოფილებიდან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. განთავისუფლებულნი იქნან საქალაქო გადასახადიდგან შემდეგი პირნი:

1. სოფიო გერასიმენკო 1 მ. 68 კ., გე-ნიუმ-ვიტალია 2 მ. 48 კ., ელენე ნიკოლაევა 4 მ. 56 კ., გაიკ კოლობოდიაკინი 1 მ. 12 კ., ალექსი კოროლიოვი 1 მ. 68 კ., ევგენი ყიფშიძე 1 მ. 12 კ., მიხეილ დანევსკი 38 მ. 88 კ., გიორგი გახჩალოვი 1 მ. 12 კ., მარიამ ბოდარევსკისა 1 მ. 12 კ., რუველ მირზოევი 96 კ., ვლადიმერ კოპტიევი 5 მ. 44 კ., და ოლგა ზომი 1 მ. 68 კ., რომლებზედაც ირიცხება სულ 61 მან. 84 კ. შემოსავლის კვალობაზე ქალაქის სასარგებლოდ დაწესებული დამატებითი 8% გადასახადი 1918 წლისა. რადგან ყველა ეს პირნი თბილისში არ აღმოჩნდნენ და მათი ბინადრობა გამოურკვეველი დარჩა, (1920 წ. 26 მარტის № 1559), გამგეობის დადგენილებით სრულებით ჩამოეწერათ მათ აღნიშნული გადასახადი 61 მან. 84 კ. ჯამით.

2. ვანო მალაქიშანიძე, რომელზედაც ირიცხება საქალაქო საავადმყოფო გადასახადი 75 მან., 1920 წ. 4 თებერვლის დადგენილებით განთავისუფლებული იქნა აღნიშნულ გადასახადისაგან, რადგან იგი, მალაქიშანიძე, თბილისში არ აღმოჩნდა და მისი ბინადრობა ვერ გამოირკვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. კონსტანტინე გოლუბიოვი, რომელზედაც ირიცხება ქალაქის საავადმყოფოს გადასახადი 30 მან., გამგეობის დადგენილების ძალით (15 აპრილს 1920 წ. № 1905), განთავისუფლებულ იქმნა ამ გადასახადისაგან, რადგან იგი, გოლუბიოვი, სრულიად წასულა რუსეთში.

4. ნიკოლოზ ნედოსტუნი, რომელზედაც ითვლება ქალაქის საავადმყოფოს გადასახადი 27 მან., გამგეობის დადგენილებით, (5 აპრილს 1920 წ. № 1774), განთავისუფლდა ამ გადასახადისაგან, რადგან იგი, ნედოსტუნი, სრულიად წასულა რუსეთში.

5. ჰაირაპედ ისევის ძე არუთინოვი, რომელზედაც ითვლება ქალაქის საავადმყოფოს გადასახადი 4 მან., გამგეობის დადგენილებით (5 აპრილის 1920 წ. № 1776), განთავისუფლდა ამ გადასახადისაგან, რადგან იგი, არუთინოვი, გარდაცვლილა და არავითარი ქონება არ დაუტოვებია.

6. ისაკა სარქისოვი, რომელზედაც ითვლება ქალაქის საავადმყოფოს გადასახადი 5 მან. 40 კ., (5 აპრილის 1920 წ. № 1922). განთავისუფლდა ამ გადასახადისაგან, რადგან იგი, სარქისოვი, გარდაიცვალა.

7. აგავშაკ ნონიკიანცი, რომელზედაც ითვლება ქალაქის საავადმყოფოს გადასახადი 95 მან., გამგეობის დადგენილებით (5 აპრილის 1920 წ. № 1775), განთავისუფლდა ამ გადასახადისაგან, რადგან იგი, ნონიკიანცი, სრულიად გადასახლებულა ვლადიკავკავში.

8. ადამ ბუინაროვი, რომელზედაც ითვლება ქალაქის საავადმყოფოს გადასახადი 14 მან. 40 კ., გამგეობის დადგენილებით (5 აპრილს 1920 წ. № 1773), განთავისუფლდა ამ გადასახადისაგან, რადგან იგი, ბუინაროვი, თბილისში არ აღმოჩნდა.

9. გეურქა აკოპას ძე ოვანესიანცი, რომელზედაც ითვლება ქალაქის საავადმყოფოს გადასახადი 20 მან. 40 კ., გამგეობის დადგენილებით (5 აპრილს 1920 წ. № 1773), განთავისუფლდა ამ გადასახადისაგან, რადგან იგი, ოვანესიანცი, გადასახლებულა ვლადიკავკავში.

10. მარიამ მეშალკინი, რომელზედაც ითვლება ქალაქის საავადმყოფოს გადასახადი 22 მან. 40 კ., გამგეობის დადგენილებით (5 აპრილს 1920 წ. № 1771), განთავისუფლდა ამ გადასახადისაგან მისი შეუძლებლობის გამო.

11. კუზმა გაუტვლიანი, რომელზედაც ითვლება ქალაქის საავადმყოფოს გადასახადი 289 მან., გამგეობის დადგენილებით (5 აპრილს 1920 წ. № 1770) განთავისუფლდა ამ გადასახადისაგან, რადგან იგი, გაუტვლიანი, მილიციამ ვერ აღმოაჩინა ქალაქ თბილისში.

12. არშალუის ბეგლარის ძე შაგინოვი, რომელზედაც ითვლება ქალაქის საავადმყოფოს გადასახადი 15 მან. 60 კ., გამგეობის დადგენილებით (5 აპრილს 1920 წ. № 1769), განთავისუფლდა ამ გადასახადისაგან, რადგან იგი, შაგინოვი, ქალაქ თბილისში ვერ აღმოაჩინეს.

13. ნატალია ილარიონის ასული კამაროვისა, რომელზედაც ითვლება ქალაქის საავადმყოფოს გადასახადი 6 მან., გამგეობის დადგენილებით (5 აპრილს 1920 წ. № 1768), განთავისუფლდა ამ გადასახადისაგან, რადგან იგი, კამაროვისა, წასულა ბესარაბიაში.

14. ნანაგიულ სანაიანცი, რომელზედაც ითვლება ქალაქის საავადმყოფოს გადასახადი 23 მან. 40 კ., გამგეობის დადგენილებით (5 აპრილს 1920 წ. № 1767), განთავისუფლდა ამ გადასახადისაგან, რადგან იგი, სანიანცი, სამუდამოთ წასულა საქართველოს რესპუბლიკიდან.

15. მანუკა არაქელოვი, რომელზედაც ითვლება ქალაქის საავადმყოფოს გადასახადი 10 მან. 20 კ., გამგეობის დადგენილებით (5 აპრილს 1920 წ. № 1778), განთავისუფლდა ამ გადასახადისაგან რადგან იგი, არაქელოვი, გადასახლებულა ქ. ვლადიკავკავში.

16. თათევოს ეფრემის ძე გრიგორიანცი, რომელზედაც ითვლება ქალაქის საავადმყოფოს გადასახადი 6 მან., გამგეობის დადგენილებით (5 აპრილს 1920 წ. № 1780), განთავისუფლდა ამ გადასახადისაგან, რადგან იგი, გრიგორიანცი, წაუყვანიათ სამხედრო სამსახურში.

17. კარაპეტ პოპოვიანცი, რომელზედაც ითვლება ქალაქის საავადმყოფო გადასახადი 6 მან., გამგეობის დადგენილებით (5 აპრილს 1920 წ, № 1779), განთავისუფლდა ამ გადასახადისაგან, რადგან იგი, პოპოვიანცი, ქ. თბილისში ვერ აღმოაჩინეს.

18. აღასია შეპ-გუტანიანცი, რომელზედაც ითვლება ქალაქის საავადმყოფოს ვალი 7 მან. 20 კ., გამგეობის დადგენილებით (23 აპრილს 1920 წ. № 2011), განთავისუფლდა ამ გადასახადისაგან, რადგან იგი, შეპ-გუტანიანცი, და მისი ქონება ქალაქ თბილისში არ აღმოჩნდა.

19. ჯუმშუდ არუთინას ძე მარქარიანცი, რომელზედაც ითვლება ქალაქის საავადმყოფოს ვალი 36 მან. 60 კ., გამგეობის დადგენილებით (23 აპრილს 1920 წ. № 2014), განთავისუფლდა ამ გადასახადისაგან, რადგან იგი, მარქარიანცი, და მისი რაიმე ქონება, ქ. თბილისში არ აღმოჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. გამგეობის მოხსენება ქალაქის მიკროსკოპიულ სადგურზე ნიხრის გადიდების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი ა. ბაბავა.
(მედიკო-სანიტარულ განყოფილებიდან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. გადიდებულ იქმნას ქალაქის მიკროსკოპიულ სადგურის ნიხრი:

1. კამეჩის გაშინჯვაში . . 50 მან. ნაცვლად . . 20 მანეთისა.
2. ხარის „ . . 65 „ „ . . 17 „
3. ცხვრის „ . . 20 „ „ . . 3 მ. 50 კ.

11. გამგეობის მოხსენება სასაკლაოზე ძეხვების დასამზადებელ მექანიკურ ქარხანის შეძენის შესახებ.

მოახსენებს ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი.
(წარმოებათა განყოფილებიდან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. შეძენილ იქმნას ძეხვების დასამზადებელი მექანიკური ქარხანა რკინის გზების სასურსათო კომიტეტისაგან ორას ორმოცდარვა ათას ხუთას ოცდახუთ (248.525) მანეთათ და ეს ფულები გაღებულ იქმნას ქალაქის სასაკლაოს დირეკტორის სახელზე, რომელსაც დაევალოს ამ ქარხნის გამოსყიდვა.

12. გამგეობის მოხსენება ლაბარატორიაში რძის გასინჯვისა, აღნუსხვისა და სათანადო მოწმობის მიცემის ფასის გადიდების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი ბ. ბაბავა.
(მედიკო-სანიტარულ განყოფილებიდან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. ქალაქის ლაბორატორიაში რძის გაშინჯვისა, აღნუსხვისა და სათანადო მოწმობის მიცემის ფასი ოთხი მანეთის მაგიერ ოცი მანეთი დაწესდეს.

13. გამგეობის მოხსენება ა. ს. დონოვის მამულის საიჯარო დავთრებიდან ძირითადში გადატანის შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. შოთაძე.
(საფინანსო განყოფილებიდან).

ხმ. გუმარუელი ივ. ეს საკითხი ჩვენთვის ბუნდოვანია იურიდიული მხრით. საჭიროა გადაეცეს იურიდიულ კომისიას.

ხმ. მზარეულოვი ნ. ეს კითხვა გაფართოებულ უნდა იქმნას. ბევრია ისეთი შემთხვევები, როცა ქალაქის მიწებზე მოიჯარადრის სახელით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სცხოვრობენ რამდენიმე წელი, ბოლოს მფლობელობის ძალით მიწას ა. ნონიერ გზით ისაკუთრებენ. ვემხრობი რა ამ საკითხის იურიდიულ კომისიაში გადაცემას, წინადადება შემომაქვს ხსენებულმა კომისიამ გამოარკვიოს ეს საკითხი საზოგადოთ.

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დონოვის მამულის საიჯარო დავთრებიდან ძირითადში გადატანის შესახებ გადაცემულ იქმნას იურიდიულ კომისიაში, რომელსაც დაევალოს საიჯარო უფლებით ქალაქის მიწების დაკავების საკითხი დააყენოს უფრო ფართო ნიადაგზე და გამოაკვლიოს მათი უფლებრივი მხარე.

14. გამგეობის მოხსენება მიმდინარე ზაფხულში ქალაქის ბაღებისათვის ზედმეტი მუშების დაქირავების შესახებ.

მოახსენებს ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიძეშვილი.
(საალმშენებლო განყოფილებიდან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. მიმდინარე ზაფხულში დროებით მოსამსახურეთ იქნას ჩარიცხული 11 კაცი, რომელთა გასამრჯელოსთვის 4 ზაფხულის თვეების განმავლობაში გადაიდოს ას თექვსმეტი ათას შვიდას ოთხმოცდაცამეტი (116.793) მანეთი, ამ თანხის 1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით.

15. გამგეობის მოხსენება მადათოვის კუნძულზე მუხრანსკების მამულის შეძენის შესახებ.

მოახსენებს ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიძეშვილი.
(საალმშენებლო განყოფილებიდან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. მადატოვის კუნძულის ნაწილი კუთვნილი მუხრანსკებისა შეძენილ იქმნას როგორც უდავო, აგრეთვე სადაო, სამ მილიონ (3.000.000) მანეთათ, ის შენობა, რომელიც სადაო მამულზეა აშენებული, დათვალიერდება და თუ გამოსადეგია ისიც გამოსყიდულ იქმნას. ეს დადგენილება სისრულეში იქმნას მოყვანილი ჟურნალის ხელის მოწერით დამტკიცებამდის.

16. გამგეობის მოხსენება ჯარში გაწვეულთა ოჯახებისათვის დახმარების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი.
(სამხედრო განყოფილებიდან).

ხმ. გომართელი ივ. როგორც მოხსენებიდან სჩანს ცალ-ცალკე უბნებში თითო ოროლა ოჯახი ყოფილა, რომელისთვისაც ცალკე საუბნო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისია საჭირო არ იქნება, ამიტომ მე წინადადება შემომაქვს ავირჩიოთ ერთი ცენტრალური კომისია.

საბჭო ადგენს: არჩეულ იქმნას ჯარში გაწვეულთა ოჯახების მატერიალურ მდგომარეობის გამოსარკვევად ერთი ცენტრალური კომისია. კომისიაში იქმნან არჩეულნი: მ. ვეფხვაძე, ვ. ათაბეგოვი, ნ. ძიძიშვილი, დ. ვაჩნაძე და ერთი გამგეობის წევრი. დამტკიცებულ იქმნას შტატი სამი მოხელისა.

17. გამგეობის მოხსენება „სოციალურ დახმარების დროებით წესების“ განხორციელების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი.
(1 განყოფილებიდან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. დამფუძნებელ კრების მიერ მიღებულ „სოციალურ დახმარების დროებით წესების“ განსახორციელებლად არსებულ შტატს დაემატოს ერთი მწერალი-რეგისტრატორი, მითვისებულ ჯამაგირით.

18. გამგეობის მოხსენება 26 მაისის სადღესასწაულოდ 75.000 მ. გადადების შესახებ.

მოახსენებს ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიძეშვილი.
(საალმშენებლო განყოფილებიდან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. გაღებულ იქმნას სამოცდათხუთმეტი ათასი (75.000) მანეთი 26 მაისის სადღესასწაულო ხარჯების დასაფარავად გამგეობის სალაროდან მიმდინარე ხარჯებიდან, ამ თანხის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით.

19. გამგეობის მოხსენება ქუჩის ბავშვების მათხოვრობის აღკრძალვის შესახებ.

მოახსენებს ქალაქის მოურავის ამხანაგი გ. კონაშვილი.
(შრომისა და სოციალურ დახმარების განყოფილებიდან).

ხმ. მზარეულოვი ნ. მე მინდოდა მეკითხნა, თუ რატომ ბავშვების მათხოვრობა უნდა იქნას აკრძალული და დიდების არა. ჩვენი სოფლები ამ ჟამად მეტად საჭიროებენ მუშა ხელს და ამ დროს ქალაქის ქუჩები სავსეა შრომის უნარიან მათხოვრებით. ყველა ესეთები სოფლად უნდა იქნან გაგზავნილნი.

ხმ. გომართელი ივ. ჩვენ მომხრენი ვართ, რომ გამგეობამ ხმ. მზარეულოვის რჩევით იხელმძღვანელოს.

ხმ. ვაჩნაძე დ. როგორც უნდა მოგვარდეს მათხოვრობის საქმე, მარა ერთ გარემოებას ჩვენ აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელდობრ მას, რომ ჩვენი სოფლები თითქმის არ იძლევიან მათხოვრობა კანტიგენტს. ყველა ეს მათხოვრები მეზობელ რესპუბლიკიდან სტუმრად არიან მოსულნი, ამიტომ ასეთები თავიანთ რესპუბლიკებს უნდა ჩაბარდენ.

ქალაქის მოურავის ამსანაგი გ. კონიაშვილი. გადასახლების საკითხის ამ საკითხთან დაკავშირება ჩვენ არ შეგვიძლიან. რაც შეეხება დიდების მათხოვრობას— ამის შესახებ საქმე შემდეგშია: თბილისში არსებული ყველა საქველმოქმედო ორგანიზაციები შეერთდენ ამ ჟამად გამგეობის მეთაურობით და შექმნეს ერთი მძლავრი ორგანიზაცია, რომელსაც აზრათ აქვს შრომის სახლები დაარსონ, ამით წამოყენებული საკითხიც გადაიჭრება.

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას.

1. ქალაქის ქუჩებში ბავშვების მათხოვრობა აკრძალულია.

2. არსებულ კანონის ძალით დაუყონებლივ პასუხისგებაში იქმნებიან მიცემულნი ის მშობლები თუ სხვა პირნი, რომელთაც უნდა შეინახონ ბავშვები და გზავნიან კი მათ სამათხოვროდ.

3. მშობლები თუ სხვა პირნი, რომელთაც არ შეუძლიანთ თავიანთი ბავშვების რჩენა, უნდა ჩაეწერონ ქალაქის გამგეობის შრომისა და სოციალურ დახმარების განყოფილებაში (განოვის ქ. № 6), საიდანაც მიიღებენ შესაფერ დახმარებას.

4. ქალაქის თვითმართველობის და ყველა საქველმოქმედო საზოგადოებათა დაწესებულებებს, რომელთა ვალია ბავშვების ყურისგდება, წინადადება ეძლევათ მიიღონ თავიანთ ზედამხედველობის ქვეშ და გაუწიონ მოვლა-პატრონობა იმ ბავშვებს, რომელთაც მშობლები სამათხოვრად უშვებენ ქუჩებში.

20. გამგეობის მოხსენებები: შრომის ბირჟის წესდების პროეკტის, საავადმყოფოს რევიზიის, ერთდროულ სანიტარულ-ეპიდემიურ გადასახადის შემოსავალ-გასავლის და ლომბარდის სარევიზიო კომისიის მოხსენების შესახებ.

საბჭო ადგენს: გადადებულ იქმნან.

21. სარევიზიო კომისიის ერთი წევრის არჩევნები.

თავმჯდომარე ამ. ლომთათიძე სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგის გრ. ლორდქიფანიძის განცხადებას კითხულობს: თბილისის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს. ცხად ჭეშმარიტებას უნდა შეადგენდეს ის გარემოება, რომ ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის მოვალეობა, განსაკუთრებით იმ გარდამავალ ხანაში, რომელსაც ჩვენ განვიცდით, მეტად რთული და საპასუხისმგებლოა. თუ სახელმწიფოს დედა-ქალაქში რომელიც უნდა იყოს ერთნაირი ტონის მიმცემი სხვა დანარჩენი პროვინციალურ ქალაქებისათვის, მუნიციპალური საქმეები სასურველ დონეზე არ არის დაყენებული და ქალაქის დაწესებულებანი ვერ იჩენენ სათანადო თვითმოქმედების უნარს, ეს მძიმე ტვირთად აწვება სახელმწიფოს და

ხელს უშლის, საერთოდ, მის აღმშენებლობითი საქმეს. აი სწორედ ქალაქის დაწესებულებათა დარაჯათ იმ მიზნით, რომ სასურველ პირობებში იქმნას ჩაყენებული მუნიციპალური მუშაობა, ქალაქის საბჭოს ჰყავს არჩეული სპეციალურად სარევიზიო კომისია. სწორედ ამ სარევიზიო კომისიის უმთავრესს მოვალეობას შეადგენს,—გაეცნოს ადგილობრივ ქალაქის ყოველ დარგს და სათანადო დასკვნაში წარუდგინოს გამგეობას, რათა ამ უკანასკნელმა შეიტანოს სასურველი ცვლილებანი ამა თუ იმ დაწესებულებაში. მაშასადამე, თუ მოვალეობანი სარევიზიო კომისიისა მეტად რთულია, ამისათვის მუშაობაც ამ კომისიაში, განსაკუთრებით ეხლანდელ მომენტში, უნდა გაძლიერებულ იქმნას. სამწუხაროდ, კომისიის ეხლანდელი წევრები ვერ იჩენენ სათანადო უნარს მუშაობისას და თავის მინიმალურ მოვალეობასაც კი არ ასრულებენ და კრებებს არ ესწრებიან, რაც ცხადად სჩანს აქვე მოყვანილ ცხრილიდან. 1920 წლის 9 იანვრიდან—27 მაისამდის დანიშნული იყო სულ 17 სხდომა, რომელთაგან არ შესდგა 5—კვორუმის შეუვსებლობის გამო.

№№	კომისიის წევრთა სახელი და გვარი.	სხდომებს დაესწრო	სხდომებს არ დაესწრო
1	კ. გოგუა (თავმჯდომარე) . .	8	9
2	გრ. ლორდქიფანიძე (თავმჯდომარის ამხანაგი)	15	2
3	ნ. წვერავა	10	7
4	ირ. რამიშვილი	16	1
5	ი. ავაქოვი	9	8
6	მ. კოვალიოვი	8	9
7	ბ. მიკირტუმოვი	15	2
8	გ. სადაგაშვილი	7	10
9	ე. სირბილიძე	6	11
10	დ. კალანდაძე	4	13

ამას გარდა, ჩემის აზრით, უნდა მოხდეს თვით კომისიის რეორგანიზაცია: ის უნდა აშენდეს სულ სხვა პრინციპზე, ვიდრე ეხლა არის. როგორც მოგეხსენებათ, ქალაქის ცხოვრება მომავალ-მხრივია, ის შეიცავს ბევრს სპეციალურ დარგს და ამიტომაც კომისია, რომელიც თვალყურს ადევნებს ამ ცხოვრებას, უნდა შესდგებოდეს ამ დარგთა სპეციალისტებისაგან. მაგალითად, კომისიაში უნდა შედიოდნენ: იქიმი, მასწავლებელი, ინჟენერი, იურისტი, ფარმაცევტი, სამეურნეო და საადმინისტრაციო საქმეების მცოდნე და სხვა. აი სწორედ მაშინ მოხდება შრომის ნამდვილი განაწილება და კომისიის წევრთ შეძლება ექნებათ თავის ნაცნობ დარგში მოახდინოს ესა თუ ის რევიზია. წინააღმდეგ შემთხვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაში სარევიზიო კომისიის მუშაობა თავის მიზანს ვერ მიაღწევს. ალბათ ლია, არსებული ინსტრუქციის მიხედვით, სარევიზიო კომისიას უფლება აქვს მოიწვიოს ყოველ ცალკე შემთხვევაში სპეციალისტი ამა თუ იმ დარგის სარევიზიოთ, მაგრამ, ჩემის აზრით, ეს შემთხვევები მუდმივია და ამიტომ გარეშე პირების მოწვევა ყოველ შემთხვევებში არ იქმნებოდა მიზანშეწონილი, ვინაიდან მაშინ საბჭოს მიერ არსებულ კომისიას მნიშვნელობა ეკარგება. ცალკე სპეციალისტების მოწვევა უნდა ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ვღებულობ რა ყოველივე ზემოხსენებულს მხედველობაში უმორჩილესად გთხოვთ იშუამდგომლოთ ქალაქის საბჭოს წინაშე — შეიქმნას სასურველი პირობები სარევიზიო კომისიის სამოქმედოთ და დაკმაყოფილებულ იქმნას ეს განცხადება. თავმჯდომარეს ამხ. გრ. ლორდქიფანიძე. მდივანი ლ. ციცავა.

ხმ. **გველესიანი** გრ. სარევიზიო კომისიის მოვალეობა იმდენად რთული და საპასუხისმგებლოა, რომ მოითხოვს ყოველ წევრის გაორკეცებულ და გასამტკეცებულ მუშაობას დაკისრებულ მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის. ამიტომ სარევიზიო კომისიის წევრთა რიცხვი გადიდებულ უნდა იქმნას 15-ინ, რაც მისცემს მას სექციებათ დაყოფის და შრომის სამართლიანად განაწილების საშვალებას. მაგრამ მარტო რიცხვის გადიდება არ კმარა. სარევიზიო კომისიაში არჩეულ უნდა იქნან ისეთი პირები, რომელთაც ასე თუ ისე თავისუფალი დრო აქვთ და შესწევთ ცოდნა და გამოცდილება. რაც შეეხება არჩევნებს, ეს, მისი აზრით, უნდა გადაიდოს შემდეგ სხდომისათვის, რომ ფრაქციებს მიეცეთ შესაფერ პირობების გამონახვის საშვალება.

საბჭო ადგენს: სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები გადადებულ იქმნას. დაევალოს ფრაქციებს მორიგ სხდომისათვის დაასახელონ კანდიდატები.

სხდომა დაიხურა $11^1/_2$ საათზე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალაქ თბილისის საბჭოს 1920 წ. 14 ივნისის სხდომის

ჟურნალი

თავმჯდომარეობდა ალ. ლომთათიძე.

დაესწრენ ხმოსნები: აბდუშელიშვილი შ., ათაბეგოვი ვ., აფხაზი კ., ბადრიძე ი., ბახტაძე ვ., ბურჯანაძე, გოგლიძე, გომელაური, გველესიანი გრ., გომართელი ივ., გოგუა კალ., დიდიძე ე., ვაჩნაძე, ვადაჭკორია ს., ვეფხვაძე მ., თევზაძე, თალაქვაძე მ., თოფურიძე დ., ირემაშვილი, კახიანი პ., კალანდაძე, კოვალიოვი მ., ლომთათიძე ა., მზარეულოვი, მგალობლიშვილი, მდივანი ა., მაჭავარიანი გ., მგელაძე, მესხი ი., მიკირტუმოვი ბ., ჟორჟოლიანი, რუსია ნ., რუსია მ., რამიშვილი ირ., რუხაძე ირ., სულიაშვილი დ., სირბილაძე ე., ტოროშელიძე მ., ფარქოსაძე, ღლონტი თ.. ჩადუნელი დ., ჩხიკვიშვილი ბ., წვერავა ნ., ხუხუნაშვილი, ხახანაშვილი ვ., ხართიშვილი დ., ჯაფარიძე ს.

ქალაქის მდივანი ვ. ხახანაშვილი.

საბჭომ განიხილა:

1. ჟურნალის დამტკიცება.
2. თავმჯდომარის განცხადება ვ. სულთანიშვილის ხმოსნობიდან გასვლის და მის ადგილზე ნიკოლოზ სვიმონის ძე ლეჟავას ხმოსნად შემოსვლის შესახებ.
3. გამგეობის მოხსენება შრომის ბირჟის წესდების პროეკტის შესახებ.
4. სარევიზიო კომისიის რეორგანიზაცია.
5. გამგეობის მოხსენება საავადმყოფოს რევიზიის შესახებ.
6. გამგეობის მოხსენება ერთდროულ სანიტარულ-ეპიდემიურ გადასახადის შემოსავალ-გასავლის შესახებ.
7. გამგეობის მოხსენება ლომბარდის სარევიზიო კომისიის მოხსენების შესახებ.
8. გამგეობის მოხსენება „სავალდებულო დადგენილებაში“ დამატების შეტანის შესახებ.
9. გამგეობის მოხსენება რუსეთის უნივერსიტეტში დაარსებულ სტიპენდიების თბილისის უმაღლეს სასწავლებელში გადმოტანის შესახებ.
10. გამგეობის მოხსენება საზოგადოება „განათლებისათვის“ 10.000 მანეთით ერთდროულ დახმარების შესახებ.
11. გამგეობის მოხსენება ჩულურეთის ნოე ჟორდანიას სახელობის ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის 5.000 მანეთის ერთდროულ დახმარების შესახებ.

12. გამგეობის მოხსენება ქალაქის ექიმის იოსებ ბაბლუდიანის ქვრივისათვის 18.660 მანეთით ერთდროულ დახმარების აღმოჩენის შესახებ.

13. ხმ. მზარეულოვის შეკითხვა მეეზოვეთა ინსტიტუტის გაუქმების შესახებ.

14. ხმ. მზარეულოვის შეკითხვა საბინაო განყოფილების შესახებ.

თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე საბჭოს სხდომას ხსნის 9 საათსა და 20 წუთზე.

1. ჟურნალის დამტკიცება.

საბჭო უცვლელად ამტკიცებს 7 ივნისის სხდომის ჟურნალს.

2. თავმჯდომარის განცხადება გ. ი. სულთანიშვილის ხმოსნობიდან გასვლის და მის ადგილზე ნ. ს. ლეჟავას ხმოსნად შემოსვლის შესახებ.

საბჭო თავმჯდომარის განცხადებას ღებულობს ცნობად.

3. გამგეობის მოხსენება შრომის ბირჟის წესდების პროეკტის შესახებ.

მოახსენებს ქალაქის მოურავის ა ხანაგი გ. კონიაშვილი. (შრომისა და სოციალურ დახმარების განყოფილებიდან).

საბჭო ადგენს: § 1. შრომის ბირჟას მიზანია შუამავლობა ერთის მხრივ მუშებსა და საერთო სამუშაოს მაძიებელთა და მეორის მხრივ ყოველნაირ შრომის დამქირავებელთა შორის. § 2. ამ მიზნით თბილისის შრომის ბირჟა:

ა) თავს უყრის უმუშევრებს და გზავნის მათ სამუშაოზე.

შენიშვნა 1: ყველა კერძო და სამუშაო კანტორები და მუშათა პროფესიალურ კავშირებთან არსებული უმუშევართა ბიუროები გაუქმებულ უნდა იქმნას.

შენიშვნა 2: ადგილებზე გაგზავნაში ბირჟა უპირატესობას აძლევს პროფესიონალურ კავშირების წევრთ.

შენიშვნა 3: თბილისის შრომის ბირჟის სამსახური ორივე მხარეთათვის უფასოა.

ბ) შრომის ბირჟა დამქირავებელთ აწოდებს შეძლების და გვარად სრულ ცნობებს თავის გაგზავნილ მუშებსა, მოსამსახურეთა და სხვა პირებზე.

გ) ადგენს ადგილობრივ მუშათა ბაზრის, ე. ი. შრომის მოთხოვნილების და წინადადების სტატისტიკას.

დ) შედის საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ შრომის ბირჟაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 3. ქალაქის შრომის ბირჟა უარს ეუბნება მუშების დაქირავებაში სამსახურეების გაგზავნაზე დამქირავებელთ, თუ უკანასკნელთა პირობები ეწინააღმდეგებიან სატარიფო პალატის დადგენილებებს და არსებულ მუშათა კანონმდებლობას.

§ 4. უკეთუ შრომის ბირჟის ნდობა ბოროტად გამოიყენა ერთ-ერთმა მხარემ, შრომის ბირჟას უფლება აქვს პასუხის-გებაში მისცეს დამნაშავე მხარე შრომის კომისარისა და პროფესიონალურ კავშირთა საშუალებით.

§ 5. შრომის ბირჟა აჩერებს თავის მოქმედებას იმ წარმოებისა თუ მრეწველობის დარგის მიმართ, რომლებშიაც გაფიცვა ან ლოკაუტია გამოცხადებული, ვიდრე იქ ასეთი მდგომარეობა გრძელდება. ხსენებულ წარმოებისა თუ მრეწველობის დარგისადმი შრომის ბირჟის მუშაობა ჩერდება დაინტერესებულ მხარის ანუ პარიტეტულ წევრისაგან კონფლიკტის დაწყების შესახებ ცნობების მიღების თანავე და ახლდება, როდესაც ორივე მხარე აცნობებს კონფლიკტის დაბოლოვებას.

შრომის ბირჟის მოწყობა და მისი საქმეების წარმოება:

§ 6. თბილისის შრომის ბირჟას. აარსებს ქალაქის თვითმართველობა.

შენიშვნა: ბირჟის წესდებას იმუშავებს კომისია, რომელშიაც თანაბარი რიცხვით შედიან წარმომადგენელნი: პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში, მწარმოებელთა ორგანიზაციისა და ქალაქის თვითმართველობისა და ამტკიცებს ქალაქის საბჭო.

§ 7. ქალაქის შრომის ბირჟას განაგებს პარიტეტული კომიტეტი საჭიროებისამებრ ხანის რაიონულ განყოფილებებს, იმუშავებს თავის მოქმედების რეგლამენტს. მიმდინარე ხარჯთ-აღრიცხვას და სხვ.

შენიშვნა: შრომის ბირჟის მოსამსახურეთა მიღება და დათხოვნა ხდება ქალაქის მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნის შესახებ არსებულ წესებით.

§ 8. პარიტეტულ კომიტეტში შედიან წევრებათ მუშათა და მწარმოებელთა მხრივ ხუთ-ხუთი კაცი, ხოლო თავმჯდომარეს ირჩევს ქალაქის გამგეობა. ამავე დროს ამორჩეულ უნდა იქმნენ პარიტეტულ კომიტეტის წევრების კანდიდატები და თავმჯდომარის მოადგილე.

შენიშვნა: 1: პარიტეტულ კომიტეტის წევრნი, კანდიდატები და თავმჯდომარის მოადგილე ირჩევიან ერთი წლის ვადით.

შენიშვნა 2: პარიტეტულ კომიტეტს უფლება აქვს ორივე მხარის წარმომადგენელთა რიცხვის გადიდებისა პარიტეტობის დაცვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 3: მუშათა წარმომადგენელებს ირჩევს პროფესიონალურ კავშირთა საბჭო, ხოლო მრეწველთა წარმომადგენლებს მექარხნე-მეფაბრიკეთა საზოგადოება და სავაჭრო სამრეწველო დეპუტატთა საბჭო ან სხვა მათი ცენტრალური ორგანო.

შენიშვნა 4: პარიტეტულ კომიტეტის წევრნი შრომის ბირჟის საშუალებიდან იღებენ გასამრჯელოს, უკეთუ ისინი სხდომას ან დავალების შესრულებას თავიანთ სამუშაო დროს ანდომებენ. გასამრჯელოს რაოდენობა ისაზღვრება პარიტეტულ კომიტეტისაგან და მტკიცდება ქალაქის გამგეობის მიერ.

§ 9. პარიტეტულ კომიტეტი ყველა საქმეებს სწყვეტს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმის უმეტესობით პარიტეტობის დაცვით.

§ 10. შრომის ბირჟის აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს ბირჟის გამგე, რომელიც სათათბირო ხმით მონაწილეობას იღებს კომიტეტის სხდომებზე. მოვალეობა და უფლება გამგისა ისაზღვრება კომიტეტისაგან ინსტრუქციის სახით, რომელსაც ამტკიცებს ქალაქის გამგეობა.

შრომის ბირჟის საშუალებანი.

§ 11. შრომის ბირჟა ინახება ქალაქის თვითმართველობის საშუალებით და იმ ხარჯთ-აღრიცხვის, რომელსაც ამტკიცებს ქალაქის საბჭო.

შრომის ბირჟის ანგარიში.

§ 12. ფულისა, ნივთიერი თუ სხვა რამ ანგარიშები შრომის ბირჟისა სწარმოებს საზოგადო წესით, როგორც ყველა ქალაქის დაწესებულებებში.

4. სარევიზიო კომისიის რეორგანიზაცია.

ხმ. ვაჩნაძე დ. საბჭოს პრეზიდიუმს მე წარმოუდგინე ყოფილ ხმოსნის გ. ვეშაპელის ბარათი, სადაც ის ატყობინებდა პრეზიდიუმს, რომ იმ კომისიებში, რომელშიაც ის შედიოდა მის შემდეგ მისი ამხანაგი დ. ვაჩნაძე შევაო. ვეშაპელი სხვათა შორის სარევიზიო კომისიაშიაც იყო, მაგრამ ჩემი მოწვევა ამ კომისიის წევრად პრეზიდიუმმა არ ინება.

ქალაქის მდივანი ხახანაშვილი ვ. ასეთი განცხადება მართლა მოგვიიდა, მაგრამ იგი ისეთ შეუფერებელ პატარა ბლოკ-ნოტის ფურცელზე იყო დაწერილი, რომ უკანვე იქმნა დაბრუნებული.

თავმჯდომარე ალ. დოლთაოიძე. ბატონებო, ყველაფერს საზღვარი აქვს. ის ქალალდის ნაგლეჯი, რომელზედაც აქ ლაპარაკია, მე თვითონ ვნახე. უნდა ვიქონიოთ ოდნავ პატივისცემა საბჭოსადმი, ასეთ ქალალდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახევს ჩვენ საბჭოს ვერ წარუდგენდით. ამიტომაც იყო, რომ ჩემი ანგარიშები კარგულებით ქალალდი უკანვე იქმნა დაბრუნებული.

საბჭო ადგენს: ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის წევრთა რიცხვი გადიდებულ იქმნას თხუთმეტამდის. ამორჩეულ იქმნან: ირ. რამიშვილ, ი. ავაქოვი, მ. კოვალოვი, ბ. მიკირტუმოვი, ე. სირბილაძე, კ. გოგუა. დ. ხართიშვილი, კ. საღირაშვილი, თ. ხუხუნაიშვილი, გრ. ლორთქიფანიძე, ნ. კვეზერელი-კოპაძე, მ. საყვარელიძე, დ. კალანდაძე, ნ. წვერავა და დ. ვაჩნაძე.

5. გამგეობის მოხსენება საავადმყოფოს რევიზიის შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი ს. ბაბაევ
(მედიკო-სანიტარული განყოფილებიდან. მოხსენება იხილე ჟურნალის ბოლოში).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება ქალაქის პირველ საავადმყოფოს რევიზიის შესახებ მიღებულ იქმნას ცნობად. გაღებულ იქმნას ქალაქის სალაროდან ოცდა ცხრა ათას ხუთასი (29.500) მანეთი რევიზიის მოსახდენად საგანგებოთ მოწვეულ პირთა გასამჯელოში, ამ თანხის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით.

6. გამგეობის მოხსენება ერთდროულ სანიტარულ-ეპიდემიურ გადასახადის შემოსავალ-გასავლის შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. შოთაძე.
(ფინანსიურ განყოფილებიდან).

ხმ. გეჯესიანი გრ. ამ სანიტარულ-ეპიდემიურ გადასახადს საბჭო ადასტურებდა იმ იმედით, რომ მას თავის დანიშნულება მიეცემოდა და დასახულ მიზანს ემსახურებოდა. როგორც იცით გადასახადს თავის სპეციალური დანიშნულება ჰქონდა, რომელიც არ იქმნა შესრულებული. დასახულ მიზანს ვერ მივაღწიეთ. მივაღწიეთ მხოლოდ უარყოფით მხარეებს, რაიც ცხოვრების გაძვირებაში გამოიხატა. რაც შეეხება აუკრეფელ თანხას, ამაზე ფიქრი აღარ ღირს, ვინაიდან მისი აკრეფა ყოვლად მოუხერხებლად მიმაჩნია.

ხმ. აფხაზი კ. აქ საინტერესოა არა ის, თუ რამდენი შემოვიდა და დაიხარჯა, არამედ შემოსული თამხა რაში დაიხარჯა, რა გაკეთდა იმ თანხის შემწეობით. და თუ აქამდის ეს არ იქმნა გაკეთებული, აწ მაინც ვეცადოთ ამ მხარეს საქმისას მიექცეს სათანადო ყურადღება.

ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი ბ. აფხაზის საპასუხოთ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ ყოველივე დოკუმენტი, თუ რაში დაიხარჯა ეს თანხა, ხელთა გვაქვს და საჭიროების დროს იგი წარდგენილი იქმნება სადაც ჯერ არს. ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა აუტანელი იყო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის. როცა საშვალება არა გვქონდა ვალი სადმე გვეშოვა, ჩვენ ალ-ლებული ვიყავით ეს თანხა წაგვეშველებინა. არ არის, ბატონებო, შეკ-თალი ბ. გველესიანი, როცა ბრძანებს, რომ სანიტარულ-ეპიდემიურ გა-დასახადმა ცხოვრების სიძვირე გამოიწვიაო. გადაიხედეთ გარშემო — მე-ზობლების ქალაქებში — ერივანში, ბაქოში, ბათუმში და სხვაგან, სადაც სანიტარულ-ეპიდემიურ გადასახადი არ მოუკრეფიათ, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ცხოვრება იქ უფრო ძვირია, ვიდრე აქ. ამას გარდა, რამდენი ხა-ნია ჩვენ სანიტარულ-ეპიდემიურ გადასახადი გამოვაცხადეთ, მაგრამ მას შემდეგ ცხოვრების სიძვირე ყოველ დღე იზრდება.

ხმ. გოთუა ვ. წინადადება შემომაქვს საკითხი საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას გადაეცეს.

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება ერთდროულ სანიტა-რულ-ეპიდემიურ გადასახადის შემოსავალ-გასავლის შესახებ გადაეცეს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას წინასწარ განსახილველად.

7. გამგეობის მოხსენება ლომბარდის სარევიზიო კომისიის მოხსენების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. შოთაძე.

(ფინანსიურ განყოფილებიდან. მოხსენება იხილე ჟურნალის ბო-ლოში).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება და ლომბარდის 1918 წლის მოგება რვა ათას რვა ას ოცდა ცხრა (8.829) მანეთი და 93 კაპ. გადარიცხულ იქმნას ლომბარდის ძირითად თანხაში.

8. გამგეობის მოხსენება „სავალდებულო დადგენილებაში“ დამატების შე-ტანის შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი.

(შრომის და სოციალურ დახმარების განყოფილებიდან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. საბჭოს მიერ ამა წლის 5 აპრილს დამტკიცებულ სავალდებულო დადგენილებას სავაჭრო დაწესებულებებში სამუშაო საათების გან-საზღვრის შესახებ ჩამატოს შემდეგი: „ყავახანები, საკანდიტროები, სასადილოები, ხილეულობის და განსაკუთრებით გასაგრილებელი წყლით სავაჭროები სამუშაო დღეებში ღია იყოს: დილის 8 საათი-დან ღამის 11 საათამდე, იმ პირობით, რომ დაცული იქმნება მო-სამსახურეთა ორი წყება მუშაობა“.

9. გამგეობის მოხსენება რუსეთის უნივერსიტეტში დაარსებულ სტიპენდიების თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში გადმოტანის შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი.

(სამოსწავლო განყოფილებიდან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. განაწილებულ იქმნას ქალაქის უმაღლეს სასწავლებელთა შორის: რუსეთის უნივერსიტეტებში დაარსებული ქალაქის სტიპენდიები ამ რიგით: ამიროვის სახ. ორი სტიპენდია, აბამელიკის სახ.—ერთი და შამხაროვის სახ.—ერთი (განურჩევლად ეროვნებისა)—სახელმწიფო უნივერსიტეტში; პეტრე დიდის სახელზე ერთი სტიპენდია პეტროგრადის პოლიტეხნიკუმიდან—პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში; თამამშევის სახ.—ერთი და შამხაროვის სახ.—ორი სტიპენდია—ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტში; ზომა შამხაროვის სტიპენდიებისა დარჩეს წინანდელი, ე. ი. ოთხასი (400) მანეთი წელიწადში, რადგანაც ამ ჟამად ოთხასი მანეთიც არ არის საკმარისი, რომ დაკმაყოფილოს ერთი სტიპენდიანტის სწავლის გადასახადი.

10. გამგეობის მოხსენება საზოგადოება „განათლებისათვის" 10.000 მანეთით ერთდროულ დახმარების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. მაწავარიანი.
(სამოსწავლო განყოფილებიდან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. მიეცეს საზოგადოება „განათლებას" 10.000 მანეთი ერთდროულ დახმარებად, ამ თანხის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით.

11. გამგეობის მოხსენება ჩუღურეთის ნოე ჟორდანიას სახელობის ბიბლიოტეკა-სამკითხველოსათვის 5.000 მანეთით ერთდროულ დახმარების აღმოჩენის შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. მაწავარიანი.
(სამოსწავლო განყოფილებიდან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. ჩუღურეთის სახალხო ნოე ჟორდანიას სახელობის ბიბლიოტეკა-სამკითხველოს მიეცეს ერთდროული დახმარებად ხუთი ათასი (5.000) მანეთი, ამ თანხის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით.

12. გამგეობის მოხსენება ქალაქის ექიმის იოსებ ზაბლუდოვსკის ქვრივისათვის 18.660 მანეთით ერთდროულად დახმარების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. მაწავარიანი.
(1 განყოფილებიდან).

საბჭო ადგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. მიეცეს ექიმ ი. ზაბლუდოვსკის ქვრივს ერთდროული დახმარებად თვრამეტი ათას ექვსას სამოცი (18.660) მანეთი, ამ თანხის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. ხმ. მზარეულოვის შეკითხვა მეეზოვეთა ინსტიტუტის გაუქმების შესახებ.

თავმჯდომარე კითხულობს: „თბილისის ქალაქის საბჭოს. ამავე საბჭოს ხმოსნის ნ. მზარეულოვის შეკითხვა. კიდევ ამ ორი თვის წინათ საბჭომ მიიღო ჩემი წინადადება მეეზოვეთა ინსტიტუტის გადასინჯვის შესახებ. სახლის მეპატრონეთა დიდი უმრავლესობა იძულებულია მთელი თავის შემოსავალი მეეზოვეს აძლიოს ჯამაგირში. როდის იქმნება ქ. თბილისის სახლის მეპატრონეთა უმრავლესობა განთავისუფლებული მეეზოვეთაგან? ხმ. ნ. მზარეულოვი“.

ხმ. მზარეულოვი ნ. სახლის მეპატრონეთა მდგომარეობა აუტანელია. მათი შემოსავალი მათზე შეწერილ სხვა-და-სხვა გადასახადს კი არა მეეზოვეთა ჯამაგირებსაც ვერ აკმაყოფილებს. მე გთხოვთ, ბატონებო, ულარიბესი ნაწილი სახლის მეპატრონეთა მაინც იქმნას განთავისუფლებული მეეზოვეთა დაქირავებისაგან. ეს მით უფრო საჭიროა, რომ დღევანდელი მეეზოვები სრულიად თავის დანიშნულებას ვერ ემსახურებიან.

ხმ. გომართელი ივ. თუ ასე წამგებია სახლის მეპატრონობა, მაშინ გაჰყიდონ თავის სახლები.

ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიძეშვილი ხმ. მზარეულოვმა რამდენჯერმე შემოიტანა ეს შეკითხვა. სახლის მეპატრონეთა მდგომარეობა არ გახლავს ისე, როგორც ამას ბ. მზარეულოვი გადმოგვცემს, მეეზოვების ყოლას არც ისე სასტიკად ვთხოულობთ, ვისაც მათი დაქირავება არ შეუძლია. დღევანდელი ჩვენი მეეზოვების უმრავლესობა სანიტარულ პირობებს კი არ იცავენ, თვით არიან მისი დამრღვევნი. ისინი მზოლოდ კურტნებით ქუჩაში სხედან და ამ მხრივ შოულობენ საზრდოს.

ხმ. მზარეულოვი ნ. მეც ვეთანხმები ბ. მოურავს, რომ მეეზოვეთა ინსტიტუტი თავის დანიშნულებას ვერ ამართლებს, ამიტომ ვშუამდგომლობ, რომ სახლის მეპატრონენი განთავისუფლებულნი იქმნან მათი დაქირავებისაგან. და, გარწმუნებთ, სახლის მეპატრონენი თვით შესძლებენ იდეალურათ დაიცვან თავის ეზო ბაკის სისუფთავე. ამდენ ხანს უცდით საბინაო კანონს, მაგრამ მის გამოქვეყნებას არა ეშველა რა.

ხმ. გომართელი ივ. წინადადება შემომაქვს შეკითხვა უარყოფილ იქმნას.

საბჭო ადგენს: ხმ. მზარეულოვის შეკითხვა მეეზოვეთა ინსტიტუტის გაუქმების შესახებ უარყოფილ იქმნას.

14. ხმ. მზარეულოვის შეკითხვა საბინაო განყოფილების შესახებ.

თავმჯდომარე კითხულობს: „თბილისის ქალაქის საბჭოს. ამავე საბჭოს ხმოსნის ნ. მზარეულოვის შეკითხვა. რატომ დაიწყო მოქმედება ხელ-ახლად ქალაქის გამგეობის საბინაო განყოფილებამ, რომელიც დახურულ იქმნა ამ რამოდენიმე თვის წინათ, და რატომ ირღვევა რესპუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 1920 წლის 14 თებერვლის № 469 ინსტრუქცია ბინების რეკვიზიციის დროს? ხმ. ნიკ. მზარეულოვი". ბ.

ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიძეშვილი. ასეთი შეკითხვა რომ გარეშე პირს შემოეტანა გასაკვირალი არ იყო, მაგრამ მე მაკვირებს ბ. მზარეულოვი. მან, როგორც ხმოსანმა, უნდა იცოდეს, თუ რა დადგენილება გამოიტანა საბჭომ ამ საგანზე. როცა ჩვენ შემოვედით წინადადებით, რათა საბინაო საკითხი ჩვენთვის მოეცილებინათ, საბჭომ დაადგინა: განაგრძეთ მუშაობა იმ წესით რა წესით აქამდის მუშაობდით, მანამ ბინების შესახებ რაიმე კანონი იქმნებოდეს შემუშავებულიო. მე გეკითხებით, რა მოხდა ისეთი რამ ამ დადგენილების შემდეგ, რომ ასეთ შეკითხვას აზრი ჰქონდეს. თქვენ იცით, ბატონებო, რომ მთავრობამ დანიშნა სენატორის რევიზია. ამ რევიზიამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ყველა ამის შესახებ მიწერ-მოწერა ჩვენ გვინდოდა გაგვეცნო თქვენთვის, მაგრამ მისი დასტამბა ძალიან ძვირი ჯდება, ამიტომ მანქანაზე ვაბეჭდინებთ და, როცა იგი მზათ იქმნება, თქვენ მოგეცემათ ამ საქმის უფრო დეტალურად გაცნობის საშვალება.

ხმ. მზარეულოვი ნ. კანონი ბინების შესახებ უკვე შემუშავებულია განსაკუთრებული კომისიის, მიერ იუსტიციის მინისტრის რ. არსენიძის მეთაურობით. ამ კომისიაში, რამდენათაც ვიცი, ქალაქის წარმომადგენელიც იღებდა მონაწილეობას. უცდით ამ კანონს, უცდით სრული სამი თვე და საქმეს არა ეშველა რა ამ კანონში სხვათა შორის ნათქვამია, რომ ბინიდან გადასახლება აღკრძალულია თქვენ კი ამ გზით სიარულს კვლავ განაგრძობთ.

ქალაქის მოურავი ბ. ჩხეიძეშვილი. მ[illegible] ვსთხოვ საბჭოს გარკვევით სთქვას უნდა თუ არა მუშაობა ძველი გზით, თუ ახალს ინებებს აირჩიოს.

ხმ. გვეჯესიანი გრ. ასე კითხვის დაყენება ბ. მოურავო, შეუძლებელია. მინამ კანონი არსებობს და კანონიერი გზით იგი არ გაუქმებულა იგი კანონია და როგორც ასეთს ასრულება უნდა, მიუხედავათ მისა — მოგვწონს ჩვენ ის თუ არა.

საბჭო ადგენს: გამგეობის განცხადებას ხმ. მზარეულოვის შეკითხვაზე საბინაო განყოფილების მოქმედების შესახებ საბჭო დამაკმაყოფილებლად სცნობს.

სხდომა იხურება 11 ს. 30 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალაქ თბილისის საბჭოს 1920 წ. 21 ივნისის სხდომის

ჟურნალი

თავმჯდომარეობდა ალ. ლომთათიძე.

დაესწრნენ ხმოსნები: ავაქოვი, აფხაზი კ., ათაბეგოვი ვ., აბდუშელიშვილი შ., ბერიტაშვილი ლ., ბადრიძე ი., ბახტაძე, ბურჯანაძე ვ., გოგლიძე მ., გომართელი ივ., გოთუა პ., გოგუა კალ., გომელაური ი., გუნცაძე ირ., დვალი დ., ელიავა ნ., ვადაჭკორია ს., ვეფხვაძე მ., ვაჩნაძე დ., თალაქვაძე ნ., თევზაძე ს., კახიანი პ., კიკვაძე თ., კანტიძე ი., კანდელაკი ა., კოვალიოვი მ., ლომთათიძე ალ., მიკირტუმოვი ბ., მაჭავარიანი გ., მახვილაძე ე., მდივანი ალ., მზარეულოვი ნ., მესხი ი., ნაცვალიშვილი ა., ჟორჟოლიანი ალ., პაპავა ა., რამიშვილი ნ., რამიშვილი ირ., რუსია ნ., რუსია მ., რუხაძე ა., საგირაშვილი კ., სოლოლაშვილი ა., სირბილაძე ე., სულიაშვილი დ., ჩადუნელი დ., ჩიჩუა ზ., ჩხიკვიშვილი ბ., შოთაძე გ., ძიძიშვილი ნ., წვერავა ნ., ხუხუნაიშვილი თ., ხართიშვილი დ., ხელაძე ალ., ჯაჯანაშვილი არჩ., ჭიჭინაძე.

საბჭომ განიხილა:

1. ჟურნალის დამტკიცება.
2. ქალაქის მოურავის ბ. ჩხიკვიშვილის განცხადება.
3. გამგეობის მოხსენება 50 მილიონი მან. სესხად აღების შესახებ.

თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე საბჭოს სხდომას ხსნის 9 საათ. და 30 წ.

1. ჟურნალის დამტკიცება.

ქალაქის მდივნის მოადგილე ა. ტყემალაძე კითხულობს საბჭოს მიმდინარე წლის 14 ივნისის სხდომაზე მიღებულ რეზოლიუციებს.

საბჭო უცვლელად ამტკიცებს 14 ივნისის სხდომის ჟურნალს.

2. ქალაქის მოურავის ბ. ჩხიკვიშვილის განცხადება.

ქალაქის მოურავი ჩხიკვიშვილი ბ. ბატონებო, რეგლამენტის ძალით საბჭოს სხდომები უნდა იხსნებოდეს არა უგვიანეს $8^1/_2$ საათისა. დღეს კი ძალიან დაგვიანდა, ეს იმიტომ, რომ დარბაზი ს. ს.-დ. პარტიის ყრილობას ჰქონდა დათმობილი 8 საათამდი. 8 საათზე დაიწყეს არჩევნები და დაპირებულ დროზე ვერ მოვრჩნენ მის გათავებას. ცხადია, რომ ასეთ მრავალრიცხვიან კრებას პროვინციიდან ჩამოსულ დელეგატებისას ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაიძულებდი დარბაზი დაეცალა. ამიტომ ჩვენი სხდომის გახსნაც დავიწყებ ანდა, რაზედაც საბჭოს წინაშე დიდ ბოდიშს ვიხდი.

3. გამგეობის მოხსენება 50 მილიონი მანეთის სესხად აღების შესახებ.

მოახსენებს გამგეობის წევრი გ. შოთაძე.

(საფინანსო განყოფილებიდან. მოხსენება იხილე ჟურნალის ბოლოში).

ხმ. აფხაზი ნ. 1) რაში გამოიხატება ქალაქის დავალიანების რაოდენობა; 2) რა უფლებით ვთხოულობთ სავალიუტო საქონლით ვაჭრობას; 3) რატომ 50 მილიონს თხოულობთ და არა ნამდვილ საჭიროების მიხედვით — 60 მილიონს?

ქალაქის მოურავი ჩხეიძეშვილი ბ. სავალიუტო საქონლის დანიშნულება გახლავთ სახელმწიფო ხაზინის გაძლიერება და, რამდენად ქალაქი პატარა მასშტაბში სახელმწიფოს ნაწილს შეადგენს მთელი თავის ფუნქციებით, იმდენად ჩვენ იურიდიულიც და ზნეობრივი უფლებაც უნდა გვქონდეს ასეთ გასაჭირის დროს მივმართოთ სავალიუტო საქონლით სარგებლობას. რაც შეეხება იმას, რომ ჩვენ გვჭირდება 75 მილიონი მანეთი ამ საქ თვეში და ვთხოულობთ მხოლოდ 50-ს, ეს იმიტომ, რომ მთავრობა ვალდებულია ჩვენ მოგვცეს ათ მილიონამდის მილიციის შესანახად, ამასთან ჩვენც შემოგვივა სალაროში 16 მილიონზე მეტი, რომელიც საჭირო თანხას სრულიად დაჰფარავს.

გამგეობის წევრი შოთაძე გ. ქალაქის დავალიანების რაოდენობა გამოიხატება ორმოცდა თოთხმეტ მილიონ მანეთში.

საბჭო აღგენს: გამგეობის მოხსენება დადასტურებულ იქმნას. ნება დაერთოს გამგეობას აიღოს მთავრობისაგან სესხად 50 მილიონი მანეთი, სარგებლის გადაუხდელად, ან და მცირე სარგებლით, და ეს დადგენილება ძალაში შედის ჟურნალის ხელის მოწერით დამტკიცებამდის.

სხდომა დაიხურა 10 საათზე.

20

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲬᲙᲐᲗ